დანართი

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ალინა კუპრავა
წევრები:
ვერიკო ჭიღლაძე
ტიტე ბოლქვაძე
ირმა ღარიბაშვილი
ნიკა თიკანაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: ა(ა)იპ

საიდენტიფიკაციო კოდი: 402019917

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

2022 წლის 21 ივნისის N 677206 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში ვიზიტი, ბრძანების თანახმად, განახორციელდა 2022 წლის 4, 5, 6 და 7 ივლისს. სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების ვიზიტის დღის განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, დათვალიერდა გარემო და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან შეხვედრები გაიმართა ონლაინ რეჟიმში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის აღწერილი დასკვნაში.

დაწესებულებას თვითშეფასების დოკუმენტით ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასებული აქვს როგორც „სრული“. ექსპერტთა შეფასებებისა და დასკვნის საფუძველზე, პსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, ყველა სტანდარტთან მიმართებით, შეფასდა როგორც „სრული“, მათ შორის ყველა საგანმანათლებლო პროგრამა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

III. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
1.1) პსდ-ს მისია	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
4) ადამიანური რესურსები	☒	☐	☐	☐
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
4.2) პერსონალის განვითარება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5.2) საინფორმაციო რესურსები	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5.3) ფინანსური რესურსები	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

კოლეჯი საუკეთესო მაგალითია კერძო-საჯარო პარტნიორობით მიღწეული ხელშესახები შედეგებისა. თითოეულ დამფუძნებელს გააჩნია მთავარი და განუმეორებელი როლი კოლეჯის დაარსების, ფუნქციონირებისა და განვითარების მიმართულებით. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უზრუნველყოფს კოლეჯის ინსტიტუციურ, საკანონმდებლო, ფინანსურ-მატერიალურ მხარდაჭერას, სს საქართველოს რკინიგზა კოლეჯის ფუნქციური დანიშნულების, პროფილის და ფინანსურ-მატერიალურ საკითხებს აგვარებს. ეს ორი დამფუძნებელი უზრუნველყოფს ასევე სარკინიგზო ტრანსპორტის ოპერირების ხარჯების დაფარვას 50-50%-იანი თანამონაწილეობით. მათივე მხარდაჭერითაა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად გარემონტებული შენობა და აღჭურვილი სასწავლო ინვენტარითა და სახელოსნოებით. ინტელექტუალურ მხარდაჭერას კი უზრუნველყოფს საქართველოში ტექნიკურ დარგში კადრების მომზადების ფლაგმანი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ასევე, სსიპ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა“ და ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ინიციატივით ათასწლეულის ფონდის საგრანტო დაფინანსებით შედგა პარტნიორული თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციასთან „Occupational Safety and Health Administration (OSHA)“, რომლის ფარგლებშიც ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ბაზაზე განხორციელდა საქართველოსთვის „შრომის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობის დაცვის“ მიმართულებით ტრენერების მომზადება-გადამზადება ორი მიმართულებით: Genaral Industry (ზოგადი ინდუსტრია) და Construction Industry (სამშენებლო ინდუსტრია), რასაც დაწესებულება წარმატებით იყენებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

(PICG) გამარჯვებულია პროექტით ,,პროფესიული სწავლების დუალური მეთოდის განვითარება სარკინიგზო დარგში და სარკინიგზო შრომის ბაზრის გაუმჯობესება“.

შესაბამისად, ცხადია, კოლეჯი დაფუძნებისთანავე ორიენტირებულია სარკინიგზო ინდუსტრიაში და მის დამხმარე პროფესიებში პროფესიული კადრების მომზადებაზე უპირატესად სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებით, გერმანიის რკინიგზის შვილობილი კომპანიისDB E&C საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებით და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან ადაპტირებით, რისთვისაც 2016 წელს აღნიშნულ კომპანიასთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის თანახმად, გერმანიის მხარემ უზრუნველყო შემუშავებული კოლეჯის მიერ შემუშავებული სარკინიგზო მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გადახედვა და რეკომენდაციების შემუშავება, სწავლების დუალური და თანამედროვე მეთოდების გაზიარება, საგანმანათლებლო და საგამოცდო რესურსების შემუშავებაში მონაწილეობა და მოგვიანებით, 2019 წელს, მიუნხენისა და ზემო ბავარიის სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და საქართველოს სავაჭრო- სამრეწველო პალატის ხელშეწყობით კომპანიის ინსტრუქტორების გადამზადება.

V. არსებობის შემთხვევაში, წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

რეკომენდაციები არ გაცემულა

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ გამოვლენილა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

VII. რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაციები:

I სტანდარტი

1.2.1.1.

2023 წელს დაწესებულებას უწევს ახალი სტრატეგიული დოკუმენტის შვიდწლიანი გეგმის შემუშავება, შემდგომი განვითარების მიზნით, სასურველია სტრატეგიული მიზნები ჩამოაყალიბოს მოკლე/კონკრეტული წინადადებებით, რომელიც მკაფიოდ გვაჩვენებს რას გულისხმობს მიზანი;

II სტანდარტი

2.1.1.4. პროგრაები "შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" და "სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა" ექსპერტთა მხრიდან გაიცა განვითარების მიზნით შემდგომი რეკომენდაცია: ვინაიდან აღნიშნული დარგი ვითარდება და თანდათან მიმდინარეობს ახალი რეგულაციების შემუშავება და ამოქმედება, რასაც ასევე გვავალდებულებს ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება აქედან გამომდინარე, სასურველია პერიოდულად გაკონტროლდეს და მოდულებში აისახოს ის მარეგულირებელი დოკუმენტაცია (ტექნიკური რეგლამენტები, დებულებები, ინსტრუქციები), რომელიც პერიოდულად შედის ძალაში.

2.1.1.4. პროგრამა შედუღება - ექსპერტთა მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია - მოდულის „შედუღება ვოლფრამის (TIG) ელექტროდით ინერტულ აირში“ სასწავლო მასალების პუნქტში დაემატოს კოლეჯის ბიბლიოთეკაში არსებული ნათარგმნი მასალები (ევროპული და საერთაშორისო სტანდარტი BS EN ISO 5817, BS EN ISO 10042, BS EN ISO 13919-2, BS EN 12062).

2.1.1.4. პროგრამა - რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა - დაწესებულებას ბიბლიოთეკაში აქვს ისეთი ღირებული სასწავლო რესურსები, რომლებიც დარგობრივი მოდულების სასწავლო თემატიკას კიდევ უფრო გაშლის და გაამრავალფეროვნებს, ექსპერტთა მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია სასურველია პროგრამის მოდულებში სრულყოფილად მიეთითოს ის საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში.

2.2.2.2.

ადმინისტრაციის წარმომადგენელს, სათანადო კვალიფიკაციის არსებობის შემთხვევაში აქვს სასწავლო პროცესის განხორციელების უფლებაც. აღნიშნული პრაქტიკა დანერგილია დაწესებულებაში, დოკუმენტების გადამოწმების და გასაუბრების შედეგებით დადგინდა, რომ სასწავლო დატვირთვის მაქსიმალური ზღვარი არ არის განსაზღვრული და დარეგულირებელი დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტებით, სასურველია დაწესებულებამ დაარეგულიროს აღნიშნული საკითხი.

VIII. სტანდარტების შეფასება

1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1. პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მისიაა ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციების, ეროვნული და საერთაშორისო ღირებულებების მატარებელი, კონკურენტუნარიანი პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციური კადრებით საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოთხოვნების დაკმაყოფილება სარკინიგზო ინდუსტრიაში და მათი საგანმანათლებლო მიზნების მიღწევისა და წარმატებული დასაქმებისათვის წინაპირობების შექმნა, რომელიც მიმართულია მთელი სიცოცხლის განმავლობაში პირის პროფესიული, სოციალური და პიროვნული განვითარებისკენ. კოლეჯის მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს, რადგან: ორიენტირებულია კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებასა და წარმატებული დასაქმების პირობების შექმნაზე, რითაც ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას; ხელს უწყობს ინდივიდის როგორც პროფესიულ, ისე პიროვნულ განვითარებას, ეროვნული და საერთაშორისო ღირებულებების გადაცემით; მიზნად ისახავს თანამედროვე საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრების მომზადებას, რითაც ხელს უწყობს საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოებასა და თავსებადობას. პასუხობს შემდეგ კითხვებს: რისთვის არსებობს ორგანიზაცია, ვინ არიან მომხმარებლები და მათი რა კონკრეტული საჭიროებების დაკმაყოფილებას ცდილობს ორგანიზაცია თავისი საქმიანობით.

2 მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მისიით განსაზღვრულია, რომ კოლეჯი ოპერირებს სარკინიგზო ტრანსპორტის სფეროში, რაც წარმოადგენს კოლეჯის ძირითად პროფილს და განასხვავებს მას სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისაგან.მისიით ასევე განსაზღვრულია მახასიათებლები, რომ კოლეჯი ემსახურება სახელმწიფოსა და საზოგადოების მოთხოვნის დაკმაყოფილებას, მისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

პროფილის ფარგლებში, რითაც ხელს უწყობს საზოგადოებრივი კეთილდღეობის საფუძვლების შექმნას რაც განასხვავებს მას სხვა პსდ-სგან;

3 დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;

კოლეჯის ხედვაა, სარკინიგზო ინდუსტრიაში იყოს ლიდერი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება როგორც ქვეყანაში, ისე კავკასიის რეგიონში კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებლებით, სასწავლო-სამეწარმეო მჭიდრო და მრავალფეროვანი პარტნიორობით, პროფესიონალ თანამშრომელთა გუნდითა და დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროებით. კოლეჯის ხედვა გამომდინარეობს მისიიდან და სრულიად შეესაბამება მას. სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი არის განვითარებაზე ორიენტირებული დაწესებულება და ხედვაში განსაზღვრულია განვითარების ძირითადი მიმართულებები, რაც მოიცავს სტუდენტების დასაქმებას, ადამიანური რესურსის განვითარებასა და დაფინანსების მრავალფეროვანი წყაროების მოზიდვას. კოლეჯის ღირებულებებია: გუნდური მუშაობა; გამჭვირვალობა; პროგრესულობა და ინოვაციების მხარდაჭერა; ადამიანის უფლებათა დაცვა; ინტერნაციონალიზაცია.

4 მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

შესწავლილი დოკუმენტაციის, ფოტომასალის, შეხვედრების ოქმების, სოციალურ ქსელში განთავსებული ნიუსების და გასაუბრების შედეგებით დადგინდა, რომ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი. გამოქვეყნებულია ოფიციალურ ვებ-გვერდზე https://www.rtc.edu.ge. ასევე, აღნიშნული ინფორმაცია შეტანილია სტრატეგიული განვითარების გეგმა 2016-2023 წლებისათვის, რომელიც ასევე გამოქვეყნებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და მისი შემუშავება მოხდა ფართო საზოგადოებრივი ჩართულობით: კოლეჯის დამფუძნებლების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

ადმინისტრაციული პერსონალის, დამსაქმებლების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტების მონაწილეობით. მისია, ხედვა და ღირებულებები ასევე განთავსებულია კოლეჯის ოფიციალურ Facebook გვერდზე, რათა მაქსიმალურად მრავალფეროვანი აუდიტორიისათვის იყოს ხელმისაწვდომი. კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები, ასევე, განთავსებულია კოლეჯის შენობაში, თვალსაჩინო ადგილას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებული კოლეჯის ვებ-გვერდზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
- სამუშაო ჯგუფის შექმნის და მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია;
- კოლეჯის დირექტორის ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოგოლოგია;
- დაწესებულების ღია სივრცეებში განთავსებული მისია, ხედვა და ღირებულებები;
- ფოტომასალა;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 **პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;**

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ,,ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“. მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროცესების სწორად წარმართვის მიზნით, დირექტორი ბრძანების საფუძველზე ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიულ დაგეგმვაში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას. განსაზღვრულია მთავარი დაინტერესებული მხარეები: კოლეჯის პერსონალი, პროფესიული სტუდენტები, დამსაქმებლები. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია ასევე თუ რა კომპონენტებს უნდა მოიცავდეს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები. კოლეჯი სტრატეგიული დაგეგმვისას ეყრდნობა SWOT მეთოდოლოგიას. შემუშავებული გეგმის პროექტი საჯარო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

განხილვისათვის წარედგინება ფართო აუდიტორიას და მხოლოდ ამის შემდეგ მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით და ქვეყნდება კოლეჯის ვებგვერდზე. მეთოდოლოგიით გათვალისწინებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ყოველწლიური გადახედვისა და სამოქმედო გეგმის ყოველწლიური საჯარო ანგარიშგების აუცილებლობა. დაგეგმილი მისაღწევი მიზნების უზრუნველყოფისთვის დანერგილია პროცესების კონტროლის და ეფექტური ოპერაციების საჭირო კრიტერიუმების, მეთოდების, საზომებისა და შესაბამისი შესრულების ინდიკატორების KPI (Key Performance Indicator) სისტემა. დოკუმენტაციის შესწავლის და გასაუბრებების შედეგად დადასტურდა ასევე, რომ სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში გაწერილი პასუხისმგებელი პირების მიერ შესასრულებელი ამოცანები/აქტივობები, თანხვედრაშია პერსონალის სამუშაო აღწერილობებთან/ფუნქციებთან. გადამოწმდა შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისი პროცესების წარმართვა და დადასტურდა, რომ დაწესებულება მეთოდოლოგიის შესაბამისად ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;

2 სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;

დაწესებულების მიერ დამტკიცებულ 2016 -2023 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმაში მოყვანილი SWOT ანალიზით გათვალისწინებულია ქვეყნის, რეგიონის, თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინი. დაწესებულებას გააზრებული აქვს სარკინიგზო ტრანსპორტის სფეროში კვალიფიციურ მუშახელზე არსებული მზარდი მოთხოვნა. კოლეჯის ერთ-ერთი თანადამფუძნებელი და პარტნიორი სს „საქართველოს რკინიგზა“, როგორც კოლეჯის კურსდამთავრებულთა ძირითადი დამსაქმებელი, აქტიურადაა ჩართული კოლეჯის საქმიანობაში, მათ შორის, სტრატეგიული დაგეგმვის ეტაპზე. წელიწადში ორჯერ კოლეჯში იმართება შეხვედრა სს „საქართველოს რკინიგზის“ წარმომადგენელთა ჩართულობით, რათა მოხდეს კოლეჯის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. აღნიშნული მოსაზრება ემყარება ფაქტობრივ გარემოებებს(დაფინანსების ხელშეკრულებები, მიმოწერები კოლეჯსა და დამფუძნებელს შორის), დაწესებულებამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებისა და ცვლილებების პროცესების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

ასახველი დოკუმენტაცია, რითაც დასტურდება, რომ დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია. სტრატეგიული გეგმის გადახედვის/ცვლილებების ინიცირება მოხდა დირექტორის მიერ ბრძანებით, შეიქმნა სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფი, რომელმაც უზრუნველყო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გადახედვა და ამ პროცესში დამფუძნებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართვა. შეცვლილი გეგმის საჯარო განხილვა (დისტანციურად) გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ ადმინისტრაციის წარმომადგენლები, სს „საქართველოს რკინიგზისა“ და სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლები, პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროფესიული სტუდენტები, აპლიკანტები და მათი მშობლები. საჯარო განხილვაზე, კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა დეტალურად გააცნეს განვითარების სტრატეგიული გეგმა დამსწრე აუდიტორიას, მიიღეს მათგან შენიშვნები, რეკომენდაციები და მოსაზრებები. გარდა ამისა, დოკუმენტი ელექტრონული სახით გაეგზავნათ დაინტერესებულ მხარეებს და მათ კოლეჯში წარმოადგინეს საკუთარი მოსაზრებები სტრატეგიულ გეგმასთან დაკავშირებით, რისშემდეგაც მოხდა მათი მოსაზრებების ასახვა დოკუმენტში და დამტკიცება უფლებამოსილი პირის - დირექტორის მიერ. ამასთან, კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს ქალაქ თბილისის მერიასთან, მუნიციპალური სარელსო ტრანსპორტისათვის კადრების მომზადების მიმართულებით, კომპანია „ჰაიდელბერგ ცემენტთან“, მიმდინარეობს მოლაპარაკება შპს „ჯორჯიან მანგანეზთან“ თანამშრომლობის პირობების შეთანხმებასთან დაკავშირებით. კოლეჯი გახსნილია ყველა ტიპის, კერძო თუ საჯარო ორგანიზაციასთან თანამშრომლობისათვის, სარელსო ტრანსპორტის მომსახურების, ლოჯისტიკისა და მომიჯნავე დარგებისათვის (მაგ. ლითონის დამუშავება, სასაწყობე მეურნეობა, ტექნიკური ხაზვა და ა.შ.) კადრების მომზადების მიმართულებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;

3 დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

კოლეჯის მიერ შემუშავებული განვითარების სტრატეგიული გეგმა 2016-2023 წლებისთვის ანალიტიკური ტიპის დოკუმენტია, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მისიის განაცხადის, ინსტიტუციური გარემოს, კოლეჯის ისტორიის, განვითარების შესაძლებლობების, არსებული სიტუაციის ანალიზის, ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრის, რისკების, პარტნიორების, დონორებისა და სტრატეგიული მიზნების შესახებ. კოლეჯის მიერ შემუშავებული მიზნები უზრუნველყოფს დასახული ხედვის მიღწევას, საბოლოო ჯამში კი - კოლეჯის მისიის განხორციელებას. კოლეჯის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული დოკუმენტის შესაბამისად თითოეულ სტრატეგიულ მიზანს გააჩნია თავისი ამოცანები, შესრულების ვადები, ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირები და რისკები. კოლეჯი ასევე ყოველწლიურად შეიმუშავებს ერთწლიან სამოქმედო გეგმას. ექსპერტთა მიერ გაანალიზდა კოლეჯის სტრატეგიული(2016-23 წწ) და 2022 წლის სამოქმედო გეგმები. ერთწლიან გეგმაში განსაზღვრულია მიზნების შესაბამისი ამოცანები, განსახორციელებელი აქტივობები, განხორციელების ვადები და საჭირო რესურსები. კოლეჯის მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმები გამომდინარეობს სტრატეგიული განვითარების გეგმიდან. კოლეჯი ყოველწლიურად შეიმუშავებს და ამტკიცებს ერთწლიან სამოქმედო გეგმას. თითოეული წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება აახლოებს დაწესებულებას დასახული სტრატეგიული მიზნების მიღწევასთან. **დაწესებულებას 2023 წელს უწევს ახალი სტრატეგიული დოკუმენტის - შვიდწლიანი გეგმის შემუშავება, შემდგომი განვითარების მიზნით სასურველია გადახედოს სტრატეგიული მიზნების ფორმულირებას და ჩამოაყალიბოს მოკლე/კონკრეტული წინადადებებით, რომელიც მკაფიოდ გვაჩვენებს რას გულისხმობს მიზანი;**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასები მეთოდოლოგია;
- უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა(2016-23წწ) ;
- უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ დამტკიცებული სამოქმედო გეგმა (ერთწლიანი);
- სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები;
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით“ განსაზღვრულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცედურები, ვადები და პასუხისმგებელი პირები. სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული მიზნების შესრულების მიმდინარე შეფასება ხდება ყოველწლიურად. რის შედეგადაც სტრატეგიული განვითარების გეგმაში შესაძლებელია, შეტანილ იქნას ცვლილებები. შესაბამისი საკითხის ინიცირებას ახდენს დირექტორი. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი განხორციელდება 6 თვეში ერთხელ, რისთვისაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

გამოიყენება KPI სისტემა. ყოველი წლის ბოლოს, სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ მზადდება ანგარიში, რომელიც ქვეყნდება კოლეჯის ვებ- გვერდზე. ანგარიშში განიხილება თუ რა დასახული ამოცანები და აქტივობები შეასრულა კოლეჯმა წარმატებით, რა დარჩა შეუსრულებელი, რა გამოწვევების წინაშე დგას კოლეჯი, რა წარმატებები იქნა მიღწეული. გარდა ამისა, სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში წარედგინება კოლეჯის დამფუძნებელთა საერთო კრებასა და სამეთვალყურეო საბჭოს.იმართება შეხვედრა დაინტერესებულ მხარეებთან,რომელთაც წარედგინებათ პრეზენტაცია კოლეჯის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ და ხორციელდება წარმატებული ადმინისტრაციული და პროგრამის განმახორციელებელი პირების და პროფესიული სტუდენტების წახალისება. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასებისათვის ძირითადად გამოიყენება KPI სისტემა, რომლის საშუალებითაც წელიწადში ორჯერ ფასდება თითოეული სტრატეგიული მიზნისა და მისი შემდგენელი ამოცანების/აქტივობების შესრულების დონე და ხარისხი. განისაზღვრება რა მოცულობით სრულდება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული
ესა თუ ის ამოცანა/აქტივობა,როგორია თითოეული თანამშრომლის ეფექტურობა.წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ კოლეჯი ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;

კოლეჯში დაგეგმილი მისაღწევი მიზნების უზრუნველყოფისთვის დანერგილია პროცესების კონტროლის და ეფექტური ოპერაციების საჭირო კრიტერიუმების, მეთოდების, საზომებისა და შესაბამისი შესრულების ინდიკატორების KPI (Key Performance Indicator) სისტემა (შემდგომში - KPI). აღნიშნული მეთოდოლოგიიის გამოყენებით ხდება თითოეული სტრატეგიული მიზნისა და მისი შესაბამისი ამოცანების შესრულების განსაზღვრა, პროცენტულად ფასდება თუ ამოცანაზე/აქტივობაზე პასუხისმგებელმა პირმა რა მოცულობით შეასრულა დაკისრებული სამუშაო, რამდენი პროცენტით არის შესრულებული თითოეული ამოცანა/აქტივობა და შესაბამისად თითოეული სტრატეგიული მიზანი. გარდა ამისა, თანამშრომელთა შესრულება ფასდება მათი სამუშაო აღწერილობების მიხედვით. საბოლოოდ, კი განისაზღვრება, დასახული და დაკისრებული ამოცანებიდან რამდენი პროცენტის შესრულება შეძლო თანამშრომელმა და როგორია მისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

ეფექტურობის მაჩვენებელი. მეთოდოლოგიის მიხედვით სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული მიზნების შესრულების მიმდინარე შეფასება ხდება ყოველწლიურად. გეგმიური მონიტორინგი ხორციელდება სამოქმედო გეგმის შემთხვევაში 6 თვეში ერთხელ, ხოლო სტრატეგიული გეგმის შემთხვევაში წლის ბოლოს. თითოეული სტრუქტურული ერთეული/შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი, სამოქმედო გეგმის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირების (დირექტორის, დირექტორის მოადგილის და ხარისხის მართვის მენეჯერის) კოორდინაციით, წარმოადგენენ შესაბამისი შუალედურ შესრულების ანგარიშს. ანგარიში შესაბამის აქტივობაზე პასუხისმგებელი პირის მიერ ივსება თავად მონიტორინგის გეგმაში, ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ კი ხდება მათი ასახვა KPI-ს შესაბამის გრაფებში. თუ გამოიკვეთა პრობლემები და გამოწვევები, კოლეჯი ცვლილებებს ახორციელებს სამოქმედო გეგმაში, მაგ. შეცვალოს ამა თუ იმ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირები, რომელიმე აქტივობის განსახორციელებლად განსაზღვროს მეტი ადამიანური რესურსი. შესაბამისად, პრობლემებისა და გამოწვევების აღმოჩენა დროულად ხდება, რაც იწვევს სამოქმედო გეგმაში ლოგიკური ცვლილებების შეტანას და საბოლოოდ გეგმის შესრულების გაუმჯობესებას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა შუალედური და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები 2017, 2018, 2019 და 2020 წლებისათვის, რომლებიც ასახულია შესრულებული, შეუსრულებელი და ცვლილებებით ჩამოყალიბებული ამოცანების შესახებ ინფორმაციები, ანგარიშები გამოქვეყნებულია კოლეჯის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისათვის.

3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კოლეჯი ფუნქციონირებს 2016 წლიდან . მომზადებული აქვს სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები 2017, 2018, 2019, 2020 და 2021 წლებისათვის, რომლებიც გამოქვეყნებულია კოლეჯის ვებ-გვერდზე https://www.rtc.edu.ge/info/samoqmedo-gegmebis-Sesrulebis-angariSebi/38 და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის და შეფასების მექანიზმები და გეგმები;
- შეხვედრის ოქმები, სამუშაო ჯგუფების მიერ წარმოდგენილი ანგარიშები;
- მონიტორინგისა და შეფასების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები;
- ვებ-გვერდზე განთავსებული პსდ-ს საქმიანობის წლიური ანგარიშები https://www.rtc.edu.ge/info/samoqmedo-gegmebis-Sesrulebis-angariSebi/38 ;
- შეფასების შედეგებზე რეაგირების მტკიცებულებები;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანება N46 (18.07.2020) KPI სისტემის დანერგვის შესახებ;
- გეგმების შესრულება KPI სისტემით -შეფასების შედეგი;
- ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიშები ;
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3 პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 **პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;**

კოლეჯის შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა; წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ კოლეჯის პერსონალი მუშაობს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. პროფესიული სტუდენტების უფლებებთან და კანონიერ ინტერესებთან დაკავშირებული პროცედურები გაწერილია ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა და ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის შნაგანაწესის დოკუმენტებში. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მოიცავს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

აპლიკანტის რეგისტრაციის, შერჩევის (მათ შორის საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში), დაწესებულებაში ჩარიცხვის პროცედურებს (თავი I), რომელიც არ ეწინაღრმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ („პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები“) ბრძანების მოთხოვნებს. წესში გათვალისწინებულია არასრულწლოვანთა და სსსმ პირების ჩარიცხვის სპეციფიკა. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში მუხლი 17. შესარჩევი და სააპელაციო კომისიები, პუნქტი 7 -ის თანახმად შესარჩევი და სააპელაციო კომისიების შემადგენლობა, მათი მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი, აპელაციის წესი და ვადები განისაზღვრება დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. დაწესებულებაში ჩარიცხვის შედეგების გასაჩივრების ფაქტები არ ვლინდება. წესში ასევე გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა, აღდგენასთან დაკავშირებული პროცედურები (თავი II). ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა სტატუსის ცვილებასთან დაკავშირებული თითო, შერჩევითი მაგალითი, რის შედეგადაც დადგინდა, რომ პროცედურა ხოციელდება რეგულაციებში გაწერილი წესის შესაბამისად და არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში 2019 წლის 20 სექტემბრის №198/ნ („პროფესიული სტუდენტის მობილობის წესი“) ბრძანების თანახმად გაწერილია მობილობისა და პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი (თავი III), რომელიც ასევე მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს (მუხლი 21.) ექსპერტთა ჯგუფის მიერ მონაცემთა შეგროვებისა და შესწავლის შედეგად გამოიკვთა, რომ დაწესებულებას აქვს მხოლოდ შიდა მობილობის გამოცდილება, რომელიც განხორციელდა დაწესებულების შიდა მარეგულირებელი წესის შესაბამისად. დოკუმენტში ასევე გაწერილია ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურები (თავი IV). წესი ეთანხმება 2020 წლის 28 დეკემბრის №121/ნ („ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი) და 2019 წლის 6

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

სექტემბრის №188/ნ (არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი) ბრძანების მოთხოვნებს. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის შინაგანაწესში კერძოდ კარი III. სასწავლო განაწესი, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, გაწერილია პროფესიული სტუდენტის/ მსმენელის, ასევე არასრულწოვანი პროფესიული სტუდენტის/ მსმენელის კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და მოვალეობები. დაწესებულებაში დაცულია სტუდენტის უფლება მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსებით სარგებლობის შესახებ, რასაც მოწმობს ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი მატერიალური რესურსების, სასწავლო მიზნებისათვის გამოსაყენებელი სახარჯი მასალის, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის და ნედლეულის, შესყიდვის, განკარგვის, შენახვის, ჩამოწერის და უტილიზაციის წესების დოკუმენტში გაწერილია კოლეჯის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. ასევე ა(ა)იპ სარკინიგზო კოლეჯის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესითა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით მუხლი 34. კოლეჯის ინფრასტრუქტურაზე, მატერიალურ და საგანმანათლებლო რესურსებზე წვდომა.

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასევე შესწავლილი იქნა სტუდენტთა პირადი საქმეები, ხელშეკრულებები, შერჩევა, ჩარიცხვასთან დაკავშირეული დოკუმენტები, სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა, აღდგენის,შიდა მობილობის მაგალითები. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტაცია შედგენილი იყო წესის შესაბამისად და ასახავდა რეგულაციებით გაწერილ პროცედურებს. არასრულწლოვანი პირების ხელშეკრულებები წარმოდგენილი იყო კანონიერი წარმომადგენელის მიერ დადასტურებული ხელმოწერითა და შესაბამისი დოკუმენტაციით. რეგულაციების ანალიზისა, პრაქტიკული მაგალითების განხილვის და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პსდ-ს კონკრეტულად, მკაფიოდ და კანონის შესაბამისად აქვს გაწერილი შიდა რეგულაციები და უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა.

2 პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

პსდ-ს ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმების დოკუმენტში გაწერილი აქვს პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტირება (მუხლი 2.), რის თანახმადაც სწავლის პირველივე დღეს სტუდენტების გარემოსთან ადაპტირება, საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება, პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და ვალდებულებების, სასწავლო პროცესის თავისებურებების, ქცევისა და ეთიკის ნორმების, უსაფრთხოებისა და სხვა წესების გაცნობა, გარემოს დათვალიერების დაგეგმვა, ორგანიზება ევალებათ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერს და სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს. აღნიშნულ პროცესში მონაწილეებენ კოლეჯის დირექტორი, ადმინისტრაციის თანამშრომლები, პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები და პროფესიული განათლების მასწავლებლები. დაწესებულებამ აღნიშნულის მტკიცებულებად წარმოადგინა სტუდენტებთან შეხვედრის ამსახველი ფოტოები და დასწრების შევსებული ფურცელი. ასევე პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულების მუხლი 3. მხარეთა უფლებების პუნქტის თანახმად კოლეჯი ვალდებულებას იღებს „3.1.4 გააცნოს პროფესიულ სტუდენტს, ასევე, მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს კოლეჯის შინაგანაწესი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი და ეთიკის კოდექსი;“, „5.1. პროფესიული სტუდენტი ხელშეკრულების გაფორმებამდე ვალდებულია გაეცნოს კოლეჯის შინაგანაწესს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს და ეთიკის კოდექსს;“. გარდა ამისა ხელშეკრულების ბოლოს პროფესიული სტუდენტი/ კანონიერი წარმომადგენელი ხელმოწერით ადასტურებს, რომ გაეცნო ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტებს. ხელშეკრულების გაფორმების დროს სტუდენტს გადაეცემა სამახსოვრო ბარათი, როლის ერთი ნაწილი მოიცავს მარეგულირებელი დოკუმენტების ჩამონათვალს, რომელშიც გაწერილია ან/და მოიცავს პროფესიულ სტუდენტთა უფლება-მოვალეობები. ვიზიტის დროს ექსერტთა ჯგუფის მიერ გარემოს დათვალიერების დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტთა უფლებები და მოვალეობები დაწესებულებას გამოკრული აქვს საჯარო სივრცეში, კერძოდ დერეფნებში. პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ სტუდენტები მონაწილეობას ღებულობენ საინფორმაციო შეხვედრებში, ეცნობიან შესაბამის რეგულაციებსა და დოკუმენტებს, ყურადღებას აქცევენ და კითხულობენ საჯარო სივრეში გამოკრულ საინფორმაციო სურათებს, იცნობენ თავიან უფლებებსა და მოვალეობებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

მოქმედ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგებით დგინდება, რომ ისინი კარგად იცნობენ საკუთარ უფლებებს: თავისუფლად გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები; ისარგებლონ კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, ინტერნეტით და სხვა საშუალებებით; მოითხოვონ პროფესიული განათლების მასწავლებლებისგან/სასწავლო პროცესის მონაწილეთაგან მათთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულება; მოითხოვონ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების სამართლიანი შეფასება; მიიღონ დეტალური ინფორმაცია სასწავლო განრიგის, სწავლის შედეგების, შეფასების ორგანიზებისა და წარმართვის შესახებ; გამოიყენონ შეფასების გასაჩივრების და განმეორებით შეფასებაზე გასვლის უფლება და სხვა. დოკუმენტების ანალიზისა და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;

3 პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი. დოკუმენტში გაწერილია შეფასების პროცედურა, განმეორებითი შეფასების პირობები და შედეგის დადასტურების/შეფასების გასაჩივრების პროცედურა მოდულარული, სამუშაოზე დაფუძნებული და ინტეგრირებული პროგრამებისთვის. ამ და სხვა დოკუმენტებში (მათ შორის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტები) არ იკვთება პროფესიული სტუდენტისათვის შეფასების სისტემის გაცნობაზე პასუხისმგებელი პირი. ასევე არ არის გაწერილი შფასებამდე რა პერიოდით ადრე ეცნობება სტუდენტს შეფასების თარიღის შესახებ . თუმცა სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ ისინი კარგად იცნობენ შეფასების სისტემას, გადაბარების და შედეგების გასაჩივრების პროცედურებს, რომელსაც მათ აცნობთ პროფესიული მასწავლებელი. ასევე შედეგების დადასტურების თარიღის შესახებ მათ ეცნობებათ მინიმუმ ერთი კვირით ადრე პროფესიული მასწავლელის და ასევე სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ. სწავლის რომელიმე შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ამ მოდულზე (რომელიც არის სხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

მოდულის წინაპირობა) სწავლის დასრულებიდან 2 კვირის ვადაში, მხოლოდ ერთხელ, განმეორებით დაადასტუროს შესაბამისი სწავლის შედეგი. პროფესიული სტუდენტისათვის სწავლის შედეგის დადასტურების/შეფასების გასაჩივრების პროცედურა გამოკრულია საჯარო სივრცეში, თვალსაჩინო ადგილას. ასევე, ატვირთულია კოლეჯის ვებგვერდზე და სპეციალურად სტუდენტებისთვის შექმნილ Facebook ჯგუფში, სადაც გაწევრიანებული არიან კოლეჯის პროფესიული სტუდენტები. გაწერილი მექანიზმების თანახმად სტუდენტს შეფასების შედეგები უნდა ეცნობოს ინდივიდუალურად ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ან/და ინდივიდუალური გასაუბრებით. პროფესიული სტუდენტისათვის შედეგის დადასტურების/შეფასების გასაჩივრების პროცედურის (მუხლი11) თანახმად პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მიმართოს სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერს/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს და მოითხოვოს შედეგის დადასტურების/შეფასების გადასინჯვა. პროცედურაში ნათლად არის გაწერილი რეაგირების ვადები. „შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დაწესებულება უფლებამოსილია შეადგინოს კომისია, რომელიც უნდა შეიკრიბოს საჭიროების დადგომიდან არაუგვიანეს ორი სამუშაო დღისა.“ ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა სტუდენტის მიერ შედეგების გასაჩივრების მაგალითი. დოკუმეტები წარმოდგენილი იქნა პროცედურის შესაბამისად. კომისია შეიქმნა კოლეჯის დირექტორის ბრძანების შესაბმისად, კომისიის წევრებში განსახილველ საკითხთან მიმართებით არ იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი. სხდომის ოქმის შინაარსი არ ბადებს მიკერძოების ან/და სუბიექტური დამოკიდებულების ეჭვს. **შესაბამისად დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.**

4 პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ხელშეკრულებაში პროფესიულ სტუდენტთან განსაზღვრულია ხელშეკრულების საგანი; სწავლის საფასურის ოდენობა და პროფესიული სტუდენტის დაფინანსების წესი; მხარეთა უფლება-მოვალეობები; ხელშეკრულების ვადა და მისი მოქმედების შეწყვეტის წესი; დამატებითი პირობები; მხარეთა რეკვიზიტები. ხელშეკრულებით გაწერილია კოლეჯის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

შინაგანაწესის, სასწავლო პროცესის რეგულირების წესის, ეთიკის კოდექსის და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების პროფესიული სტუდენტისთვის გაცნობისა და ორივე მხარის მიერ დოკუმენტებში გაწერილი წესების დაცვის ვალდებულებები. დაწესებულება იღებს პასუხისმგებლობას შეუქმნას პროფესიულ სტუდენტს სწავლის პირობები და უსაფრთხო გარემო თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი პროფესიული განათლების მისაღებად. პროფესიული სტუდენტი პერსონალური მონაცემების, „პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დამუშავების შესახებ თანხმობას აცხადებს განცხადებაზე ხელის მოწერით. დოკუმენტში გათვალისწინებულია არასრულწლოვანთან ხელშეკრლების გაფორმების სპეციფიკა. შესაბამისი მტკიცებულებები წარმოდგენილია პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით. ხელშეკრულება უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირების საკითხს მათი ვალდებულებებისა და უფლებების შესახებ. **შესაბამისად, პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა.**

5 **პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.**

პსდ-ს ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა და ინკლუზიური განათლების მექანიზმები გაწერილი აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (თავი V). მექანიზმები ითვალისწინებს სსსმ და შშმ პირებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების შესაძლებლობას, მათი ინდივიდუალური საჭიროებებისა და ინტრესების გათვალისწინებით. დაწესებულებას აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის გამოცდილება. ექსპერტთა მიერ ვიზიტის დროს წარმოდგენილი მტკიცებუოლებების შესწავლისა და ადმნისტრაციასთან გასაუბრების დროს დადგინდა, რომ პანდემიიდან გამომდინარე ონლაინ სწავლების დროს სტუდენტთა გარკვეულმა რაოდენობამ, ინტერნეტთან წვდომის არ ქონის გამო, ვერ შეძლო ორი მოდულის შედეგების მიღწევა. შესაბამისად მიმართეს დაწსებულებას განცხადებით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების თაობაზე. სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერმა მოხსენებითი ბარათის საშუალებით მიმართა კოლეჯის დირექტორს ინდივიდალურ სასწავლო გრაფიკის შექმნის ნების დართვის თაობაზე. კოლეჯის დირექტორმა გამოსცა №20 (22.03.21) ბრძანება სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გრაფკის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

შედგენის შესახებ. ბრძანების შესაბამისად შეიქმნა ორი ჯგუფი, რომელთათვის გაიწერა ინდივიდუალური გრაფიკი ინფორმაციული წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების მოდულების შედეგების მიღწევისათვის. აღნიშნული განხილული და შეთანხმებული იქნა სსსმ სტუდენტებთან.

ინტერვიუსა და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგების გათვალისწინებით დადგინდა, რომ პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებულია 2022 წლის 31 მაისის №86 ბრძანებით);
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის შინაგანაწესი;
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი მატერიალური რესურსების, სასწავლო მიზნებისათვის გამოსაყენებელი სახარჯი მასალის, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის და ნედლეულის, შესყიდვის, განკარგვის, შენახვის, ჩამოწერის და უტილიზაციის წესები ;
- ა(ა)იპ სარკინიგზო კოლეჯის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (დამტკიცებულია 2022 წლის 11 მარტის №35 ბრძანებით);
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმები (დამტკიცებულია 2021 წლის 8 ივლისის №57 ბრძანებით);
- პროფესიულ სტენტებთან საინფორმაციო შეხვედრის ამსახველი ფოტოები და დასწრების ფურცელი;
- პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი (დამტკიცებულია 2022 წლის 31 მაისის №87 ბრძანებით);
- სტუდენტის მიერ შეფასების გასაჩივრების საქმე (განცხადება, კოლეჯის დირექტორის სამსახურეობრივი ბარათი, ბრძანება №35, ოქმი №1, ბრძანება №37);
- სტუდენტის საქმე (სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა, აღდგენა);
- ინდივიუალური სასწავლო გეგმის შექმნის მტკიცებულებები (სტუდენტთა განცხადებები, სასწავლო პროცესის და სასწავლო გრაფიკის მენეჯერს მოხსენებითი ბარათი, დირექტორის ბრძანება №20, ინდ. ჯგუფები და ინდ. გეგმა);
- კოლეჯის ვებ-გვერდი;
- სტუდენტებისთვის განკუთვნილი Facebook ჯგუფები.
- დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

პსდ-ში აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად პროფესიული სტუდენტისათვის კონსულტაციებისა და მხარდაჭერის გაწევა ევალებათ პროფესიულ მასწავლებელს და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს. აღნიშნული მოვალეობები გაწერილია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (მუხლი 31. და მუხლი 32.), რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის №32 ბრძანებით (09.03.22) პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო აღწერილობა და კოლეჯის დირექტორის №33 ბრძანებით (09.03.22) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა. დოკუმენტის მიხედვით პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, პროფესიულ სტუდენტებს გაუწიოს დამატებითი კონსულტაციები. ხოლო საგამანათებლ პროგრამის ხელმძღვანელი ახდენს სტუდენტებთან გეგმიურ ინდივიდუალურ გასაუბრებებს და მათი საჭიროებების იდენტიფიცირებას, პორტფოლიოების ანალიზსა და საჭიროების შემთხვევაში არაგეგმიურ ინდივიდუალურ გასაუბრებას. პროფესიული სტუდენტისათვის კონსულტაციებისა და მხარდაჭერის გაწევა ასევე ევალება სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერს. აღნიშნული გაწერილია ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტში შესაბამისი პოზიციის ფუნქცია-მოვალეობებში. პროფესიული მასწავლებლის მიერ კონსულტაციების გაწევის მოვალეობები ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

გაწერილია ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმებში (მუხლი 3. მხარდაჭერის ღონისძიებები), სადაც აღნიშნულია, რომ „პროფესიული განათლების მასწავლებლები ეტაპობრივად, საჭიროების მიხედვით, ორგანიზებას უწევენ ინდივიდუალურ საკონსულტაციო შეხვედრებს იმ პროფესიულ სტუდენტებთან, რომლებსაც გარკვეული პრობლემები აქვთ სწავლის მიღწევების თვალისზრისით.“ გარდა ამისა კარიერის დაგეგმვის მენეჯერი და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, პერიოდულად, ორგანიზებას უწევენ პროფესიულ სტუდენტებთან ჯგუფურ შეხვედრებს, რომელთა ფარგლებშიც იკვეთება პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებები. ასევე სტუდენტებს აქვთ საშუალება სანიციატივო ჯგუფის სახელით, საჭიროების შემთხვევაში მიმართონ ადმინისტრაციას და სასწავლო პროცესისა და სასწვლო პრაქტიკის მენეჯერი და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი უზრუნველყოფენ შეხედრის ორგანიზებას. აღნიშნული მხარდამჭერი ღონისძებების პრაქტიკული განხორციელდება დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუთიც. სტუდენტები ადასტურებენ, რომ პროფესიული მასწავლებლისგან, პროგრამის ხელმძღვანელისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებისგან სისტემატიუად ხორციელდება მათ საჭიროებებზე მორგებული საკონსულტაციო და მხარდამჭერი აქტივობები მათი აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. **შესაბამისად დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.**

2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით კოლეჯში ახალი პროფესიული სტუდეტების ადაპტაციაზე პასუხისმგებელია პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული მოვალეობები გაწერილია ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტში (დამტკიცებულია 2022 წლის 28 მარტის №52 ბრძანებით) შესაბამისი პოზიციის ფუნქცია-მოვალეობებში. კერძოდ იგი: „ ორგანიზებას უწევს ახალი პროფესიული სტუდენტების სასწავლო გარემოსთან ადაპტირების პროცესს, მათი უფლება-მოვალეობებისა და კოლეჯის შესახებ ინფორმაციის გაცნობას;“ ასევე პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტირება გაწერილია ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის სტუდენტური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

მხარდაჭერის მექანიზმებში (მუხლი 2). პროფესიულ სტუდენტთა ყველა ნაკადისთვის ტარდება ღია კარის დღე, რომელშიც ჩართულია კოლეჯის დირექტორი, ადმინისტრაციის წარმომადგენლები, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები და პროფესიული მასწავლებლები. შეხვედრაზე სტუდენტს ეცნობა დაწესებულების მისიის, ხედვის, ღირებულებების, საქმიანობის ძირითადი პრინციპები, დაწესებულების სერვისებისა და ზოგადად არსებული შესაძლებლობების, პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და ვალდებულებების, სასწავლო პროცესის თავისებურებების, ქცევისა და ეთიკის ნორმების, უსაფრთხოებისა და სხვა წესები. ამის შემდგომ შენობაში ეწყობა ექსკურსია. აღნიშნულის მტკიცებულებად დაწესებულოებამ წარმოადგინა ფოტო მასალა.

პროფესიული სტუდენტები ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიუს დროს ადასტურებენ, რომ მათთვის სწავლის დაწყების პერიოდში მოეწყო ღია კარის დღე, სადაც კოლეჯმა მიაწოდა მათთის საჭირო ყველა ინფორმაცია. ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს ასევე დასტურდება, რომ სტუდენტებთან ხელშეკრულების გაფორმების დროს მათ გადაეცემათ სტუდენტის სამახსოვრო ბარათი, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, სტუდენტური სერვისებისა და სასწავლო გარემოს შესახებ. ბარათი ასევე მოიცავს იმ მარეგულირებელი დოკუმენტების ჩამონათვალს, რომელშიც განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა უფლება- მოვალეობები. პსდ-ს გაწერილი აქვს პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტირების მექანიზმები, პასუხისმგებელი პირები და წარმოდგენილი მტკიცებულებებითა და ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება მათი პრაქტიკულად, პროცესში მიზანმიმართული გამოყენება. **შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.**

3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;

დაწესებულებას პროფესიული სტუდენტისათვის ადმინისტრაციული მხარდაჭერის მოვალეობა გაწერილი აქვს ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტში (დამტკიცებულია 2022 წლის 28 მარტის №52 ბრძანებით) საქმისმწარმოებელის ფუნქცია-მოვალეობებში. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმების თანახმად (მუხლი 3. მხარდაჭერის ღონისძიებები პუნქტი 3.1.4) პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მიმართოს ადმინიტრაციას და მიიღოს შესაბამისი მომსახურება: სერტიფიკატი, დიპლომი, შიდა თუ გარე მობილობა, წინარე განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

აღიარება, სააპელაციო საჩივრის განხილვა და სხვა მიმართვიდან 10 სამუშაო დღეში, ხოლო ცნობის გაცემა მიმართვიდან 2 სამუშაო დღეში. სტუდენტებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა მაგალითები, როდესაც მათ ისარგებლეს ადმინისტრაციული მხარდაჭერის სერვისებით და გონივრულ ვადაში მიიღეს მოთხოვნილი დოკუმენტაცია. ასევე დადგინდა, რომ ისინი კარგად იცნობენ აღნიშნული სერვისებით სარგებლობის მექანიზმს და იციან ვის შეიძლება მიმართონ მხარდაჭერის მისაღებად. შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. **კოლეჯი უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას გონივრულ ვადებში, რომელიც გაწერილია კოლეჯის სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში. დაწესებულებაში სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერა გონივრულ ვადებში ხორციელდება. ეს ეხება: ცნობის, სერტიფიკატის, დიპლომის გაცემას, შიდა და გარე მობილობის ხელშეწყობას, წინარე განათლების აღიარებას და სხვა.**

4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;

პსდ-მ წარმოადგინა მტკიცებულებები (დასწრების ფურცელი, ფოტო მასალა), რომელიც ასახავს პროფესიულ სტუდენტთა საგანანათლებლო, სოციალური, საინფომაცო, გასართობი არაფორმალურ აქტივობებში ჩართულობას. მაგალითად პროფესიულმა სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს ისეთ ღონისძიებებში, როგორიცაა დედამიწის დღე, გარბენი უკრაინისათვის, დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, იუნკერთა ხსოვნის დღე და სხვა. ჩაერთვნენ ისეთ სოციალურ პროექტებში, როგორიცაა ჰუმანიტარული დახმარება სოციალურად დაუცველ პირებს. კოლეჯის მიერ გაიმართა სემინარი - ქალის უფლებები გენდერული გამოწვევების წინაშე. მოეწყო ფილმის ჩვენება და განხილვა.

პსდ-ს გაწერილი აქვს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმების დოკუმენტში (მუხლი 4). აღნიშნულ ნაწილში გაწერილია ინიცირების, მისი განხილვის, გადაწვეტილების მიღებისა და გაცნობის, პროექტის ადმნისტრაციული მხარდაჭერის პროცედურები. სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოდგენილ პროექტს(ბიუჯეტით) განიხილავს დირექტორის მიერ შექმნილი კომისია, მისივე ხელმძღვანელობით. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში კოლეჯი უკავშირდება სტუდენტს შემდგომი ნაბიჯებისთვის, ხოლო უარყოფითად გადაწყვეტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღებიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში წერილობით წარუდგენს განაცხადის ავტორს არგუმენტირებულ უარს. დაფინანსებული პროექტის განხორციელებაში ერთვება პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, ხოლო ფინანსურ მხარეზე პასუხისმგებელია ბუღალტერი. ანონსსა და ინფორმაციას აქტივობის შესახებ სოციალურ პლატფორმებზე განათავსებს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი. პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ ისინი აქტიურად ერთვებიან სხვადასხვა არაფორმალურ აქტივობებში, რომლის შესახებაც ინფორმაციას ღებულობენ სოციალურ პლატფორმებზე განთავსებული, საინფორმაციო დაფაზე გამოკრული და ადმინისტაციის წარმომადგენლების მიერ მიწოდებული ინფორმაციით. მათივე თქმით ქონდათ ისეთი აქტივობების ინიცირების გამოცდილება, როგორიცაა ექსკურსია და გარე სივრცეში ჩატარებული გაკვეთილები, რომელიც კოლეჯის მხრიდან იქნა მხარდაჭერილი. ადმინისტრაციამ და სტუდენტებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ პანდემიამ მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი ჯგუფური სპორტული აქტივობების ჩატარებას. **პსდ-ს მიერ გაწერილი მექანიზმები და არაფორმალური აქტივობების ამსახველი მტკიცებულებების, ინტერვიუს შედეგებთან ერთად ადასტურებს, რომ პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას.**

5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პსდ-ს წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და სტუდენტთა ინტერვიუს შედეგად ირკვევა, რომ დაწესებულება პერიოდულად ახორციელებს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას. კოლეჯმა მაგალითად წარმოადგინა 2022 წლის იანვარი-მაისის პერიოდში ჩატარებული პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი და შედეგები. კვლევა ჩატარდა გამოკითხვით დახურული კითხვების საშუალებით, როგორც დისტანციური ასევე არადისტანციური ფორმით და იყო ანონიმური. მასში მონაწილეობა მიიღო 174-მა პროფესიულმა სტუდენტმა. კვლევის კითხვარი მოიცავდა შემდეგ ძირითად მიმართულებებს: ზოგადი ინფორმაცია; კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები; პროფესიული სტუდენტები და მათი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

მხარდაჭერის ღონისძიებები; მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები. წარმოდგენილი შედეგებით ყველა მიმართულება შეფასდა დადებითად, თუმცა გამოიკვეთა შემდეგი საჭიროებები: კოლეჯის ეზოში ბუნებრივი ნალექებისგან დაცული სიგარეტის მოსაწევი ადგილის მოწყობა; კოლეჯის ტერიტორიაზე პროფესიული სტუდენტებისთვის ბუფეტის მოწყობა ან კვების ე.წ. ვენდინგ აპარატების მომსახურე კომპანიის შემოყვანა. კოლეჯმა აღნიშნულის თაობაზე მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და მისი თანხმობის საფუძველზე კოლეჯის ეზოში ჩატარდება შესაბამისი სამშენებლო - სარემონტო სამუშაოები. ასევე კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ შემუშავებული არის კურსების შეფასების კითხვარი, რომლიც ანონიმურია და ივსება „ მოდულური სწავლების დანერგვის პროცესის შეფასებას პრობლემების იდენტიფიცირების და სწავლების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.“ კითხვარს სტუდენტი ავსებს მოდულის დასრულების შემდეგ, ხოლო შედეგების ანალიზი ხდება წლის ბოლოს, რომელსაც დაწესებულება იყენებს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის. პსდ-ს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულებაში პერიოდულად იქმნება შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული, სხვადასხვა პროგრამის პროფესიული სტუდენტებისგან შემდგარი ფოკუს ჯგუფები, რომლებიც განიხილავენ სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის, არსებული პრობლემებისა და მათი გადჭრის გზებს. კოლეჯის მიერ წარმოდგენილ ანგარიშებში იკვეთება დისტანციური სწავლების რეჟიმთან დაკავშირებული პრობლემების, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების (სტუდენტებმა გამოხატეს სააუდიტორიო სწავლებაზე გადასვლის სურვილი), პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციული მხარდაჭერის ხარისხის (არ გამოიხატა უარყოფითი შეფასება ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობასთანს დაკავშირებით) განხილვის პრაქტიკა. ანგარიშები წარმოდგენილია პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ დირექტორის სახელზე. მტკიცებულებას თან ახლავს დასწრების ფურცლებიც. სტუდენტებთან გასაუბრების დროს დასტურდება მტკიცებულებებში ასახული ფაქტები მათი კმყოფილების კვლევასა და შედეგების გათვალისწინების შესახებ. აღსანიშნავია, რომ სტუდენტთა უმეტესობამ ინტერვიუს დროს დააფიქსირა სურვილი კოლეჯის ტერიტორიაზე საერთო საცხოვრებლის არსებობის შესახებ, რაც მეტად ხელმისაწვდომს გახდის განათლების მიღებას რაიონიდან ჩამოსული სტუდენტებისათვის. **განხილულმა მაგალითებმა აჩვენა, რომ დაწესებულებისთვის სტუდენტის კმაყოფილება ერთ-ერთ მთავარ ორიენტირს წარმოადგენს და**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ჩანაწერები, ოქმები და სხვა დოკუმენტები დაგეგმილი და/ან განხორციელებული საკონსულტაციო, მხარდამჭერი მომსახურების შესახებ;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო აღწერილობა (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2022 წლია 9 მარტის №32 ბრძანებით);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2022 წლია 9 მარტის №33 ბრძანებით);
- ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებულია 2022 წლის 31 მაისის №86 ბრძანებით);
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმები (დამტკიცებულია 2021 წლის 8 ივლისის №57 ბრძანებით);
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტში (დამტკიცებულია 2022 წლის 28 მარტის №52 ბრძანებით);
- სტუდენტის სამახსოვრო ბარათი;
- პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტირების ამსახველი ფოტო მასალა;
- არაფორმალური აქტივობების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა, დასწრების ფურცლები;
- 2022 წლის ინვარი-მაისის პერიოდში ჩატარებული პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი და შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობის წერილი (#MES 9 22 0000389884, 14.04.2022წ.);
- კურსების შეფასების კითხვარი;
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის კვლევის მეთოდოლოგია;
- პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის ანგარიშები ფოკუს ჯგუფების დისკუსიის შესახებ და დასწრების ფურცლები;
- ინტერვიუ ადმინისტრაციის უფლებამოსილ პირებთან და პროფესიულ სტუდენტებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;

დაწესებულებას გაწერილი აქვს ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 8 ივლისის №57 ბრძანებით), რომელიც მოიცავს არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტების კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებებს (მუხლი 2). აღნიშნული ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება ევალება პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერს, რაც გაწერილია მის ფუნქცია-მოვალეობებში.

წარმოდგენილი მტკიცებულებების (ფოტო მასალა) და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ დაწესებულება მართავს საინფორმაციო შეხვედებს სკოლებში სამიზნე ჯგუფებსა და პოტენციურ სტუდენტებთან. ასევე მონაწილეობას ღებულობს საგანმანათლებლო გამოფენებში. არსებული სტუდენტების კარიერული მხარდაჭერის პროცესში აქტიურად არის ჩართული სს „საქართველოს რკინიგზა“. კოლეჯში საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები და პროფესიული მასწავლებლები ძირითადად დაკომპლექტებულია აღნიშნული კომპანიიდან. მათ მიერ იწერება სტუდენტთა დახასიათებები, რის საფუძველზეც პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერთან კოორდინაციით ხდება სტუდენტთა დასაქმება და მოქმედი თანამშრომლების დაწინაურება.

პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ისინი მუდმივად ღებულობენ კარიერული მხარდაჭერის მომსახურებებს, ესწრებიან საინფორმაციო შეხვედრებს, გადიან კონსულტაციებს შესაბამის სამსახურებთან და საჭიროების შემთხვევაში განმავითარებელ რეკომენდაციებს. **შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადგინდა, რომ კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

2 პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის მექანიზმების დოკუმენტში გაწერილია პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან კომუნიკაცია (მუხლი 3), რომელშიც ნათქვამია, რომ „პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს რეგულარულად მიეწოდებათ ინფორმაცია დაწესებულების პარტნიორი კომპანიებისა და აღნიშნულ კომპანიათა მიერ შემოთავაზებული დასაქმების შესაძლებლობების შესახებ“. ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება ჯგუფური შეხვედრებისას ან სოციალური ქსელების/ელექრონული ფოსტის მეშვეობით. კურსდამთავრებულთა ინფორმირება კი ხორციელდება ინდივიდუალურად სატელეფონო კომუნიკაციის მეშვეობით. აღნიშნულ პროცესს ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. კოლეჯის მთავარ დამსაქმებელს წარმოადგენს სს „საქართველოს რკინიგზა“, რომელსაც ყავს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის სპეციალურად კოლეჯთან საკონტაქტოდ გამოყოფილი პირი. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი მასთან და სხვა (მაგ. რუსთავის აზოტი, ჰაიდელბერგ ცემენტი) კომპანიებთან კომუნიკაციით მოიპოვებს ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობების შესახებ, რაც დაუყოვნებლივ გამოიკვრება საინფორმაციო დაფაზე. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დროს, საქართველოს რკინიგზა პროფესიულ სტუდენტებს უფორმებს შრომით ხელშეკრულებას და აძლევს ანაზღაურებას 1/3 ოდენობით.

პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ ისინი სისტემატიურად ღებულობენ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან დაკავშირებით ისეთი საშუალებებით,როგორიცაა მათთვის შექმნილი Facebook ჯგუფები, სატელეფონო ზარები და შეტყობინებები, ელექტრონული წერილები და პირადი გასაუბრებები.

შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადგინდა, რომ პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

3 პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;

პსდ-მ წარმოადგინა კვლევის მეთოდოლოგია კოლეჯის სხვადასხვა მიზნებისათვის, რომლიც იძლევა საჭირო ინფორმაციის მიზანმიმართულად შეგროვებისა და დამუშავების საფუძველს, უტყუარი შედეგების დასადგენად. მეთოდოლოგიის საფუძველზეც ჩატარდა სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა. აღნიშნული კვლევები მოიცავს დასაქმების მიმართულებასაც. კურსდამთავრებულთა კვლევა ჩატარდა 2022 წლის იანვარი-მარტის პერიოდში, დახურული კითხვების საშუალებით და მასში მონაწილეობა მიიღო 90-მა კურსდამთავრებულმა. კვლევის შედეგად დასაქმების მაჩვენებელი არის 72.2 %. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა, რის შედეგადაც 144 კურსდამთავრებულიდან დასაქმებულია 85%, თავისი სურვილით განაცხადა უარი 8%-მა, მოლოდინის რეჟიმშია 7% და დასაქმების გარეშე დარჩა 0%.

3.2.1-ის 5-ე ინდიკატორში აღწერილი პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კვლევა ზოგად ნაწილში მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: გამოკითხულთა 63.6 % დასაქმებულია სრული დატვირთვით (კვირაში დაახლოებით 40 საათი), ნახევარ განაკვეთზე - 18.2%, ხოლო დასაქმებული არ არის 18.2%.

პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ მათ უმრავლესობას მიღებული აქვს მონაწილეობა კმაყოფილების კვლევაში, რაც შესაბამისად ადასტურებს, რომ პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით.

4 კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

პსდ-ს ადმინისტრაციის უფლებამოსილ პირებთან გასაუბრებისა და კვლევის შედეგების განხილვის შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შემდგომ მათი მხრიდან მნიშვნელოვანი ცვლილების საჭიროება ჯერჯერობით არ გამოვლენილა, რადგან კვლევის ძირითადი მიმართულებები მაღალი მაჩვენებლით დადებითად შეფასდა. კოლეჯის ორგანიზაციული სტრუქტურა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

მატერიალური რესურსი, პროგრამის ხელმძღვანებლები და განმახორციელებელი მასწავლებლები (მათი დიდი ნაწილი დამსაქმებელია), დამსაქმებელთან მრავალმხრივი თანამშრომლობა და სტუდენთა მხარდაჭერის გაწერილი სისტემა, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას. სწორედ კვლევების ანალიზის საფუძველზე კოლეჯმა შეიმუშავა და დანერგა პროფესიული მომზადება- გადამზადების პროგრამები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 8 ივლისის №57 ბრძანებით);
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 5 აპრილის №27 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება №52 ბრძანებით, 28.03.2022წ)
- პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის სამუშაო აღწერილობა;
- კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა და კვლევის კითხვარი;
- დასაქმების სტატისტიკა;
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის კვლევის მეთოდოლოგია;
- პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა და კითხვარი;
- ინტერვიუ ადმინისტრაციის უფლებამოსილ პირებთან და პროფესიულ სტუდენტებთან.
- კოლეჯის კურსდამთავრებულებთან ჩატარებული გასაუბრების შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4 ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროცესების მართვის უზრუნველყოფისთვის შექმნილი სტრუქტურული ერთეულები უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას. საშტატო განრიგით განსაზღვრული ყველა პირისთვის შემუშავებულია სამუშაო აღწერილობა, მათი ფუნქცია-მოვალეობები, პასუხისმგებლობის სფეროები, მათი მხრიდან დაქვემდებარების პოზიციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. **სტრუქტურული ერთეულების/პოზიციების ფუნქციები განსაზღვრულია მკაფიოდ, შეესაბამება სტრუქტურული ერთეულის/პოზიციის დასახელებას, არ არის ბუნდოვანი და არ ხდება ძირითადი ფუნქციების დუბლირება.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

კოლეჯის მიერ ასევე წარმოდგენილია კოლეჯის სტრუქტურის ორგანოგრამა, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზეც, სადაც ჩანს სტრუქტურული დაქვემდებარება. სამუშაო აღწერილობა მოიცავს ინფორმაციას სამუშაოს ანგარიშგებასთან დაკავშირებით.

2 პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;

პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია სამუშაო აღწერილობებსა, მარეგულირებელი დოკუმენტაციის რიგ მუხლებში (საჭიროებისამებრ) და ასახულია შესაბამისი პირების შრომითი ხელშეკრულებებიც.
ექსპერტების მიერ სტრუქტურული ერთეულების უფლება-მოვალეობების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების ყველა პროცესს ჰყავს პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/ პოზიცია. მათი ფუქცია-მოვალეობები არ დუბლირდება და შესაბამისად ისინი თავისი კომპეტენციების ფარგლებში იღებენ პასუხისმგებლობას სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული ამოცანების/აქტივობების შესრულებაში. ექსპერტები გაესაუბრნენ საშტატო განრიგის შესაბამისად დანიშნულ თანამშრომლებს, განიხილეს მათი ანგარიშები და დაკისრებული ვალდებულებების შესრულების მაგალითები, დასტურდება, რომ ისინი ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს. ზ/აღნიშნული დებულებების გათვალისწინებით ჩანს, **რომ კოლეჯში სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;**

3 პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის წესი“, რომლის მიხედვითაც გაწერილია ხარისხის მართვის მენეჯერის მოვალეობები და ძირითადი ამოცანები. ხარისხის მართვის მენეჯერის სამუშაო აღწერილობით ასევე, განისაზღვრება მის მიერ შესასრულებელი ძირითადი საქმიანობები და პასუხისმგებლობები. და,ტკიცებულია ასევე ხარისხის მართვის მენეჯერის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. კოლეჯის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები იმგვარადაა შედგენილი, რომ გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი. დოკუმენტაციის შემოწმების პარალელურად განხორციელდა გასაუბრება ხარისხის მართვის მენეჯერთან და სხვა პერსონალთან, შედეგებით ჩანს, რომ ხარისხის მართვის მენეჯერი არ მონაწილეობს იმ პროცესებში, რომელთა შეფასება, მონიტორინგი და ანალიზი წარმოადგენს მის ფუნქციას. ხარისხის მართვის მენეჯერი ახდენს კოლეჯში მიმდინარე ძირითადი პროცესების იდენტიფიცირებას, მათ შეფასებას, რეკომენდაციების შემუშავებას.

ექსპერტთა შეფასებით და ყოველივე ზემოაღნიშნულის თანახმად, ასევე, მათთან გასაუბრების შედეგებით დგინდება, რომ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პოზიციების ფუნქციები არ ქმნის ინტერესთა კონფლიქტს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების სტრუქტურული სქემა;
- სამუშაო აღწერილობები და „სტრუქტურული ერთეულების დებულება“;
- ადამიანური რესურსების მართვის დებულება ;
- პირადი საქმეების და პერსონალთან დადებული ხელშეკრულებების შესწავლის შედეგები:
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის წესდება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამშრომლების, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობები ;
- ხარისხის უზრუნველყოფის წესი ;
- ვერიფიკაციის ოქმები;
- კოლეჯის სტრუქტურა - ორგანოგრამა https://www.rtc.edu.ge/pdf/kolejis-struqtura-5c7f550e35120.pdf
- პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 **პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.**

კოლეჯს შემუშავებული და დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. პოლიტიკით განსაზღვრულია შემდეგი დებულებები: კოლეჯის თანამშრომელთა შრომით საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი მიდგომები; ადამიანური რესურსების მართვის სისტემის ორგანიზაციული მხარდაჭერის პოლიტიკა; თანამშრომელთა მოზიდვის, შერჩევის, დაქირავების და ინტეგრაციის პოლიტიკა; პერსონალის შერჩევის პროცესის დაგეგმარება; თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამართვის პროცედურა; ახალდანიშნული თანამშრომლის ინტეგრაცია; პერსონალის საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარება; პოლიტიკის დოკუმენტშია ასევე მოცემულია ინფორმაცია დასაქმებულის სამუშაო აღწერილობაში ასასახი ინფორმაციისა და პერსონალის პირად საქმეში დაცული დოკუმენტაციის თაობაზე. კოლეჯის შინაგანაწესში გაწერილია თანამშრომელთა სამსახურში აყვანის, შრომითი ხელშეკრულების გაფორმების, გათავისუფლების, შვებულებით სარგებლობის, დისციპლინური წახალისებისა და პასუხისმგებლობების ზომები, დარეგულირებულია ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი და სხვა მნიშვნელოვანი პუნქტები, რაც საჭიროა დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის სრომითი ურთიერთობების სწორად წარმართვისათვის, შინაგანაწესით განსაზღვრული ნორმები შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებს. განხორციელდა ინტერვიურება კოლეჯის პერსონალთან , მათი საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაციის პირობებთან დაკავშირებით, გადამოწმდა ასევე მიმოწერები რითაც დასტურდება, რომ კოლეჯის შესაბამისმა პასუხისგებელმა პირებმა დასაქმებულ პერსონალს გონივრულ ვადაში აცნობეს შრომის შინაგანაწესის განხორციელებული ცვლილებების შესახებ და გაუგზავნეს კონსოლიდირებული ვერსია. პერსონალის დანიშვნა ხორციელდება საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით, ხოლო მართვა კანონმდებლობით და დაწესებულების მიერ დადგენილი რეგულაციების მიხედვით. მარეგულირებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

დოკუმენტაცია განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე. და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ხელშეკრულებების შესწავლის და კოლეჯის პერსონალთან გასაუბრების შედეგებით დადგინდა, რომ შრომით სამართლებრივი ურთიერთობის პრინციპები დაცულია მიმდინარე პროცესებში -დაწესებულების პერსონალი ფლობს ინფორმაციას მასზე დაკისრებული ფუნქცია მოვალეობების შესახებ, რაც ასევე ასახულია მათ შრომით ხელშეკრულებებში.

2 პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, პერსონალის შერჩევის პროცესების დაგეგმარების მიზანია ორგანიზაციის სტრუქტურულ ერთეულში ვაკანტური პოზიციის მიმართ სამუშაო მოთხოვნების ჩამოყალიბება და მოზიდვა/შერჩევისათვის პირობების შემუშავების პროცესის უზრუნველყოფა. კოლეჯში პერსონალის შერჩევის დაგეგმარების პროცესის დაწყების წინაპირობას წარმოადგენს მოცემულ მომენტში კოლეჯში წარმოქმნილი საკადრო დეფიციტი; ახალი პერსონალის დაქირავების აუცილებლობა; პერსონალის შეფასების შედეგები.

პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და კოლეჯის სხვა თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს კოლეჯის დირექტორი. დასაქმების მსურველთა შერჩევისას კანდიდატთან გასაუბრებასთან ერთად, კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია გამოყენებული იქნას კონკურსით შერჩევის წესიც. კოლეჯი ხშირად მიმართავს აღნიშნულ მეთოდს და კონკურსს აცხადებს საჯარო სამსახურის ბიუროსა და დასაქმების ვებგვერდების საშუალებით. კანდიდატთა კონკურსის წესით შერჩევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კოლეჯი ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად. დასაქმების მსურველის პირის სამუშაოზე მიღებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი, ხოლო კონკურსის შემთხვევაში საამისოდ შექმნილი საკონკურსო კომისია, რომელიც საკუთარ გადაწყვეტილებას წარუდგენს დირექტორს შესაბამისი ბრძანების გამოცემის მიზნით. ექსპერტების მიერ გადამოწმდა გაწერილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

პროცედურების შესაბამისად კადრების მოზიდვის და დასაქმების მაგალითები, გასაუბრება განხორციელდა ახალდანიშნულ თანამშრომლებთან, ყველა მათგანთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. ხელშეკრულებები შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. მათში ასახულია შრომის კოდექსით და დაწესებულების მიერ გათვალისწინებული მოთხოვნები: სამუშაო ადგილი, თანამდებობა და შესასრულებელი სამუშაოს სახე, სამუშაოს დაწყებისა და შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა, ანაზღაურების ოდენობა და გადახდის წესი, ზეგანაკვეთური სამუშაო და ანაზღაურების წესი, შვებულება და შვებულების მიცემის წესი. ხოლო პირად საქმეებში განთავსებულია კოლეჯის საქმისწარმოების წესის თანახმად მოთხოვნილი დოკუმენტები, მათ შორის სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ ცნობები. დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ კოლეჯის პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით,

3 პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

სამუშაო აღწერილობებში განსაზღვრულია პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები ყველა პოზიციისთვის, მათ შორის, პროგრამის ხელმძღვანელისთვის და პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის. ექსპერტთა შეფასებით კონკრეტული პოზიციისათვის დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები რელევანტურია შესაბამისი სამუშაოს შესასრულებლად. პირადი საქმეების შესწავლის შედეგებით დასტურდება პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან.

4 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს მონაწილეობით და გუნდური მუშაობის პრინციპებს. კოლეჯში თანამშრომელთა მართვის პოლიტიკა ეფუძნება შესაბამის რეგულაციებს, მათ შორის მართვის პოლიტიკის დოკუმენტსა და თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობებს. გუნდური მუშაობის უზრუნველსაყოფად, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შექმნილია: სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ კომისია, დარეგისტრირებულ აპლიკანტთა კონკურსის წესით შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა სამოქმედო გეგმის შემუშავების/ ანგარიშგების და სხვა პროცესის დამადასტურებელი ოქმები, ჩანაწერები გუნდური მუშაობის მტკიცებულებაა. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და თანამშრომელთა ინტერვიუ ადასტურებს, რომ კოლეჯის პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამონაწილეობით და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კოლეჯში შექმნილია გუნდური, მეგობრული, ხარისხის განვითარებაზე ორიენტირებული სამუშაო გარემო, რომელიც საშუალებას აძლევს დასაქმებულ პირებს წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები, განავითარონ პროფესიული და პიროვნული უნარ-ჩვევები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- შინაგანაწესი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის წესი;
- კოლეჯის სტრუქტურა - ორგანოგრამა https://www.rtc.edu.ge/pdf/kolejis-struqtura-5c7f550e35120.pdf
- პერსონალის შეფასების წესი;
- პერსონალის სამუშაო აღწერილობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- შეხვედრების დამადასტურებელი ოქმები/ჩანაწერები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ კომისია;
- პერსონალის დანიშვნის აქტები/ შრომითი ხელშეკრულებები/ მომსახურეობის ხელშეკრულებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები/ კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი/სერტიფიკატები;
- ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

კოლეჯს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლითაც გათვალისწინებულია კოლეჯში პერსონალის საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარება. პერსონალის შეფასებისთვის გამოიყენება პერსონალის შეფასების კითხვარები, შეფასებებს ახორციელებს ხარისხის მართვის მენეჯერი და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, პერსონალის შეფასებისთვის ასევე გამოიყენება კოლეჯის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები და მათი ანგარიშები, მონიტორინგის შედეგები. პერსონალის შეფასებისთვის კოლეჯში ასევე დანერგილია პროცესების კონტროლის და ეფექტური ოპერაციების საჭირო კრიტერიუმების, მეთოდების, საზომებისა და შესაბამისი შესრულების ინდიკატორების KPI (Key Performance Indicator) სისტემა. აღსანიშნავია, რომ კოლეჯსა და სს ,,საქართველოს რკინიგზას“ შორის გაფორმებული 2019 წლის 18 აპრილის მემორანდუმის მიხედვით დამფუძნებელი სს ,,საქართველოს რკინიგზა“ უფლებამოსილია შეაფასოს კოლეჯის საქმიანობა KPI სისტემის მიხედვით და კოლეჯს აღებული ჰქონდა ვალდებულება დანერგვა სისტემა მემორანდუმის გაფორმებიდან 3 თვის ვადაში, რაც განახორციელა კიდეც. ,,ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროცესების კონტროლის და ეფექტური ოპერაციების უზრუნველყოფისათვის საჭირო კრიტერიუმების, მეთოდების, საზომებისა და შესაბამისი შესრულების ინდიკატორების KPI (Key Perfomance Indicator) სისტემის დანერგვის შესახებ“ კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 18 ივლისის №46 ბრძანებით დამტკიცდა KPI სისტემა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ფასდება თანამშრომელთა შესრულება მათი სამუშაო აღწერილობების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მიხედვით. განისაზღვრება დასახული და დაკისრებული ამოცანებიდან რამდენი პროცენტის შესრულება შეძლო თანამშრომელმა და როგორია მისი ეფექტურობის მაჩვენებელი. KPI სისტემით თანამშრომელთა შეფასება ხდება 6 თვეში ერთხელ, რასაც თან სდევს სათანადო ცვლილებები გაუმჯობესების მიმართულებით. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის წესით და ხარისხის მართვის მენეჯერის სამუშაო აღწერილობით განისაზღვრება, რომ ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქციებია: კოლეჯის თანამშრომლების პერიოდული შეფასების მექანიზმის შემუშავება, სათანადო დოკუმენტაციის მომზადება და შეფასების პროცესის მონიტორინგი; კოლეჯის თანამშრომლების შეფასების შედეგების ანალიზი და შესაბამისი წინადადებების შემუშავება. ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის მიერ 2022 წელს განხორციელდა პერსონალის საჭიროებების კვლევა , წარმოდგენილ იქნა პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის ანალიზი, რომელშიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

იდენტიფიცირებულია პერსონალის განვითარების საჭიროებები, ანალიზის დოკუმენტის საფუძველზე სამოქმედო გეგმაში ასახულია და წლის განმავლობაში გაწერილია შესაბამისი აქტივობები, განხორციელდა გასაუბრებები როგორც ადმინისტრაციულ, ასევე პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან, რომლებმაც დააფიქსირეს მადლიერება კოლეჯის მიერ მათი საქმიანობის და საჭიროებების შეფასებისათვის, ისაუბრეს აღნიშნული აქტივობების მნიშვნელობაზე და განვითარების გზებზე. **წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის და გასაუბრების შედეგებით დასტურდება რომ კოლეჯი უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;**

2 პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;

კოლეჯის მართვის პოლიტიკის, პერსონალის შეფასებისა და საჭიროებათა კვლევის მეთოდოლოგიის საფუძველზე გამოვლენილი შედეგებიდან გამომდინარე კოლეჯი ახორციელებს პერსონალის განვითარებას. წარმოდგენილია (ა)იპ ,,სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის“ პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის ანალიზი - 2021 და 2022“. ანალიზის დოკუმენტების მიხედვით, კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროების კვლევის შედეგებიდან ძირითადად გამოიკვეთა მათი საოფისე პროგრამებში და ინგლისურ ენაში მომავალი გადამზადების განხორციელების საჭიროება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ადმინისტრაციის თანამშრომლებმა სხვადასხვა პერიოდულობით გაიარეს გადამზადება ინგლისური ენაში A2 - დონის წერილობითი და სასაუბრო სრული კურსის შესაბამისად. კოლეჯის ადმინისტრაციულმა პერსონალმა ასვე გაიარა ,,Microsoft Excel” პროგრამის შესასწავლი სრულფასოვანი ტრენინგ კურსი. კოლეჯი პერსონალი განვითარება ხორციელდება სამოქმედო გეგმების შესაბამისად. შემოწმდა ასევე 2022 სასწავლო წლის კვლევის შედეგები და მათზე რეაგირების ფაქტები. პერსონალის გამოკითხვით დადგინდა, რომ სამსახურეობრივი საქმიანობის უკეთ წარმართვის მიზნით ისინი საჭიროებდნენ დამატებით ტრენინგს/კონსულტაციებს. გადამოწმდა 2022-23 წლის სამოქმედო გეგმა, რომელშიც მთელი წლის მანძილზე დაგეგმილია პერსონალის განვითარებაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

ორიენტირებული ღონისძიებები. კოლეჯი აქტივობებისათვის საჭირო ფინანსური რესურსები ასახულია კოლეჯის ბიუჯეტში. განხორციელდა გასაუბრებები როგორც ადმინისტრაციულ, ასევე პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან, რომლებმაც ერთხმად დააფიქსირეს კმაყოფილება კოლეჯის მიერ განხორციელებული განმავითარებელი ღონისძიებების და გამოთქვეს მზაობა შემდეგი ნაბიჯების გადასადგმელად. **წამოდგენილი ანგარიშებით, კითხვარებით და გასაუბრების შედეგებით, დასტურდება, რომ კოლეჯი პერსონალის საქმიანობის შეფასების და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის შედეგებიდან გამომდინარე უზრუნველყოფს შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელებას.**

3 **პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;**

პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული საჭიროებების კვლევისთვის გამოიყენება „პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული საჭიროებების კვლევის კითხვარი“, რომლის ადმინისტრირებასა და შედეგების ანალიზზე პასუხისმგებელია ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი და ხარისხის მართვის მენეჯერი. წარმოდგენილია 2021 და 2022 წლების საჭიროებათა კვლევის ანალიზი დოკუმენტი, რომლის მიხედვით პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გამოიკვეთა დუალური სწავლების მეთოდოლოგიის, ასევე სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში განხორციელებასთან დაკავშირებით ონლაინ მეცადინეობების წარმართვისა და სასწავლო პროცესის ხარისხიანი განხორციელების მიზნით დამსწრე აუდიტორიასთან ეფექტური კომუნიკაციის განხორციელებისა თუ პროფესიული უნარ-ჩვევების მიმართულებით დამატებითი ტრენინგ-კურსების გავლის საჭიროებები. კვლევით გამოვლენილი საჭიროებები გათვალისწინებული იქნა სამოქმედო გეგმაში და კვლევის კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებს და პრაქტიკის ინსტრუქტორებს ჩაუტარდათ ტრენინგ კურსები, როგორც დუალური სწავლების მეთოდოლოგიის მიმართულებით, ასევე ეფექტური კომუნიკაციის, პირადი უნარების გაუმჯობესებისა და სწავლების ონლაინ რეჟიმში წარმართვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

მიმართულებით. კერძოდ: პროფესიული განათლების მასწავლებლებმა გაიარეს აიოვას შტატის უნივერსიტეტის წარმომადგენლების მიერ ორგანიზებული ორ ეტაპიანი ტრენინგი ,,ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების“ მიმართულებით; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების 34 (ოცდათოთხმეტი) პროფესიული განათლების მასწავლებელს ჩაუტარდა ტრენინგი სამუშაოზე დაფუძნებული - დუალური სწავლების მეთოდოლოგიაში (სარკინიგზო გადაზიდვები -15 მასწავლებელი, რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა - 9 მასწავლებელი და რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი - 10 მასწავლებელი); სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოყოფილი ტრენერის მიერ კოლეჯში ჩატარდა პროფესიული მასწავლებლების ტრენინგი, - ,,სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და სწავლების ეფექტური სტრატეგიების შემუშავება“; მიუნხენისა და ზემო ბავარიის სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით კოლეჯში გაიმართა DB Training, Learning & Consulting-ის პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და რკინიგზის მენტორ - ინსტრუქტორთა ტრენინგი. ტრენინგის ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებლებმა და სს ,,საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციის მიერ შერჩეულმა ინსტრუქტორებმა გაიარეს ორი სასწავლო მოდული: ,,ეფექტური კომუნიკაცია“ და ,,ტრენერის პროფესიული თვისებები“ . ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებს, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით ჩაუტარდათ ტრენინგი - ,,მეწარმეობა პროფესიულ განათლებაში“; სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოყოფილი ტრენერის მიერ კოლეჯში ჩატარდა პროფესიული განათლების მასწავლებლების ტრენინგი, რომლის ფარგლებშიც კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგი ,,სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და სწავლების ეფექტურის სტრატეგიების შემუშავება“. კოლეჯის ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებს, ჩაუტარდათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული სპეციალური ტრენინგ კურსი; შემთხვევითობის პრინციპით შერჩეულმა კოლეჯის 12-მა პროფესიული განათლების მასწავლებელმა, ხოლო შემდგომ ეტაპზე კი დამატებით კოლეჯის 80-მდე პროფესიული განათლების მასწავლებელმა გაიარა ,,Teams“-ის და ,,Zoom“-ის ონლაინ პლატფორმებში მუშაობის შემსწავლელი სპეციალური ტრენინგ კურსი; კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებმა გაიარეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

ერთკვირიანი სპეციალური ტრენინგ კურსი თემით: ,კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება პროფესიულ განათლებაში“; კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებს, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) მიერ ჩაუტარდათ ტრენინგი, თემაზე ,,მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში“; კოლეჯის 65 პროფესიული განათლების მასწავლებლებს ჩაუტარდა, საერთაშორისო ორგანიზაციის GPE – KIX (Knowledge, Innovation, Exchange) მიერ ორგანიზებული სპეციალური ონლაინ ტრენინგი დასახელებით: ,,მასწავლებელთა პროფესიული განვითარება“; კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებს, პროგრამის ხელმძღვანელებს და დარგის ექსპერტებს, ჯამში 10 მონაწილეს, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით ჩაუტარდა სასაწყობო ლოგისტიკის მიმართულებით შემუშავებული სპეციალური პროგრამის ,,Software Carlo” შემსწავლელი ხუთდღიანი თეორიული და პრაქტიკული სასწავლო ტრენინგ-კურსი; ამა წლის აპრილის თვეში კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებს ჩაუტარდათ სწავლა- სწავლების მეთოდოლოგიის სპეციალური ტრენინგ კურსი. კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებს, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით ჩაუტარდათ ტრენინგი თემაზე: ,,მეწარმეობა პროფესიულ განათლებაში“. **წარმოდგენილი დოკუმეტაციის და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას.**

4 პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით ახალდანიშნული თანამშრომლის ინტეგრაციის პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებელია კოლეჯის დირექტორის მიერ განსაზღვრული პირი -ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი. ინტეგრაციის პროცესის ფარგლებში პასუხისმგებელი პირი ახალდანიშნულ თანამშრომელს აცნობს კოლეჯის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, მიმდინარე ერთწლიან და სტრატეგიულ გეგმებს, ასევე შინაგანაწესის მოთხოვნებსა და კოლეჯში მოქმედ პროცედურებსა და წესებს; აცნობს სამუშაო აღწერილობას , შემუშავებულია ახალი თანამშრომლისათვის განკუთვნილი ე.წ სოციალიზაციის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

კითხვარი (დამტკიცებულია როგორც მართვის პოლიტიკის დოკუმენტის დანართი) რითაც ხელს უწყობს ახალი პერსონალისთვის კომფორტული და სასიამოვნო სამუშაო გარემოს ორგანიზებას; აღნიშნული პროცედურის პრაქტიკაში გამოყენების გადამოწმების მიზნით განხორციელდა გასაუბრება ახლადდანიშნულ პერსონალთან, რომლებმაც დაადასტურეს რეგულაციებში გაწერილი პუნქტების დაცვით, პასუხისმგებელი პირების მიერ განხორციელებული ქმედებები, მათი სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით **ასევე გამოხატავდნენ მადლიერებას კოლეჯის მიმართ და აღნიშნავდნენ, რომ კოლეჯში სუფევს კეთიგანწყობილი და თანამშრომლობით გარემო, დოკუმენტაციის გადამოწმებისა და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;**

5 პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კოლეჯის შინაგანაწესი ითვალისწინებს ისეთი ინიციატივის (ინოვაციის) წახალისებას, რომელიც ამარტივებს ან/და აუმჯობესებს კოლეჯის საქმიანობას. ასეთი ინიციატივები შესაძლოა გამოვლინდეს საჭიროებათა კვლევის დროს ან თანამშრომელი წინადადებით მიმართავს დირექციას. მაგალითად, კოლეჯის ბუღალტერმა, ბიბლიოთეკარმა და მატერიალური რესურსების მენეჯერმა (მათი ინიციატივის საფუძველზე) გაიარეს ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ტრენინგი „სავალდებულო და შერჩევითი ინვენტარიზაცია საბიუჯეტო ორგანიზაციაში“. ასევე, თანამშრომელთა ინიციატივის საფუძველზე კოლეჯმა უზრუნველყო პერსონალისთვის ისეთი ტრენინგის მიწოდება როგორიცაა ,,დოკუმენტ ბრუნვის ელექტრონული სისტემის (EFLOW) გამოყენება“. აღნიშნული დასკვნის 4.2.4 ინდიკატორში მრავლადაა ჩამონათვალი იმ ტრენინგებისა და ვორქშოპების, რომლებიც განხორციელდა პერსონალისათვის შემდგომი განვითარების მიზნით, **პერსონალმა გასაუბრებით დაადასტურა , რომ კოლეჯი ხშირად უფინანსებთ მათ პროფესიულ განვითარებას, ხშირად გამოიყენება მათ მიმართ წახალისების ფორმები საქმიანობაში მიღწეული წარმატებებისათვის, მნიშვნელოვანი ინიციატივისთვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელოვანი დავალების შესრულებისთვის, შესაბამისად კოლეჯში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ;
- კოლეჯის შინაგანაწესი“;
- 2022-23 წლის სამოქმედო გეგმა და ბიუჯეტი;
- 2021-22 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში;
- ,,ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროცესების კონტროლის და ეფექტური ოპერაციების უზრუნველყოფისათვის საჭირო კრიტერიუმების, მეთოდების, საზომებისა და შესაბამისი შესრულების ინდიკატორების KPI (Key Perfomance Indicator) სისტემის დანერგვის შესახებ“ კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 18 ივლისის №46 ბრძანება;
- სს საქართველოს რკინიგზასთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ,,პროფესიული განათლებისა და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიზნებისათვის თანამშრომლობის თაობაზე“ ;
- (ა)იპ ,,სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის“ პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის ანალიზი - 2021წ და 2022წ“.
- ტრენინგების გავლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- კმაყოფილების კვლევის შედეგების ანალიზი;
- კოლეჯის პერსონალის ინტერვიუირების შედეგი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

5 მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 **დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;**

დაწესებულებას მფლობელობაში აქვს შენობა-ნაგებობები მისამართზე: ქ. თბილისი, თემქის დასახლება, XI მიკრო/რაიონი, მესამე კვარტალი, ნაკვეთი 01/10. ნაკვეთი (დაზუსტებული ფართობი - 42887.00 კვ. მ) . შენობა - ნაგებობა კოლეჯს უზუფრუქტით გადაცემული აქვს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსაგან უზუფრუქტის ფორმით (უზუფრუქტის ხელშეკრულების რეგისტრაციის N160121627), დაწესებულების საქმიანობის ვადით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ფორმა სტანდარტით გათვალისწინებული სივრცეების ფლობასთან დაკავშირებით. ასევე წარმოდგენილია აზომვითი ნახაზი და სასწავლო რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სასაქონლო ზედნადებები, მიღება-ჩაბარების აქტები, მათ შორის, სს ,,საქართველოს რკინიგზის“ მიერ გადაცემული რესურსის ფლობის). დოკუმენტაციის შესწავლით და ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება შემდეგი ფართების ფლობა:

- ფოიე
- A გარემო - 22 აუდიტორია;
- B გარემო - 10 აუდიტორია;
- C გარემო - 9 აუდიტორია;
- ადმინისტრაციული სივრცეების რაოდენობა - 10;
- სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებლებისთვის - 1;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- სამუშაო სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის - 1;
- დასასვენებელი/სარეკრეაციო სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის - 5;
- ეზო - პროფესიულ სტუდენტთა სპორტული საქმიანობისათვის;
- სანიტარული კვანძი - 10;
- ბიბლიოთეკა სამკითხველო დარბაზით - 1;
- სივრცე არქივისთვის - 1;
- მედდის კაბინეტი - 1;
- საკონფერენციო დარბაზი - 1;
- სასადილო სივრცე - 1.

კოლეჯი კეთილმოწყობილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. შენობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობით, ხელოვნური და ბუნებრივი განათებით, სველი წერტილებით, პანდუსებით, ლიფტით, უწყვეტი ინტერნეტით. სასწავლო აუდიტორიები და ზემოაღნიშნული ფართები აღჭურვილია საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსით, რაც უზრუნველყოფს მათ დანიშნულების შესაბამის ფუნქციონირებას. პროგრამების კონტექსტში რესურსები დეტალურად განხილულია მეორე სტანდარტის ფარგლებში.
მატერიალური ქონების ფლობის შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლისა და ვიზუალური დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ კოლეჯი სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას ავტორიზაციის ვადით.

2 დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;

დაწესებულების ინფრასტრუქტურის, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეების და მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად კოლეჯის შინაგანაწესის მესამე თავი არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა და მათ კანონიერ წარმომადგენელთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

უფლება-მოვალეობებს. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, ინტერნეტით და სხვა საშუალებებით. გასაუბრება განხორციელდა პროფესიულ სტუდენტებთან, რომლებმაც დააფიქსირეს აქვთ შეუზღუდავი შესაძლებლობა გამოიყენონ საერთო სარგებლობის სივრცეები, დაწესებულების მატერიალური რესურსი, როგორიცაა: ქსელში ჩართული კომპიუტერები, ბიბლიოთეკაში დაცული წიგნები, საკონფერენციო დარბაზი, კომპიუტერული კლასები. საჭიროების შემთხვევაში - პროექტორი, ქსეროქსის, პრინტერისა და სკანერის აპარატები. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის, დაუბრკოლებლად გადაადგილების მიზნით, მოწყობილია პანდუსები, ასევე, ფუნქციონირებს ლიფტი.

შესაბამისად დაწესებულების ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯში მიმდინარე ყოველდღიური საქმიანობის შეუფერხებლად განსახორციელებლად.

3 დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;

კოლეჯში მიმდინარეობს ყოველდღიური აუცილებელი/ კომპლექსური დასუფთავება; ყოველდღიური/ყოველკვირეული დასუფთავება - დეზინფექციით; კოლეჯს შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი, რომელშიც განსაზღვრულია კოლეჯის სივრცეების, მათ შორის სასწავლო და სამუშაო სივრცეების, დასუფთავების წესი და პერიოდულობა. კოლეჯში დასაქმებულია 5 დამლაგებელი და მედდა. მათი სამუშაო აღწერილობებით განსაზღვრულია, რომ სწორედ ისინი არიან სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელნი, საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში. დამლაგებლები უზრუნველყოფენ სისუფთავის დაცვას კოლეჯის როგორც შიდა, ისე გარე ტერიტორიაზე. ასევე სწავლის/მუშაობის დაწყების წინ ხდება შიდა სივრცის ბუნებრივი ვენტილაცია.

ფაქტობრივი მდგომარეობით დასტურდება, რომ კოლეჯის ყველა ნაწილში, მათ შორის სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ ჰიგიენური ნორმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

4 შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;

კოლეჯის მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, რაც დასტურდება როგორც კომუნალური გადახდის ქვითრებით ასევე ფაქტობრივი გარემოებით (ვიზუალური დათვალიერებით და სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვით).

5 დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;

კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად კოლეჯს ჰყავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. კოლეჯის შინაგანაწესი გათვალისწინებულია კოლეჯის თანამშრომლებისათვის უსაფრთხო სამუშაო პირობების შექმნის საკითხები. კოლეჯი, როგორც დამსაქმებელი იღებს ვალდებულებას დასაქმებულს ჩაუტაროს ინსტრუქტაჟი ხანძარსაწინააღმდეგო და ტექნიკის ექსპლუატაციასთან, სანიტარულ ჰიგიენურ ნორმებთან დაკავშირებულ უსაფრთხოების მოთხოვნებზე. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის სამუშაო აღწერილობა ითვალისწინებს ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად გასატარებელ ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც უკავშირდება დასაქმებულთათვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნას, პრევენციული ღონისძიებების გატარებას, მათ ინსტრუქტაჟს სამუშაო უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით და ა. შ. ეტაპობრივად ხორციელდება თანამშრომლებისა და პროფესიულ სტუდენტების ინსტრუქტაჟი, რასაც ადასტურებს, როგორც გასაუბრების შედეგები, ასევე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის წლიური ანგარიშები და დასწრების ფურცლები, შესაბამისად დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

6 დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;

დაწესებულებას შემუშავებული „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის სასწავლო და სამეურნეო მასალების, საკანცელარიო და სხვა საქონლის შესყიდვისა და ჩამოწერის წესით“, ადმინისტრირებას უწევს კოლეჯის მატერიალური რესურსების მენეჯერი, რეგულაციის შესაბამისად ნედლეულისა და მასალების აღრიცხვა-გაცემაზე, შენახვაზე პასუხისმგებელმა პირმა - უნდა აკონტროლოს მასალებისა და ნედლეულის ვარგისიანობა, უზრუნველყოს უსაფრთხო შენახვა, განახორციელოს ნედლეულისა და მასალების აღრიცხვა აღრიცხვის უწყისების საშუალებით. **ექსპერტების მხრიდან გადამოწმდა მიმდინარე პროცესები, როგორც მასალა-ნედლეულის მოთხოვნის, ასევე შეძენის და სასწავლო პროცესში გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, განხორციელდა გასაუბრება დაინტერესებულ პირებთან და დადასტურდა რომ დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;**

7 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;

კოლეჯში არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს დაგეგმის, განხორციელების, შემოწმებისა და განვითარების ეტაპებს მატერიალური რესურსების შეფასების კუთხითაც, ასევე, კოლეჯში ყოველ წელს ტარდება ინვენტარიზაცია კოლეჯის მატერიალური რესურსების შემოწმების მიზნით. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება საინვენტარიზაციო კომისია და სამუშაო ჯგუფი. ამავე ბრძანებით განისაზღვრება ინვენტარიზაციის ჩატარებისა და დასკვნის კოლეჯის დირექტორისათვის წარდგენის ვადები. შემუშავებული კითხვარის ფორმები, ითვალისწინებს დაინტერესებულ მხარეთა კვლევის კომპონენტს რესურსების არსებობასთან, საკმარისობასთან და ეფექტიანობასთან დაკავშირებით. კითხვარების ანალიზის და შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლების წლიური ანგარიშების შესაბამისად ნათლად ჩანს, წლების განმავლობაში მატერიალური და ინფრასტრუქტურული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

რესურსების განვითარების პროცესი, რასაც ასევე ადასტურებს პროფესიულ სტუდენტებთან, მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგები.

8 პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;

კოლეჯის შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები: ყველა სართულზეა განთავსებული ადაპტირებული სველი წერტილები შშმ პირთათვის. კვანძები უზრუნველყოფილია წყლით, განათებით ვენტილაციით და ჰიგიენის საშუალებებით. მათში დაცულია სანიტარულ ჰიგიენური ნორმები. ექსპერტებმა დაათვალიერეს სანიტარული კვანძები, მათ შორის შშმ პირებისთვის გამოყოფილი კვანძიც, რომელიც შესაბამისად არის მოწყობილი.

9 ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;

კოლეჯის შენობა ნაგებობაში არსებულ სივრცეებში, ყველა აუდიტორიაში თუ ადმინისტრაციულ სივრცეებში, ასევე ბიბლიოთეკაში არის როგორც ბუნებრივი ასევე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

10 სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა დაწესებულების დათვალიერება. კოლეჯის ყველა სივრცე დამოუკიდებელია და ისეა განლაგებული, რომ ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურ წარმართვას .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

11 **მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.**

ბიბლიოთეკა არის კოლეჯის სტრუქტურული ერთეული, რომელიც კოლეჯში სასწავლო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით ხელს უწყობს კოლეჯის პერსონალსა და პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს, წიგნადი ფონდითა და ელექტრონული სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსებით შეუფერხებლად სარგებლობაში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.
ბიბლიოთეკაში მოქმედებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი სამუშაო საათები, მკითხველის უფლება-მოვალეობები ქცევის წესები და წიგნის გატანა/დაბრუნების ვადები. წესი ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის როგორც ბიბლიოთეკაში ასევე, ვებ გვერდზე, ელექტრონული კატალოგი ხელს უწყობს საგანმანათლებლო რესურსის მარტივ მოძიებას. კატალოგი შედგენილია როგორც მატერიალური ბარათებით, ასევე ელექტრონულად და შემუშავებულია წიგნის გატანის აღრიცხვის წესი. ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა საინვენტარიზაციო ჟურნალი, შერჩევითი პრინციპით შემოწმდა წიგნადი ფონდი და დადგინდა, რომ დაცულია წიგნის დამუშავების საბიბლიოთეკო წესი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (N 72.13.42.224) და აზომვითი ნახაზები;
- დაწესებულების მიერ შევსებული ფორმა სტანდარტით გათვალისწინებული სივრცეების ფლობასთან დაკავშირებით;
- მატერიალური რესურსის შესყიდვის/გადმოცემის დოკუმენტაცია;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- ბიბლიოთეკის საინვენტარიზაციო წიგნი;
- ბიბლიოთეკის კატალოგი;
- სასწავლო რესურსის გაცემის აღრიცხვის ჟურნალები;
- კოლეჯის ვებგვერდი;
- კოლეჯის შინაგანაწესი;
- მატერიალური რესურსების განკარგვის წესი;
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი;
- მასალების და ნედლეულის შესყიდვის მტკიცებულებები;
- პროფესიული სტუდენტების და პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან; პირადი საქმე; სპეციალისტის სერტიფიკატი;
- პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები;
- მასალა-ნედლეულის, ინვენტარის მოთოვნისა და მიღება-ჩაბარების აქტები;
- „ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების და ფაქტობრივი მდგომარეობის შეფასების შედგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

☐არ შეესაბამება

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 **დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;**

დაწესებულების შენობაში უსაფრთხოების მიზნით მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია, აკრედიტებული ინსპექტირების ორგანოს, მიერ გაცემული დასკვნა შენობის ტექნიკური მდგრადობის ინსპექტირების შედეგების შესახებ, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო წესებსა და ნორმატივების მოთხოვნებს.

ასევე წარმოადგინა კომპეტეტნტური ორგანოს მიერ გაცემული დადებითი დასკვნები შენობების სახანძრო უსაფრთხოების შესახებ, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის და ფაქტობრივი მდგომარეობის ვიზუალური დათვალიერებით ჩანს, რომ დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები. დაწესებულების მთელ პერიმეტრზე განთავსებულია ცეცხლმაქრები, ყველა სივრცეში დამონტაჟებული კვამლის აღმომჩენი დეტექტორები , ხოლო გარე და შიდა პერიმეტრები უზრუნველყოფილია ვიდეოკონტროლის სისტემით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

2 დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

კოლეჯში ფუნქციონირებს პირველი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის ოთახი, რომელიც უზრუნველყოფილია პირველადი გადაუდებელი დახმარების საშუალებებით. შემუშავებულია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესი. კოლეჯში დასაქმებულია მედდა. მედდის სამუშაო აღწერილობით განსაზღვრულია მისი ფუნქცია - მოვალეობები. პუნქტში არსებობს ინციდენტების აღრიცხვის ჟურნალი. დისტანციური ვიზიტის დროს განხორციელდა გადაუდებელი დახმარების ოთახის ვიზუალური დათვალიერება, გადამოწმდა მედდის პირადი საქმე. **ექსპერტების მიერ განხორციელდა პასუხისმგებელ/დაინტერესებულ პირებთან გასაუბრება, მათ შორის პროფესიულ სტუდენტებთანაც, მათ აღნიშნეს რომ იცნობენ შესაბამის რეგულაციებს და საჭიროებისამებრ აუცილებლად მიმართავენ პასუხისმგებელ პირებს, ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით კოლეჯში ჩატარებულია არაერთი საინფორმაციო შეხვედრა და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება. დასკვნის სახით: კოლეჯში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.**

3 დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შემუშავებული და შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან, შექმნილია შესაბამისი შტაბი, გაწერილია ფუნქცია-მოვალეობები, აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების პროცესში მონაწილეობდნენ შტაბის წევრები, ასევე ჩატარებულია ინსტრუქტაჟები საგანგებო სიტუაციების დროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

მოქმედებათა თანმიმდევრობის შესახებ, რასაც ადასტურებს, როგორც დასწრების ფურცლები ასევე პასუხსიმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგები.

4 დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

წესრიგის დაცვის საკითხები დარეგულირებულია დირექტორის ბრძანებითა და დაცვის სამსახურთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებით. ხელშეკრულება ითვალისწინებს ობიექტზე საზოგადოებრივი წესრიგის და მატერიალური ფასეულობების დაცვას. ექსპერტებმა დაათვალიერეს დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა ფართი, უსაფრთხოების კამერები (რომელიც იწერს მხოლოდ გამოსახულებას) განთავსებულია შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე, მათ შორის იმ სასწავლო აუდიტორიებში, სადაც განთავსებულია ძვირადღირებული მატერიალური რესურსი. აღნიშნული დაშვება კოლეჯს დარეგულირებული აქვს სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის საფუძველზე. იმ სივრცეებში სადაც მიმდინარეობს ვიდეოთვალთვალი გამოკრულია გამაფრთხილებელი ნიშნები, შესაბამისად დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისა მექანიზმების მოქმედების დამადასტურებელი დოკუმენტაცია/ინცინდენტების აღრიცხვის ჟურნალი;
- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა N003343819 (18.01.2019) შენობის მდგრადობის შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ;
- „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი“;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით პასუხისმგებელ პირთან გაფორმებული ხელშეკრულება/სამუშაოს აღწერილობა;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარისა და საშუალებების დათვალიერების შედეგები;
- ხელშეკრულება დაწესებულების დაცვის ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთან/ ორგანიზაციასთან;
- შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა (გარდა ადმინისტრაციული და სასწავლო კაბინეტებისა, სანიტარული კვანძებისა და დამხმარე სათავსოებისა) და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერების სისტემის შემოწმების შედეგი.
- ვიზუალური დათვალიერების და გასაუბრების შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში ყველა სასწავლო აუდიტორია, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციის ოთახი აღჭურვილია ქსელში ჩართული კომპიუტერებით/ლეპტოპებით. კოლეჯის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი, რომელიც მისი სამუშაო აღწერილობის მიხედვით, პასუხისმგებელია ადგილობრივი კომპიუტერული ქსელის შეუფერხებელ და გამართულ ფუნქციონირებაზე, კოლეჯში არსებული სიმულატორების ქსელურად უზრუნველყოფაზე, თითოეული კომპიუტერის ინტერნეტით და სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი კომპიუტერული პროგრამებით უზრუნველყოფაზე, რეგულარული პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებაზე. დაწესებულებაში შექმნილი IT ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ინტერნეტ რესურსების უწყვეტ მიწოდებას კოლეჯის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, ბიბლიოთეკასა და სასწავლო აუდიტორიებში. კოლეჯის მთელ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია უსადენო ინტერნეტი (Wi-Fi). სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციის ოთახები მარაგდება ქსელური ინტერნეტით. ინტერნეტის მომსახურებასთან დაკავშირებით მომსახურების ხელშეკრულება გაფორმებულია შპს ,,მაგთიკომთან“. IT ინფრასტრუქტურა იძლევა სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციული პროცესების სრულყოფილად წარმართვის შესაძლებლობას. კოლეჯში არის კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი 10 სასწავლო აუდიტორია. კოლეჯში არის 159 პერსონალური კომპიუტერი და 25 ნოუთბუქი, ქსელში ჩართული 16 პრინტერი, მათ შორის 15 შავ- თეთრი და 1 ფერადი მრავალფუნქციური კომბაინი; 16 პროექტორი და 2 სიმულატორი. შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;

2 პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;

IT რისკების მართვას უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი, რომლის ფუნქცია - მოვალეობები დამტკიცებულია კოლეჯის ბრძანებით. რისკების შესამცირებლად კოლეჯის ქსელი დაყოფილია რამოდენიმე ვირტუალურ ქსელად. ასევე გამიჯნულია უსადენო ინტერნეტ კავშირიც, სტუდენტებისთვის და გარეშე პირებისთვის, რომელსაც შიდა რესურსებთან წვდომა აკრძალული აქვს. ასევე, კომპიუტერულ კლასებში არსებული კომპიუტერები ჩართულია დომენურ ქსელში და იმართება ცენტრალიზებულად. კოლეჯში არსებულ თითოეულ კომპიუტერში ჩაწერილია ფასიანი ანტივირუსული პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა ვირუსებისაგან დაცვას. წარმოდგენილია წლიური გეგმიური მონიტორინგის ანგარიშები, რომლის მიხედვითაც დადგენილია კომპიუტერების, საბეჭდი მოწყობილობების, ასლგადამღებების, სკანერების, პროექტორების ტექნიკური მდგომარეობა. შემუშავებულია რეკომენდაციები ტექნიკის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. წარმოდგენილია ტექნიკური მახასიათებლების გაუმჯობესების მტკიცებულება და IT ინფრასტრუქტურის შესაბამისობა დადგენილ მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

3 დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;

კოლეჯმა წარმოადგინა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმების“ დოკუმენტი, მასში გათვალისწინებულია პერსონალური მონაცემების დაცვის ძირითადი ასპექტები და მოიცავს შემდეგ საკვანძო საკითხებს: კოლეჯის საქმიანობის ფარგლებში დამუშავებული მონაცემები, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნები, მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე სუბიექტები, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესები, პროფესიული სტუდენტების ბაზის ადმინისტრირება, ვიდეოკონტროლისა და აუდიოკონტროლის განხორციელება, ელ-ფოსტისა და ტელეფონის ნომრის გამოყენება, მონაცემთა სუბიექტის უფლებები. დაწესებულების წარმომადგენლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ნებისმიერი შეხვედრის შემდეგ, კოლეჯი წერილობითი ფორმით იღებს დამსწრე აუდიტორიისაგან ნებართვას ფოტო-ვიდეო მასალების გავრცელებაზე. ამავე დროს, კოლეჯის საინფორმაციო დაფებზე, სოციალურ ქსელში, კოლეჯის ვებ-გვერდზე არ იდება/იკვრება პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია. პროფესიულ სტუდენტებს მათ მიერ მიღებული შეფასების შედეგები ეცნობებათ პირისპირ ან წერილობითი ფორმით, რასაც ადასტურებს როგორც მატერიალური დოკუმენტები, ასევე გასაუბრების შედეგები, შესაბამისად დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;

4 პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;

IT ტექნიკის რეგულარული შემოწმებზე და მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი არის ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი, პროფესიულ სტუდენტთა, თანამშრომელთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგად გამოკვეთილი პრობლემების შესაბამისად, ხარისხის მართვის მენეჯერი, ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერთან ერთად შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებიც მიმართულია ეფექტურობის ამაღლებისაკენ. წლიური ანგარიშებით და გასაუბრების შედეგებით დასტურდება რომ კოლეჯი აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

5 **პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;**

პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება - სასწავლო და სამუშაო პერიოდში, ვიზუალური დათვალიერების და გასაუბრების შედეგებით დგინდება, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტები სარგებლობენ ბიბლიოთეკაში განთავსებული კომპიუტერებით ან/და კომპიუტერების კლასებით ან/და გამოყოფილი სივრცეებით, სადაც მათთვის ხელმისაწვდომია პრინტერი, სკანერი, უწყვეტი ქსელური ინტერნეტი და Wi-Fi. დაწესებულების თანამშრომლებსა და პროფესიულ სტუდენტებს, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ ნებისმიერ დროს ისარგებლონ ქსელის ადმინისტრატორის მომსახურებითა და კონსულტაციით. ყოველწლიურად ფორმდება ხელშეკრულება ინტერნეტის მიწოდებაზე შპს მაგთიკომთან.

6 **პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.**

პსდ -ში პერსონალისთვის მოქმედებს დაწესებულების დომენით ელ-ფოსტის მისამართები; ასევე პერსონალისათვის შექმნილია ფეისბუქზე ელექტრონული დახურული ჯგუფი; პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის სოციალურ ქსელში შექმნილია ჯგუფები, ასევე გამოიყენება ელექტრონული ფოსტა. ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმების შედეგებით დასტურდება რომ სტუდენტებთან ინფორმაციული კომუნიკაცია ხორციელდება ელ-ფოსტით და სოციალური ქსელის დახურული ჯგუფებით, ხოლო პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემას წარმოადგენს კორპორატიული მეილები(ადმინისტრაცია), შექმნილია FACEBOOK ჯგუფი პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის სტუდენტები“ და RTC Teachers”, რომლებიც აქტიურად გამოიყენება ინფორმაციის გასავრცელებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხელშეკრულება დომეინის შესყიდვის შესახებ;
- ხელშეკრულება ვებ ჰოსტინგის მომსახურების გაწევის შესახებ;
- ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- კომპიუტერების, ლეპტოპების, ვიდეო კამერების შესყიდვის დოკუმენტაცია;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების შემოწმებისა და შეფასების შედეგები
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი;
- პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების და ფაქტობრივი მდგომარეობის შეფასების შედგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 29 დეკემბრის №10 ბრძანებით დამტკიცებულია „საქმისწარმოების წესი“ (ცვლილება 2022 წლის 28 მარტის №53 ბრძანებით), რომლის მიზანიცაა დოკუმენტბრუნვის მოწესრიგება კოლეჯში, დოკუმენტური ინფორმაციის დასამუშავებლად საჭირო პირობების შექმნა და მუშაობის ეფექტურობის ამაღლება. ზემოაღნიშნული დოკუმენტის თანახმად, კოლეჯის კორესპონდენციის აღრიცხვა ხდება ამ წესების დაცვით როგორც ჟურნალში, ასევე ელექტრონულად. დოკუმენტში გაწერილია საქმისმწარმოებლის მიერ შესასრულებელი სამუშაოები: შემოსული კორესპონდენციის მიღება, აღრიცხვა და გაგზავნა, დოკუმენტის შედგენა და საჭიროებისამებრ გადამისამართება, ასევე, სამსახურებრივი და მოხსენებითი ბარათებისა და განცხადებების აღრიცხვა, თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოება, მათთვის შრომითი ურთიერთობის პერიოდის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა, პროფესიული სტუდენტებისთვის კოლეჯში სწავლის ცნობის დამზადება, პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის; კურსდამთავრებულთათვის განათლების შესაბამისი დოკუმენტის გაცემა და სხვ. კოლეჯში დასაქმებულია საქმისმწარმოებელი (ერთი საშტატო ერთეული), რომლის მოვალეობაშიც შედის ბრძანებების, ხელშეკრულებებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

მემორანდუმების,

შრომითი ხელშეკრულების,

კოლეჯის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

შიდა დოკუმენტაციის, შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვა. კოლეჯში ნებისმიერი გზით შემოსული ნებისმიერი დოკუმენტაციის პირველადი დამუშავება- რეგისტრაცია, ელექტრონულ ფორმატში კონვერტაცია და ხელმძღვანელობისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება, დოკუმენტების დროული ჩამოწერა და არქივისთვის გადაცემა, კოლეჯით დაინტერესებული პირების კონსულტირება და რეგისტრაციაში დახმარება, თანამშრომლებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება. დოკუმენტთა და მონაცემთა მართვის პროცედურა აკმაყოფილებს საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის ბრძანებულება №414-ს „საქმისწარმოების ერთიანი წესების“ დამტკიცების და ამოქმედების შესახებ.

2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;

კოლეჯში აქტიურად გამოიყენება ელექტრონული ფოსტა და ასევე EFLOW თანამშრომლების საქმიანი კომუნიკაციისა და დოკუმენტების მიმოცვლისთვის, რაც მოიცავს წერილის, სამსახურებრივი ბარათის მიმოცვლას როგორც კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შორის, ისე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრთან, სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასა თუ სხვა ორგანიზაციებთან საგანმანათლებლო თუ ფინანსური კუთხით, კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდსა და მეილზე ხდება დაინტერესებულ პირთა და კოლეჯის ადმინისტრაციას შორის საქმიანი მიმოწერა. რაც შეეხება გასული და შემოსული კორესპონდენციის აღრიცხვას, ხდება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება: თითოეული წერილი ელექტრონულ ფორმატში კონვერტირდება და ელექტრონულ ჟურნალში ტარდება, მატერიალურთან ერთად.

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

დაწესებულებაში დანიშნულია რეესტრის წარმოების სპეციალისტი, რომლის მოვალეობაა პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში შესაბამისი ინფორმაციების დროულად ასახვა, გადამოწმდა ექსპერტების მიერ, გამოცემული აქტების შესაბამისად შეტანილი ინფორმაციები და ვადები, დადგინდა **რომ დაწესებულება უზრუნველყოფს მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილ წესებისა და ვადების დაცვით ასახვას.**

4. **პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.**

ექსპერტთა შემოწმების შედეგად დგინდება, რომ კოლეჯში ფუნქციონირებს „საქმიწარმოების წესით“ დადგენილია შემოსული დოკუმენტების შესრულების და გაცემის ვადები, რომელზე კონტროლიც ეკისრება საქმისმწარმოებელს. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის ასახვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში. ასევე დადასტურდა რომ კოლეჯი დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქმისწარმოების ერთიანი წესი;
- ელექტრონულ სიტემის (eFlow) შემოწმების შედეგები;
- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები და შემოწმების შედეგები.
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- გასაუბრების შედეგები:

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

■ შეესაბამება
□მეტწილად შეესაბამება
□ნაწილობრივ შეესაბამება
□არ შეესაბამება

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

1 პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ვებ-გვერდი https://www.rtc.edu.ge/ და სოციალური ქსელის გვერდი (ააიპ-სარკინიგზო-ტრანსპორტის-კოლეჯი) წარმოადგენს საკომუნიკაციო პლატფორმას და ძირითადად გააჩნია საკომუნიკაციო ფუნქცია. კოლეჯის ვებ-გვერდსა და სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი ნომერი და ელექტრონული ფოსტა, მისამართი), შესაძლებელია წერილობითი კომუნიკაცია კოლეჯის ადმინისტრაციასთან, ორივე პლატფორმის შემთხვევაში. კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია კოლეჯის მისიის, ხედვის, ღირებულებების შესახებ. ატვირთულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, კატალოგი, შესრულების ანგარიშები, მარეგულირებელ დოკუმენტები, ელექტრონული კატალოგი. განთავსებულია ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მომზადება-გადამზადებების პროგრამების, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პოლიტიკის, კოლეჯის სტრუქტურის, დამფუძნებლების, ისტორიის, ინკლუზიური განათლების შესახებ. ვებ-გვერდის მართვაზე პასუხისმგებელია ქსელის ადმინისტრატორი,რომელიც მუდმივად ტვირთავს სიახლეებს, ანონსებს შესაბამის ველში.

კოლეჯის სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია კოლეჯის მისიის, ხედვის, ღირებულებების შესახებ. უწყვეტად ხდება სიახლეების გაზიარება აუდიტორიისათვის. კოლეჯში მიმდინარე ნებისმიერი საინტერესო აქტივობის, პროცესის, მიღების გამოცხადების, ცვლილებების, სიახლეების შესახებ დაინტერესებული პირები ინფორმაციას იღებენ კოლეჯის სოციალური ქსელის საშუალებით. კოლეჯის ვებ-გვერდზე და სოციალური ქსელის გვერდზე სიახლეების/ანონსების/ფოტო და ვიდეო მასალების განთავსებისას დაცულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი.

2 დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

კოლეჯის მისიით, სტრატეგიული მიზნებით განსაზღვრულია, რომ უცხოენოვანი და გაცვლითი პროგრამების განხორციელება, საერთაშორისო პარტნიორების მოზიდვა წარმოადგენს კოლეჯს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს. დაწესებულებას შექმნილი აქვს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

ინგლისურენოვანი ვებ-გვერდი https://www.rtc.edu.ge/index.php?&lang=en ინგლისურ ენაზე წარმოდგენილია ის ინფორმაცია, რისი გაზიარებაც მიაჩნიათ საჭიროდ მაგ : მისია, ხედვა, ღირებულებები, სიახლეები, დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მიმდინარეობს გვერდის სრულყოფა და მეტი ინფორმაციის განთავსება.

3 პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს შემუშავებული აქვს „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“(დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 17 ივლისის №77 ბრძანებით, ცვლილება - 2022 წლის 22 მარტის №48 ბრძანებით), რომლითაც რეგულირდება ვებ- გვერდისა და სოციალური ქსელის მართვა. აღნიშნული წესით განისაზღვრება სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი (საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი), შესაბამისი მექანიზმები, პროცესში მონაწილე პირთა ფუნქციები და პასუხისმგებლობები. გარდა ამისა, სოციალური ქსელის გვერდისა და ვებ- გვერდის მართვის ფუნქცია დაკისრებულია კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერზე, რაც დასტურდება სამუშაო აღწერილობით. განხორციელდა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომლებთან ინტერვიურება და წლიური ანგარიშების შეჯამება, დაწესებულების მიერ გავრცელებული ინფორმაციის სანდოობა და უტყუარობა ანალიზის შესაბამისად დადგინდა რომ კოლეჯი უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

4 საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;

საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი განთავსებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე და მასში მოცემულია ინფორმაცია კოლეჯის მიერ განსახორციელებელი ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესისის შესახებ. როგორც წესი, კოლეჯი ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამების დამატების პროცესში ვებ-გვერდზე ათავსებს ანონსს. კატალოგი განახლებულია 2022 წელს; ვინაიდან კატალოგი წარმოადგენს დაწესებულების სარეკლამო დოკუმენტს, დაინტერესებულ პირს ის აწვდის მნიშვნელოვან მესიჯებს თუ რას წარმოდგენს დაწესებულება, რა რის მისი მიზანი, რისკენ მიისწრაფვის და რა გზით მიდი დასახული მიზნისკენ. კატალოგი ასევე მოიცავს ინფორმაციას დაწესებულების ისტორიის; დაწესებულების მთავარი ფასეულობების, პარტნიორი ორგანიზაციების, სხვადასხვა პროექტებში ჩართულობის შესახებ;

5 პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;

კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა - კატალოგი ასრულებს საინფორმაციო ფუნქციას და ახლდება ყოველი ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების, პროგრამებში განხორციელებული ცვლილების შეტანისას თუ მოდიფიცირების შემთხვევაში. ის ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და განთავსებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ცვლილებების შემთხვევაში გონივრულ ვადებში ხორციელდება კატალოგის განახლება, რათა სწორი ინფორმაცია მიეწოდოთ დაინტერესებულ მხარეებს.

6 საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებისათვის აქტიურად იყენებს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის მიერ მისთვის მიწოდებულ სოციალური ქსელის გვერდიდან, კოლეჯის ვებ-გვერდიდან და სხვა არხებიდან შემოსულ ინფორმაციას. საქართველოს რკინიგზის, პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, აპლიკანტების, მათი მშობლების, კოლეჯში სწავლის გაგრძელების მსურველი პირების უკუკავშირი, მათი მოწერილობები, მათგან მიღებული ინფორმაცია გამოიყენება პროცესების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საზოგადოებასთან ურთიერთობის/ კომუნიკაციის წესი;
- დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულება;
- პსდ-ს მოქმედი ვებგვერდი ქართულ ენაზე (საჭიროების შემთხვევაში, იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას);
- ვებგვერდზე მარტივი ნავიგაციისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მთავარ გვერდზე ხელმისაწვდომობის შემოწმების შედეგი;
- ვებ-გვერდსა და სოც.ქსელის გვერდზე საკონტაქტო და სხვა საჭირო ინფორმაცის,სიახლეების და ასევე პროგრამების კატალოგის დათვალიერების შედეგი;
- ვებ-გვერდზე განთავსებული პსდ-ს მისიის, საქმიანობის, სტრუქტურის, პროგრამის სახელწოდებებისა და ამ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურების, პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის (არსებობის შემთხვევაში), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების -შემოწმების შედეგი;
- ვებ-გვერდზე ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგის, დაწესებულების წლიური ანგარიშების, პროფესიული სტუდენტებისთვის, მათ შორის სსსმ პირებისთვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერის სერვისების, სასწავლო და დასაქმების შესაძლებლობების და სხვ.
- განთავსებული მონაცემების შემოწმების შედეგი (პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით).

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

☒ შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1 ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2 საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3 დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4 დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;

კოლეჯი იღებს საბიუჯეტო, როგორ პროგრამულ, ისე ვაუჩერულ დაფინანსებას. ასევე, პერიოდულად ღებულობს საგრანტო დაფინანსებებს. კოლეჯის დაფინანსების ძირითადი წყაროა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და საქართველოს რკინიგზა, რომლებიც 50-50 პროცენტით უზრუნველყოფენ კოლეჯის დაფინანსებას. საჭიროების შემთხვევაში, ორივე დამფინანსებელი უზრუნველყოფს კოლეჯის მიზნობრივ დაფინანსებას. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში ჩართულნი არიან კოლეჯის საფინანსო მიმართულების თანამშრომლები. სამოქმედო გეგმის შესაბამისად დგება ყოველი წლის ბიუჯეტისა და შესყიდვების გეგმა, დაწესებულების მხრიდან ასევე წარმოდგენილია დაფინანსების შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

ხელშეკრულებები, რომელზედაც დაყრდნობით ჩანს, რომ ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;

2 საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;

კოლეჯის როგორც სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული, ისე მიმდინარე, საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია სათანადო ფინანსური რესურსით, რასაც უზრუნველყოფს საქართველოს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და საქართველოს რკინიგზა, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი დაფინანსების ხელშეკრულებები.

3 დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;

დაწესებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში ადგენს ფინანსურ ანგარიშს, დაწესებულება დამფუძნებლებს ყოველწლიურად წარუდგენს ფინანსურ ანგარიშებს. ფინანსურ მენეჯერთან გასაუბრების და ვებგვერდზე წარმოდგენილი მტკიცებულებების(დაფინანსების დინამიკა) თანახმად იკვეთება, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;

4 დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

დაწესებულებამ ყოველი წლის ბოლოს აკეთებს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს, რომელსაც აქვეყნებს დაწესებულების ვებგვერდზე. აღნიშნული ანგარიშის და საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტური შეფასების შედეგად გეგმავს შემდგომ აქტივობებს, ანუ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე. ყოველი ახალი წლის სამოქმედო გეგმაში ბიუჯეტის დაგეგმვისას ხდება წინა წლის შედეგების, აუთვისებელი ფინანსების გათვალისწინება და ისე იგეგმება ახალი წლის ბიუჯეტი, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტი;
- დაფინანსების დინამიკა;
- სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგზაო მშენებლობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

პროგრამის განხორციელების ადგილი	ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი: ქ. თბილისი, თემქის დასახლება, XI მკ.რ. III კვ. ნაკვეთი 01/10
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	დუალური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	60
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	79
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	94

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	**სრული 3**	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	**სრული 3**	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	**სრული 3**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	**მეტწილი 2**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

XI.სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მისიაა "თანამედროვე საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის, ეროვნული და საერთაშორისო ღირებულებების მატარებელი, კონკურენტუნარიანი პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციური კადრებით საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოთხოვნების დაკმაყოფილება სარკინიგზო ტრანსპორტის სფეროში და მათი საგანმანათლებლო მიზნების მიღწევისა და წარმატებული დასაქმებისთვის პირობების შექმნა", კოლეჯის განვითარების სტრატეგიულ შვიდწლიან გეგმაში ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრულია დამსაქმებელთან შეთანხმებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, მათ დანერგვასა და განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა. პროფილიდან გამომდინარე, კოლეჯი ძირითადად ლოგისტიკური და სარკინიგზო მიმართულების სფეროზეა ორიენტირებული. შესაბამისად, მისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს ლოგისტიკური და სარკინიგზო მიმართულების პროფილის პროფესიების განხორციელება, რაც კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმაშიც გაწერილია. ამასთან, კოლეჯის მიერ ყველა საგანმანათლებლო პროგრამის დამატება და განხორციელება ხდება უშუალოდ დამფუძნებელთან - სს საქართველოს რკინიგზასთან კონსულტაციების საფუძველზე მიღწეული შეთანხმების, შრომის ბაზრის კვლევის, სტატისტიკური მონაცემებისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

კოლეჯის განვითარების სტრატეგიულ შვიდწლიან გეგმაში ერთ-ერთ ამოცანად 2020-2021 წლიდან განსაზღვრულია ინტეგრირებული სწავლების დანერგვა კოლეჯში. კოლეჯის ინტერესია, მონაწილეობა მიიღოს პროფესიული განათლების რეფორმაში და ინტეგრირებული სწავლების დანერგვით და უფრო მოქნილი და ხელმისაწვდომი გახადოს პროფესიული განათლება.

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი“, რომლის მოთხოვნების დაცვით განხორციელდა პროგრამის დაგეგმვა და დამტკიცება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა“ საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება ეხმიანება ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის 2016-2023 წლების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის №1 სტრატეგიულ მიზანს.

სატრანსპორტო სექტორის ერთერთი უმნიშვნელოვანესი დარგი რკინიგზა საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი საყრდენია. საქართველოს რკინიგზის დარგის წინაშე არსებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა თანამედროვე ინფრასტრუქტურის განვითარება და მაღალი კვალიფიკაციის კადრებით დარგის მომარაგება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რკინიგზის ლიანდაგის მოვლა-შენახვის, რემონტის, მშენებლობის და მოდერნიზაცია/რეკონსტრუქციის პროცესებში მონაწილე პროფესიონალური კადრების მომზადება, ვინაიდან სს საქართველოს რკინიგზაში, რომლის გაშლილი სიგრძე 1992 კმ-ია და ელექტროფიცირებული სალიანდაგო მეურნეობაა.

2018 წლიდან კოლეჯმა დაიწყო საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა“ განხორციელება. სალიანდაგო მეურნეობა სს საქართველოს რკინიგზაზე ყველაზე მეტი კონტიგენტითაა წარმოდგენილი (დაახლოებით 3000 კაცი), ხშირად აქვს ადგილი კადრების გადინებას და აუცილებელ პირობას წარმოადგენს მათი ჩანაცვლება ახალი კადრებით, რომლებსაც სს საქართველოს რკინიგზა მხოლოდ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯიდან ივსებს.

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე დიდ მნიშვნელობას იძენს კოლეჯში რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით მოდულური პროგრამის ,,რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა“ განხორციელება ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას, შეესაბამება კოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის ,,სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა“ (07318-პ) საფუძველზე და, შესაბამისად, დაშვების წინაპირობა არის საბაზო განათლება. ამავე დროს, რადგან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა“ ხორციელდება სს საქართველოს რკინიგზასთან ერთად დუალური მიდგომით, ხოლო წარმოებაში პროფესიული სტუდენტთან შრომითი ხელშეკრულების საფუძველია ის, რომ პირი უნდა იყოს სრულწლოვანი, დამატებით დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია მინიმალური ასაკი 18 წელი. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები გაწერილია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში და იგი ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესსა და პირობებს“. დუალური პროგრამების შემთხვევაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევის პროცესში ჩართულნი არიან წარმოების წარმომადგენლები. კოლეჯის მიერ აპლიკანტთა შერჩევა საავტორიზაციო პროგრამაზე ხორციელდება მოტივაციური გასაუბრებითა და ტესტირებით.ექსპერტების მიერ გადამოწმდა შერჩევითი პრინციპით პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურების შესაბამისად არსებული მდგომარეობა, შევსებული ტესტები, კომისიის მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია , ჩარიცხვის ბრძანება და პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, განხორციელდა გასაუბრება პროფესიულ სტუდენტებთან, მათაც დაადასტურეს მატერიალურად ნანახი მტკიცებულებების სისწორე, **შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №89 ბრძანებით დამტკიცებულია „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (ცვლილება შევიდა დირექტორის 2021 წლის 30 ივნისის #51 ბრძანებით), რომლის მიხედვით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

- A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა ან სასწავლო გარემოს ფართი ან პროგრამის განმახორციელებელ საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა, ან რამოდენიმე საწარმოს არსებობისას - მათი ჯამი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა;
- საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი;
- მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა“ მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობისა და განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობასთან დაკავშირებით დოკუმენტში აღნიშნულია, რომ არსებული კვოტისათვის კოლეჯს ყავს სათანადო კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლები, გააჩნია ყველა საჭირო რესურსი და უზრუნველყოფს პრაქტიკის სრულყოფილ გატარებას სს საქართველოს რკინიგზაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

აღნიშნული პროფესიული პროგრამისთვის დადგენილია საერთი კვოტა 60 პროფესიული სტუდენტის ოდენობით.
პასუხისმგებელ პირთა ინტერვიუირებისა და კოლეჯის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის დათვალიერების, ასევე, პროგრამის ანალიზითა და პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებით დასტურდება, **რომ კოლეჯმა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განსაზღვრა არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.**

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას
დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა" მოდულების განხორციელებისათვის დამტკიცებული აქვს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და რესურსების სია, რომლებიც უზრუნველყოფს მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულებში მითითებულია მოდულების განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსი, რომელთა შინაარსი შესაბამისობაშია შესაბამისი მოდულის სწავლის შედეგებთან, **შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან
დამტკიცებული პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ
კოლეჯის წესდების მე-5 მუხლის 5.1.2. პუნქტის შესაბამისად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი. ასევე, კოლეჯის მიერ შემუშავებულია ,,ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი“, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 23 მაისის №43 ბრძანებით (ცვლილება 1 - 2020 წლის 5 ივნისის №59 ბრძანება; ცვლილება 2 – 2022 წლის 9 მარტის #31 ბრძანება). რეგულაციის მიხედვით პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი და მასვე აქვს პროგრამაში ცვლილებების დამტკიცების უფლებამოსილება.

შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა” დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის - კოლეჯის დირექტორის მიერ 2018 წლის 12 იანვარს №25 ბრძანებით და მასში ცვლილებაც განხორციელებულია დირექტორის 2022 წლის 1 მარტის №23 ბრძანებით.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა“** შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის - „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა“ საფუძველზე. შესაბამისად, წარმოდგენილი პროგრამის სახელწოდება სრულ შესაბამისობაშია როგორც შინაარსთან, ასევე პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი - სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა (სარეგისტრაციო ნომერი 07318-პ) საფუძველზე. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში მოქმედი “პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი“, საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მის შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან. პროგრამით განსაზღვრულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიდგომები. საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი შედგება პროგრამის ძირითადი დოკუმენტის, მოდულებისა და სასწავლო გეგმისგან (მათ შორის ქართული ენის A2 გათვალისწინებით და მის გარეშეც). ვინაიდან პროგრამა დუალურად ხორციელდება, სასწავლო გეგმაში და მოდულებში მითითებულია სწავლის შედეგების განაწილება და ხელშეკრულებები პარტნიორ კომპანიასთან. ასევე, დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელების სპეციფიკის ამსახველი სასწავლო გეგმა. **შესაბამისად პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის მისია;
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა 2016-2023 წლებისთვის;
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის 2020 წლის სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 იანვრის №3 ბრძანებით (ცვლილება განხორციელებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის №41 ბრძანებით);
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა“ მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობისა და განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ცვლილება შევიდა დირექტორის 2022 წლის 17 მარტის #44 ბრძანებით);
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №89 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (ცვლილება შევიდა დირექტორის 2021 წლის 30 ივნისის #51 ბრძანებით);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 12 იანვრის №25 ბრძანებით (ცვლილება შევიდა დირექტორის 2022 წლის 1 მარტის №23 ბრძანებით) დამტკიცებული პროგრამა „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა“;
- კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 23 მაისის №43 ბრძანებით (ცვლილება 1 - 2020 წლის 5 ივნისის №59 ბრძანება; ცვლილება 2 – 2022 წლის 9 მარტის #31 ბრძანება) დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების (მოდულური პროგრამის), პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურის წესის და მატერიალური რესურსების მართვის წესი;
- „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის“ წესდება;
- დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა კოლეჯისა და პარტნიორი კომპანიის მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ადეკვატურია. სწავლებისათვის კოლეჯს გააჩნია A, B და ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნათა საფუძველზე აღჭურვილი C გარემო.

A ტიპის სასწავლო გარემო (აუდიტორია #507) აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

- 15 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისათვის;
- 1 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- 1 ერთეული დაფა;
- 1 ერთეული პროექტორი და პროექტორის ეკრანი;
- ერთეული პორტატული კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის.

B ტიპის სასწავლო გარემო (აუდიტორია #304) აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

- 15 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისათვის;
- 1 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის;
- 1 ერთეული დაფა;
- 1 ერთეული პროექტორი და პროექტორის ეკრანი;
- 1 ერთეული პორტატული კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის;
- 15 ერთეული კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისთვის;
- 1 ერთეული პრინტერი.

C ტიპის სასწავლო გარემოში (აუდიტორია #107) განთავსებულია აღნიშნული პროგრამის სწავლებისთვის განკუთვნილი აღჭურვილობა. **პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებისთვის კოლეჯს გააჩნია სათანადო პარამეტრების მქონე რკინიგზის ლიანდაგის პოლიგონი.**

დაწესებულების მფლობელობაში არსებული სასწავლო ფართი და შესაბამისი აუდიტორიების აღჭურვილობა იძლევა საშუალებას სასწავლო პროცესი სრულყოფილად განხორციელდეს. გასათვალისწინებელია, რომ კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №89 ბრძანებით „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ (ცვლილება შევიდა 2021 წლის 30 ივნისის #51 ბრძანებით) მე- 3 მუხლის მიხედვით, კოლეჯში სწავლის განხორციელება შესაძლებელია 2 ცვლაში, დღეში 12 საათიანი, კვირაში 60 საათიანი დატვირთვით.

მოდულური პროგრამისათვის ,,რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა“ დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება იუს/22-006 11/03/2022წ. სს საქართველოს რკინიგზასთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობის“ განხორციელების შესახებ, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში. პრაქტიკის ობიექტი სწავლებისთვის თითო ნაკადზე მიიღებს ერთდროულად არაუმეტეს 30 პროფესიულ სტუდენტს. კოლეჯში მისაღწევი სწავლის შედეგების რაოდენობაა - 10 (27,7%). პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგების რაოდენობაა - 26 (72,3%).

აღნიშნული პროფესიული პროგრამისთვის დადგენილია საერთო კვოტა 60 პროფესიული სტუდენტის ოდენობით. სასწავლო პროცესი გრძელდება არაუმეტეს 2 წელიწადი. წელიწადში კოლეჯი იღებს 30 პროფესიულ სტუდენტს. ჯგუფები დაკომპლექტებულია 15-15 პროფესიული სტუდენტით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამით **გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულადაა უზრუნველყოფილი დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

პროგრამას განახორციელებს 40 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ზოგადი მოდულების განხორციელების მიზნით კოლეჯს შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს 19 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, დარგობრივი მოდულების განხორციელების მიზნით - 21 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. თითოეული მოდულისთვის კოლეჯს ყავს მინიმუმ 2 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

პროფესიულ მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემის, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის, პროგრამის სასწავლო გეგმისა და პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების (ხელშეკრულებაში მოცემულია ჩანაწერი, საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის თაობაზე) შინაარსის მიხედვით, მასწავლებელთა დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას და ითვალისწინებს საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

ადმინისტრაციის წარმომადგენელს, სათანადო კვალიფიკაციის არსებობის შემთხვევაში აქვს სასწავლო პროცესის განხორციელების უფლებაც. აღნიშნული პრაქტიკა დანერგილია დაწესებულებაში, დოკუმენტაციის გადამოწმების და გასაუბრების შედეგებით დადგინდა, რომ სასწავლო დატვირთვის მაქსიმალური ზღვარი არ არის განსაზღვრული და დარეგულირებელი დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტებით, სასურველია დაწესებულებამ დაარეგულიროს აღნიშნული საკითხი.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია კოლეჯის დირექტორის ბრძანებაში: „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამშრომლების, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ“. ასევე კოლეჯის პერსონალის მართვის წესი არეგულირებს პერსონალის შერჩევის წესს, კოლეჯში პროფესიულ მასწავლებლებად მიიღებიან შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები. დუალურ პროგრამებზე ძირითადად შერჩეულია პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომლებსაც შესაბამის კვალიფიკაციასთან ერთად, აქვთ სამუშაო გამოცდილებაც პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები, რომელთა საფუძველზეც, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგები მიღწევის შესაძლებლობას. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება კოლეჯის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ვიზიტის პერიოდში განხორციერლდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან, ასევე პრაქტიკის ობიექტზე არსებულ ინსტრუქტორებთან ინტერვიუ. გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებლებს ხშირად უტარდებათ სხვადასხვა ტიპის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები თუ ტრენინგები როგორც დარგობრივ კომპეტენციაში, ასევე, სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილ იქნა შესაბამისი მტკიცებულებები, მათ შორის დასწრების ფურცლები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

დოკუმენტაციის ანალიზით და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 32-ე მუხლითა და კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 9 მარტის №33 ბრძანებით „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ“. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი დანიშნულია დაწესებულების დირექტორის ბრძანებით. პირად საქმეში დევს მისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და შესაბამისობაშია კოლეჯის მიერ დაწესებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. შესაბამისად, მას აქვს შესაძლებლობა, სრულფასოვნად უხელმძღვანელოს პროგრამის განხორციელების პროცესს. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის შესაბამისობაც დასტურდება მისი კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით. პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაოს ანაზღაურებას უზრუნველყოფს სს „საქართველოს რკინიგზა“. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობაში დეტალურადაა გაწერილი მის მიერ შესასრულებელი ფუნქცია-მოვალეობები.

ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და მუშაობს პროგრამის განვითარების მიმართულებით. იღებს მონაწილეობას პროგრამის შეფასების, განვითარების, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში. კოლეჯში პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ანალიზდება და საჭიროების შემთხვევაში ხდება პროფესიულ სტუდენტთან ინდივიდუალური გასაუბრება მისი მიღწევების გაუმჯობესებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების მიზნით. პროგრამის ხელმძღვანელი ინდივიდუალურად, თითოეულ სტუდენტზე ადგენს დახასიათებას. აღნიშნულის მიზანია როგორც პროფესიული სტუდენტის განვითარება, ასევე დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე მისი უსაფრთხოებისადმი ინდივიდუალური მიდგომის უზრუნველყოფა პრაქტიკის ობიექტზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში. დაწესებულებას ელექტრონული პროგრამის სახით შემუშავებული აქვს საბიბლიოთეკო კატალოგი. ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის. კვალიფიციური ბიბლიოთეკარი ახორციელებს საბიბლიოთეკო ფონდის მოხმარების აღრიცხვას, ივსება მკითხველის ბარათები, რითაც დასტურდება სასწავლო პროცესში საგანმანათლებლო რესურსის გამოყენების ფაქტი.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტის ქსელში ჩართული 3 სამაგიდო კომპიუტერი მკითხველებისთვის და ერთი პორტატული კომპიუტერი ბიბლიოთეკარისთვის, საოფისე კომბაინი (მრავალფუნქციური პრინტერი), ქაღალდების ასაკინძი და ლამინირების მოწყობილობა. კოლეჯი სარგებლობს საბიბლიოთეკო პროგრამით OpeNBiblio. დაწესებულებას აქვს წვდომა სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს (matsNe.gov.ge) ვებ გვერდზე. ექსპერტების მხრიდან გადამოწმდა პროფესიული სტუდენტების მიერ რესურსებით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასევე მათთან გასაუბრებამ დაადასტურა, რომ **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში**

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

კოლეჯში გაწერილია მარეგულირებელი წესები კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 30-ე მუხლით, იმისათვის, რომ სსსმ პირების წვდომა იქნას უზრუნველყოფილი პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, ასევე მოხდეს მათი ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; ჯერჯერობით, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში მსგავსი საჭიროება არ დამდგარა, თუმცა კოლეჯს აქვს მზაობა. მოახდინოს სასწავლო რესურსების ადაპტირება, იქნება ეს დამხმარე ტექნიკის, პროგრამული უზრუნველყოფის, ბრაილის შრიფტის, დასურათებული სახელმძღვანელოების, მასალის შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტაციის გამოყენებით თუ სხვა სპეციფიკური მოთხოვნით. დაწესებულების განმარტებით სასწავლო რესურსის ადაპტირება არ დასჭირვებიათ.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

პროგრამის „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა“ განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით, ვინაიდან პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება იღებს ვაუჩერულ და პროგრამულ დაფინანსებას. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასებისა და დაწესებულების ხელმძღვანელის განმარტების მიხედვით, კოლეჯის ფუნქციონირებისათვის ფინანსური უზრუნველყოფის ნაწილში ჩართულია, როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ისე სს „საქართველოს რკინიგზა“ 50%-იანი წილობრივი მონაწილეობით, სამინისტროს, სს “საქართველოს რკინიგზის“, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს შორის 2016 წლის 27 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად. **დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი. რენტაბელურობის ზღვარად მიჩნეულია მინიმუმ 6 პროფესიული სტუდენტი.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №89 ბრძანება „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ (ცვლილება შევიდა 2021 წლის 30 ივნისის #51 ბრძანებით);
- ხელშეკრულება იუს/22-006 11/03/2022წ. სს საქართველოს რკინიგზასთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობის“ განხორციელების შესახებ, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.
- კოლეჯის დირექტორის ბრძანება „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამშრომლების, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ“;
- კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ცვლილება შევიდა დირექტორის 2022 წლის 17 მარტის #44 ბრძანებით);
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთად და ინსტრუქტორებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესის“ მიხედვით, კოლეჯში შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად, განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების საშუალებით. სისტემა ძირითადად დაფუძნებულია პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისშეფასების მიზნით კოლეჯს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა;
- პროგრამის შეფასებისათვის შედგენილი აქვს პროფესიულ სტუდენტთა კითხვარი, პროფესიული განათლების მასწავლებლების კითხვარი, დამსაქმებელთა კითხვარი დაკურსდამთავრებულთა კითხვარი.
- შეფასება ტარდება გამოკითხვის მეთოდით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით, შეფასების შედეგების საფუძველზე, ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

ასევე, კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით (ცვლილება 2020 წლის 5ივნისის №58 ბრძანება) დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის წესი“, რომლის შესაბამისადაც, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირსდაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო პრაქტიკას. წარმოდგენილი მტკიცებულებების და გასაუბრების სედეგებით დასტურდება, რომ კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება ე.წ. დემინგის ციკლის შესაბამისად, კოლეჯის დამფუძნებლის სს „საქართველოს რკინიგზის“, როგორც შრომის ბაზრის უმსხვილესი დამსაქმებლის, დარგის გამოცდილი სპეციალისტები უშუალოდ არიან ჩართულნი კოლეჯის მიერ განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სხვა აქტივობების დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარების პროცესში. სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ ორჯერ ხდება დაინტერესებულ მხარეებთან პროგრამის განხორციელების შეფასება, პრობლემურ საკითხებზე დისკუსია და საჭიროების შემთხვევაში სს “საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელობასთან ერთად მათი გადაწყვეტა.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

არსებული რეგულაციის მიხედვით, კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია ციკლზე: დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე - გააუმჯობესე და პროგრამების განხორციელების ხარისხთან დაკავშირებული პროცესები მიმდინარეობს აღნიშნული ციკლის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

კოლეჯში სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ ორჯერ ხდება პროგრამის განხორციელების შეფასება დაინტერესებულ მხარეებთან, პრობლემურ საკითხებზე დისკუსია და საჭიროების შემთხვევაში სს ,,საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელობასთან ერთად მათი გადაწყვეტა. საანგარიშო პერიოდში დაწესებულებაში გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებისათვის შექმნილია ფოკუს ჯგუფები.

კოლეჯის შიდა მხარდაჭერის ჯგუფის თავმჯდომარის მოხსენებითი ბარათების, ანგარიშების და სხვა დოკუმენტების მიხედვით ვლინდება, რომ შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირდა პროგრამის გაუმჯობესების მიმართულებები, რაც გათვალისიწინებულ იქნა კოლეჯის დირექტორის მიერ და განხორციელდა სათანადო აქტივობები, ისეთები როგორიცაა: პროგრამისათვის მოდულებში სწავლების მეთოდების ცვლილება, სასწავლო რესურსების განახლება და სხვ.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა პროგრამის შეფასების შედეგების მიხედვით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილი კორესპონდენცია ჩარჩო დოკუმენტის ცვლილებების შესახებ, პროგრამაში შესაბამისი ცვლილებები განხორციელებულია დაწესებულების დადგენილი წესით და პირობებით, დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი“;
- კვლევების შედეგების ანალიზი;
- პროგრამაში ცვლილებების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის წესი;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამისთვის „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა“ შედგენილია სასწავლო გეგმა. სასწავლო გეგმა შედგენილია თანმიმდევრულად, დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული მოდულების წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმის აგებისას გათვალისწინებულია სწავლის შედეგების ხელახალი დადასტურების შესაძლო გონივრული ვადა. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასწავლო გეგმის მიხედვით, რაც დასტურდება მეცადინეობების ცხრილით, კალენდარული გეგმებით და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებით.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. კერძოდ, დაწესებულების წარმომადეგენელთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ სს „საქართველოს რკინიგზაში“ დასაქმებული პროფესიულ სტუდენტთა მეცადინეობების განრიგის შემუშავებისას გაითვალისწინება მათ ხელმძღვანელებთან წინასწარი კონსულტაციების შედეგები და მეცადინეობის განრიგი მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებზე. საქართველოს რკინიგზაში დასაქმებული პირების მეცადინეობებზე დასწრების მონაცემები ეგზავნება საქართველოს რკინიგზის ადმინისტრაციას შემდგომი რეაგირებისათვის.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. B გარემოში ინსტალირებულია დარგთან დაკავშირებული პროგრამული უზრუნველყოფები. სასწავლო პროცესში გამოიყენება თანამედროვე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

მეთოდები, კერძოდ, კოლეჯში სწავლება მიმართულია პროფესიული სტუდენტებისათვის ტრანსფერული და პროფესიული უნარების განვითარებისკენ. სწავლება ხდება მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, სადაც პროფესიული მასწავლებელი ორიენტირებულია სტუდენტის ინტერესებზე. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციით, მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილებითა და გავლილი ტრენინგებით. დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფილია როგორც კოლეჯში, ისე პრაქტიკის ობიექტებზე: რკინიგზის დარგის გამოცდილი პრაქტიკოსი სპეციალისტები და განათლების დარგში მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პირები გადამზადებულნი არიან პროფესიული სწავლების სპეციფიკაში და მეთოდოლოგიაში.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-8 მუხლის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება არის მაშინ როცა:

ა) სსსმ პირი, სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს;

ბ) რომლის სწავლის შედეგები განსხვავებული აქვს კოლეჯის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან;

გ) პირი, რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ერთ თვეზე მეტხანს ან/და დაუგროვდა საპატიო გაცდენების დიდი ოდენობა და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას.

„ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების არსებობისას, პროფესიული განათლების მასწავლებელი წერილობით მიმართავს ადმინისტრაციას, რის საფუძველზეც ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ხორციელდება სასწავლო პროცესზე დასწრება - დაკვირვების მიზნით, თუ ფაქტი დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებელი 5 სამუშაო დღის ვადაში შეიმუშავებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელსაც წარუდგენენ ხარისხის მართვის მენეჯერს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

შესაბამისობის შემთხვევაში ხარისხის მართვის მენეჯერი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

„ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების არსებობისას, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხდება ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა თითოეული სასწავლო კურსის/მოდულის ფარგლებში წინამდებარე დებულებით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა მობილობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით.

„გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების გამოვლენისას, პროგრამის ხელმძღვანელი პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული პროგრამის სწავლის შედეგებს და შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესაბამისად პროფესიული სტუდენტის საჭიროებების გათვალისწინებით, რათა მოხდეს სტატუს აღდგენილი სტუდენტის ჩართვა სასწავლო პროცესში ასათვისებელი სასწავლო კურსების წინაპირობების დაცვით.

გარდა ამისა, პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებიც დასაქმებულნი არიან სს „საქართველოს რკინიგზაში“, უშუალოდ სს „საქართველოს რკინიგზისაგან“ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათი სამუშაო გრაფიკის გათვალისწინების მიზნით, კოლეჯი შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო ცხრილს, საკონტაქტო საათების 2 სამუშაო დღესა და შაბათზე გადანაწილების გზით.

პანდემიიდან გამომდინარე, კოლეჯში სასწავლო პროცესი ხორციელდება დისტანციური სწავლების ჰიბრიდული მოდელის შესაბამისად. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 სექტემბრის №102 ბრძანებით დამტკიცებული ,,ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში განხორციელების წესი“ ითვალისწინებს დისტანციური სასწავლო პროცესის იმგვარად ორგანიზებას, რომ არც ერთი პროფესიული სტუდენტი (შემდგომში - სტუდენტი) არ აღმოჩნდეს დისტანციური სასწავლო პროცესის მიღმა, ან არ ჩამორჩეს სასწავლო პროცესს. სურვილის შემთხვევაში, სთავაზობს კოლეჯის სივრცეში არსებული ტექნიკას დისტანციურ მეცადინეობებზე დასასწრებად. იმ შემთხვევაში, თუ მიუხედავად აღნიშნულისა სტუდენტი ვერ შეძლებს სასწავლო პროცესში ჩართვას, კოლეჯი დისტანციური სწავლების დასრულების შემდეგ შესთავაზებს მას ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. ექსპერტთა მხრიდან გადამოწმდა აღნიშნული რეგულაციების პრაქტიკაში გამოყენების მაგალითები, დოკუმენტაციით დასტურდება, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა“ ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს და დარგის ტექნოლოგიებს. სწავლების შედეგების მიღწევა დაგეგმილია როგორც დაწესებულების შენობაში, ასევე პარტნიორ დაწესებულებაში. სსს „საქართველოს რკინიგზასთან“ დუალური მიდგომით სწავლებისთვის გაფორმებულია ხელშეკრულება იუს/22-006 11/03/2022წ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობის“ განხორციელების შესახებ, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, რომლის მიხედვითაც პრაქტიკის ობიექტი გამოთქვამს მზადყოფნას, მოცემული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში თითო ნაკადზე მიიღოს 30 პროფესიული სტუდენტი.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამით განსაზღვრული მოდულების თეორიული კომპონენტის სწავლებისთვის გამოიყენება კოლეჯის აუდიტორიები, სადაც უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო გარემო. რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებული მოდულების პრაქტიკულ კომპონენტების სწავლებას, რომელიც ხორციელდება კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, სსს „საქართველოს რკინიგზასთან“ ხელშეკრულებაში გაწერილია პირობა, რის თანახმადაც ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის უსაფრთხო გარემო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა“ სასწავლო გეგმა;
- ხელშეკრულება იუს/22-006 11/03/2022წ. სს საქართველოს რკინიგზასთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობის“ განხორციელების შესახებ, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში;
- კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ცვლილება შევიდა დირექტორის 2022 წლის 17 მარტის #44 ბრძანებით);
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში განხორციელების წესი“;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის №30 ბრძანებით (ცვლილება შევიდა კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის №40 ბრძანებით) დამტკიცებულია ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში „მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი“. დოკუმენტის მე-2 მუხლის მიხედვით, პროფესიული სტუდენტის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას; სანდოობას; მოქნილობას; სიმარტივეს; მიუკერძოებლობასა და სამართლიანობას.

„პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესში“ აღწერილია:

- შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა (მუხლი 3.);
- შეფასების ინსტრუმენტის მიმართ განსაზღვრული მოთხოვნები და სტრუქტურა (მუხლი 4.);
- შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცედურა(მუხლი 5.) - შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს მოდულის განმახორციელებელი პირ(ებ)ი და შემუშავებულ პროექტს იხილავს სასწავლო პროცესის მენეჯერი, შესაბამის დარგის სპეციალისტთან ერთად, რომელიც არ მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში.
- შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირი და შენახვის ვადები(მუხლი 7.);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- შეფასების გაფორმება (მუხლი 8.);
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის (მუხლი 9.)
- პროფესიული სტუდენტის შეფასება (მუხლი10.)
- პროფესიული სტუდენტისათვის შედეგის დადასტურების/გასაჩივრების პროცედურა (მუხლი 11.)
- საკვალიფიკაციო გამოცდა (მუხლი 13.)

ექსპერტების მხრიდან შეფასდა წესების შესაბამისად არსებული მდგომარეობა: შერჩევითობის პრინციპით შემოწმდა **შეფასების ინსტრუმენტები, მტკიცებულებების და შეფასების პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტები, განხორციელდა ინტერვიუ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და სასწავლო პროცესის სამსახურის თანამშრომლებთან, შედეგების შეჯამებით დასტურდება რომ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. ვერიფიკაციის პროცედურა ხორციელდება ვერიფიკაციის ჯგუფის ჩართულობით (იქმნება კოლეჯის დირექტორის მიერ), რომელსაც ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯერი. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის ბრძანებით №42 „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ“, შექმნილია ვერფიკაციის ჯგუფი, რომელსაც ჰყავს ძირითადი და დამატებითი წევრები. ძირითადი წევრებია: კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი (ჯგუფის თავმჯდომარე); კოლეჯის საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი. დამატებითი წევრებს განსაზღვრავს ჯგუფის თავმჯდომარე, ჯგუფის წევრი არ შეიძლება იყოს ის პირი, რომელიც მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტის შექმნის ან შეთანხმების პროცესში. ვერიფიკაცია ხდება კოლეჯში წინასწარ შემუშავებული რისკების სისტემის მონაცემების შესაბამისად, რისკ-ფაქტორების კოეფიციენტების გათვალისწინებით. ვერიფიკაციის პროცედურა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

ხორციელდება განსაზღვრული სქემის შესაბამისად. ვერიფიკაციის პროცედურის შედეგად, ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ დგება დასკვნა რომელშიც ნათლად და დასაბუთებულად უნდა იქნას ასახული, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭირვალე, სამართლიანი და ობიექტური. დასკვნაში იდენტიფიცირებული უნდა იქნას ვერიფიკაციის პროცედურის დროს წამოჭრილი ყველა პრობლემა. ვერიფიკაციის დასკვნის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო პროცესის მენეჯერი ადგენს დასკვნაში არსებული რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმას, სადაც სრულყოფილად უნდა ასახოს ყველა განსახორციელებელი აქტივობა, განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი. აღნიშნული რეკომენაციების შესრულებაზე მონიტორინგის ვალდებულება აქვს ხარისხის მართვის მენეჯერს. ვერიფიცირებულ შეფასების ინსტრუმენტზე განთავსებულია წარწერა - „ვერიფიცირებულია“ და ხარისხის მართვის მენეჯერის ხელმოწერა.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია ვერიფიკაციის ჯგუფის სამუშაო შეხვედრათა ოქმები. 2021 წლის 3 ივნისით დათარიღებული ოქმი #6-ის მიხედვით, განხორციელდა „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული მოდულების ფარგლებში შექმნილი შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციის საკითხის განხილვა, ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილ იქნა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის სქემა. ჯგუფის წევრებმა შეიმუშავეს ვერიფიკაციის დასკვნა, რომელშიც ასახულია გამოვლენილი ნაკლოვანებები და რეკომენდაციები. პერსონალური მონაცემების დაცვით ვერიფიკაციის შედეგები დაეგზავნა დაინტერესებულ პირებს. დაწესებულებაში შემუშავებული და დამტკიცებულია 2022 წლის ვერიფიკაციის გეგმა , პროცესი დაწყებულია და წლის ბოლომდე გრძელდება.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის №30 ბრძანებით (ცვლილება შევიდა კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის №40

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

ბრძანებით) დამტკიცებულია „პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი“ რის თანახმადაც, შეფასების მტკიცებულებები ინახება პროფესიული სტუდენტის კვალიფიკაციის მინიჭებამდე, სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება 3 წლის ვადით.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. კოლეჯის პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესის მე-9 და მე-10 მუხლების თანახმად, კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერდადასტურების მაჩვენებლები) შეგროვებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იყენებს მათ პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნებისათვის. ასევე, განმავითარებელი შეფასების შედეგების შეჯამების შემდეგ პროფესიულ სტუდენტს ეცნობება მისი მიღწევებისა და ნაკლოვანებების შესახებ. პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელი თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის შეიმუშავებს რეკომენდაციებს. პროფესიული სტუდენტის განმავითარებელი შეფასების შედეგები და რეკომენდაციები თავსდება პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში.

სტუდენტთა დახასიათებების ანალიზი დაწესებულებას ეხმარება პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენაში, განვითარების დინამიკაზე დაკვირვებაში და საჭიროების შემთხვევაში მათ ხელშესაწყობად შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის №30 ბრძანება (ცვლილება შევიდა კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის №40 ბრძანებით) დამტკიცებული ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში „მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი“;
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის წესი;
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის ბრძანება №42 „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ“;
- ვერიფიკაციის ჯგუფის სამუშაო შეხვედრის ოქმი;
- შეფასების ინსტრუმენტები;
- კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ცვლილება განხორციელებულია 2020 წლის 12 მარტის №15 ბრძანებით);
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

IX.ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგზაო მშენებლობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი: ქ. თბილისი, თემქის დასახლება, XI მკ.რ. III კვ. ნაკვეთი 01/10
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	დუალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	95
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	110

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	**სრული 3**	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	**სრული 3**	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	**სრული 3**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	**მეტწილი 2**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

XI.სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას**

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მისიაა "თანამედროვე საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის, ეროვნული და საერთაშორისო ღირებულებების მატარებელი, კონკურენტუნარიანი პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციური კადრებით საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოთხოვნების დაკმაყოფილება სარკინიგზო ტრანსპორტის სფეროში და მათი საგანმანათლებლო მიზნების მიღწევისა და წარმატებული დასაქმებისთვის პირობების შექმნა", კოლეჯის განვითარების სტრატეგიულ შვიდწლიან გეგმაში ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრულია დამსაქმებელთან შეთანხმებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, მათ დანერგვასა და განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა. პროფილიდან გამომდინარე, კოლეჯი ძირითადად ლოგისტიკური და სარკინიგზო მიმართულების სფეროზეა ორიენტირებული. შესაბამისად, მისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს ლოგისტიკური და სარკინიგზო მიმართულების პროფილის პროფესიების განხორციელება, რაც კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმაშიც გაწერილია. ამასთან, კოლეჯის მიერ ყველა საგანმანათლებლო პროგრამის დამატება და განხორციელება ხდება უშუალოდ დამფუძნებელთან - სს საქართველოს რკინიგზასთან კონსულტაციების საფუძველზე მიღწეული შეთანხმების, შრომის ბაზრის კვლევის, სტატისტიკური მონაცემებისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

კოლეჯის განვითარების სტრატეგიულ შვიდწლიან გეგმაში ერთ-ერთ ამოცანად 2020-2021 წლიდან განსაზღვრულია ინტეგრირებული სწავლების დანერგვა კოლეჯში. კოლეჯის ინტერესია, მონაწილეობა მიიღოს პროფესიული განათლების რეფორმაში და ინტეგრირებული სწავლების დანერგვით და უფრო მოქნილი და ხელმისაწვდომი გახადოს პროფესიული განათლება.

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი“, რომლის მოთხოვნების დაცვით განხორციელდა პროგრამის დაგეგმვა და დამტკიცება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა“ საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება ეხმიანება ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის 2016-2023 წლების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის №1 სტრატეგიულ მიზანს.

სატრანსპორტო სექტორის ერთერთი უმნიშვნელოვანესი დარგი რკინიგზა საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი საყრდენია. საქართველოს რკინიგზის დარგის წინაშე არსებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა თანამედროვე ინფრასტრუქტურის განვითარება და მაღალი კვალიფიკაციის კადრებით დარგის მომარაგება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რკინიგზის ლიანდაგის მოვლა-შენახვის, რემონტის, მშენებლობის და მოდერნიზაცია/რეკონსტრუქციის პროცესებში მონაწილე პროფესიონალური კადრების მომზადება, ვინაიდან სს საქართველოს რკინიგზაში, რომლის გაშლილი სიგრძე 1992 კმ-ია და ელექტროფიცირებული სალიანდაგო მეურნეობაა.

2018 წლიდან კოლეჯმა დაიწყო საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი“ განხორციელება. სალიანდაგო მეურნეობა სს საქართველოს რკინიგზაზე ყველაზე მეტი კონტიგენტითაა წარმოდგენილი (დაახლოებით 3000 კაცი), ხშირად აქვს ადგილი კადრების გადინებას და აუცილებელ პირობას წარმოადგენს მათი ჩანაცვლება ახალი კადრებით. აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგის პროფესიული პროგრამის განხორციელებით, რომელიც მოიცავს სარელსო დეფექტოსკოპიის ოპერატორის მოსამზადებელ მოდულებს.

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე დიდ მნიშვნელობას იძენს კოლეჯში რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით მოდულური პროგრამის ,,რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი“ განხორციელება ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას, შეესაბამება კოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრული დაშვების წინაპირობები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტით - „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა“ განსაზღვრულ წინაპირობებთან, კერძოდ დაშვების წინაპირობებად განსაზღვრულია საბაზო განათლება, მინიმალური ასაკი 18 წელი. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები გაწერილია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში და იგი ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესსა და პირობებს“. დუალური პროგრამების შემთხვევაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევის პროცესში ჩართულნი არიან წარმოების წარმომადგენლები. კოლეჯის მიერ აპლიკანტთა შერჩევა საავტორიზაციო პროგრამაზე ხორციელდება მოტივაციური გასაუბრებითა და ტესტირებით.ექსპერტების მიერ გადამოწმდა შერჩევითი პრინციპით პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურების შესაბამისად არსებული მდგომარეობა, შევსებული ტესტები, კომისიის მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია , ჩარიცხვის ბრძანება და პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, განხორციელდა გასაუბრება პროფესიულ სტუდენტებთან, მათაც დაადასტურეს მატერიალურად ნანახი მტკიცებულებების სისწორე, შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №89 ბრძანებით დამტკიცებულია „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (ცვლილება შევიდა დირექტორის 2021 წლის 30 ივნისის #51 ბრძანებით), რომლის მიხედვით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

- A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა ან სასწავლო გარემოს ფართი ან პროგრამის განმახორციელებელ საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა, ან რამოდენიმე საწარმოს არსებობისას - მათი ჯამი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა;
- საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი;
- მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი“ მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობისა და განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობასთან დაკავშირებით დოკუმენტში აღნიშნულია, რომ არსებული კვოტისათვის კოლეჯს ყავს სათანადო კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლები, გააჩნია ყველა საჭირო რესურსი და უზრუნველყოფს პრაქტიკის სრულყოფილ გატარებას სს საქართველოს რკინიგზაში.

აღნიშნული პროფესიული პროგრამისთვის დადგენილია საერთი კვოტა 30 პროფესიული სტუდენტის ოდენობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

პასუხისმგებელ პირთა ინტერვიუირებისა და კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების, ასევე, პროგრამის ანალიზითა და პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებით **დასტურდება, რომ კოლეჯმა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განსაზღვრა არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.**

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი" მოდულების განხორციელებისათვის დამტკიცებული აქვს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და რესურსების სია, რომლებიც უზრუნველყოფს მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულებში მითითებულია მოდულების განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსი, რომელთა შინაარსი შესაბამისობაშია შესაბამისი მოდულის სწავლის შედეგებთან, შესაბამისად **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

დამტკიცებული პროგრამას აქვს 5 არჩევითი მოდული, 16 კრედიტის მოცულობით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი" არჩევითი მოდულები ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

კოლეჯის წესდების მე-5 მუხლის 5.1.2. პუნქტის შესაბამისად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი. ასევე, კოლეჯის მიერ შემუშავებულია ,,ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი“, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 23 მაისის №43 ბრძანებით (ცვლილება 1 - 2020 წლის 5 ივნისის №59 ბრძანება; ცვლილება 2 – 2022 წლის 9 მარტის #31 ბრძანება). რეგულაციის მიხედვით პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი და მასვე აქვს პროგრამაში ცვლილებების დამტკიცების უფლებამოსილება.

შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი” დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის - კოლეჯის დირექტორის მიერ 2018 წლის 12 იანვარს №24 ბრძანებით და მასში ცვლილებაც განხორციელებულია დირექტორის 2022 წლის 1 მარტის №24 ბრძანებით.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი“ შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის - „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა“ საფუძველზე. შესაბამისად, წარმოდგენილი პროგრამის სახელწოდება სრულ შესაბამისობაშია როგორც შინაარსთან, ასევე პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის - სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა (სარეგისტრაციო ნომერი 07318-პ) საფუძველზე. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში მოქმედი “პროფესიული საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი“, საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მის შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან. პროგრამით განსაზღვრულია

პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიდგომები. საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი შედგება პროგრამის ძირითადი დოკუმენტის, მოდულებისა და სასწავლო გეგმისგან (მათ შორის ქართული ენის A2 გათვალისწინებით და მის გარეშეც). ვინაიდან პროგრამა დუალურად ხორციელდება, სასწავლო გეგმაში და მოდულებში მითითებულია სწავლის შედეგების განაწილება და ხელშეკრულებები პარტნიორ კომპანიასთან. ასევე, დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელების სპეციფიკის ამსახველი სასწავლო გეგმა. **შესაბამისად პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის მისია;
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა 2016-2023 წლებისთვის;
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის 2020 წლის სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 იანვრის №3 ბრძანებით (ცვლილება განხორციელებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის №41 ბრძანებით);
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი“ მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობისა და განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ცვლილება შევიდა დირექტორის 2022 წლის 17 მარტის #44 ბრძანებით);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №89 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (ცვლილება შევიდა დირექტორის 2021 წლის 30 ივნისის #51 ბრძანებით);
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 12 იანვრის №24 ბრძანებით (ცვლილება შევიდა დირექტორის 2022 წლის 1 მარტის №24 ბრძანებით) დამტკიცებული პროგრამა „რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი“;
- კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 23 მაისის №43 ბრძანებით (ცვლილება 1 - 2020 წლის 5 ივნისის №59 ბრძანება; ცვლილება 2 – 2022 წლის 9 მარტის #31 ბრძანება) დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების (მოდულური პროგრამის), პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურის წესის და მატერიალური რესურსების მართვის წესი;
- „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის“ წესდება;
- დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა კოლეჯისა და პარტნიორი კომპანიის მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ადეკვატურია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

სწავლებისათვის კოლეჯს გააჩნია A, B და ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნათა საფუძველზე აღჭურვილი C გარემო. A ტიპის სასწავლო გარემო (აუდიტორია #507) აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

- 15 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისათვის;
- 1 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის;
- 1 ერთეული დაფა;
- 1 ერთეული პროექტორი და პროექტორის ეკრანი;
- ერთეული პორტატული კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის.

B ტიპის სასწავლო გარემო (აუდიტორია #304) აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

- 15 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისათვის;
- 1 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის;
- 1 ერთეული დაფა;
- 1 ერთეული პროექტორი და პროექტორის ეკრანი;
- 1 ერთეული პორტატული კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის;
- 15 ერთეული კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისთვის;
- 1 ერთეული პრინტერი.

C ტიპის სასწავლო გარემოში (აუდიტორია #107) განთავსებულია აღნიშნული პროგრამის სწავლებისთვის განკუთვნილი აღჭურვილობა.პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებისთვის კოლეჯს გააჩნია სათანადო პარამეტრების მქონე რკინიგზის ლიანდაგის პოლიგონი.

დაწესებულების მფლობელობაში არსებული სასწავლო ფართი და შესაბამისი აუდიტორიების აღჭურვილობა იძლევა საშუალებას სასწავლო პროცესი სრულყოფილად განხორციელდეს. გასათვალისწინებელია, რომ კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №89 ბრძანებით „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

დამტკიცების შესახებ“ (ცვლილება შევიდა 2021 წლის 30 ივნისის #51 ბრძანებით) მე- 3 მუხლის მიხედვით, კოლეჯში სწავლის განხორციელება შესაძლებელია 2 ცვლაში, დღეში 12 საათიანი, კვირაში 60 საათიანი დატვირთვით.

მოდულური პროგრამისათვის ,,რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი“ დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება იუს/22-007 11/03/2022წ. სს საქართველოს რკინიგზასთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგის“ განხორციელების შესახებ, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

პრაქტიკის ობიექტი სწავლებისთვის თითო ნაკადზე მიიღებს ერთდროულად არაუმეტეს 30 პროფესიულ სტუდენტს. კოლეჯში მისაღწევი სწავლის შედეგების რაოდენობაა - 15 (46,9%). პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგების რაოდენობაა - 17 (53,1%). აღნიშნული პროფესიული პროგრამისთვის დადგენილია საერთო კვოტა 30 პროფესიული სტუდენტის ოდენობით. სასწავლო პროცესი გრძელდება არაუმეტეს 2 წელიწადი. წელიწადში კოლეჯი იღებს 15 პროფესიულ სტუდენტს ერთ ჯგუფად. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულადაა უზრუნველყოფილი დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

პროგრამას განახორციელებს 41 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ზოგადი მოდულების განხორციელების მიზნით კოლეჯს შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს 20 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, დარგობრივი მოდულების განხორციელების მიზნით - 21 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. თითოეული მოდულისთვის კოლეჯს ყავს მინიმუმ 2 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიულ მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემის, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის, პროგრამის სასწავლო გეგმისა და პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების (ხელშეკრულებაში მოცემულია ჩანაწერი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის თაობაზე) შინაარსის მიხედვით, მასწავლებელთა დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას და ითვალისწინებს საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებს. ადმინისტრაციის წარმომადგენელს, სათანადო კვალიფიკაციის არსებობის შემთხვევაში აქვს სასწავლო პროცესის განხორციელების უფლებაც. აღნიშნული პრაქტიკა დანერგილია დაწესებულებაში, დოკუმენტაციის გადამოწმების და გასაუბრების შედეგებით დადგინდა, რომ სასწავლო დატვირთვის მაქსიმალური ზღვარი არ არის განსაზღვრული და დარეგულირებელი დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტებით, სასურველია დაწესებულებამ დაარეგულიროს აღნიშნული საკითხი.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია კოლეჯის დირექტორის ბრძანებაში: „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამშრომლების, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ“. ასევე კოლეჯის პერსონალის მართვის წესი არეგულირებს პერსონალის შერჩევის წესს, კოლეჯში პროფესიულ მასწავლებლებად მიიღებიან შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები. დუალურ პროგრამებზე ძირითადად შერჩეულია პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომლებსაც შესაბამის კვალიფიკაციასთან ერთად, აქვთ სამუშაო გამოცდილებაც პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები, რომელთა საფუძველზეც, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგები მიღწევის შესაძლებლობას. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება კოლეჯის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ვიზიტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

პერიოდში განხორციელდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან, ასევე პრაქტიკის ობიექტზე არსებულ ინსტრუქტორებთან ინტერვიუ. გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებლებს ხშირად უტარდებათ სხვადასხვა ტიპის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები თუ ტრენინგები როგორც დარგობრივ კომპეტენციაში, ასევე, სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილ იქნა შესაბამისი მტკიცებულებები, მათ შორის დასწრების ფურცლები; **დოკუმენტაციის ანალიზით და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 32-ე მუხლითა და კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 9 მარტის №33 ბრძანებით „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ“.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი დანიშნულია დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 1 მარტის №24 ბრძანებით. პირად საქმეში დევს მისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და შესაბამისობაშია კოლეჯის მიერ დაწესებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. შესაბამისად, მას აქვს შესაძლებლობა, სრულფასოვნად უხელმძღვანელოს პროგრამის განხორციელების პროცესს. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის შესაბამისობაც დასტურდება მისი კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით. პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაოს ანაზღაურებას უზრუნველყოფს სს „საქართველოს რკინიგზა“. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობაში დეტალურადაა გაწერილი მის მიერ შესასრულებელი ფუნქცია-მოვალეობები.

ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და მუშაობს პროგრამის განვითარების მიმართულებით. იღებს მონაწილეობას პროგრამის შეფასების, განვითარების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში. კოლეჯში პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ანალიზდება და საჭიროების შემთხვევაში ხდება პროფესიულ სტუდენტთან ინდივიდუალური გასაუბრება მისი მიღწევების გაუმჯობესებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების მიზნით. პროგრამის ხელმძღვანელი ინდივიდუალურად, თითოეულ სტუდენტზე ადგენს დახასიათებას. აღნიშნულის მიზანია როგორც პროფესიული სტუდენტის განვითარება, ასევე დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე მისი უსაფრთხოებისადმი ინდივიდუალური მიდგომის უზრუნველყოფა პრაქტიკის ობიექტზე.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში. დაწესებულებას ელექტრონული პროგრამის სახით შემუშავებული აქვს საბიბლიოთეკო კატალოგი. ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის. კვალიფიციური ბიბლიოთეკარი ახორციელებს საბიბლიოთეკო ფონდის მოხმარების აღრიცხვას, ივსება მკითხველის ბარათები, რითაც დასტურდება სასწავლო პროცესში საგანმანათლებლო რესურსის გამოყენების ფაქტი.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტის ქსელში ჩართული 3 სამაგიდო კომპიუტერი მკითხველებისთვის და ერთი პორტატული კომპიუტერი ბიბლიოთეკარისთვის, საოფისე კომბაინი (მრავალფუნქციური პრინტერი), ქაღალდების ასაკინძი და ლამინირების მოწყობილობა. კოლეჯი სარგებლობს საბიბლიოთეკო პროგრამით OpeNBiblio. დაწესებულებას აქვს წვდომა სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს (matsNe.gov.ge) ვებ გვერდზე. ექსპერტების მხრიდან გადამოწმდა პროფესიული სტუდენტების მიერ რესურსებით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასევე მათთან გასაუბრებამ დაადასტურა, რომ **საგანმანათლებლო პროგრამაში**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

კოლეჯში გაწერილია მარეგულირებელი წესები კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 30-ე მუხლით, იმისათვის, რომ სსსმ პირების წვდომა იქნას უზრუნველყოფილი პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, ასევე მოხდეს მათი ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; ჯერჯერობით, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში მსგავსი საჭიროება არ დამდგარა, თუმცა კოლეჯს აქვს მზაობა. მოახდინოს სასწავლო რესურსების ადაპტირება, იქნება ეს დამხმარე ტექნიკის, პროგრამული უზრუნველყოფის, ბრაილის შრიფტის, დასურათებული სახელმძღვანელოების, მასალის შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტაციის გამოყენებით თუ სხვა სპეციფიკური მოთხოვნით. დაწესებულების განმარტებით სასწავლო რესურსის ადაპტირება არ დასჭირვებიათ.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

პროგრამის „რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი“ განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით, ვინაიდან პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება იღებს ვაუჩერულ და პროგრამულ დაფინანსებას. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასებისა და დაწესებულების ხელმძღვანელის განმარტების მიხედვით, კოლეჯის ფუნქციონირებისათვის ფინანსური უზრუნველყოფის ნაწილში ჩართულია, როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ისე სს „საქართველოს რკინიგზა“ 50%-იანი წილობრივი მონაწილეობით, სამინისტროს, სს “საქართველოს რკინიგზის“, სსიპ - საქართველოს ტექნიკური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს შორის 2016 წლის 27 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი. რენტაბელურობის ზღვარად მიჩნეულია მინიმუმ 6 პროფესიული სტუდენტი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №89 ბრძანება „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ (ცვლილება შევიდა 2021 წლის 30 ივნისის #51 ბრძანებით);
- ხელშეკრულება იუს/22-007 11/03/2022წ. სს საქართველოს რკინიგზასთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგის“ განხორციელების შესახებ, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.
- კოლეჯის დირექტორის ბრძანება „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამშრომლების, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ“;
- კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ცვლილება შევიდა დირექტორის 2022 წლის 17 მარტის #44 ბრძანებით);
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთად და ინსტრუქტორებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ;

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესის“ მიხედვით, კოლეჯში შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად, განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების საშუალებით. სისტემა ძირითადად დაფუძნებულია პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისშეფასების მიზნით კოლეჯს:

- შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა;
- პროგრამის შეფასებისათვის შედგენილი აქვს პროფესიულ სტუდენტთა კითხვარი, პროფესიული განათლების მასწავლებლების კითხვარი, დამსაქმებელთა კითხვარი დაკურსდამთავრებულთა კითხვარი.

- შეფასება ტარდება გამოკითხვის მეთოდით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით, შეფასების შედეგების საფუძველზე, ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. ასევე, კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით (ცვლილება 2020 წლის 5 ივნისის №58 ბრძანება) დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის წესი“, რომლის შესაბამისადაც, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირსდაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო პრაქტიკას. წარმოდგენილი მტკიცებულებების და გასაუბრების სედეგებით დასტურდება, რომ კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება ე.წ. დემინგის ციკლის შესაბამისად, კოლეჯის დამფუძნებლის სს „საქართველოს რკინიგზის“, როგორც შრომის ბაზრის უმსხვილესი დამსაქმებლის, დარგის გამოცდილი სპეციალისტები უშუალოდ არიან ჩართულნი კოლეჯის მიერ განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სხვა აქტივობების დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარების პროცესში. სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ ორჯერ ხდება დაინტერესებულ მხარეებთან პროგრამის განხორციელების შეფასება, პრობლემურ საკითხებზე დისკუსია და საჭიროების შემთხვევაში სს “საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელობასთან ერთად მათი გადაწყვეტა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

არსებული რეგულაციის მიხედვით, კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია ციკლზე: დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე - გააუმჯობესე და პროგრამების განხორციელების ხარისხთან დაკავშირებული პროცესები მიმდინარეობს აღნიშნული ციკლის შესაბამისად.

კოლეჯში სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ ორჯერ ხდება პროგრამის განხორციელების შეფასება დაინტერესებულ მხარეებთან, პრობლემურ საკითხებზე დისკუსია და საჭიროების შემთხვევაში სს ,,საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელობასთან ერთად მათი გადაწყვეტა. საანგარიშო პერიოდში დაწესებულებაში გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებისათვის შექმნილია ფოკუს ჯგუფები.

კოლეჯის შიდა მხარდაჭერის ჯგუფის თავმჯდომარის მოხსენებითი ბარათების, ანგარიშების და სხვა დოკუმენტების მიხედვით ვლინდება, რომ შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირდა პროგრამის გაუმჯობესების მიმართულებები, რაც გათვალისიწინებულ იქნა კოლეჯის დირექტორის მიერ და განხორციელდა სათანადო აქტივობები, ისეთები როგორიცაა: პროგრამისათვის მოდულებში სწავლების მეთოდების ცვლილება, სასწავლო რესურსების განახლება და სხვ.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა პროგრამის შეფასების შედეგების მიხედვით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილი კორესპონდენცია ჩარჩო დოკუმენტის ცვლილებების შესახებ, პროგრამაში შესაბამისი ცვლილებები განხორციელებულია დაწესებულების დადგენილი წესით და პირობებით, დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი“;
- კვლევების შედეგების ანალიზი;
- პროგრამაში ცვლილებების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის წესი;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

საჭიროებები;

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამისთვის „რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი“ შედგენილია სასწავლო გეგმა. სასწავლო გეგმა შედგენილია თანმიმდევრულად, დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული მოდულების წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმის აგებისას გათვალისწინებულია სწავლის შედეგების ხელახალი დადასტურების შესაძლო გონივრული ვადა. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასწავლო გეგმის მიხედვით, რაც დასტურდება მეცადინეობების ცხრილით, კალენდარული გეგმებით და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებით.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. კერძოდ, დაწესებულების წარმომადეგენელთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ სს „საქართველოს რკინიგზაში“ დასაქმებული პროფესიულ სტუდენტთა მეცადინეობების განრიგის შემუშავებისას გაითვალისწინება მათ ხელმძღვანელებთან წინასწარი კონსულტაციების შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

და მეცადინეობის განრიგი მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებზე. საქართველოს რკინიგზაში დასაქმებული პირების მეცადინეობებზე დასწრების მონაცემები ეგზავნება საქართველოს რკინიგზის ადმინისტრაციას შემდგომი რეაგირებისათვის.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. B გარემოში ინსტალირებულია დარგთან დაკავშირებული პროგრამული უზრუნველყოფები. სასწავლო პროცესში გამოიყენება თანამედროვე მეთოდები, კერძოდ, კოლეჯში სწავლება მიმართულია პროფესიული სტუდენტებისათვის ტრანსფერული და პროფესიული უნარების განვითარებისკენ. სწავლება ხდება მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, სადაც პროფესიული მასწავლებელი ორიენტირებულია სტუდენტის ინტერესებზე. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციით, მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილებითა და გავლილი ტრენინგებით. დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფილია როგორც კოლეჯში, ისე პრაქტიკის ობიექტებზე: რკინიგზის დარგის გამოცდილი პრაქტიკოსი სპეციალისტები და განათლების დარგში მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პირები გადამზადებულნი არიან პროფესიული სწავლების სპეციფიკაში და მეთოდოლოგიაში.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-8 მუხლის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება არის მაშინ როცა:

ა) სსსმ პირი, სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

გ) რომლის სწავლის შედეგები განსხვავებული აქვს კოლეჯის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან;

გ) პირი, რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ერთ თვეზე მეტხანს ან/და დაუგროვდა საპატიო გაცდენების დიდი ოდენობა და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას.

„ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების არსებობისას, პროფესიული განათლების მასწავლებელი წერილობით მიმართავს ადმინისტრაციას, რის საფუძველზეც ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ხორციელდება სასწავლო პროცესზე დასწრება - დაკვირვების მიზნით, თუ ფაქტი დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებელი 5 სამუშაო დღის ვადაში შეიმუშავებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელსაც წარუდგენენ ხარისხის მართვის მენეჯერს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისობის შემთხვევაში ხარისხის მართვის მენეჯერი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

„ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების არსებობისას, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხდება ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა თითოეული სასწავლო კურსის/მოდულის ფარგლებში წინამდებარე დებულებით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა მობილობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით.

„გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების გამოვლენისას, პროგრამის ხელმძღვანელი პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული პროგრამის სწავლის შედეგებს და შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესაბამისად პროფესიული სტუდენტის საჭიროებების გათვალისწინებით, რათა მოხდეს სტატუს აღდგენილი სტუდენტის ჩართვა სასწავლო პროცესში ასათვისებელი სასწავლო კურსების წინაპირობების დაცვით.

გარდა ამისა, პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებიც დასაქმებულნი არიან სს „საქართველოს რკინიგზაში“, უშუალოდ სს „საქართველოს რკინიგზისაგან“ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათი სამუშაო გრაფიკის გათვალისწინების მიზნით, კოლეჯი შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო ცხრილს, საკონტაქტო საათების 2 სამუშაო დღესა და შაბათზე გადანაწილების გზით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

პანდემიიდან გამომდინარე, კოლეჯში სასწავლო პროცესი ხორციელდება დისტანციური სწავლების ჰიბრიდული მოდელის შესაბამისად. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 სექტემბრის №102 ბრძანებით დამტკიცებული ,,ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში განხორციელების წესი“ ითვალისწინებს დისტანციური სასწავლო პროცესის იმგვარად ორგანიზებას, რომ არც ერთი პროფესიული სტუდენტი (შემდგომში - სტუდენტი) არ აღმოჩნდეს დისტანციური სასწავლო პროცესის მიღმა, ან არ ჩამორჩეს სასწავლო პროცესს. სურვილის შემთხვევაში, სთავაზობს კოლეჯის სივრცეში არსებული ტექნიკას დისტანციურ მეცადინეობებზე დასასწრებად. იმ შემთხვევაში, თუ მიუხედავად აღნიშნულისა სტუდენტი ვერ შეძლებს სასწავლო პროცესში ჩართვას, კოლეჯი დისტანციური სწავლების დასრულების შემდეგ შესთავაზებს მას ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. ექსპერტთა მხრიდან გადამოწმდა აღნიშნული რეგულაციების პრაქტიკაში გამოყენების მაგალითები, დოკუმენტაციით დასტურდება, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა „რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი“ ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს და დარგის ტექნოლოგიებს. სწავლების შედეგების მიღწევა დაგეგმილია როგორც დაწესებულების შენობაში, ასევე პარტნიორ დაწესებულებაში. სს „საქართველოს რკინიგზასთან“ დუალური მიდგომით სწავლებისთვის გაფორმებულია ხელშეკრულება იუს/22-007 11/03/2022წ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგის“ განხორციელების შესახებ, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, რომლის მიხედვითაც პრაქტიკის ობიექტი გამოთქვამს მზადყოფნას, მოცემული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში თითო ნაკადზე მიიღოს 30 პროფესიული სტუდენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამით განსაზღვრული მოდულების თეორიული კომპონენტის სწავლებისთვის გამოიყენება კოლეჯის აუდიტორიები, სადაც უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო გარემო. რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებული მოდულების პრაქტიკულ კომპონენტების სწავლებას, რომელიც ხორციელდება კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, სს „საქართველოს რკინიგზასთან“ ხელშეკრულებაში გაწერილია პირობა, რის თანახმადაც ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის უსაფრთხო გარემო.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი“ სასწავლო გეგმა;
- ხელშეკრულება იუს/22-007 11/03/2022წ. სს საქართველოს რკინიგზასთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგის“ განხორციელების შესახებ, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში;
- კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ცვლილება შევიდა დირექტორის 2022 წლის 17 მარტის #44 ბრძანებით);
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში განხორციელების წესი“;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის №30 ბრძანებით (ცვლილება შევიდა კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის №40 ბრძანებით) დამტკიცებულია ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში „მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი“. დოკუმენტის მე-2 მუხლის მიხედვით, პროფესიული სტუდენტის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას; სანდოობას; მოქნილობას; სიმარტივეს; მიუკერძოებლობასა და სამართლიანობას.

„პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესში“ აღწერილია:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა (მუხლი 3.);
- შეფასების ინსტრუმენტის მიმართ განსაზღვრული მოთხოვნები და სტრუქტურა (მუხლი 4.);
- შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცედურა(მუხლი 5.) - შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს მოდულის განმახორციელებელი პირ(ებ)ი და შემუშავებულ პროექტს იხილავს სასწავლო პროცესის მენეჯერი, შესაბამის დარგის სპეციალისტთან ერთად, რომელიც არ მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში.
- შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირი და შენახვის ვადები(მუხლი 7.);
- შეფასების გაფორმება (მუხლი 8.);
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის (მუხლი 9.)
- პროფესიული სტუდენტის შეფასება (მუხლი10.)
- პროფესიული სტუდენტისათვის შედეგის დადასტურების/გასაჩივრების პროცედურა (მუხლი 11.)
- საკვალიფიკაციო გამოცდა (მუხლი 13.)

ექსპერტების მხრიდან შეფასდა წესების შესაბამისად არსებული მდგომარეობა: შერჩევითობის პრინციპით შემოწმდა **შეფასების ინსტრუმენტები, მტკიცებულებების და შეფასების პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტები, განხორციელდა ინტერვიუ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და სასწავლო პროცესის სამსახურის თანამშრომლებთან, შედეგების შეჯამებით დასტურდება რომ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. ვერიფიკაციის პროცედურა ხორციელდება ვერიფიკაციის ჯგუფის ჩართულობით (იქმნება კოლეჯის დირექტორის მიერ), რომელსაც ხელმძღვანელობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

ხარისხის მართვის მენეჯერი. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის ბრძანებით №42 „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ“, შექმნილია ვერფიკაციის ჯგუფი, რომელსაც ჰყავს ძირითადი და დამატებითი წევრები. ძირითადი წევრებია: კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი (ჯგუფის თავმჯდომარე); კოლეჯის საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი. დამატებითი წევრებს განსაზღვრავს ჯგუფის თავმჯდომარე, ჯგუფის წევრი არ შეიძლება იყოს ის პირი, რომელიც მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტის შექმნის ან შეთანხმების პროცესში. ვერიფიკაცია ხდება კოლეჯში წინასწარ შემუშავებული რისკების სისტემის მონაცემების შესაბამისად, რისკ-ფაქტორების კოეფიციენტების გათვალისწინებით. ვერიფიკაციის პროცედურა ხორციელდება განსაზღვრული სქემის შესაბამისად. ვერიფიკაციის პროცედურის შედეგად, ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ დგება დასკვნა რომელშიც ნათლად და დასაბუთებულად უნდა იქნას ასახული, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭირვალე, სამართლიანი და ობიექტური. დასკვნაში იდენტიფიცირებული უნდა იქნას ვერიფიკაციის პროცედურის დროს წამოჭრილი ყველა პრობლემა. ვერიფიკაციის დასკვნის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო პროცესის მენეჯერი ადგენს დასკვნაში არსებული რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმას, სადაც სრულყოფილად უნდა ასახოს ყველა განსახორციელებელი აქტივობა, განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი. აღნიშნული რეკომენაციების შესრულებაზე მონიტორინგის ვალდებულება აქვს ხარისხის მართვის მენეჯერს. ვერიფიცირებულ შეფასების ინსტრუმენტზე განთავსებულია წარწერა - „ვერიფიცირებულია“ და ხარისხის მართვის მენეჯერის ხელმოწერა.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია ვერიფიკაციის ჯგუფის სამუშაო შეხვედრათა ოქმები. 2021 წლის 3 ივნისით დათარიღებული ოქმი #6-ის მიხედვით, განხორციელდა „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული მოდულების ფარგლებში შექმნილი შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციის საკითხის განხილვა, ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილ იქნა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის სქემა. ჯგუფის წევრებმა შეიმუშავეს ვერიფიკაციის დასკვნა, რომელშიც ასახულია გამოვლენილი ნაკლოვანებები და რეკომენდაციები. პერსონალური მონაცემების დაცვით ვერიფიკაციის შედეგები დაეგზავნა დაინტერესებულ პირებს. დაწესებულებაში შემუშავებული და დამტკიცებულია 2022 წლის ვერიფიკაციის გეგმა , პროცესი დაწყებულია და წლის ბოლომდე გრძელდება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის №30 ბრძანებით (ცვლილება შევიდა კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის №40 ბრძანებით) დამტკიცებულია „პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი“ რის თანახმადაც, შეფასების მტკიცებულებები ინახება პროფესიული სტუდენტის კვალიფიკაციის მინიჭებამდე, სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება 3 წლის ვადით.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. კოლეჯის პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესის მე-9 და მე-10 მუხლების თანახმად, კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერდადასტურების მაჩვენებლები) შეგროვებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იყენებს მათ პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნებისათვის. ასევე, განმავითარებელი შეფასების შედეგების შეჯამების შემდეგ პროფესიულ სტუდენტს ეცნობება მისი მიღწევებისა და ნაკლოვანებების შესახებ. პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელი თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის შეიმუშავებს რეკომენდაციებს. პროფესიული სტუდენტის განმავითარებელი შეფასების შედეგები და რეკომენდაციები თავსდება პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

სტუდენტთა დახასიათებების ანალიზი დაწესებულებას ეხმარება პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენაში, განვითარების დინამიკაზე დაკვირვებაში და საჭიროების შემთხვევაში მათ ხელშესაწყობად შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის №30 ბრძანება (ცვლილება შევიდა კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის №40 ბრძანებით) დამტკიცებული ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში „მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი“;
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის წესი;
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის ბრძანება №42 „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ“;
- ვერიფიკაციის ჯგუფის სამუშაო შეხვედრის ოქმი;
- შეფასების ინსტრუმენტები;
- კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ცვლილება განხორციელებულია 2020 წლის 12 მარტის №15 ბრძანებით);
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია რკინიგზის ოპერირებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი. ქ. თბილისი, თემქის დასახლება, XI მკ.რ. III კვ. ნაკვეთი 01/10

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	დუალური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	75
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	143
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	173
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	**სრული 3**	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	**სრული 3**	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	**სრული 3**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	**მეტწილი 2**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

XI სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მისიაა "თანამედროვე საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის, ეროვნული და საერთაშორისო ღირებულებების მატარებელი, კონკურენტუნარიანი პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციური კადრებით საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოთხოვნების დაკმაყოფილება სარკინიგზო ტრანსპორტის სფეროში და მათი საგანმანათლებლო მიზნების მიღწევისა და წარმატებული დასაქმებისთვის პირობების შექმნა", კოლეჯის განვითარების სტრატეგიულ შვიდწლიან გეგმაში ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრულია დამსაქმებელთან შეთანხმებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, მათ დანერგვასა და განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა.

პროფილიდან გამომდინარე, კოლეჯი ძირითადად ლოგისტიკური და სარკინიგზო მიმართულების სფეროზეა ორიენტირებული. შესაბამისად, მისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს ლოგისტიკური და სარკინიგზო მიმართულების პროფილის პროფესიების განხორციელება, რაც კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმაშიც გაწერილია. ამასთან, კოლეჯის მიერ ყველა საგანმანათლებლო პროგრამის დამატება და განხორციელება ხდება უშუალოდ დამფუძნებელთან - სს საქართველოს რკინიგზასთან კონსულტაციების საფუძველზე მიღწეული შეთანხმების, შრომის ბაზრის კვლევის, სტატისტიკური მონაცემებისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების გათვალისწინებით.

კოლეჯის განვითარების სტრატეგიულ შვიდწლიან გეგმაში ერთ-ერთ ამოცანად 2020-2021 წლიდან განსაზღვრულია ინტეგრირებული სწავლების დანერგვა კოლეჯში. კოლეჯის ინტერესია, მონაწილეობა მიიღოს პროფესიული განათლების რეფორმაში და ინტეგრირებული სწავლების დანერგვით და უფრო მოქნილი და ხელმისაწვდომი გახადოს პროფესიული განათლება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი“, რომლის მოთხოვნების დაცვით განხორციელდა პროგრამის დაგეგმვა და დამტკიცება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „რკინიგზის ოპერირება“ საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება ეხმიანება ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის 2016-2023 წლების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის №1 სტრატეგიულ მიზანს.

სატრანსპორტო სექტორის ერთერთი უმნიშვნელოვანესი დარგი რკინიგზა საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი საყრდენია. საქართველოს რკინიგზის დარგის წინაშე არსებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა თანამედროვე ინფრასტრუქტურის განვითარება და მაღალი კვალიფიკაციის კადრებით დარგის მომარაგება. რკინიგზაზე მატარებელთა სწრაფი და უსაფრთხო მოძრაობა დამოკიდებულია რკინიგზის სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირების მოწყობილობათა გამართულ მუსაობაზე. გარდა ამისა საქართველოს რკინიგზაზე მიმდინარეობს მთავარი სარკინიგზო მაგისტრალის მოდერნიზაცია, სადაც გათვალისწინებულია რკინიგზის სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირების მიკროპროცესორული სისტემით აღჭურვა. ამავე დროს ხშირია პერსონალის გადინება და ვერ ხდება მათი კვალიფიციური კადრებით ჩანაცვლება.

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, კონტიგენტი რომელთა მომზადებას უზრუნველყოფს სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“, საშუალება იძლევა მოხდეს ვაკანტური თანამდებობების შევსება.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით მოდულური პროგრამის „რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“ განხორციელება ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას, შეესაბამება კოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრული დაშვების წინაპირობები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტით - „რკინიგზის ოპერირება“ განსაზღვრულ წინაპირობებთან, კერძოდ დაშვების წინაპირობებად განსაზღვრულია:

- პროგრამაზე ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გარეშე - სრული ზოგადი განათლება;
- პროგრამაზე ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შემთხვევაში - საბაზო განათლება.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები გაწერილია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში და იგი ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესსა და პირობებს“. დუალური პროგრამების შემთხვევაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევის პროცესში ჩართულნი არიან წარმოების წარმომადგენლები. კოლეჯის მიერ აპლიკანტთა შერჩევა საავტორიზაციო პროგრამაზე ხორციელდება მოტივაციური გასაუბრებითა და ტესტირებით.ექსპერტების მიერ გადამოწმდა შერჩევითი პრინციპით პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურების შესაბამისად არსებული მდგომარეობა, შევსებული ტესტები, კომისიის მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ჩარიცხვის ბრძანება და პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, განხორციელდა გასაუბრება პროფესიულ სტუდენტებთან, მათაც დაადასტურეს მატერიალურად ნანახი მტკიცებულებების სისწორე, შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №89 ბრძანებით დამტკიცებულია „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (ცვლილება შევიდა დირექტორის 2021 წლის 30 ივნისის #51 ბრძანებით), რომლის მიხედვით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

- A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა ან სასწავლო გარემოს ფართი ან პროგრამის განმახორციელებელ საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა, ან რამოდენიმე საწარმოს არსებობისას - მათი ჯამი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა;
- საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი;
- მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“ რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობისა და განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობასთან დაკავშირებით დოკუმენტში აღნიშნულია რომ არსებული კვოტისათვის კოლეჯს ყავს სათანადო კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლები, გააჩნია ყველა საჭირო რესურსი და უზრუნველყოფს პრაქტიკის სრულყოფილ გატარებას საქართველოს რკინიგზაში.

აღნიშნული პროფესიული პროგრამისთვის დადგენილია საერთი კვოტა 75 პროფესიული სტუდენტის ოდენობით (მათ შორის 30 პროფესიული სტუდენტი ინტეგრირებული სწავლებისთვის).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

პასუხისმგებელ პირთა ინტერვიუირებისა და კოლეჯის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის დათვალიერების, ასევე, პროგრამის ანალიზითა და პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული მემორანდუმით დასტურდება, რომ კოლეჯმა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განსაზღვრა არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება" მოდულების განხორციელებისათვის დამტკიცებული აქვს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და რესურსების სია, რომლებიც უზრუნველყოფს მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულებში მითითებულია მოდულების განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსი, რომელთა შინაარსი შესაბამისობაშია შესაბამისი მოდულის სწავლის შედეგებთან. შესაბამისად **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

დამტკიცებული პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

კოლეჯის წესდების მე-5 მუხლის 5.1.2. პუნქტის შესაბამისად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

ასევე, კოლეჯის მიერ შემუშავებულია ,,ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი“, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 23 მაისის №43 ბრძანებით (ცვლილება 1 - 2020 წლის 5 ივნისის №59 ბრძანება; ცვლილება 2 – 2022 წლის 9 მარტის #31 ბრძანება). რეგულაციის მიხედვით პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი და მასვე აქვს პროგრამაში ცვლილებების დამტკიცების უფლებამოსილება.

შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება” დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის - კოლეჯის დირექტორის მიერ 2018 წლის 12 ივნისის №51 ბრძანებით და მასში ცვლილებაც განხორციელებულია დირექტორის 2022 წლის 1 მარტის №18 ბრძანებით.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“ შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის - „რკინიგზის ოპერირება“ საფუძველზე. შესაბამისად, წარმოდგენილი პროგრამის სახელწოდება სრულ შესაბამისობაშია როგორც შინაარსთან, ასევე პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი - რკინიგზის ოპერირება (სარეგისტრაციო ნომერი 07118-პ) და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

აგვისტოს №170 ბრძანების „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების შესახებ“ საფუძველზე. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში მოქმედი “პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი“, საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მის შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან. პროგრამით განსაზღვრულია

პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიდგომები. საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი შედგება პროგრამის ძირითადი დოკუმენტის, მოდულებისა და სასწავლო გეგმისგან (პროგრამა მოიცავს ორ სასწავლო გეგმას (ინტეგრირებული და არაინტეგრირებული, მათ შორის ქართული ენის მოდულების გათვალისწინებით და მის გარეშეც). ვინაიდან პროგრამა დუალურად ხორციელდება, სასწავლო გეგმაში და მოდულებში მითითებულია სწავლის შედეგების განაწილება და ხელშეკრულებები პარტნიორ კომპანიასთან. ასევე, დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელების სპეციფიკის ამსახველი სასწავლო გეგმა. **შესაბამისად პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის მისია;
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა 2016-2023 წლებისთვის;
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის 2020 წლის სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 იანვრის №3 ბრძანებით (ცვლილება განხორციელებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის №41 ბრძანებით);
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“ რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობისა და განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ცვლილება შევიდა დირექტორის 2022 წლის 17 მარტის #44 ბრძანებით);
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №89 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (ცვლილება შევიდა დირექტორის 2021 წლის 30 ივნისის #51 ბრძანებით);
- კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 12 ივნისის №51 ბრძანებით (ცვლილება შევიდა დირექტორის 2022 წლის 1 მარტის №18 ბრძანებით) დამტკიცებული პროგრამა „რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“;
- კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 23 მაისის №43 ბრძანებით (ცვლილება 1 - 2020 წლის 5 ივნისის №59 ბრძანება; ცვლილება 2 – 2022 წლის 9 მარტის #31 ბრძანება) დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების (მოდულური პროგრამის), პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურის წესის და მატერიალური რესურსების მართვის წესი;
- „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის“ წესდება;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1.პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა კოლეჯისა და პარტნიორი კომპანიის მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ადეკვატურია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

სწავლებისათვის კოლეჯს გააჩნია A, B და ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნათა საფუძველზე აღჭურვილი C გარემო.

A ტიპის სასწავლო გარემო (აუდიტორია #307) აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

- 15 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისათვის;
- 1 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის;
- 1 ერთეული დაფა;
- 1 ერთეული პროექტორი და პროექტორის ეკრანი;
- ერთეული პორტატული კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის.

B ტიპის სასწავლო გარემო (აუდიტორია #404) აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

- 15 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისათვის;
- 1 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის;
- 1 ერთეული დაფა;
- 1 ერთეული პროექტორი და პროექტორის ეკრანი;
- 1 ერთეული პორტატული კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის;
- 15 ერთეული კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისთვის;
- 1 ერთეული პრინტერი.

C ტიპის სასწავლო გარემოში (აუდიტორია #105) განთავსებულია აღნიშნული პროგრამის სწავლებისთვის განკუთვნილი აღჭურვილობა და გათვლილია ერთდროულად 15 პროფესიულ სტუდენტზე. პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებისთვის კოლეჯს გააჩნია სათანადო პარამეტრების მქონე რკინიგზის ლიანდაგის პოლიგონი.

ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისათვის დაწესებულებას მოწყობილი აქვს AC სასწავლო გარემო, რომელიც ამ პროგრამის მიზნებისთვის არის გამოყოფილი და აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

- 16 ერთეული მაგიდა პროფესიული სტუდენტისათვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- 1 ერთეული მაგიდა პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის
- 1 ერთეული დაფა
- 1 ერთეული პროექტორი
- ინტეგრირებული მოდულის - „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ განხორციელბისათვის საჭირო აღჭურვილობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინტეგრირებული მოდულის მატერიალური რესურსები დაწესებულების მიერ შემენილ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან 2019 წლის 31 ოქტომბერს გაფორმებული №1309 ხელშეკრულების შესაბამისად. დაწესებულების მფლობელობაში არსებული სასწავლო ფართი და შესაბამისი აუდიტორიების აღჭურვილობა იძლევა საშუალებას სასწავლო პროცესი სრულყოფილად განხორციელდეს. გასათვალისწინებელია, რომ კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №89 ბრძანებით „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ (ცვლილება შევიდა 2021 წლის 30 ივნისის #51 ბრძანებით) მე- 3 მუხლის მიხედვით, კოლეჯში სწავლის განხორციელება შესაძლებელია 2 ცვლაში, დღეში 12 საათიანი, კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. მოდულური პროგრამისათვის ,,რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“ დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება იუს/22-005 11/03/2022წ. სს საქართველოს რკინიგზასთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“ განხორციელების შესახებ, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში. პრაქტიკის ობიექტი პრაქტიკის განსახორციელებლად თითო ნაკადზე მიიღებს ერთდროულად არაუმეტეს 60 პროფესიულ სტუდენტს. კოლეჯში მისაღწევი სწავლის შედეგების რაოდენობაა - 12 (38,7%). პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგების რაოდენობაა - 19 (61,3%).

აღნიშნული პროფესიული პროგრამისთვის დადგენილია საერთო კვოტა 75 პროფესიული სტუდენტის ოდენობით (მათ შორის 30 პროფესიული სტუდენტი ინტეგრირებული სწავლებისთვის). წელიწადში დაწესებულება იღებს 30 პროფესიულ სტუდენტს, აქედან 15 პროფესიული სტუდენტი არაინტეგრირებულზე, ხოლო 15 ინტეგრირებულზე. (არაინტეგრირებულზე 15 წელიწადში, სულ 2 წელი და ინტეგრირებულზე 15 წელიწადში, სულ 3 წელი). **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

შედეგების მიღწევა სრულადაა უზრუნველყოფილი დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

ინტეგრირებული მოდულების განხორციელების მიზნით, კოლეჯმა შრომითი ხელშეკრულება გააფორმა 62 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. ზოგადი მოდულების განხორციელების მიზნით კოლეჯს შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს 19 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, დარგობრივი მოდულების განხორციელების მიზნით -27 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, ხოლო ინტეგრირებული მოდულების განხორციელების მიზნით - 16 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. თითოეული მოდულისთვის კოლეჯს ყავს მინიმუმ 2 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიულ მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემის, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის, პროგრამის სასწავლო გეგმისა და პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების (ხელშეკრულებაში მოცემულია ჩანაწერი, საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის თაობაზე) შინაარსის მიხედვით, მასწავლებელთა დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას და ითვალისწინებს საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებს. ადმინისტრაციის წარმომადგენელს, სათანადო კვალიფიკაციის არსებობის შემთხვევაში აქვს სასწავლო პროცესის განხორციელების უფლებაც. აღნიშნული პრაქტიკა დანერგილია დაწესებულებაში, დოკუმენტაციის გადამოწმების და გასაუბრების შედეგებით დადგინდა, რომ სასწავლო დატვირთვის მაქსიმალური ზღვარი არ არის განსაზღვრული და დარეგულირებელი დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტებით, სასურველია დაწესებულებამ დაარეგულიროს აღნიშნული საკითხი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია კოლეჯის დირექტორის ბრძანებაში: „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამშრომლების, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ“. ასევე კოლეჯის პერსონალის მართვის წესი არეგულირებს პერსონალის შერჩევის წესს, კოლეჯში პროფესიულ მასწავლებლებად მიიღებიან შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები. დუალურ პროგრამებზე ძირითადად შერჩეულია პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომლებსაც შესაბამის კვალიფიკაციასთან ერთად, აქვთ სამუშაო გამოცდილებაც პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები, რომელთა საფუძველზეც, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგები მიღწევის შესაძლებლობას. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება კოლეჯის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლებმა გაიარეს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ორგანიზებული ტრენგები ინტეგრირებული მოდულების სწავლებისა და შეფასების სპეციფიკაციასთან დაკავშირებით. ვიზიტის პერიოდში განხორციელდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან, ასევე პრაქტიკის ობიექტზე არსებულ ინსტრუქტორებთან ინტერვიუ. გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებლებს ხშირად უტარდებათ სხვადასხვა ტიპის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები თუ ტრენინგები როგორც დარგობრივ კომპეტენციაში, ასევე, სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილ იქნა შესაბამისი მტკიცებულებები, მათ შორის დასწრების ფურცლები;

ვიზიტის პერიოდში განხორციელდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუ. გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებლებს ხშირად უტარდებათ სხვადასხვა ტიპის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები თუ ტრენინგები როგორც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

დარგობრივ კომპეტენციაში, ასევე, სწავლებისა და შეფასების მიმართულებით. დოკუმენტაციის ანალიზით და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 32-ე მუხლითა და კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 9 მარტის №33 ბრძანებით „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ“. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი დანიშნულია დაწესებულების დირექტორის ბრძანებით. პირად საქმეში დევს მისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და შესაბამისობაშია კოლეჯის მიერ დაწესებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. შესაბამისად, მას აქვს შესაძლებლობა, სრულფასოვნად უხელმძღვანელოს პროგრამის განხორციელების პროცესს. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის შესაბამისობაც დასტურდება მისი კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით. პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაოს ანაზღაურებას უზრუნველყოფს სს „საქართველოს რკინიგზა“. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობაში დეტალურადაა გაწერილი მის მიერ შესასრულებელი ფუნქცია-მოვალეობები.

ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და მუშაობს პროგრამის განვითარების მიმართულებით. იღებს მონაწილეობას პროგრამის შეფასების, განვითარების, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში. კოლეჯში პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ანალიზდება და საჭიროების შემთხვევაში ხდება პროფესიულ სტუდენტთან ინდივიდუალური გასაუბრება მისი მიღწევების გაუმჯობესებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების მიზნით. პროგრამის ხელმძღვანელი ინდივიდუალურად, თითოეულ სტუდენტზე ადგენს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

დახასიათებას. აღნიშნულის მიზანია როგორც პროფესიული სტუდენტის განვითარება, ასევე დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე მისი უსაფრთხოებისადმი ინდივიდუალური მიდგომის უზრუნველყოფა პრაქტიკის ობიექტზე.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში. დაწესებულებას ელექტრონული პროგრამის სახით შემუშავებული აქვს საბიბლიოთეკო კატალოგი. ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის. კვალიფიციური ბიბლიოთეკარი ახორციელებს საბიბლიოთეკო ფონდის მოხმარების აღრიცხვას, ივსება მკითხველის ბარათები, რითაც დასტურდება სასწავლო პროცესში საგანმანათლებლო რესურსის გამოყენების ფაქტი.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტის ქსელში ჩართული 3 სამაგიდო კომპიუტერი მკითხველებისთვის და ერთი პორტატული კომპიუტერი ბიბლიოთეკარისთვის, საოფისე კომბაინი (მრავალფუნქციური პრინტერი), ქაღალდების ასაკინძი და ლამინირების მოწყობილობა. კოლეჯი სარგებლობს საბიბლიოთეკო პროგრამით OpeNºBiblio. დაწესებულებას აქვს წვდომა სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს (matsNºe.gov.ge) ვებ გვერდზე. ექსპერტების მხრიდან გადამოწმდა პროფესიული სტუდენტების მიერ რესურსებით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასევე მათთან გასაუბრებამ დაადასტურა, რომ **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

კოლეჯში გაწერილია მარეგულირებელი წესები კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 30-ე მუხლით, იმისათვის, რომ სსსმ პირების წვდომა იქნას უზრუნველყოფილი პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, ასევე მოხდეს მათი ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; ჯერჯერობით, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში მსგავსი საჭიროება არ დამდგარა, თუმცა კოლეჯს აქვს მზაობა. მოახდინოს სასწავლო რესურსების ადაპტირება, იქნება ეს დამხმარე ტექნიკის, პროგრამული უზრუნველყოფის, ბრაილის შრიფტის, დასურათებული სახელმძღვანელოების, მასალის შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტაციის გამოყენებით თუ სხვა სპეციფიკური მოთხოვნით. დაწესებულების განმარტებით სასწავლო რესურსის ადაპტირება არ დასჭირვებიათ.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

პროგრამის „რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“ განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით, ვინაიდან პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება იღებს ვაუჩერულ და პროგრამულ დაფინანსებას. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასებისა და დაწესებულების ხელმძღვანელის განმარტების მიხედვით, კოლეჯის ფუნქციონირებისათვის ფინანსური უზრუნველყოფის ნაწილში ჩართულია, როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ისე სს „საქართველოს რკინიგზა“ 50%-იანი წილობრივი მონაწილეობით, სამინისტროს, სს “საქართველოს რკინიგზის“, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს შორის 2016 წლის 27 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი არაინტეგრირებული და ინტეგრირებული სასწავლო გეგმისათვის. და შეადგენს 5 პროფესიულ სტუდენტს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №89 ბრძანება „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ (ცვლილება შევიდა 2021 წლის 30 ივნისის #51 ბრძანებით);
- ხელშეკრულება იუს/22-005 11/03/2022წ. სს საქართველოს რკინიგზასთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“ განხორციელების შესახებ, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.
- კოლეჯის დირექტორის ბრძანება „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამშრომლების, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ“;
- კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ცვლილება შევიდა დირექტორის 2022 წლის 17 მარტის #44 ბრძანებით);
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტები;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პედაგოგებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ;

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესის“ მიხედვით, კოლეჯში შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად, განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების საშუალებით. სისტემა ძირითადად დაფუძნებულია პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისშეფასების მიზნით კოლეჯს:

- შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა;
- პროგრამის შეფასებისათვის შედგენილი აქვს პროფესიულ სტუდენტთა კითხვარი, პროფესიული განათლების მასწავლებლების კითხვარი, დამსაქმებელთა კითხვარი დაკურსდამთავრებულთა კითხვარი.
- შეფასება ტარდება გამოკითხვის მეთოდით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით, შეფასების შედეგების საფუძველზე, ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

ასევე, კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით (ცვლილება 2020 წლის 5ივნისის №58 ბრძანება) დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის წესი“, რომლის შესაბამისადაც, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირსდაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო პრაქტიკას. წარმოდგენილი მტკიცებულებების და გასაუბრების სედეგებით დასტურდება, რომ კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება ე.წ. დემინგის ციკლის შესაბამისად, კოლეჯის დამფუძნებლის სს „საქართველოს რკინიგზის“, როგორც შრომის ბაზრის უმსხვილესი დამსაქმებლის, დარგის გამოცდილი სპეციალისტები უშუალოდ არიან ჩართულნი კოლეჯის მიერ განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სხვა აქტივობების დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარების პროცესში. სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ ორჯერ ხდება დაინტერესებულ მხარეებთან პროგრამის განხორციელების შეფასება, პრობლემურ საკითხებზე დისკუსია და საჭიროების შემთხვევაში სს “საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელობასთან ერთად მათი გადაწყვეტა.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

არსებული რეგულაციის მიხედვით, კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია ციკლზე: დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე - გააუმჯობესე და პროგრამების განხორციელების ხარისხთან დაკავშირებული პროცესები მიმდინარეობს აღნიშნული ციკლის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

კოლეჯში სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ ორჯერ ხდება პროგრამის განხორციელების შეფასება დაინტერესებულ მხარეებთან, პრობლემურ საკითხებზე დისკუსია და საჭიროების შემთხვევაში სს ,,საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელობასთან ერთად მათი გადაწყვეტა. საანგარიშო პერიოდში დაწესებულებაში გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებისათვის შექმნილია ფოკუს ჯგუფები.

კოლეჯის შიდა მხარდაჭერის ჯგუფის თავმჯდომარის მოხსენებითი ბარათების, ანგარიშების და სხვა დოკუმენტების მიხედვით ვლინდება, რომ შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირდა პროგრამის გაუმჯობესების მიმართულებები, რაც გათვალისიწინებულ იქნა კოლეჯის დირექტორის მიერ და განხორციელდა სათანადო აქტივობები, ისეთები როგორიცაა: პროგრამისათვის მოდულებში სწავლების მეთოდების ცვლილება, სასწავლო რესურსების განახლება და სხვ.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა პროგრამის შეფასების შედეგების მიხედვით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილი კორესპონდენცია ჩარჩო დოკუმენტის ცვლილებების შესახებ, პროგრამაში შესაბამისი ცვლილებები განხორციელებულია დაწესებულების დადგენილი წესით და პირობებით, დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი“;
- კვლევების შედეგების ანალიზი;
- პროგრამაში ცვლილებების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამისთვის „რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“ შედგენილია ორი სასწავლო გეგმა: ინტეგრირებული და არაინტეგრირებული ჯგუფებისთვის. სასწავლო გეგმები შედგენილია თანმიმდევრულად, დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული მოდულების წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმის აგებისას გათვალისწინებულია სწავლის შედეგების ხელახალი დადასტურების შესაძლო გონივრული ვადა. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასწავლო გეგმის მიხედვით, რაც დასტურდება მეცადინეობების ცხრილით, კალენდარული გეგმებით და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებით.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. კერძოდ, დაწესებულების წარმომადეგენელთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ სს „საქართველოს რკინიგზაში“ დასაქმებული პროფესიულ სტუდენტთა მეცადინეობების განრიგის შემუშავებისას გაითვალისწინება მათ ხელმძღვანელებთან წინასწარი კონსულტაციების შედეგები და მეცადინეობის განრიგი მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებზე. საქართველოს რკინიგზაში დასაქმებული პირების მეცადინეობებზე დასწრების მონაცემები ეგზავნება საქართველოს რკინიგზის ადმინისტრაციას შემდგომი რეაგირებისათვის.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. სასწავლო პროცესში გამოიყენება თანამედროვე მეთოდები, კერძოდ, კოლეჯში სწავლება მიმართულია პროფესიული სტუდენტებისათვის ტრანსფერული და პროფესიული უნარების განვითარებისკენ. სწავლება ხდება მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, სადაც პროფესიული მასწავლებელი ორიენტირებულია სტუდენტის ინტერესებზე. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციით, მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილებითა და გავლილი ტრენინგებით. დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფილია როგორც კოლეჯში, ისე პრაქტიკის ობიექტებზე: რკინიგზის დარგის გამოცდილი პრაქტიკოსი სპეციალისტები და განათლების დარგში მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პირები გადამზადებულნი არიან პროფესიული სწავლების სპეციფიკაში და მეთოდოლოგიაში.

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-8 მუხლის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება არის მაშინ როცა:

ა) სსსმ პირი, სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს;

ბ) რომლის სწავლის შედეგები განსხვავებული აქვს კოლეჯის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან;

გ) პირი, რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ერთ თვეზე მეტხანს ან/და დაუგროვდა საპატიო გაცდენების დიდი ოდენობა და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას.

„ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების არსებობისას, პროფესიული განათლების მასწავლებელი წერილობით მიმართავს ადმინისტრაციას, რის საფუძველზეც ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ხორციელდება სასწავლო პროცესზე დასწრება - დაკვირვების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

მიზნით, თუ ფაქტი დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებელი 5 სამუშაო დღის ვადაში შეიმუშავებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელსაც წარუდგენენ ხარისხის მართვის მენეჯერს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისობის შემთხვევაში ხარისხის მართვის მენეჯერი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

„ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების არსებობისას, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხდება ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა თითოეული სასწავლო კურსის/მოდულის ფარგლებში წინამდებარე დებულებით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა მობილობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით.

„გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების გამოვლენისას, პროგრამის ხელმძღვანელი პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული პროგრამის სწავლის შედეგებს და შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესაბამისად პროფესიული სტუდენტის საჭიროებების გათვალისწინებით, რათა მოხდეს სტატუს აღდგენილი სტუდენტის ჩართვა სასწავლო პროცესში ასათვისებელი სასწავლო კურსების წინაპირობების დაცვით.

გარდა ამისა, პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებიც დასაქმებულნი არიან სს „საქართველოს რკინიგზაში“, უშუალოდ სს „საქართველოს რკინიგზისაგან“ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათი სამუშაო გრაფიკის გათვალისწინების მიზნით, კოლეჯი შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო ცხრილს, საკონტაქტო საათების 2 სამუშაო დღესა და შაბათზე გადანაწილების გზით.

პანდემიიდან გამომდინარე, კოლეჯში სასწავლო პროცესი ხორციელდება დისტანციური სწავლების ჰიბრიდული მოდელის შესაბამისად. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 სექტემბრის №102 ბრძანებით დამტკიცებული ,,ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში განხორციელების წესი“ ითვალისწინებს დისტანციური სასწავლო პროცესის იმგვარად ორგანიზებას, რომ არც ერთი პროფესიული სტუდენტი (შემდგომში - სტუდენტი) არ აღმოჩნდეს დისტანციური სასწავლო პროცესის მიღმა, ან არ ჩამორჩეს სასწავლო პროცესს. სურვილის შემთხვევაში, სთავაზობს კოლეჯის სივრცეში არსებული ტექნიკას დისტანციურ მეცადინეობებზე დასასწრებად. იმ შემთხვევაში, თუ მიუხედავად აღნიშნულისა სტუდენტი ვერ შეძლებს სასწავლო პროცესში ჩართვას, კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

დისტანციური სწავლების დასრულების შემდეგ შესთავაზებს მას ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. ექსპერტთა მხრიდან გადამოწმდა აღნიშნული რეგულაციების პრაქტიკაში გამოყენების მაგალითები, დოკუმენტაციით დასტურდება, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა „რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“ ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს და დარგის ტექნოლოგიებს. სწავლების შედეგების მიღწევა დაგეგმილია როგორც დაწესებულების შენობაში, ასევე პარტნიორ დაწესებულებაში. სს „საქართველოს რკინიგზასთან“ დუალური მიდგომით სწავლებისთვის გაფორმებულია ხელშეკრულება იუს/22-005 11/03/2022წ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარკინიგზო ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“ განხორციელების შესახებ, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, რომლის მიხედვითაც პრაქტიკის ობიექტი გამოთქვამს მზადყოფნას, მოცემული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში თითო ნაკადზე მიიღოს 60 პროფესიული სტუდენტი.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამით განსაზღვრული მოდულების თეორიული კომპონენტის სწავლებისთვის გამოიყენება კოლეჯის აუდიტორიები, სადაც უზრუნველყოფილია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

უსაფრთხო სასწავლო გარემო. რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებული მოდულების პრაქტიკულ კომპონენტების სწავლებას, რომელიც ხორციელდება კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, სს „საქართველოს რკინიგზასთან“ ხელშეკრულებაში გაწერილია პირობა, რის თანახმადაც ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის უსაფრთხო გარემო.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“ სასწავლო გეგმები;
- ხელშეკრულება იუს/22-005 11/03/2022წ. სს საქართველოს რკინიგზასთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება““ განხორციელების შესახებ, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.
- კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ცვლილება შევიდა დირექტორის 2022 წლის 17 მარტის #44 ბრძანებით);
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში განხორციელების წესი“;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის №30 ბრძანებით (ცვლილება შევიდა კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის №40 ბრძანებით) დამტკიცებულია ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში „მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი“. დოკუმენტის მე-2 მუხლის მიხედვით, პროფესიული სტუდენტის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას; სანდოობას; მოქნილობას; სიმარტივეს; მიუკერძოებლობასა და სამართლიანობას.

„პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესში“ აღწერილია:

- შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა (მუხლი 3.);
- შეფასების ინსტრუმენტის მიმართ განსაზღვრული მოთხოვნები და სტრუქტურა (მუხლი 4.);
- შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცედურა(მუხლი 5.) - შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს მოდულის განმახორციელებელი პირ(ებ)ი და შემუშავებულ პროექტს იხილავს სასწავლო პროცესის მენეჯერი, შესაბამის დარგის სპეციალისტთან ერთად, რომელიც არ მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირი და შენახვის ვადები(მუხლი 7.);
- შეფასების გაფორმება (მუხლი 8.);
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის (მუხლი 9.)
- პროფესიული სტუდენტის შეფასება (მუხლი10.)
- პროფესიული სტუდენტისათვის შედეგის დადასტურების/გასაჩივრების პროცედურა (მუხლი 11.)
- საკვალიფიკაციო გამოცდა (მუხლი 13.)

ექსპერტების მხრიდან შეფასდა წესების შესაბამისად არსებული მდგომარეობა: შერჩევითობის პრინციპით შემოწმდა **შეფასების ინსტრუმენტები, მტკიცებულებების და შეფასების პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტები, განხორციელდა ინტერვიუ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და სასწავლო პროცესის სამსახურის თანამშრომლებთან, შედეგების შეჯამებით დასტურდება რომ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. ვერიფიკაციის პროცედურა ხორციელდება ვერიფიკაციის ჯგუფის ჩართულობით (იქმნება კოლეჯის დირექტორის მიერ), რომელსაც ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯერი. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის ბრძანებით №42 „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ“, შექმნილია ვერფიკაციის ჯგუფი, რომელსაც ჰყავს ძირითადი და დამატებითი წევრები. ძირითადი წევრებია: კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი (ჯგუფის თავმჯდომარე); კოლეჯის საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი. დამატებითი წევრებს განსაზღვრავს ჯგუფის თავმჯდომარე, ჯგუფის წევრი არ შეიძლება იყოს ის პირი, რომელიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტის შექმნის ან შეთანხმების პროცესში. ვერიფიკაცია ხდება კოლეჯში წინასწარ შემუშავებული რისკების სისტემის მონაცემების შესაბამისად, რისკ-ფაქტორების კოეფიციენტების გათვალისწინებით. ვერიფიკაციის პროცედურა ხორციელდება განსაზღვრული სქემის შესაბამისად. ვერიფიკაციის პროცედურის შედეგად, ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ დგება დასკვნა რომელშიც ნათლად და დასაბუთებულად უნდა იქნას ასახული, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭირვალე, სამართლიანი და ობიექტური. დასკვნაში იდენტიფიცირებული უნდა იქნას ვერიფიკაციის პროცედურის დროს წამოჭრილი ყველა პრობლემა. ვერიფიკაციის დასკვნის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო პროცესის მენეჯერი ადგენს დასკვნაში არსებული რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმას, სადაც სრულყოფილად უნდა ასახოს ყველა განსახორციელებელი აქტივობა, განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი. აღნიშნული რეკომენაციების შესრულებაზე მონიტორინგის ვალდებულება აქვს ხარისხის მართვის მენეჯერს. ვერიფიცირებულ შეფასების ინსტრუმენტზე განთავსებულია წარწერა - „ვერიფიცირებულია“ და ხარისხის მართვის მენეჯერის ხელმოწერა.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია ვერიფიკაციის ჯგუფის სამუშაო შეხვედრათა ოქმები. 2021 წლის 3 ივნისით დათარიღებული ოქმი #6-ის მიხედვით, განხორციელდა „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული მოდულების ფარგლებში შექმნილი შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციის საკითხის განხილვა, ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილ იქნა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის სქემა. ჯგუფის წევრებმა შეიმუშავეს ვერიფიკაციის დასკვნა, რომელშიც ასახულია გამოვლენილი ნაკლოვანებები და რეკომენდაციები. პერსონალური მონაცემების დაცვით ვერიფიკაციის შედეგები დაეგზავნა დაინტერესებულ პირებს. დაწესებულებაში შემუშავებული და დამტკიცებულია 2022 წლის ვერიფიკაციის გეგმა , პროცესი დაწყებულია და წლის ბოლომდე გრძელდება.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის №30 ბრძანებით (ცვლილება შევიდა კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის №40 ბრძანებით) დამტკიცებულია „პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი“ რის თანახმადაც, შეფასების მტკიცებულებები ინახება პროფესიული სტუდენტის კვალიფიკაციის მინიჭებამდე, სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება 3 წლის ვადით.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. კოლეჯის პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესის მე-9 და მე-10 მუხლების თანახმად, კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერდადასტურების მაჩვენებლები) შეგროვებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იყენებს მათ პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნებისათვის. ასევე, განმავითარებელი შეფასების შედეგების შეჯამების შემდეგ პროფესიულ სტუდენტს ეცნობება მისი მიღწევებისა და ნაკლოვანებების შესახებ. პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელი თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის შეიმუშავებს რეკომენდაციებს. პროფესიული სტუდენტის განმავითარებელი შეფასების შედეგები და რეკომენდაციები თავსდება პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში.

სტუდენტთა დახასიათებების ანალიზი დაწესებულებას ეხმარება პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენაში, განვითარების დინამიკაზე დაკვირვებაში და საჭიროების შემთხვევაში მათ ხელშესაწყობად შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის №30 ბრძანება (ცვლილება შევიდა კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის №40 ბრძანებით) დამტკიცებული ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში „მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი“;
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის წესი;
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის ბრძანება №42 „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ“;
- ვერიფიკაციის ჯგუფის სამუშაო შეხვედრის ოქმი;
- შეფასების ინსტრუმენტები;
- კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ცვლილება განხორციელებულია 2020 წლის 12 მარტის №15 ბრძანებით);
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

192

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	სარკინიგზო გადაზიდვები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია რკინიგზის ოპერირებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი. ქ. თბილისი, თემქის დასახლება, XI მკ.რ. III კვ. ნაკვეთი 01/10
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	დუალური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	90
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	45

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	143
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	173
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	**სრული 3**	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	**სრული 3**	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	**სრული 3**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	**მეტწილი 2**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

XI.სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2 საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3 პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

4 საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

5 საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

6 საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7 პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

8 პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მისიაა "თანამედროვე საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის, ეროვნული და საერთაშორისო ღირებულებების მატარებელი, კონკურენტუნარიანი პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციური კადრებით საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოთხოვნების დაკმაყოფილება სარკინიგზო ტრანსპორტის სფეროში და მათი საგანმანათლებლო მიზნების მიღწევისა და წარმატებული დასაქმებისთვის პირობების შექმნა", კოლეჯის განვითარების სტრატეგიულ შვიდწლიან გეგმაში ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრულია დამსაქმებელთან შეთანხმებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, მათ დანერგვასა და განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა.

პროფილიდან გამომდინარე, კოლეჯი ძირითადად ლოგისტიკური და სარკინიგზო მიმართულების სფეროზეა ორიენტირებული. შესაბამისად, მისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს ლოგისტიკური და სარკინიგზო მიმართულების პროფილის პროფესიების განხორციელება, რაც კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმაშიც გაწერილია. ამასთან, კოლეჯის მიერ ყველა საგანმანათლებლო პროგრამის დამატება და განხორციელება ხდება უშუალოდ დამფუძნებელთან - სს საქართველოს რკინიგზასთან კონსულტაციების საფუძველზე მიღწეული შეთანხმების, შრომის ბაზრის კვლევის, სტატისტიკური მონაცემებისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების გათვალისწინებით.

კოლეჯის განვითარების სტრატეგიულ შვიდწლიან გეგმაში ერთ-ერთ ამოცანად 2020-2021 წლიდან განსაზღვრულია ინტეგრირებული სწავლების დანერგვა კოლეჯში. კოლეჯის ინტერესია, მონაწილეობა მიიღოს პროფესიული განათლების რეფორმაში და ინტეგრირებული სწავლების დანერგვით და უფრო მოქნილი და ხელმისაწვდომი გახადოს პროფესიული განათლება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი“, რომლის მოთხოვნების დაცვით განხორციელდა პროგრამის დაგეგმვა და დამტკიცება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „რკინიგზის ოპერირება“ საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება ეხმიანება ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის 2016-2023 წლების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის N1 სტრატეგიულ მიზანს.

სატრანსპორტო სექტორის ერთერთი უმნიშვნელოვანესი დარგი რკინიგზა საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი საყრდენია. საქართველოს რკინიგზის დარგის წინაშე არსებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა თანამედროვე ინფრასტრუქტურის განვითარება და მაღალი კვალიფიკაციის კადრებით დარგის მომარაგება. რკინიგზაზე სატვირთო გადაზიდვები წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რგოლს, რომელიც სტრუქტურაში ითვლის 2500 თანამშრომელს. კოლეჯმა აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების მიღება დაიწყო 2018 წლიდან და მატთვის გამოყოფილ კვოტაზე ათვისებული არის ყველა ადგილი და კურსდამთავრებულები წარმატებით საქმდებიან სს „საქართველოს რკინიგზის“ სატვირთო დეპარტამენტში და სადგურებში. ამავე დროს ხშირია პერსონალის გადინება და ვერ ხდება მათი კვალიფიციური კადრებით ჩანაცვლება.

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, კონტიგენტი რომელთა მომზადებას უზრუნველყოფს სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „სარკინიგზო გადაზიდვები“, საშუალება იძლევა მოხდეს ვაკანტური თანამდებობების შევსება. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით მოდულური პროგრამის „სარკინიგზო გადაზიდვები“ განხორციელება ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას, შეესაბამება კოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრული დაშვების წინაპირობები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტით - „რკინიგზის ოპერირება“ განსაზღვრულ წინაპირობებთან, კერძოდ დაშვების წინაპირობებად განსაზღვრულია:

- პროგრამაზე ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გარეშე - სრული ზოგადი განათლება;
- პროგრამაზე ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შემთხვევაში - საბაზო განათლება.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები გაწერილია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში და იგი ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესსა და პირობებს“. დუალური პროგრამების შემთხვევაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევის პროცესში ჩართულნი არიან წარმოების წარმომადგენლები. კოლეჯის მიერ აპლიკანტთა შერჩევა საავტორიზაციო პროგრამაზე ხორციელდება მოტივაციური გასაუბრებითა და ტესტირებით.ექსპერტების მიერ გადამოწმდა შერჩევითი პრინციპით პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურების შესაბამისად არსებული მდგომარეობა, შევსებული ტესტები, კომისიის მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია , ჩარიცხვის ბრძანება და პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, განხორციელდა გასაუბრება პროფესიულ სტუდენტებთან, მათაც დაადასტურეს მატერიალურად ნანახი მტკიცებულებების სისწორე, **შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №89 ბრძანებით დამტკიცებულია „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (ცვლილება შევიდა დირექტორის 2021 წლის 30 ივნისის №51 ბრძანებით), რომლის მიხედვით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

- A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა ან სასწავლო გარემოს ფართი ან პროგრამის განმახორციელებელ საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა, ან რამოდენიმე საწარმოს არსებობისას - მათი ჯამი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა;
- საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი;
- მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია ,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,სარკინიგზო გადაზიდვები“ რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობისა და განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობასთან დაკავშირებით დოკუმენტში აღნიშნულია რომ არსებული კვოტისათვის კოლეჯს ყავს სათანადო კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლები, გააჩნია ყველა საჭირო რესურსი და უზრუნველყოფს პრაქტიკის სრულყოფილ გატარებას საქართველოს რკინიგზაში.
აღნიშნული პროფესიული პროგრამისთვის მოთხოვნილია საერთი კვოტა 90 პროფესიული სტუდენტის ოდენობით (მათ შორის 45 პროფესიული სტუდენტი ინტეგრირებული სწავლებისთვის).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

პასუხისმგებელ პირთა ინტერვიუირებისა და კოლეჯის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის დათვალიერების, ასევე, პროგრამის ანალიზითა და პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული მემორანდუმით დასტურდება, **რომ კოლეჯმა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განსაზღვრა არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.**

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარკინიგზო გადაზიდვები" მოდულების განხორციელებისათვის დამტკიცებული აქვს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და რესურსების სია, რომლებიც უზრუნველყოფს მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულებში მითითებულია მოდულების განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსი, რომელთა შინაარსი შესაბამისობაშია შესაბამისი მოდულის სწავლის შედეგებთან. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

დამტკიცებული პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

კოლეჯის წესდების მე-5 მუხლის 5.1.2. პუნქტის შესაბამისად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი. ასევე, კოლეჯის მიერ შემუშავებულია ,,ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი", რომელიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 23 მაისის №43 ბრძანებით (ცვლილება 1 - 2020 წლის 5 ივნისის №59 ბრძანება; ცვლილება 2 – 2022 წლის 9 მარტის №31 ბრძანება). რეგულაციის მიხედვით პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი და მასვე აქვს პროგრამაში ცვლილებების დამტკიცების უფლებამოსილება.
შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სარკინიგზო გადაზიდვები" დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის - კოლეჯის დირექტორის მიერ 2018 წლის 12 ივნისის №52 ბრძანებით და მასში ცვლილებაც განხორციელებულია დირექტორის 2022 წლის 1 მარტის №17 ბრძანებით.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სარკინიგზო გადაზიდვები" შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის - „რკინიგზის ოპერირება" საფუძველზე. შესაბამისად, წარმოდგენილი პროგრამის სახელწოდება სრულ შესაბამისობაშია როგორც შინაარსთან, ასევე პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სარკინიგზო გადაზიდვები" შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი - რკინიგზის ოპერირება (სარეგისტრაციო ნომერი 07118-პ) და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170 ბრძანების „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების შესახებ" საფუძველზე.
ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში მოქმედი "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

ცვლილებების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი“, საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მის შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები,

მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიდგომები. საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი შედგება პროგრამის ძირითადი დოკუმენტის, მოდულებისა და სასწავლო გეგმისგან (პროგრამა მოიცავს ორ სასწავლო გეგმას (ინტეგრირებული და არაინტეგრირებული).მათ შორის ქართული ენის მოდულების გათვალისწინებით და მის გარეშეც). ვინაიდან პროგრამა დუალურად ხორციელდება, სასწავლო გეგმაში და მოდულებში მითითებულია სწავლის შედეგებისგანაწილება და ხელშეკრულებები პარტნიორ კომპანიასთან. ასევე, დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელების სპეციფიკის ამსახველი სასწავლო გეგმა. **შესაბამისად პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის მისია;
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა 2016-2023 წლებისთვის;
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის 2020 წლის სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 იანვრის №3 ბრძანებით (ცვლილება განხორციელებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის №41 ბრძანებით);
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,სარკინიგზო გადაზიდვები“ რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობისა და განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ცვლილება შევიდა დირექტორის 2022 წლის 17 მარტის №44 ბრძანებით);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №89 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (ცვლილება შევიდა დირექტორის 2021 წლის 30 ივნისის №51 ბრძანებით);
- კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 12 ივნისის №52 ბრძანებით (ცვლილება შევიდა დირექტორის 2022 წლის 1 მარტის N17 ბრძანებით) დამტკიცებული პროგრამა „სარკინიგზო გადაზიდვები“;
- კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 23 მაისის N43 ბრძანებით (ცვლილება 1 - 2020 წლის 5 ივნისის №59 ბრძანება; ცვლილება 2 – 2022 წლის 9 მარტის №31 ბრძანება) დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების (მოდულური პროგრამის), პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურის წესის და მატერიალური რესურსების მართვის წესი;
- „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის“ წესდება;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა კოლეჯისა და პარტნიორი კომპანიის მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ადეკვატურია.
სწავლებისათვის კოლეჯს გააჩნია A და B სასწავლო გარემო.
A ტიპის სასწავლო გარემოს (აუდიტორიები №307;406;505) თითოეული აუდიტორია აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

- 15 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისათვის;
- 1 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის;
- 1 ერთეული დაფა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- 1 ერთეული პროექტორი და პროექტორის ეკრანი;
- ერთეული პორტატული კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის.

B ტიპის სასწავლო გარემო (აუდიტორია №401) აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

- 15 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისათვის;
- 1 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის;
- 1 ერთეული დაფა;
- 1 ერთეული პროექტორი და პროექტორის ეკრანი;
- 1 ერთეული პორტატული კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის;
- 15 ერთეული კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისთვის;
- 1 ერთეული პრინტერი.

ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისათვის დაწესებულებას მოწყობილი აქვს AC სასწავლო გარემო, რომელიც ამ პროგრამის მიზნებისთვის არის გამოყოფილი და აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

- 16 ერთეული მაგიდა პროფესიული სტუდენტისათვის;
- 1 ერთეული მაგიდა პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის
- 1 ერთეული დაფა
- 1 ერთეული პროექტორი
- ინტეგრირებული მოდულის - „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ განხორციელბისათვის საჭირო აღჭურვილობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინტეგრირებული მოდულის მატერიალური რესურსები დაწესებულების მიერ შეძენილ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან 2019 წლის 31 ოქტომბერს გაფორმებული №1309 ხელშეკრულების შესაბამისად. დაწესებულების მფლობელობაში არსებული სასწავლო ფართი და შესაბამისი აუდიტორიების აღჭურვილობა იძლევა საშუალებას სასწავლო პროცესი სრულყოფილად განხორციელდეს. გასათვალისწინებელია, რომ კოლეჯის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის N89 ბრძანებით „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ (ცვლილება შევიდა 2021 წლის 30 ივნისის №51 ბრძანებით) მე- 3 მუხლის მიხედვით, კოლეჯში სწავლის განხორციელება შესაძლებელია 2 ცვლაში, დღეში 12 საათიანი, კვირაში 60 საათიანი დატვირთვით.
მოდულური პროგრამისათვის ,,სარკინიგზო გადაზიდვები“ დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება იუს/22-002 11/03/2022წ. სს საქართველოს რკინიგზასთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარკინიგზო გადაზიდვები“ განხორციელების შესახებ, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში. პრაქტიკის ობიექტი პრაქტიკის განსახორციელებლად თითო ნაკადზე მიიღებს ერთდროულად არაუმეტეს 90 პროფესიულ სტუდენტს. კოლეჯში მისაღწევი სწავლის შედეგების რაოდენობაა - 15 (45,5%). პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგების რაოდენობაა - 18 (54,5%). აღნიშნული პროფესიული პროგრამისთვის დადგენილია საერთო კვოტა 90 პროფესიული სტუდენტის ოდენობით (მათ შორის 45 პროფესიული სტუდენტი ინტეგრირებული სწავლებისთვის). წელიწადში დაწესებულება იღებს 40 პროფესიულ სტუდენტს, აქედან 30 პროფესიული სტუდენტი არაინტეგრირებულზე, ხოლო 10 ინტეგრირებულზე. (არაინტეგრირებულზე 30 წელიწადში, სულ 2 წელი და ინტეგრირებულზე 10 წელიწადში, სულ 3 წელი).
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულადაა უზრუნველყოფილი დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

ინტეგრირებული მოდულების განხორციელების მიზნით, კოლეჯმა შრომითი ხელშეკრულება გააფორმა 61 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. ზოგადი მოდულების განხორციელების მიზნით კოლეჯს შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს 19 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, დარგობრივი მოდულების განხორციელების მიზნით -26 პროფესიული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

მასწავლებელთან, ხოლო ინტეგრირებული მოდულების განხორციელების მიზნით - 16 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. თითოეული მოდულისთვის კოლეჯს ყავს მინიმუმ 2 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიულ მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემის, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის, პროგრამის სასწავლო გეგმისა და პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების (ხელშეკრულებაში მოცემულია ჩანაწერი, საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის თაობაზე) შინაარსის მიხედვით, მასწავლებელთა დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას და ითვალისწინებს საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებს. ადმინისტრაციის წარმომადგენელს, სათანადო კვალიფიკაციის არსებობის შემთხვევაში აქვს სასწავლო პროცესის განხორციელების უფლებაც. აღნიშნული პრაქტიკა დანერგილია დაწესებულებაში, დოკუმენტაციის გადამოწმების და გასაუბრების შედეგებით დადგინდა, რომ სასწავლო დატვირთვის მაქსიმალური ზღვარი არ არის განსაზღვრული და დარეგულირებელი დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტებით, სასურველია დაწესებულებამ დაარეგულიროს აღნიშნული საკითხი.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია კოლეჯის დირექტორის ბრძანებაში: „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამშრომლების, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ“. ასევე კოლეჯის პერსონალის მართვის წესი არეგულირებს პერსონალის შერჩევის წესს, კოლეჯში პროფესიულ მასწავლებლებად მიიღებიან შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები. დუალურ პროგრამებზე ძირითადად შერჩეულია პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომლებსაც შესაბამის კვალიფიკაციასთან ერთად, აქვთ სამუშაო გამოცდილებაც პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები, რომელთა საფუძველზეც, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგები მიღწევის შესაძლებლობას.ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების შერჩევა განხორციელდა საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და კოლეჯის ჩართულობით, სამეტაპიანი შერჩევის გზით, მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება კოლეჯის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ვიზიტის პერიოდში განხორციელრლდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან, ასევე პრაქტიკის ობიექტზე არსებულ ინსტრუქტორებთან ინტერვიუ. გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებლებს ხშირად უტარდებათ სხვადასხვა ტიპის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები თუ ტრენინგები როგორც დარგობრივ კომპეტენციაში, ასევე, სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილ იქნა შესაბამისი მტკიცებულებები, მათ შორის დასწრების ფურცლები;

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 32-ე მუხლითა და კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 9 მარტის №33 ბრძანებით „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ“. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი დანიშნულია დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 1 მარტის №17 ბრძანებით. პირად საქმეში დევს მისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და შესაბამისობაშია კოლეჯის მიერ დაწესებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. შესაბამისად, მას აქვს შესაძლებლობა, სრულფასოვნად უხელმძღვანელოს პროგრამის განხორციელების პროცესს. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის შესაბამისობაც დასტურდება მისი კვალიფიკაციითა და სამუშაო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

გამოცდილებით. პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაოს ანაზღაურებას უზრუნველყოფს სს „საქართველოს რკინიგზა“. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობაში დეტალურადაა გაწერილი მის მიერ შესასრულებელი ფუნქცია-მოვალეობები.

ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და მუშაობს პროგრამის განვითარების მიმართულებით. იღებს მონაწილეობას პროგრამის შეფასების, განვითარების, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში. კოლეჯში პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ანალიზდება და საჭიროების შემთხვევაში ხდება პროფესიულ სტუდენტთან ინდივიდუალური გასაუბრება მისი მიღწევების გაუმჯობესებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების მიზნით. პროგრამის ხელმძღვანელი ინდივიდუალურად, თითოეულ სტუდენტზე ადგენს დახასიათებას. აღნიშნულის მიზანია როგორც პროფესიული სტუდენტის განვითარება, ასევე დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე მისი უსაფრთხოებისადმი ინდივიდუალური მიდგომის უზრუნველყოფა პრაქტიკის ობიექტზე.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში. დაწესებულებას ელექტრონული პროგრამის სახით შემუშავებული აქვს საბიბლიოთეკო კატალოგი. ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის. კვალიფიციური ბიბლიოთეკარი ახორციელებს საბიბლიოთეკო ფონდის მოხმარების აღრიცხვას, ივსება მკითხველის ბარათები, რითაც დასტურდება სასწავლო პროცესში საგანმანათლებლო რესურსის გამოყენების ფაქტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტის ქსელში ჩართული 3 სამაგიდო კომპიუტერი მკითხველებისთვის და ერთი პორტატული კომპიუტერი ბიბლიოთეკარისთვის, საოფისე კომბაინი (მრავალფუნქციური პრინტერი), ქაღალდების ასაკინძი და ლამინირების მოწყობილობა. კოლეჯი სარგებლობს საბიბლიოთეკო პროგრამით OpeNBiblio. დაწესებულებას აქვს წვდომა სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს (matsNe.gov.ge) ვებ გვერდზე. ექსპერტების მხრიდან გადამოწმდა პროფესიული სტუდენტების მიერ რესურსებით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასევე მათთან გასაუბრებამ დაადასტურა, რომ **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში**

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

კოლეჯში გაწერილია მარეგულირებელი წესები კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 30-ე მუხლით, იმისათვის, რომ სსსმ პირების წვდომა იქნას უზრუნველყოფილი პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, ასევე მოხდეს მათი ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; ჯერჯერობით, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში მსგავსი საჭიროება არ დამდგარა, თუმცა კოლეჯს აქვს მზაობა. მოახდინოს სასწავლო რესურსების ადაპტირება, იქნება ეს დამხმარე ტექნიკის, პროგრამული უზრუნველყოფის, ბრაილის შრიფტის, დასურათებული სახელმძღვანელოების, მასალის შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტაციის გამოყენებით თუ სხვა სპეციფიკური მოთხოვნით. დაწესებულების განმარტებით სასწავლო რესურსის ადაპტირება არ დასჭირვებიათ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

პროგრამის „სარკინიგზო გადაზიდვები“ განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით, ვინაიდან პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება იღებს ვაუჩერულ და პროგრამულ დაფინანსებას. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასებისა და დაწესებულების ხელმძღვანელის განმარტების მიხედვით, კოლეჯის ფუნქციონირებისათვის ფინანსური უზრუნველყოფის ნაწილში ჩართულია, როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ისე სს „საქართველოს რკინიგზა“ 50%-იანი წილობრივი მონაწილეობით, სამინისტროს, სს “საქართველოს რკინიგზის“, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს შორის 2016 წლის 27 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი არაინტეგრირებული ჯგუფისთვის შეადგენს 6 პროფესიულ სტუდენტს, ხოლო ინტეგრირებული ჯგუფისთვის 7 პროფესიულ სტუდენტს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის N89 ბრძანება „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ (ცვლილება შევიდა 2021 წლის 30 ივნისის №51 ბრძანებით);
- ხელშეკრულება იუს/22-002 11/03/2022წ. სს საქართველოს რკინიგზასთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარკინიგზო გადაზიდვების“ განხორციელების შესახებ, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- კოლეჯის დირექტორის ბრძანება „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამშრომლების, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ“;
- კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ცვლილება შევიდა დირექტორის 2022 წლის 17 მარტის №44 ბრძანებით);
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტები;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პედაგოგებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ;
2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესის“ მიხედვით, კოლეჯში შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად, განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების საშუალებით. სისტემა ძირითადად დაფუძნებულია პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისშეფასების მიზნით კოლეჯს:

- შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა;
- პროგრამის შეფასებისათვის შედგენილი აქვს პროფესიულ სტუდენტთა კითხვარი, პროფესიული განათლების მასწავლებლების კითხვარი, დამსაქმებელთა კითხვარი დაკურსდამთავრებულთა კითხვარი.
- შეფასება ტარდება გამოკითხვის მეთოდით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით, შეფასების შედეგების საფუძველზე, ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

ასევე, კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით (ცვლილება 2020 წლის 5ივნისის №58 ბრძანება) დამტკიცებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

„ხარისხის უზრუნველყოფის წესი“, რომლის შესაბამისადაც, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო პრაქტიკას. წარმოდგენილი მტკიცებულებების და გასაუბრების სედეგებით დასტურდება, რომ კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება ე.წ. დემინგის ციკლის შესაბამისად, კოლეჯის დამფუძნებლის სს „საქართველოს რკინიგზის“, როგორც შრომის ბაზრის უმსხვილესი დამსაქმებლის, დარგის გამოცდილი სპეციალისტები უშუალოდ არიან ჩართულნი კოლეჯის მიერ განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სხვა აქტივობების დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარების პროცესში. სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ ორჯერ ხდება დაინტერესებულ მხარეებთან პროგრამის განხორციელების შეფასება, პრობლემურ საკითხებზე დისკუსია და საჭიროების შემთხვევაში სს “საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელობასთან ერთად მათი გადაწყვეტა.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

არსებული რეგულაციის მიხედვით, კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია ციკლზე: დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე - გააუმჯობესე და პროგრამების განხორციელების ხარისხთან დაკავშირებული პროცესები მიმდინარეობს აღნიშნული ციკლის შესაბამისად.

კოლეჯში სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ ორჯერ ხდება პროგრამის განხორციელების შეფასება დაინტერესებულ მხარეებთან, პრობლემურ საკითხებზე დისკუსია და საჭიროების შემთხვევაში სს ,,საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელობასთან ერთად მათი გადაწყვეტა. საანგარიშო პერიოდში დაწესებულებაში გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებისათვის შექმნილია ფოკუს ჯგუფები.

კოლეჯის შიდა მხარდაჭერის ჯგუფის თავმჯდომარის მოხსენებითი ბარათების, ანგარიშების და სხვა დოკუმენტების მიხედვით ვლინდება, რომ შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირდა პროგრამის გაუმჯობესების მიმართულებები, რაც გათვალისიწინებულ იქნა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

კოლეჯის დირექტორის მიერ და განხორციელდა სათანადო აქტივობები, ისეთები როგორიცაა: პროგრამისათვის მოდულებში სწავლების მეთოდების ცვლილება, სასწავლო რესურსების განახლება და სხვ.
დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა პროგრამის შეფასების შედეგების მიხედვით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილი კორესპონდენცია ჩარჩო დოკუმენტის ცვლილებების შესახებ, პროგრამაში შესაბამისი ცვლილებები განხორციელებულია დაწესებულების დადგენილი წესით და პირობებით, დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი“;
- კვლევების შედეგების ანალიზი;
- პროგრამაში ცვლილებების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის წესი;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამისთვის „სარკინიგზო გადაზიდვები“ შედგენილია ორი სასწავლო გეგმა: ინტეგრირებული და არაინტეგრირებული ჯგუფებისთვის. სასწავლო გეგმები შედგენილია თანმიმდევრულად, დაცულია პროგრამის კომპონენტებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

განსაზღვრული მოდულების წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმის აგებისას გათვალისწინებულია სწავლის შედეგების ხელახალი დადასტურების შესაძლო გონივრული ვადა. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასწავლო გეგმის მიხედვით, რაც დასტურდება მეცადინეობების ცხრილით, კალენდარული გეგმებით და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებით.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. კერძოდ, დაწესებულების წარმომადეგენელთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ სს „საქართველოს რკინიგზაში“ დასაქმებული პროფესიულ სტუდენტთა მეცადინეობების განრიგის შემუშავებისას გაითვალისწინება მათ ხელმძღვანელებთან წინასწარი კონსულტაციების შედეგები და მეცადინეობის განრიგი მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებზე. საქართველოს რკინიგზაში დასაქმებული პირების მეცადინეობებზე დასწრების მონაცემები ეგზავნება საქართველოს რკინიგზის ადმინისტრაციას შემდგომი რეაგირებისათვის.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. სასწავლო პროცესში გამოიყენება თანამედროვე მეთოდები, კერძოდ, კოლეჯში სწავლება მიმართულია პროფესიული სტუდენტებისათვის ტრანსფერული და პროფესიული უნარების განვითარებისკენ. სწავლება ხდება მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, სადაც პროფესიული მასწავლებელი ორიენტირებულია სტუდენტის ინტერესებზე. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციით, მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილებითა და გავლილი ტრენინგებით. დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფილია როგორც კოლეჯში, ისე პრაქტიკის ობიექტებზე: რკინიგზის დარგის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

გამოცდილი პრაქტიკოსი სპეციალისტები და განათლების დარგში მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პირები გადამზადებულნი არიან პროფესიული სწავლების სპეციფიკაში და მეთოდოლოგიაში.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-8 მუხლის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება არის მაშინ როცა:

ა) სსსმ პირი, სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს;

ბ) რომლის სწავლის შედეგები განსხვავებული აქვს კოლეჯის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან;

გ) პირი, რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ერთ თვეზე მეტხანს ან/და დაუგროვდა საპატიო გაცდენების დიდი ოდენობა და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას.

„ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების არსებობისას, პროფესიული განათლების მასწავლებელი წერილობით მიმართავს ადმინისტრაციას, რის საფუძველზეც ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ხორციელდება სასწავლო პროცესზე დასწრება - დაკვირვების მიზნით, თუ ფაქტი დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებელი 5 სამუშაო დღის ვადაში შეიმუშავებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელსაც წარუდგენენ ხარისხის მართვის მენეჯერს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისობის შემთხვევაში ხარისხის მართვის მენეჯერი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

„ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების არსებობისას, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხდება ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა თითოეული სასწავლო კურსის/მოდულის ფარგლებში წინამდებარე დებულებით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა მობილობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით.

„გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების გამოვლენისას, პროგრამის ხელმძღვანელი პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული პროგრამის სწავლის შედეგებს და შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესაბამისად პროფესიული სტუდენტის საჭიროებების გათვალისწინებით, რათა მოხდეს სტატუს აღდგენილი სტუდენტის ჩართვა სასწავლო პროცესში ასათვისებელი სასწავლო კურსების წინაპირობების დაცვით.

გარდა ამისა, პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებიც დასაქმებულნი არიან სს „საქართველოს რკინიგზაში“, უშუალოდ სს „საქართველოს რკინიგზისაგან“ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათი სამუშაო გრაფიკის გათვალისწინების მიზნით, კოლეჯი შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო ცხრილს, საკონტაქტო საათების 2 სამუშაო დღესა და შაბათზე გადანაწილების გზით.

პანდემიიდან გამომდინარე, კოლეჯში სასწავლო პროცესი ხორციელდება დისტანციური სწავლების ჰიბრიდული მოდელის შესაბამისად. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 სექტემბრის №102 ბრძანებით დამტკიცებული ,,ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში განხორციელების წესი“ ითვალისწინებს დისტანციური სასწავლო პროცესის იმგვარად ორგანიზებას, რომ არც ერთი პროფესიული სტუდენტი (შემდგომში - სტუდენტი) არ აღმოჩნდეს დისტანციური სასწავლო პროცესის მიღმა, ან არ ჩამორჩეს სასწავლო პროცესს. სურვილის შემთხვევაში, სთავაზობს კოლეჯის სივრცეში არსებული ტექნიკას დისტანციურ მეცადინეობებზე დასასწრებად. იმ შემთხვევაში, თუ მიუხედავად აღნიშნულისა სტუდენტი ვერ შეძლებს სასწავლო პროცესში ჩართვას, კოლეჯი დისტანციური სწავლების დასრულების შემდეგ შესთავაზებს მას ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. ექსპერტთა მხრიდან გადამოწმდა აღნიშნული რეგულაციების პრაქტიკაში გამოყენების მაგალითები, დოკუმენტაციით დასტურდება, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა „სარკინიგზო გადაზიდვები“ ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს და დარგის ტექნოლოგიებს. სწავლების შედეგების მიღწევა დაგეგმილია როგორც დაწესებულების შენობაში, ასევე პარტნიორ დაწესებულებაში. სს „საქართველოს რკინიგზასთან“ დუალური მიდგომით სწავლებისთვის გაფორმებულია ხელშეკრულება იუს/22-002 11/03/2022წ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარკინიგზო გადაზიდვები“ განხორციელების შესახებ, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, რომლის მიხედვითაც პრაქტიკის ობიექტი გამოთქვამს მზადყოფნას, მოცემული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში თითო ნაკადზე მიიღოს 90 პროფესიული სტუდენტი.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამით განსაზღვრული მოდულების თეორიული კომპონენტის სწავლებისთვის გამოიყენება კოლეჯის აუდიტორიები, სადაც უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო გარემო. რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებული მოდულების პრაქტიკულ კომპონენტების სწავლებას, რომელიც ხორციელდება კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, სს „საქართველოს რკინიგზასთან“ ხელშეკრულებაში გაწერილია პირობა, რის თანახმადაც ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის უსაფრთხო გარემო.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარკინიგზო გადაზიდვები“ სასწავლო გეგმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- ხელშეკრულება იუს/22-002 11/03/2022წ. სს საქართველოს რკინიგზასთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარკინიგზო გადაზიდვების“ განხორციელების შესახებ, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.
- კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ცვლილება შევიდა დირექტორის 2022 წლის 17 მარტის №44 ბრძანებით);
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში განხორციელების წესი“;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის №30 ბრძანებით (ცვლილება შევიდა კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის №40 ბრძანებით) დამტკიცებულია ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში „მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი“. დოკუმენტის მე-2 მუხლის მიხედვით, პროფესიული სტუდენტის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას; სანდოობას; მოქნილობას; სიმარტივეს; მიუკერძოებლობასა და სამართლიანობას.

„პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესში“ აღწერილია:

- შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა (მუხლი 3.);
- შეფასების ინსტრუმენტის მიმართ განსაზღვრული მოთხოვნები და სტრუქტურა (მუხლი 4.);
- შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცედურა(მუხლი 5.) - შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს მოდულის განმახორციელებელი პირ(ებ)ი და შემუშავებულ პროექტს იხილავს სასწავლო პროცესის მენეჯერი, შესაბამის დარგის სპეციალისტთან ერთად, რომელიც არ მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში.
- შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირი და შენახვის ვადები(მუხლი 7.);
- შეფასების გაფორმება (მუხლი 8.);
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის (მუხლი 9.)
- პროფესიული სტუდენტის შეფასება (მუხლი10.)
- პროფესიული სტუდენტისათვის შედეგის დადასტურების/გასაჩივრების პროცედურა (მუხლი 11.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- საკვალიფიკაციო გამოცდა (მუხლი 13.)

ექსპერტების მხრიდან შეფასდა წესების შესაბამისად არსებული მდგომარეობა: შერჩევითობის პრინციპით შემოწმდა **შეფასების ინსტრუმენტები, მტკიცებულებების და შეფასების პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტები, განხორციელდა ინტერვიუ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და სასწავლო პროცესის სამსახურის თანამშრომლებთან, შედეგების შეჯამებით დასტურდება რომ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. ვერიფიკაციის პროცედურა ხორციელდება ვერიფიკაციის ჯგუფის ჩართულობით (იქმნება კოლეჯის დირექტორის მიერ), რომელსაც ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯერი. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის ბრძანებით №42 „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ“, შექმნილია ვერფიკაციის ჯგუფი, რომელსაც ჰყავს ძირითადი და დამატებითი წევრები. ძირითადი წევრებია: კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი (ჯგუფის თავმჯდომარე); კოლეჯის საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი. დამატებითი წევრებს განსაზღვრავს ჯგუფის თავმჯდომარე, ჯგუფის წევრი არ შეიძლება იყოს ის პირი, რომელიც მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტის შექმნის ან შეთანხმების პროცესში. ვერიფიკაცია ხდება კოლეჯში წინასწარ შემუშავებული რისკების სისტემის მონაცემების შესაბამისად, რისკ-ფაქტორების კოეფიციენტების გათვალისწინებით. ვერიფიკაციის პროცედურა ხორციელდება განსაზღვრული სქემის შესაბამისად. ვერიფიკაციის პროცედურის შედეგად, ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ დგება დასკვნა რომელშიც ნათლად და დასაბუთებულად უნდა იქნას ასახული, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭირვალე, სამართლიანი და ობიექტური. დასკვნაში იდენტიფიცირებული უნდა იქნას ვერიფიკაციის პროცედურის დროს წამოჭრილი ყველა პრობლემა. ვერიფიკაციის დასკვნის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო პროცესის მენეჯერი ადგენს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

დასკვნაში არსებული რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმას, სადაც სრულყოფილად უნდა ასახოს ყველა განსახორციელებელი აქტივობა, განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი. აღნიშნული რეკომენაციების შესრულებაზე მონიტორინგის ვალდებულება აქვს ხარისხის მართვის მენეჯერს. ვერიფიცირებულ შეფასების ინსტრუმენტზე განთავსებულია წარწერა - „ვერიფიცირებულია“ და ხარისხის მართვის მენეჯერის ხელმოწერა. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია ვერიფიკაციის ჯგუფის სამუშაო შეხვედრათა ოქმები. 2021 წლის 3 ივნისით დათარიღებული ოქმი #6-ის მიხედვით, განხორციელდა „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული მოდულების ფარგლებში შექმნილი შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციის საკითხის განხილვა, ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილ იქნა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის სქემა. ჯგუფის წევრებმა შეიმუშავეს ვერიფიკაციის დასკვნა, რომელშიც ასახულია გამოვლენილი ნაკლოვანებები და რეკომენდაციები. პერსონალური მონაცემების დაცვით ვერიფიკაციის შედეგები დაეგზავნა დაინტერესებულ პირებს. დაწესებულებაში შემუშავებული და დამტკიცებულია 2022 წლის ვერიფიკაციის გეგმა , პროცესი დაწყებულია და წლის ბოლომდე გრძელდება.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის №30 ბრძანებით (ცვლილება შევიდა კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის №40 ბრძანებით) დამტკიცებულია „პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი“ რის თანახმადაც, შეფასების მტკიცებულებები ინახება პროფესიული სტუდენტის კვალიფიკაციის მინიჭებამდე, სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება 3 წლის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. კოლეჯის პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესის მე-9 და მე-10 მუხლების თანახმად, კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერდადასტურების მაჩვენებლები) შეგროვებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იყენებს მათ პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნებისათვის. ასევე, განმავითარებელი შეფასების შედეგების შეჯამების შემდეგ პროფესიულ სტუდენტს ეცნობება მისი მიღწევებისა და ნაკლოვანებების შესახებ. პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელი თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის შეიმუშავებს რეკომენდაციებს. პროფესიული სტუდენტის განმავითარებელი შეფასების შედეგები და რეკომენდაციები თავსდება პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში.

სტუდენტთა დახასიათებების ანალიზი დაწესებულებას ეხმარება პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენაში, განვითარების დინამიკაზე დაკვირვებაში და საჭიროების შემთხვევაში მათ ხელშესაწყობად შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის №30 ბრძანება (ცვლილება შევიდა კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის №40 ბრძანებით) დამტკიცებული ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში „მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი“;
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის წესი;
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის ბრძანება №42 „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ“;
- ვერიფიკაციის ჯგუფის სამუშაო შეხვედრის ოქმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- შეფასების ინსტრუმენტები;
- კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ცვლილება განხორციელებულია 2020 წლის 12 მარტის №15 ბრძანებით);
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	

228

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ლოკომოტივის მართვა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია რკინიგზის ოპერირებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

პროგრამის განხორციელების ადგილი	ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი: ქ. თბილისი, თემქის დასახლება, XI მკ.რ. III კვ. ნაკვეთი 01/10
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	დუალური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	60
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

230

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	**სრული 3**	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	**სრული 3**	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	**სრული 3**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	**მეტწილი 2**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

XI.სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მისიაა "თანამედროვე საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის, ეროვნული და საერთაშორისო ღირებულებების მატარებელი, კონკურენტუნარიანი პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციური კადრებით საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოთხოვნების დაკმაყოფილება სარკინიგზო ტრანსპორტის სფეროში და მათი საგანმანათლებლო მიზნების მიღწევისა და წარმატებული დასაქმებისთვის პირობების შექმნა", კოლეჯის განვითარების სტრატეგიულ შვიდწლიან გეგმაში ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრულია დამსაქმებელთან შეთანხმებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, მათ დანერგვასა და განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა.

პროფილიდან გამომდინარე, კოლეჯი ძირითადად ლოგისტიკური და სარკინიგზო მიმართულების სფეროზეა ორიენტირებული. შესაბამისად, მისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს ლოგისტიკური და სარკინიგზო მიმართულების პროფილის პროფესიების განხორციელება, რაც კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმაშიც გაწერილია. ამასთან, კოლეჯის მიერ ყველა საგანმანათლებლო პროგრამის დამატება და განხორციელება ხდება უშუალოდ დამფუძნებელთან - სს საქართველოს რკინიგზასთან კონსულტაციების საფუძველზე მიღწეული შეთანხმების, შრომის ბაზრის კვლევის, სტატისტიკური მონაცემებისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

კოლეჯის განვითარების სტრატეგიულ შვიდწლიან გეგმაში ერთ-ერთ ამოცანად 2020-2021 წლიდან განსაზღვრულია ინტეგრირებული სწავლების დანერგვა კოლეჯში. კოლეჯის ინტერესია, მონაწილეობა მიიღოს პროფესიული განათლების რეფორმაში და ინტეგრირებული სწავლების დანერგვით და უფრო მოქნილი და ხელმისაწვდომი გახადოს პროფესიული განათლება.

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი“, რომლის მოთხოვნების დაცვით განხორციელდა პროგრამის დაგეგმვა და დამტკიცება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „რკინიგზის ოპერირება“ საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება ეხმიანება ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის 2016-2023 წლების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის №1 სტრატეგიულ მიზანს.

სატრანსპორტო სექტორის ერთერთი უმნიშვნელოვანესი დარგი რკინიგზა საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი საყრდენია. საქართველოს რკინიგზის დარგის წინაშე არსებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა თანამედროვე ინფრასტრუქტურის განვითარება და მაღალი კვალიფიკაციის კადრებით დარგის მომარაგება. რკინიგზის დარგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა მატარებელთა უსაფრთხოდ მართვა და კვალიფიციური კადრებით დარგის მომარაგება.

2018 წლიდან კოლეჯმა დაიწყო საგანმანათლებლო პროგრამის „ლოკომოტივის მართვა“ განხორციელება. პროგრამა ხორციელდება უახლესი თაობის სიმულატურების გამოყენებით, რაც იძლევა საშუალებას კვალიფიციური მემანქანეების გამოშვებისთვის. აქედან გამომდინარე დიდ მნიშვნელობას იძენს კოლეჯში ლოკომოტივის მართვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით მოდულური პროგრამის „ლოკომოტივის მართვა“ განხორციელება ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას, შეესაბამება კოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრული დაშვების წინაპირობები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტით - „რკინიგზის ოპერირება“ განსაზღვრულ წინაპირობებთან, კერძოდ დაშვების წინაპირობებად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები გაწერილია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში და იგი ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესსა და პირობებს“. დუალური პროგრამების შემთხვევაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევის პროცესში ჩართულნი არიან წარმოების წარმომადგენლები. კოლეჯის მიერ აპლიკანტთა შერჩევა საავტორიზაციო პროგრამაზე ხორციელდება მოტივაციური გასაუბრებითა და ტესტირებით.ექსპერტების მიერ გადამოწმდა შერჩევითი პრინციპით პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურების შესაბამისად არსებული მდგომარეობა, შევსებული ტესტები, კომისიის მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია , ჩარიცხვის ბრძანება და პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, განხორციელდა გასაუბრება პროფესიულ სტუდენტებთან, მათაც დაადასტურეს მატერიალურად ნანახი მტკიცებულებების სისწორე, შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №89 ბრძანებით დამტკიცებულია „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (ცვლილება შევიდა დირექტორის 2021 წლის 30 ივნისის №51

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

ბრძანებით), რომლის მიხედვით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

- A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა ან სასწავლო გარემოს ფართი ან პროგრამის განმახორციელებელ საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა, ან რამოდენიმე საწარმოს არსებობისას - მათი ჯამი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა;
- საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი;
- მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ლოკომოტივის მართვა“ მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობისა და განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობასთან დაკავშირებით დოკუმენტში აღნიშნულია, რომ არსებული კვოტისათვის კოლეჯს ყავს სათანადო კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლები, გააჩნია ყველა საჭირო რესურსი და უზრუნველყოფს პრაქტიკის სრულყოფილ გატარებას სს საქართველოს რკინიგზაში.

აღნიშნული პროფესიული პროგრამისთვის დადგენილია საერთი კვოტა 60 პროფესიული სტუდენტის ოდენობით.

პასუხისმგებელ პირთა ინტერვიუირებისა და კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების, ასევე, პროგრამის ანალიზითა და პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებით დასტურდება, რომ კოლეჯმა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განსაზღვრა არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ლოკომოტივის მართვა" მოდულების განხორციელებისათვის დამტკიცებული აქვს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და რესურსების სია, რომლებიც უზრუნველყოფს მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულებში მითითებულია მოდულების განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსი, რომელთა შინაარსი შესაბამისობაშია შესაბამისი მოდულის სწავლის შედეგებთან. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

(თბილისი, 2022)

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მისიაა "თანამედროვე საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის, ეროვნული და საერთაშორისო ღირებულებების მატარებელი, კონკურენტუნარიანი პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციური კადრებით საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოთხოვნების დაკმაყოფილება სარკინიგზო ტრანსპორტის სფეროში და მათი საგანმანათლებლო მიზნების მიღწევისა და წარმატებული დასაქმებისთვის პირობების შექმნა", კოლეჯის განვითარების სტრატეგიულ შვიდწლიან გეგმაში ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრულია დამსაქმებელთან შეთანხმებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, მათ დანერგვასა და განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა.

პროფილიდან გამომდინარე, კოლეჯი ძირითადად ლოგისტიკური და სარკინიგზო მიმართულების სფეროზეა ორიენტირებული. შესაბამისად, მისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს ლოგისტიკური და სარკინიგზო მიმართულების პროფილის პროფესიების განხორციელება, რაც კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმაშიც გაწერილია. ამასთან, კოლეჯის მიერ ყველა საგანმანათლებლო პროგრამის დამატება და განხორციელება ხდება უშუალოდ დამფუძნებელთან - სს საქართველოს რკინიგზასთან კონსულტაციების საფუძველზე მიღწეული შეთანხმების, შრომის ბაზრის კვლევის, სტატისტიკური მონაცემებისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების გათვალისწინებით.

კოლეჯის განვითარების სტრატეგიულ შვიდწლიან გეგმაში ერთ-ერთ ამოცანად 2020-2021 წლიდან განსაზღვრულია ინტეგრირებული სწავლების დანერგვა კოლეჯში. კოლეჯის ინტერესია, მონაწილეობა მიიღოს პროფესიული განათლების რეფორმაში და ინტეგრირებული სწავლების დანერგვით და უფრო მოქნილი და ხელმისაწვდომი გახადოს პროფესიული განათლება. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი“, რომლის მოთხოვნების დაცვით განხორციელდა პროგრამის დაგეგმვა და დამტკიცება.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „სარკინიგზო ძრავიანი ტრანსპორტი“ საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება ეხმიანება ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის 2016-2023 წლების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის №1 სტრატეგიულ მიზანს. სატრანსპორტო სექტორის ერთერთი უმნიშვნელოვანესი დარგი რკინიგზა საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი საყრდენია. საქართველოს რკინიგზის დარგის წინაშე არსებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა თანამედროვე ინფრასტრუქტურის განვითარება და მაღალი კვალიფიკაციის კადრებით დარგის მომარაგება. დარგის წინაშე არსებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა გადაზიდვების უსაფრთხოდ და შეუფერხებლად წარმოება, მისი მოცულობის ზრდა და კვალიფიციური კადრებით დარგის მომარაგება, რაც პირდაპირ კავშირშია გამართული სავაგონო პარკის ფლობასთან. კოლეჯმა აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების მიღება დაიწყო 2018 წლიდან, კურსდამთავრებულები წარმატებით საქმდებიან სს „საქართველოს რკინიგზის“ სატვირთო დეპარტამენტში და სადგურებში. ამავე დროს ხშირია პერსონალის გადინება და ვერ ხდება მათი კვალიფიციური კადრებით ჩანაცვლება. აქედან გამომდინარე, კონტიგენტი რომელთა მომზადებას უზრუნველყოფს სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „სავაგონო მეურნეობა“, საშუალება იძლევა მოხდეს ვაკანტური თანამდებობების შევსება.
ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით მოდულური პროგრამის „სავაგონო მეურნეობა“ განხორციელება ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას, შეესაბამება კოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრული დაშვების წინაპირობები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტით - „სარკინიგზო ძრავიანი ტრანსპორტი“ განსაზღვრულ წინაპირობებთან, კერძოდ დაშვების წინაპირობებად განსაზღვრულია:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- პროგრამაზე ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გარეშე - სრული ზოგადი განათლება;
- პროგრამაზე ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შემთხვევაში - საბაზო განათლება.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები გაწერილია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში და იგი ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესსა და პირობებს“. დუალური პროგრამების შემთხვევაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევის პროცესში ჩართულნი არიან წარმოების წარმომადგენლები. კოლეჯის მიერ აპლიკანტთა შერჩევა საავტორიზაციო პროგრამაზე ხორციელდება მოტივაციური გასაუბრებითა და ტესტირებით.ექსპერტების მიერ გადამოწმდა შერჩევითი პრინციპით პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურების შესაბამისად არსებული მდგომარეობა, შევსებული ტესტები, კომისიის მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია , ჩარიცხვის ბრძანება და პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, განხორციელდა გასაუბრება პროფესიულ სტუდენტებთან, მათაც დაადასტურეს მატერიალურად ნანახი მტკიცებულებების სისწორე, **შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას**

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №89 ბრძანებით დამტკიცებულია „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (ცვლილება შევიდა დირექტორის 2021 წლის 30 ივნისის №51 ბრძანებით), რომლის მიხედვით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

- A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა ან სასწავლო გარემოს ფართი ან პროგრამის განმახორციელებელ საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა, ან რამოდენიმე საწარმოს არსებობისას - მათი ჯამი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა;
- საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი;
- მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია ,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,სავაგონო მეურნეობა“ რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობისა და განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობასთან დაკავშირებით დოკუმენტში აღნიშნულია რომ არსებული კვოტისათვის კოლეჯს ყავს სათანადო კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლები, გააჩნია ყველა საჭირო რესურსი და უზრუნველყოფს პრაქტიკის სრულყოფილ გატარებას საქართველოს რკინიგზაში.

აღნიშნული პროფესიული პროგრამისთვის მოთხოვნილია საერთო კვოტა 75 პროფესიული სტუდენტის ოდენობით (მათ შორის 30 პროფესიული სტუდენტი ინტეგრირებული სწავლებისთვის).

პასუხისმგებელ პირთა ინტერვიუირებისა და კოლეჯის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის დათვალიერების, ასევე, პროგრამის ანალიზითა და პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული მემორანდუმით დასტურდება, რომ კოლეჯმა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განსაზღვრა არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სავაგონო მეურნეობა” მოდულების განხორციელებისათვის დამტკიცებული აქვს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და რესურსების სია, რომლებიც უზრუნველყოფს მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულებში მითითებულია მოდულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსი, რომელთა შინაარსი შესაბამისობაშია შესაბამისი მოდულის სწავლის შედეგებთან. შესაბამისად **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

დამტკიცებული პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

კოლეჯის წესდების მე-5 მუხლის 5.1.2. პუნქტის შესაბამისად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი. ასევე, კოლეჯის მიერ შემუშავებულია ,,ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი“, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 23 მაისის №43 ბრძანებით (ცვლილება 1 - 2020 წლის 5 ივნისის №59 ბრძანება; ცვლილება 2 – 2022 წლის 9 მარტის №31 ბრძანება). რეგულაციის მიხედვით პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი და მასვე აქვს პროგრამაში ცვლილებების დამტკიცების უფლებამოსილება.

შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სავაგონო მეურნეობა” დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის - კოლეჯის დირექტორის მიერ 2018 წლის 12 ივნისის №54 ბრძანებით და მასში ცვლილებაც განხორციელებულია დირექტორის 2022 წლის 1 მარტის №20 ბრძანებით.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სავაგონო მეურნეობა“ შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის - „სარკინიგზო ძრავიანი ტრანსპორტი“ საფუძველზე. შესაბამისად, წარმოდგენილი პროგრამის სახელწოდება სრულ შესაბამისობაშია როგორც შინაარსთან, ასევე პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სავაგონო მეურნეობა“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი - სარკინიგზო ძრავიანი ტრანსპორტი (სარეგისტრაციო ნომერი 07117-პ) და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170 ბრძანების „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების შესახებ“ საფუძველზე. საფუძველზე. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში მოქმედი “პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი“, საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მის შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან. პროგრამით განსაზღვრულია

პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიდგომები. საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი შედგება პროგრამის ძირითადი დოკუმენტის, მოდულებისა და სასწავლო გეგმისგან (პროგრამა მოიცავს ორ სასწავლო გეგმას (ინტეგრირებული და არაინტეგრირებული, მათ შორის ქართული ენის მოდულების გათვალისწინებით და მის გარეშეც). ვინაიდან პროგრამა დუალურად ხორციელდება, სასწავლო გეგმაში და მოდულებში მითითებულია სწავლის შედეგების განაწილება და ხელშეკრულებები პარტნიორ კომპანიასთან. ასევე, დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელების სპეციფიკის ამსახველი სასწავლო გეგმა. **შესაბამისად პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის მისია;
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა 2016-2023 წლებისთვის;
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის 2020 წლის სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 იანვრის №3 ბრძანებით (ცვლილება განხორციელებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის №41 ბრძანებით);
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,სავაგონო მეურნეობა“ რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობისა და განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ცვლილება შევიდა დირექტორის 2022 წლის 17 მარტის №44 ბრძანებით);
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №89 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (ცვლილება შევიდა დირექტორის 2021 წლის 30 ივნისის №51 ბრძანებით);
- კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 12 ივნისის №54 ბრძანებით (ცვლილება შევიდა დირექტორის 2022 წლის 1 მარტის №54 ბრძანებით) დამტკიცებული პროგრამა „სავაგონო მეურნეობა“;
- კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 23 მაისის №43 ბრძანებით (ცვლილება 1 - 2020 წლის 5 ივნისის №59 ბრძანება; ცვლილება 2 – 2022 წლის 9 მარტის №31 ბრძანება) დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების (მოდულური პროგრამის), პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურის წესის და მატერიალური რესურსების მართვის წესი;
- „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის“ წესდება;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა კოლეჯისა და პარტნიორი კომპანიის მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ადეკვატურია.

სწავლებისათვის კოლეჯს გააჩნია A და B სასწავლო გარემო.

A ტიპის სასწავლო გარემოს (აუდიტორიები №306 და №402) თითოეული აუდიტორია აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

- 15 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისათვის;
- 1 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის;
- 1 ერთეული დაფა;
- 1 ერთეული პროექტორი და პროექტორის ეკრანი;
- ერთეული პორტატული კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის.

B ტიპის სასწავლო გარემო (აუდიტორია №401) აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

- 15 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისათვის;
- 1 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის;
- 1 ერთეული დაფა;
- 1 ერთეული პროექტორი და პროექტორის ეკრანი;
- 1 ერთეული პორტატული კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის;
- 15 ერთეული კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისთვის;
- 1 ერთეული პრინტერი.

ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისათვის დაწესებულებას მოწყობილი აქვს AC სასწავლო გარემო, რომელიც ამ პროგრამის მიზნებისთვის არის გამოყოფილი და აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- 16 ერთეული მაგიდა პროფესიული სტუდენტისათვის;
- 1 ერთეული მაგიდა პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის
- 1 ერთეული დაფა
- 1 ერთეული პროექტორი
- ინტეგრირებული მოდულის - „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ განხორციელბისათვის საჭირო აღჭურვილობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინტეგრირებული მოდულის მატერიალური რესურსები დაწესებულების მიერ შეძენილ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან 2019 წლის 31 ოქტომბერს გაფორმებული №1309 ხელშეკრულების შესაბამისად. დაწესებულების მფლობელობაში არსებული სასწავლო ფართი და შესაბამისი აუდიტორიების აღჭურვილობა იძლევა საშუალებას სასწავლო პროცესი სრულყოფილად განხორციელდეს. გასათვალისწინებელია, რომ კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №89 ბრძანებით „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ (ცვლილება შევიდა 2021 წლის 30 ივნისის №51 ბრძანებით) მე- 3 მუხლის მიხედვით, კოლეჯში სწავლის განხორციელება შესაძლებელია 2 ცვლაში, დღეში 12 საათიანი, კვირაში 60 საათიანი დატვირთვით.

მოდულური პროგრამისათვის ,,სავაგონო მეურნეობა“ დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება იუს/22-009 11/03/2022წ. სს საქართველოს რკინიგზასთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სავაგონო მეურნეობა“ განხორციელების შესახებ, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში. პრაქტიკის ობიექტი პრაქტიკის განსახორციელებლად თითო ნაკადზე მიიღებს ერთდროულად არაუმეტეს 60 პროფესიულ სტუდენტს.

კოლეჯში მისაღწევი სწავლის შედეგების რაოდენობაა - 8 (26,6%). პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგების რაოდენობაა - 22 (73,4%). აღნიშნული პროფესიული პროგრამისთვის დადგენილია საერთო კვოტა 75 პროფესიული სტუდენტის ოდენობით (მათ შორის 30 პროფესიული სტუდენტი ინტეგრირებული სწავლებისთვის). წელიწადში დაწესებულება იღებს 30 პროფესიულ სტუდენტს, აქედან 15 პროფესიული სტუდენტი არაინტეგრირებულზე, ხოლო 15 ინტეგრირებულზე. (არაინტეგრირებულზე 15 წელიწადში, სულ 2 წელი და ინტეგრირებულზე 15 წელიწადში, სულ 3 წელი). ჯგუფები დაკომპლექტდება 15-15 პროფესიული სტუდენტით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულადაა უზრუნველყოფილი დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

ინტეგრირებული მოდულების განხორციელების მიზნით, კოლეჯმა შრომითი ხელშეკრულება გააფორმა 64 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. ზოგადი მოდულების განხორციელების მიზნით კოლეჯს შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს 19 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, დარგობრივი მოდულების განხორციელების მიზნით -29 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, ხოლო ინტეგრირებული მოდულების განხორციელების მიზნით - 16 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. თითოეული მოდულისთვის კოლეჯს ყავს მინიმუმ 2 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიულ მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემის, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის, პროგრამის სასწავლო გეგმისა და პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების (ხელშეკრულებაში მოცემულია ჩანაწერი, საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის თაობაზე) შინაარსის მიხედვით, მასწავლებელთა დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას და ითვალისწინებს საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებს. ადმინისტრაციის წარმომადგენელს, სათანადო კვალიფიკაციის არსებობის შემთხვევაში აქვს სასწავლო პროცესის განხორციელების უფლებაც. აღნიშნული პრაქტიკა დანერგილია დაწესებულებაში, დოკუმენტაციის გადამოწმების და გასაუბრების შედეგებით დადგინდა, რომ სასწავლო დატვირთვის მაქსიმალური ზღვარი არ არის განსაზღვრული და დარეგულირებელი დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტებით, სასურველია დაწესებულებამ დაარეგულიროს აღნიშნული საკითხი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია კოლეჯის დირექტორის ბრძანებაში: „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამშრომლების, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ“. ასევე კოლეჯის პერსონალის მართვის წესი არეგულირებს პერსონალის შერჩევის წესს, კოლეჯში პროფესიულ მასწავლებლებად მიიღებიან შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები. დუალურ პროგრამებზე ძირითადად შერჩეულია პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომლებსაც შესაბამის კვალიფიკაციასთან ერთად, აქვთ სამუშაო გამოცდილებაც პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები, რომელთა საფუძველზეც, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგები მიღწევის შესაძლებლობას. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება კოლეჯის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ვიზიტის პერიოდში განხორციელდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან, ასევე პრაქტიკის ობიექტზე არსებულ ინსტრუქტორებთან ინტერვიუ. გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებლებს ხშირად უტარდებათ სხვადასხვა ტიპის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები თუ ტრენინგები როგორც დარგობრივ კომპეტენციაში, ასევე, სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილ იქნა შესაბამისი მტკიცებულებები, მათ შორის დასწრების ფურცლები; **დოკუმენტაციის ანალიზით და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 32-ე მუხლითა და კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 9 მარტის №33 ბრძანებით „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ“. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი დანიშნულია დაწესებულების დირექტორის ბრძანებით. პირად საქმეში დევს მისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და შესაბამისობაშია კოლეჯის მიერ დაწესებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. შესაბამისად, მას აქვს შესაძლებლობა, სრულფასოვნად უხელმძღვანელოს პროგრამის განხორციელების პროცესს. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის შესაბამისობაც დასტურდება მისი კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით. პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაოს ანაზღაურებას უზრუნველყოფს სს „საქართველოს რკინიგზა“. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობაში დეტალურადაა გაწერილი მის მიერ შესასრულებელი ფუნქცია-მოვალეობები.

ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და მუშაობს პროგრამის განვითარების მიმართულებით. იღებს მონაწილეობას პროგრამის შეფასების, განვითარების, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში. კოლეჯში პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ანალიზდება და საჭიროების შემთხვევაში ხდება პროფესიულ სტუდენტთან ინდივიდუალური გასაუბრება მისი მიღწევების გაუმჯობესებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების მიზნით. პროგრამის ხელმძღვანელი ინდივიდუალურად, თითოეულ სტუდენტზე ადგენს დახასიათებას. აღნიშნულის მიზანია როგორც პროფესიული სტუდენტის განვითარება, ასევე დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე მისი უსაფრთხოებისადმი ინდივიდუალური მიდგომის უზრუნველყოფა პრაქტიკის ობიექტზე.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში. დაწესებულებას ელექტრონული პროგრამის სახით შემუშავებული აქვს საბიბლიოთეკო კატალოგი. ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის. კვალიფიციური ბიბლიოთეკარი ახორციელებს საბიბლიოთეკო ფონდის მოხმარების აღრიცხვას, ივსება მკითხველის ბარათები, რითაც დასტურდება სასწავლო პროცესში საგანმანათლებლო რესურსის გამოყენების ფაქტი.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტის ქსელში ჩართული 3 სამაგიდო კომპიუტერი მკითხველებისთვის და ერთი პორტატული კომპიუტერი ბიბლიოთეკარისთვის, საოფისე კომბაინი (მრავალფუნქციური პრინტერი), ქაღალდების ასაკინძი და ლამინირების მოწყობილობა. კოლეჯი სარგებლობს საბიბლიოთეკო პროგრამით OpeNBiblio. დაწესებულებას აქვს წვდომა სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს (matsNe.gov.ge) ვებ გვერდზე. ექსპერტების მხრიდან გადამოწმდა პროფესიული სტუდენტების მიერ რესურსებით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასევე მათთან გასაუბრებამ დაადასტურა, რომ **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში**

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

კოლეჯში გაწერილია მარეგულირებელი წესები კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 30-ე მუხლით, იმისათვის, რომ სსსმ პირების წვდომა იქნას უზრუნველყოფილი პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, ასევე მოხდეს მათი ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; ჯერჯერობით, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში მსგავსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

საჭიროება არ დამდგარა, თუმცა კოლეჯს აქვს მზაობა. მოახდინოს სასწავლო რესურსების ადაპტირება, იქნება ეს დამხმარე ტექნიკის, პროგრამული უზრუნველყოფის, ბრაილის შრიფტის, დასურათებული სახელმძღვანელოების, მასალის შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტაციის გამოყენებით თუ სხვა სპეციფიკური მოთხოვნით. დაწესებულების განმარტებით სასწავლო რესურსის ადაპტირება არ დასჭირვებიათ.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

პროგრამის „სავაგონო მეურნეობა“ განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით, ვინაიდან პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება იღებს ვაუჩერულ და პროგრამულ დაფინანსებას. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასებისა და დაწესებულების ხელმძღვანელის განმარტების მიხედვით, კოლეჯის ფუნქციონირებისათვის ფინანსური უზრუნველყოფის ნაწილში ჩართულია, როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ისე სს „საქართველოს რკინიგზა“ 50%-იანი წილობრივი მონაწილეობით, სამინისტროს, სს “საქართველოს რკინიგზის“, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს შორის 2016 წლის 27 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი არაინტეგრირებული და ინტეგრირებული ჯგუფებისათვის შეადგენს 5-5 პროფესიულ სტუდენტს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №89 ბრძანება „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ (ცვლილება შევიდა 2021 წლის 30 ივნისის №51 ბრძანებით);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- ხელშეკრულება იუს/22-009 11/03/2022წ. სს საქართველოს რკინიგზასთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სავაგონო მეურნეობას“ განხორციელების შესახებ, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.
- კოლეჯის დირექტორის ბრძანება „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამშრომლების, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ“;
- კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ცვლილება შევიდა დირექტორის 2022 წლის 17 მარტის №44 ბრძანებით);
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტები;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პედაგოგებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ;

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესის“ მიხედვით, კოლეჯში შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად, განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების საშუალებით. სისტემა ძირითადად დაფუძნებულია პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისშეფასების მიზნით კოლეჯს:

- შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა;
- პროგრამის შეფასებისათვის შედგენილი აქვს პროფესიულ სტუდენტთა კითხვარი, პროფესიული განათლების მასწავლებლების კითხვარი, დამსაქმებელთა კითხვარი დაკურსდამთავრებულთა კითხვარი.
- შეფასება ტარდება გამოკითხვის მეთოდით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით, შეფასების შედეგების საფუძველზე, ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

ასევე, კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით (ცვლილება 2020 წლის 5ივნისის №58 ბრძანება) დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის წესი“, რომლის შესაბამისადაც, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო პრაქტიკას. წარმოდგენილი მტკიცებულებების და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება ე.წ. დემინგის ციკლის შესაბამისად, კოლეჯის დამფუძნებლის სს „საქართველოს რკინიგზის“, როგორც შრომის ბაზრის უმსხვილესი დამსაქმებლის, დარგის გამოცდილი სპეციალისტები უშუალოდ არიან ჩართულნი კოლეჯის მიერ განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სხვა აქტივობების დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარების პროცესში. სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ ორჯერ ხდება დაინტერესებულ მხარეებთან პროგრამის განხორციელების შეფასება, პრობლემურ საკითხებზე დისკუსია და საჭიროების შემთხვევაში სს “საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელობასთან ერთად მათი გადაწყვეტა.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

არსებული რეგულაციის მიხედვით, კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია ციკლზე: დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე - გააუმჯობესე და პროგრამების განხორციელების ხარისხთან დაკავშირებული პროცესები მიმდინარეობს აღნიშნული ციკლის შესაბამისად.

კოლეჯში სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ ორჯერ ხდება პროგრამის განხორციელების შეფასება დაინტერესებულ მხარეებთან, პრობლემურ საკითხებზე დისკუსია და საჭიროების შემთხვევაში სს ,,საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელობასთან ერთად მათი გადაწყვეტა. საანგარიშო პერიოდში დაწესებულებაში გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებისათვის შექმნილია ფოკუს ჯგუფები.

კოლეჯის შიდა მხარდაჭერის ჯგუფის თავმჯდომარის მოხსენებითი ბარათების, ანგარიშების და სხვა დოკუმენტების მიხედვით ვლინდება, რომ შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირდა პროგრამის გაუმჯობესების მიმართულებები, რაც გათვალისწინებულ იქნა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

კოლეჯის დირექტორის მიერ და განხორციელდა სათანადო აქტივობები, ისეთები როგორიცაა: პროგრამისათვის მოდულებში სწავლების მეთოდების ცვლილება, სასწავლო რესურსების განახლება და სხვ.
დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა პროგრამის შეფასების შედეგების მიხედვით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილი კორესპონდენცია ჩარჩო დოკუმენტის ცვლილებების შესახებ, პროგრამაში შესაბამისი ცვლილებები განხორციელებულია დაწესებულების დადგენილი წესით და პირობებით, დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი“;
- კვლევების შედეგების ანალიზი;
- პროგრამაში ცვლილებების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის წესი;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამისთვის „სავაგონო მეურნეობა“ შედგენილია ორი სასწავლო გეგმა: ინტეგრირებული და არაინტეგრირებული ჯგუფებისთვის. სასწავლო გეგმები შედგენილია თანმიმდევრულად, დაცულია პროგრამის კომპონენტებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

განსაზღვრული მოდულების წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმის აგებისას გათვალისწინებულია სწავლის შედეგების ხელახალი დადასტურების შესაძლო გონივრული ვადა. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასწავლო გეგმის მიხედვით, რაც დასტურდება მეცადინეობების ცხრილით, კალენდარული გეგმებით და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებით.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. კერძოდ, დაწესებულების წარმომადეგენელთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ სს „საქართველოს რკინიგზაში“ დასაქმებული პროფესიულ სტუდენტთა მეცადინეობების განრიგის შემუშავებისას გაითვალისწინება მათ ხელმძღვანელებთან წინასწარი კონსულტაციების შედეგები და მეცადინეობის განრიგი მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებზე. საქართველოს რკინიგზაში დასაქმებული პირების მეცადინეობებზე დასწრების მონაცემები ეგზავნება საქართველოს რკინიგზის ადმინისტრაციას შემდგომი რეაგირებისათვის.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. სასწავლო პროცესში გამოიყენება თანამედროვე მეთოდები, კერძოდ, კოლეჯში სწავლება მიმართულია პროფესიული სტუდენტებისათვის ტრანსფერული და პროფესიული უნარების განვითარებისკენ. სწავლება ხდება მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, სადაც პროფესიული მასწავლებელი ორიენტირებულია სტუდენტის ინტერესებზე. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციით, მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილებითა და გავლილი ტრენინგებით. დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფილია როგორც კოლეჯში, ისე პრაქტიკის ობიექტებზე: რკინიგზის დარგის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

გამოცდილი პრაქტიკოსი სპეციალისტები და განათლების დარგში მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პირები გადამზადებულნი არიან პროფესიული სწავლების სპეციფიკაში და მეთოდოლოგიაში.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-8 მუხლის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება არის მაშინ როცა:

ა) სსსმ პირი, სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს;

ბ) რომლის სწავლის შედეგები განსხვავებული აქვს კოლეჯის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან;

გ) პირი, რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ერთ თვეზე მეტხანს ან/და დაუგროვდა საპატიო გაცდენების დიდი ოდენობა და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას.

„ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების არსებობისას, პროფესიული განათლების მასწავლებელი წერილობით მიმართავს ადმინისტრაციას, რის საფუძველზეც ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ხორციელდება სასწავლო პროცესზე დასწრება - დაკვირვების მიზნით, თუ ფაქტი დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებელი 5 სამუშაო დღის ვადაში შეიმუშავებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელსაც წარუდგენენ ხარისხის მართვის მენეჯერს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისობის შემთხვევაში ხარისხის მართვის მენეჯერი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

„ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების არსებობისას, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხდება ინდივიდუალური საჭიროებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

დადგენა თითოეული სასწავლო კურსის/მოდულის ფარგლებში წინამდებარე დებულებით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა მობილობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით.

„გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების გამოვლენისას, პროგრამის ხელმძღვანელი პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული პროგრამის სწავლის შედეგებს და შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესაბამისად პროფესიული სტუდენტის საჭიროებების გათვალისწინებით, რათა მოხდეს სტატუს აღდგენილი სტუდენტის ჩართვა სასწავლო პროცესში ასათვისებელი სასწავლო კურსების წინაპირობების დაცვით.

გარდა ამისა, პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებიც დასაქმებულნი არიან სს „საქართველოს რკინიგზაში“, უშუალოდ სს „საქართველოს რკინიგზისაგან“ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათი სამუშაო გრაფიკის გათვალისწინების მიზნით, კოლეჯი შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო ცხრილს, საკონტაქტო საათების 2 სამუშაო დღესა და შაბათზე გადანაწილების გზით.

პანდემიიდან გამომდინარე, კოლეჯში სასწავლო პროცესი ხორციელდება დისტანციური სწავლების ჰიბრიდული მოდელის შესაბამისად. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 სექტემბრის №102 ბრძანებით დამტკიცებული ,,ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში განხორციელების წესი“ ითვალისწინებს დისტანციური სასწავლო პროცესის იმგვარად ორგანიზებას, რომ არც ერთი პროფესიული სტუდენტი (შემდგომში - სტუდენტი) არ აღმოჩნდეს დისტანციური სასწავლო პროცესის მიღმა, ან არ ჩამორჩეს სასწავლო პროცესს. სურვილის შემთხვევაში, სთავაზობს კოლეჯის სივრცეში არსებული ტექნიკას დისტანციურ მეცადინეობებზე დასასწრებად. იმ შემთხვევაში, თუ მიუხედავად აღნიშნულისა სტუდენტი ვერ შეძლებს სასწავლო პროცესში ჩართვას, კოლეჯი დისტანციური სწავლების დასრულების შემდეგ შესთავაზებს მას ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. ექსპერტთა მხრიდან გადამოწმდა აღნიშნული რეგულაციების პრაქტიკაში გამოყენების მაგალითები, დოკუმენტაციით დასტურდება, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა „სავაგონო მეურნეობა“ ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს და დარგის ტექნოლოგიებს. სწავლების შედეგების მიღწევა დაგეგმილია როგორც დაწესებულების შენობაში, ასევე პარტნიორ დაწესებულებაში. სს „საქართველოს რკინიგზასთან“ დუალური მიდგომით სწავლებისთვის გაფორმებულია ხელშეკრულება იუს/22-009 11/03/2022წ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სავაგონო მეურნეობა“ განხორციელების შესახებ, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, რომლის მიხედვითაც პრაქტიკის ობიექტი გამოთქვამს მზადყოფნას, მოცემული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში თითო ნაკადზე მიიღოს 60 პროფესიული სტუდენტი.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამით განსაზღვრული მოდულების თეორიული კომპონენტის სწავლებისთვის გამოიყენება კოლეჯის აუდიტორიები, სადაც უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო გარემო. რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებული მოდულების პრაქტიკულ კომპონენტების სწავლებას, რომელიც ხორციელდება კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, სს „საქართველოს რკინიგზასთან“ ხელშეკრულებაში გაწერილია პირობა, რის თანახმადაც ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის უსაფრთხო გარემო.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სავაგონო მეურნეობა“ სასწავლო გეგმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- ხელშეკრულება იუს/22-009 11/03/2022წ. სს საქართველოს რკინიგზასთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სავაგონო მეურნეობას“ განხორციელების შესახებ, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.
- კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ცვლილება შევიდა დირექტორის 2022 წლის 17 მარტის №44 ბრძანებით);
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში განხორციელების წესი“;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის №30 ბრძანებით (ცვლილება შევიდა კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის №40 ბრძანებით) დამტკიცებულია ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში „მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი“. დოკუმენტის მე-2 მუხლის მიხედვით, პროფესიული სტუდენტის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას; სანდოობას; მოქნილობას; სიმარტივეს; მიუკერძოებლობასა და სამართლიანობას.

„პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესში“ აღწერილია:

- შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა (მუხლი 3.);
- შეფასების ინსტრუმენტის მიმართ განსაზღვრული მოთხოვნები და სტრუქტურა (მუხლი 4.);
- შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცედურა(მუხლი 5.) - შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს მოდულის განმახორციელებელი პირ(ებ)ი და შემუშავებულ პროექტს იხილავს სასწავლო პროცესის მენეჯერი, შესაბამის დარგის სპეციალისტთან ერთად, რომელიც არ მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში.
- შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირი და შენახვის ვადები(მუხლი 7.);
- შეფასების გაფორმება (მუხლი 8.);
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის (მუხლი 9.)
- პროფესიული სტუდენტის შეფასება (მუხლი10.)
- პროფესიული სტუდენტისათვის შედეგის დადასტურების/გასაჩივრების პროცედურა (მუხლი 11.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- საკვალიფიკაციო გამოცდა (მუხლი 13.)

ექსპერტების მხრიდან შეფასდა წესების შესაბამისად არსებული მდგომარეობა: შერჩევითობის პრინციპით შემოწმდა **შეფასების ინსტრუმენტები, მტკიცებულებების და შეფასების პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტები, განხორციელდა ინტერვიუ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და სასწავლო პროცესის სამსახურის თანამშრომლებთან, შედეგების შეჯამებით დასტურდება რომ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

„ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების არსებობისას, პროფესიული განათლების მასწავლებელი წერილობით მიმართავს ადმინისტრაციას, რის საფუძველზეც ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ხორციელდება სასწავლო პროცესზე დასწრება - დაკვირვების მიზნით, თუ ფაქტი დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებელი 5 სამუშაო დღის ვადაში შეიმუშავებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელსაც წარუდგენენ ხარისხის მართვის მენეჯერს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისობის შემთხვევაში ხარისხის მართვის მენეჯერი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

„ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების არსებობისას, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხდება ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა თითოეული სასწავლო კურსის/მოდულის ფარგლებში წინამდებარე დებულებით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა მობილობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით.

„გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების გამოვლენისას, პროგრამის ხელმძღვანელი პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული პროგრამის სწავლის შედეგებს და შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესაბამისად პროფესიული სტუდენტის საჭიროებების გათვალისწინებით, რათა მოხდეს სტატუს აღდგენილი სტუდენტის ჩართვა სასწავლო პროცესში ასათვისებელი სასწავლო კურსების წინაპირობების დაცვით.

გარდა ამისა, პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებიც დასაქმებულნი არიან სს „საქართველოს რკინიგზაში“, უშუალოდ სს „საქართველოს რკინიგზისაგან“ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათი სამუშაო გრაფიკის გათვალისწინების მიზნით, კოლეჯი შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო ცხრილს, საკონტაქტო საათების 2 სამუშაო დღესა და შაბათზე გადანაწილების გზით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

პანდემიიდან გამომდინარე, კოლეჯში სასწავლო პროცესი ხორციელდება დისტანციური სწავლების ჰიბრიდული მოდელის შესაბამისად. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 სექტემბრის №102 ბრძანებით დამტკიცებული ,,ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში განხორციელების წესი“ ითვალისწინებს დისტანციური სასწავლო პროცესის იმგვარად ორგანიზებას, რომ არც ერთი პროფესიული სტუდენტი (შემდგომში - სტუდენტი) არ აღმოჩნდეს დისტანციური სასწავლო პროცესის მიღმა, ან არ ჩამორჩეს სასწავლო პროცესს. სურვილის შემთხვევაში, სთავაზობს კოლეჯის სივრცეში არსებული ტექნიკას დისტანციურ მეცადინეობებზე დასასწრებად. იმ შემთხვევაში, თუ მიუხედავად აღნიშნულისა სტუდენტი ვერ შეძლებს სასწავლო პროცესში ჩართვას, კოლეჯი დისტანციური სწავლების დასრულების შემდეგ შესთავაზებს მას ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. ექსპერტთა მხრიდან გადამოწმდა აღნიშნული რეგულაციების პრაქტიკაში გამოყენების მაგალითები, დოკუმენტაციით დასტურდება, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა „რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობა“ ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს და დარგის ტექნოლოგიებს. სწავლების შედეგების მიღწევა დაგეგმილია როგორც დაწესებულების შენობაში, ასევე პარტნიორ დაწესებულებაში. სს „საქართველოს რკინიგზასთან“ დუალური მიდგომით სწავლებისთვის გაფორმებულია ხელშეკრულება იუს/22-003 11/03/2022წ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობა“ განხორციელების შესახებ, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, რომლის მიხედვითაც პრაქტიკის ობიექტი გამოთქვამს მზადყოფნას, მოცემული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში თითო ნაკადზე მიიღოს 30 პროფესიული სტუდენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამით განსაზღვრული მოდულების თეორიული კომპონენტის სწავლებისთვის გამოიყენება კოლეჯის აუდიტორიები, სადაც უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო გარემო. რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებული მოდულების პრაქტიკულ კომპონენტების სწავლებას, რომელიც ხორციელდება კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, სს „საქართველოს რკინიგზასთან“ ხელშეკრულებაში გაწერილია პირობა, რის თანახმადაც ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის უსაფრთხო გარემო.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობა“ სასწავლო გეგმა;
- ხელშეკრულება იუს/22-003 11/03/2022წ. სს საქართველოს რკინიგზასთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობა“ განხორციელების შესახებ, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში;
- კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ცვლილება შევიდა დირექტორის 2022 წლის 17 მარტის №44 ბრძანებით);
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში განხორციელების წესი“;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.3 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის №30 ბრძანებით (ცვლილება შევიდა კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის №40 ბრძანებით) დამტკიცებულია ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში „მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი“. დოკუმენტის მე-2 მუხლის მიხედვით, პროფესიული სტუდენტის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას; სანდოობას; მოქნილობას; სიმარტივეს; მიუკერძოებლობასა და სამართლიანობას.

„პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესში“ აღწერილია:

- შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა (მუხლი 3.);
- შეფასების ინსტრუმენტის მიმართ განსაზღვრული მოთხოვნები და სტრუქტურა (მუხლი 4.);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცედურა(მუხლი 5.) - შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს მოდულის განმახორციელებელი პირ(ებ)ი და შემუშავებულ პროექტს იხილავს სასწავლო პროცესის მენეჯერი, შესაბამის დარგის სპეციალისტთან ერთად, რომელიც არ მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში.
- შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირი და შენახვის ვადები(მუხლი 7.);
- შეფასების გაფორმება (მუხლი 8.);
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის (მუხლი 9.)
- პროფესიული სტუდენტის შეფასება (მუხლი10.)
- პროფესიული სტუდენტისათვის შედეგის დადასტურების/გასაჩივრების პროცედურა (მუხლი 11.)
- საკვალიფიკაციო გამოცდა (მუხლი 13.)

ექსპერტების მხრიდან შეფასდა წესების შესაბამისად არსებული მდგომარეობა: შერჩევითობის პრინციპით შემოწმდა **შეფასების ინსტრუმენტები, მტკიცებულებების და შეფასების პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტები, განხორციელდა ინტერვიუ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და სასწავლო პროცესის სამსახურის თანამშრომლებთან, შედეგების შეჯამებით დასტურდება რომ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. ვერიფიკაციის პროცედურა ხორციელდება ვერიფიკაციის ჯგუფის ჩართულობით (იქმნება კოლეჯის დირექტორის მიერ), რომელსაც ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯერი. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის ბრძანებით №42 „ა(ა)იპ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ“, შექმნილია ვერფიკაციის ჯგუფი, რომელსაც ჰყავს ძირითადი და დამატებითი წევრები. ძირითადი წევრებია: კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი (ჯგუფის თავმჯდომარე); კოლეჯის საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი. დამატებითი წევრებს განსაზღვრავს ჯგუფის თავმჯდომარე, ჯგუფის წევრი არ შეიძლება იყოს ის პირი, რომელიც მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტის შექმნის ან შეთანხმების პროცესში. ვერიფიკაცია ხდება კოლეჯში წინასწარ შემუშავებული რისკების სისტემის მონაცემების შესაბამისად, რისკ-ფაქტორების კოეფიციენტების გათვალისწინებით. ვერიფიკაციის პროცედურა ხორციელდება განსაზღვრული სქემის შესაბამისად. ვერიფიკაციის პროცედურის შედეგად, ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ დგება დასკვნა რომელშიც ნათლად და დასაბუთებულად უნდა იქნას ასახული, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭირვალე, სამართლიანი და ობიექტური. დასკვნაში იდენტიფიცირებული უნდა იქნას ვერიფიკაციის პროცედურის დროს წამოჭრილი ყველა პრობლემა. ვერიფიკაციის დასკვნის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო პროცესის მენეჯერი ადგენს დასკვნაში არსებული რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმას, სადაც სრულყოფილად უნდა ასახოს ყველა განსახორციელებელი აქტივობა, განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი. აღნიშნული რეკომენაციების შესრულებაზე მონიტორინგის ვალდებულება აქვს ხარისხის მართვის მენეჯერს. ვერიფიცირებულ შეფასების ინსტრუმენტზე განთავსებულია წარწერა - „ვერიფიცირებულია“ და ხარისხის მართვის მენეჯერის ხელმოწერა.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია ვერიფიკაციის ჯგუფის სამუშაო შეხვედრათა ოქმები. 2021 წლის 3 ივნისით დათარიღებული ოქმი #6-ის მიხედვით, განხორციელდა „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული მოდულების ფარგლებში შექმნილი შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციის საკითხის განხილვა, ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილ იქნა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის სქემა. ჯგუფის წევრებმა შეიმუშავეს ვერიფიკაციის დასკვნა, რომელშიც ასახულია გამოვლენილი ნაკლოვანებები და რეკომენდაციები. პერსონალური მონაცემების დაცვით ვერიფიკაციის შედეგები დაეგზავნა დაინტერესებულ პირებს. დაწესებულებაში შემუშავებული და დამტკიცებულია 2022 წლის ვერიფიკაციის გეგმა , პროცესი დაწყებულია და წლის ბოლომდე გრძელდება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის №30 ბრძანებით (ცვლილება შევიდა კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის №40 ბრძანებით) დამტკიცებულია „პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი“ რის თანახმადაც, შეფასების მტკიცებულებები ინახება პროფესიული სტუდენტის კვალიფიკაციის მინიჭებამდე, სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება 3 წლის ვადით.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. კოლეჯის პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესის მე-9 და მე-10 მუხლების თანახმად, კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერდადასტურების მაჩვენებლები) შეგროვებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იყენებს მათ პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნებისათვის. ასევე, განმავითარებელი შეფასების შედეგების შეჯამების შემდეგ პროფესიულ სტუდენტს ეცნობება მისი მიღწევებისა და ნაკლოვანებების შესახებ. პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელი თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის შეიმუშავებს რეკომენდაციებს. პროფესიული სტუდენტის განმავითარებელი შეფასების შედეგები და რეკომენდაციები თავსდება პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში.

სტუდენტთა დახასიათებების ანალიზი დაწესებულებას ეხმარება პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენაში, განვითარების დინამიკაზე დაკვირვებაში და საჭიროების შემთხვევაში მათ ხელშესაწყობად შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის №30 ბრძანება (ცვლილება შევიდა კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის №40 ბრძანებით) დამტკიცებული ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში „მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი“;
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის წესი;
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის ბრძანება №42 „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ“;
- ვერიფიკაციის ჯგუფის სამუშაო შეხვედრის ოქმი;
- შეფასების ინსტრუმენტები;
- კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ცვლილება განხორციელებულია 2020 წლის 12 მარტის №15 ბრძანებით);
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	

IX.ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

პროგრამის სახელწოდება	სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი: ქ. თბილისი, თემქის დასახლება, XI მკ.რ. III კვ. ნაკვეთი 01/10
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	70

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	122
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	69
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	152
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	**სრული 3**	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	**სრული 3**	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	**სრული 3**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	**მეტწილი 2**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

XI.სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

3 საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

4 პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

5 პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მისიაა "თანამედროვე საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის, ეროვნული და საერთაშორისო ღირებულებების მატარებელი, კონკურენტუნარიანი პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციური კადრებით საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოთხოვნების დაკმაყოფილება სარკინიგზო ტრანსპორტის სფეროში და მათი საგანმანათლებლო მიზნების მიღწევისა და წარმატებული დასაქმებისთვის პირობების შექმნა", კოლეჯის განვითარების სტრატეგიულ შვიდწლიან გეგმაში ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრულია დამსაქმებელთან შეთანხმებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, მათ დანერგვასა და განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა. პროფილიდან გამომდინარე, კოლეჯი ძირითადად ლოგისტიკური და სარკინიგზო მიმართულების სფეროზეა ორიენტირებული. შესაბამისად, მისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს ლოგისტიკური და სარკინიგზო მიმართულების პროფილის პროფესიების განხორციელება, რაც კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმაშიც გაწერილია. ამასთან, კოლეჯის მიერ ყველა საგანმანათლებლო პროგრამის დამატება და განხორციელება ხდება უშუალოდ დამფუძნებელთან - სს საქართველოს რკინიგზასთან კონსულტაციების საფუძველზე მიღწეული შეთანხმების, შრომის ბაზრის კვლევის, სტატისტიკური მონაცემებისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების გათვალისწინებით.

კოლეჯის განვითარების სტრატეგიულ შვიდწლიან გეგმაში ერთ-ერთ ამოცანად 2020-2021 წლიდან განსაზღვრულია ინტეგრირებული სწავლების დანერგვა კოლეჯში. კოლეჯის ინტერესია, მონაწილეობა მიიღოს პროფესიული განათლების რეფორმაში და ინტეგრირებული სწავლების დანერგვით და უფრო მოქნილი და ხელმისაწვდომი გახადოს პროფესიული განათლება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი“, რომლის მოთხოვნების დაცვით განხორციელდა პროგრამის დაგეგმვა და დამტკიცება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „ლოგისტიკა და პორტის მენეჯმენტი“ საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება ეხმიანება ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის 2016-2023 წლების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის №1 სტრატეგიულ მიზანს. საქართველოს სატრანზიტო ფუნქციიდან გამომდინარე, ლოგისტიკის დარგი ერთ-ერთი პერსპექტიულია, რომელიც ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს და ამ პროცესებში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საქართველოს რკინიგზას.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“, ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების მიზანშეწონილება განპირობებულია ორი ფაქტორით: საქართველოს სატრანსპორტო პოტენციალიდან გამომდინარე ლოგისტიკის სფეროს განვითარების მზარდი ტენდენციით;

საქართველოს იმ მოქალაქეებისთვის, რომლებსაც არ აქვთ სრული ზოგადი განათლება, რომ მიეცეთ საშუალება შეისწავლონ სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის პროფესია, იყვნენ კონკურენტუნარიანები არსებულ შრომის ბაზარზე და დასაქმდნენ შეძენილი ცოდნისა და კვალიფიკაციის მიმართულებით.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 22 მარტის №87 გადაწყვეტილებით დაწესებულებას მინიჭებული აქვს აღნიშნული პროგრამის განხორციელების უფლება. ხოლო 2020 წლის 31 ივლისის № MES 6 20 0000648993 ბრძანებით კოლეჯმა მოიპოვა პროგრამის ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირებული მოდულებით განხორციელების უფლება.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით მოდულური პროგრამის ,,სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ განხორციელება ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას, შეესაბამება კოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრული დაშვების წინაპირობები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტით - „ლოგისტიკა და პორტის მენეჯმენტი“ განსაზღვრულ წინაპირობებთან, კერძოდ დაშვების წინაპირობებად განსაზღვრულია:

- პროგრამაზე ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გარეშე - სრული ზოგადი განათლება;
- პროგრამაზე ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შემთხვევაში - საბაზო განათლება.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები გაწერილია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში და იგი ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესსა და პირობებს“. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევის პროცესში ჩართულნი არიან პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლები. კოლეჯის მიერ აპლიკანტთაშერჩევა საავტორიზაციო პროგრამაზე ხორციელდება მოტივაციური გასაუბრებითა და ტესტირებით.ექსპერტების მიერ გადამოწმდა შერჩევითი პრინციპით პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურების შესაბამისად არსებული მდგომარეობა, შევსებული ტესტები, კომისიის მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია , ჩარიცხვის ბრძანება და პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, განხორციელდა გასაუბრება პროფესიულ სტუდენტებთან, მათაც დაადასტურეს მატერიალურად ნანახი მტკიცებულებების სისწორე, შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

3 პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №89 ბრძანებით დამტკიცებულია „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (ცვლილება შევიდა დირექტორის 2021 წლის 30 ივნისის №51 ბრძანებით), რომლის მიხედვით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

- A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა ან სასწავლო გარემოს ფართი ან პროგრამის განმახორციელებელ საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა, ან რამოდენიმე საწარმოს არსებობისას - მათი ჯამი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა;
- საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი;
- მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობისა და განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება“. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობასთან დაკავშირებით დოკუმენტში აღნიშნულია რომ არსებული კვოტისათვის კოლეჯს ყავს სათანადო კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლები, გააჩნია ყველა საჭირო რესურსი და უზრუნველყოფს პრაქტიკის სრულყოფილ გატარებას საქართველოს რკინიგზაში.

აღნიშნული პროფესიული პროგრამისთვის დადგენილია საერთი კვოტა 70 პროფესიული სტუდენტის ოდენობით (მათ შორის 30 პროფესიული სტუდენტი ინტეგრირებული სწავლებისთვის).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

პასუხისმგებელ პირთა ინტერვიუირებისა და კოლეჯის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის დათვალიერების, ასევე, პროგრამის ანალიზითა და პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული მემორანდუმით დასტურდება, რომ კოლეჯმა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განსაზღვრა არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

4 საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა" მოდულების განხორციელებისათვის დამტკიცებული აქვს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და რესურსების სია, რომლებიც უზრუნველყოფს მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულებში მითითებულია მოდულების განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსი, რომელთა შინაარსი შესაბამისობაშია შესაბამისი მოდულის სწავლის შედეგებთან. პროგრამისთვის განკუთვნილ კომპიუტერებში ჩატვირთულია სპეციალური ლოგისტიკური პროგრამა "CarLo" (ლიცენზია 10 პროფესიულ სტუდენტზე და 1 პროფესიულ მასწავლებელზე).**საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას .**

<u>ექსპერტთა მხრიდან გაიცა შემდეგი განვითარების რეკომენდაცია: ვინაიდან აღნიშნული დარგი ვითარდება და თანდათან მიმდინარეობს ახალი რეგულაციების შემუშავება და ამოქმედება, რასაც ასევე გვავალდებულებს ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება აქედან გამომდინარე, სასურველია პერიოდულად გაკონტროლდეს და მოდულებში აისახოს ის მარეგულირებელი დოკუმენტაცია (ტექნიკური რეგლამენტები, დებულებები, ინსტრუქციები), რომელიც პერიოდულად შედის ძალაში.</u>

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

დამტკიცებული პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

კოლეჯის წესდების მე-5 მუხლის 5.1.2. პუნქტის შესაბამისად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი. ასევე, კოლეჯის მიერ შემუშავებულია ,,ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი“, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 23 მაისის №43 ბრძანებით (ცვლილება 1 - 2020 წლის 5 ივნისის №59 ბრძანება; ცვლილება 2 – 2022 წლის 9 მარტის №31 ბრძანება). რეგულაციის მიხედვით პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი და მასვე აქვს პროგრამაში ცვლილებების დამტკიცების უფლებამოსილება.

შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა” დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის - კოლეჯის დირექტორის მიერ 2019 წლის 13 თებერვლის №8 ბრძანებით და მასში ცვლილებაც განხორციელებულია დირექტორის 2022 წლის 1 მარტის №21 ბრძანებით.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის - „ლოგისტიკა და პორტის მენეჯმენტი“ საფუძველზე. შესაბამისად, წარმოდგენილი პროგრამის სახელწოდება სრულ შესაბამისობაშია როგორც შინაარსთან, ასევე პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი - ლოგისტიკა და პორტის მენეჯმენტი (სარეგისტრაციო ნომერი 04113-პ) და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170 ბრძანების „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების შესახებ“ საფუძველზე. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში მოქმედი “პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი“, საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მის შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან. პროგრამით განსაზღვრულია

პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიდგომები. საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი შედგება პროგრამის ძირითადი დოკუმენტის, მოდულებისა და სასწავლო გეგმისგან (პროგრამა მოიცავს ორ სასწავლო გეგმას (ინტეგრირებული და არაინტეგრირებული, მათ შორის ქართული ენის მოდულების გათვალისწინებით და მის გარეშეც). **შესაბამისად პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის მისია;
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა 2016-2023 წლებისთვის;
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის 2020 წლის სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 იანვრის №3 ბრძანებით (ცვლილება განხორციელებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის №41 ბრძანებით);
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობისა და განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ცვლილება შევიდა დირექტორის 2022 წლის 17 მარტის №44 ბრძანებით);
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №89 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (ცვლილება შევიდა დირექტორის 2021 წლის 30 ივნისის №51 ბრძანებით);
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 თებერვლის №8 ბრძანებით (ცვლილება შევიდა დირექტორის 2022 წლის 1 მარტის №21 ბრძანებით) დამტკიცებული პროგრამა „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“;
- კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 23 მაისის №43 ბრძანებით (ცვლილება 1 - 2020 წლის 5 ივნისის №59 ბრძანება; ცვლილება 2 – 2022 წლის 9 მარტის №31 ბრძანება) დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების (მოდულური პროგრამის), პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურის წესის და მატერიალური რესურსების მართვის წესი;
- „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის“ წესდება;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მოდულების განხორციელებისათვის დაწესებულებას მოწყობილი აქვს სივრცე 229 კვ.მ ფართის (აუდიტორია №106), სადაც განლაგებულია A, B და C სასწავლო გარემო აღჭურვილი შემდეგი ინვენტარით:

A სასწავლო გარემოსთვის:

- 10 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისათვის;
- 1 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- 1 ერთეული დაფა;
- 1 ერთეული პროექტორი და პროექტორის ეკრანი;
- ერთეული პორტატული კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის.

B სასწავლო გარემოსთვის:

- 10 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისათვის;
- 1 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის;
- 1 ერთეული დაფა;
- 1 ერთეული პროექტორი და პროექტორის ეკრანი;
- 1 ერთეული პორტატული კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის;
- 10 ერთეული კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისთვის;
- 1 ერთეული პრინტერი.

პროგრამისთვის განკუთვნილ კომპიუტერებში ჩატვირთულია სპეციალური ლოგისტიკური პროგრამა “CarLo“ (ლიცენზია 10 პროფესიულ სტუდენტზე და 1 პროფესიულ მასწავლებელზე).

C სასწავლო გარემოსთვის საწყობის ინვენტარით აღჭურვილი სივრცე.

ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისათვის დაწესებულებას მოწყობილი აქვს AC სასწავლო გარემო, რომელიც ამ პროგრამის მიზნებისთვის არის გამოყოფილი და აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

- 16 ერთეული მაგიდა პროფესიული სტუდენტისათვის;
- 1 ერთეული მაგიდა პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის
- 1 ერთეული დაფა
- 1 ერთეული პროექტორი
- ინტეგრირებული მოდულის - „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ განხორციელბისათვის საჭირო აღჭურვილობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინტეგრირებული მოდულის მატერიალური რესურსები დაწესებულების მიერ შეძენილ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან 2019 წლის 31 ოქტომბერს გაფორმებული №1309 ხელშეკრულების შესაბამისად. დაწესებულების მფლობელობაში არსებული სასწავლო ფართი და შესაბამისი აუდიტორიების აღჭურვილობა იძლევა საშუალებას სასწავლო პროცესი სრულყოფილად განხორციელდეს. გასათვალისწინებელია, რომ კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №89 ბრძანებით „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ (ცვლილება შევიდა 2021 წლის 30 ივნისის №51 ბრძანებით) მე- 3 მუხლის მიხედვით, კოლეჯში სწავლის განხორციელება შესაძლებელია 2 ცვლაში, დღეში 12 საათიანი, კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. მოდულური პროგრამისათვის ,,სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საწარმოო პრაქტიკის განხორციელების შესახებ (იუს/22-010 03/14/2022) პრაქტიკის ობიექტთან - სს საქართველოს რკინიგზასთან. პრაქტიკის ობიექტი პრაქტიკის განსახორციელებლად მიიღებს ერთდროულად არაუმეტეს 60 პროფესიულ სტუდენტს. აღნიშნულ ობიექტზე ხორციელდება მოდულები: ,,პრაქტიკული პროექტი - სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ და ,,საწარმოო პრაქტიკა“.

აღნიშნული პროფესიული პროგრამისთვის დადგენილია საერთო კვოტა 70 პროფესიული სტუდენტის ოდენობით (მათ შორის 30 პროფესიული სტუდენტი ინტეგრირებული სწავლებისთვის). წელიწადში დაწესებულება იღებს 30 პროფესიულ სტუდენტს, აქედან 20 პროფესიული სტუდენტი არაინტეგრირებულზე, ხოლო 10 ინტეგრირებულზე. (არაინტეგრირებულზე 20-20 წელიწადში, სულ 2 წელი და ინტეგრირებულზე 10-10-10 წელიწადში, სულ 3 წელი).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულადაა უზრუნველყოფილი დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

347

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

ინტეგრირებული მოდულების განხორციელების მიზნით, კოლეჯმა შრომითი ხელშეკრულება გააფორმა 41 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. ზოგადი მოდულების განხორციელების მიზნით კოლეჯს შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს 18 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, დარგობრივი მოდულების განხორციელების მიზნით - 7 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, ხოლო ინტეგრირებული მოდულების განხორციელების მიზნით - 16 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. თითოეული მოდულისთვის კოლეჯს ყავს მინიმუმ 2 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

პროფესიულ მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემის, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის, პროგრამის სასწავლო გეგმისა და პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების (ხელშეკრულებაში მოცემულია ჩანაწერი, საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის თაობაზე) შინაარსის მიხედვით, მასწავლებელთა დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას და ითვალისწინებს საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებს. ადმინისტრაციის წარმომადგენელს, სათანადო კვალიფიკაციის არსებობის შემთხვევაში აქვს სასწავლო პროცესის განხორციელების უფლებაც. აღნიშნული პრაქტიკა დანერგილია დაწესებულებაში, დოკუმენტაციის გადამოწმების და გასაუბრების შედეგებით დადგინდა, რომ სასწავლო დატვირთვის მაქსიმალური ზღვარი არ არის განსაზღვრული და დარეგულირებელი დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტებით, სასურველია დაწესებულებამ დაარეგულიროს აღნიშნული საკითხი.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია კოლეჯის დირექტორის ბრძანებაში: „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამშრომლების, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობების დამტკიცების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

შესახებ“. ასევე კოლეჯის პერსონალის მართვის წესი არეგულირებს პერსონალის შერჩევის წესს, კოლეჯში პროფესიულ მასწავლებლებად მიიღებიან შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები. ძირითადად შერჩეულია პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომლებსაც შესაბამის კვალიფიკაციასთან ერთად, აქვთ სამუშაო გამოცდილებაც პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები, რომელთა საფუძველზეც, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგები მიღწევის შესაძლებლობას. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება კოლეჯის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების შერჩევა განხორციელდა საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და კოლეჯის ჩართულობით, სამეტაპიანი შერჩევის გზით, მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით. ვიზიტის პერიოდში განხორციერლდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან, ასევე პრაქტიკის ობიექტზე არსებულ ინსტრუქტორებთან ინტერვიუ. გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებლებს ხშირად უტარდებათ სხვადასხვა ტიპის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები თუ ტრენინგები როგორც დარგობრივ კომპეტენციაში, ასევე, სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილ იქნა შესაბამისი მტკიცებულებები, მათ შორის დასწრების ფურცლები; დოკუმენტაციის ანალიზით და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 32-ე მუხლითა და კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 9 მარტის №33 ბრძანებით „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ“. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი დანიშნულია დაწესებულების დირექტორის ბრძანებით. პირად საქმეში დევს მისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და შესაბამისობაშია კოლეჯის მიერ დაწესებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. შესაბამისად, მას აქვს შესაძლებლობა, სრულფასოვნად უხელმძღვანელოს პროგრამის განხორციელების პროცესს. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის შესაბამისობაც დასტურდება მისი კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით. პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაოს ანაზღაურებას უზრუნველყოფს სს „საქართველოს რკინიგზა“. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობაში დეტალურადაა გაწერილი მის მიერ შესასრულებელი ფუნქცია-მოვალეობები.

ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და მუშაობს პროგრამის განვითარების მიმართულებით. იღებს მონაწილეობას პროგრამის შეფასების, განვითარების, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში. კოლეჯში პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ანალიზდება და საჭიროების შემთხვევაში ხდება პროფესიულ სტუდენტთან ინდივიდუალური გასაუბრება მისი მიღწევების გაუმჯობესებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების მიზნით. პროგრამის ხელმძღვანელი ინდივიდუალურად, თითოეულ სტუდენტზე ადგენს დახასიათებას. აღნიშნულის მიზანია როგორც პროფესიული სტუდენტის განვითარება, ასევე დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე მისი უსაფრთხოებისადმი ინდივიდუალური მიდგომის უზრუნველყოფა პრაქტიკის ობიექტზე.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში. დაწესებულებას ელექტრონული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

პროგრამის სახით შემუშავებული აქვს საბიბლიოთეკო კატალოგი. ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის. კვალიფიციური ბიბლიოთეკარი ახორციელებს საბიბლიოთეკო ფონდის მოხმარების აღრიცხვას, ივსება მკითხველის ბარათები, რითაც დასტურდება სასწავლო პროცესში საგანმანათლებლო რესურსის გამოყენების ფაქტი.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტის ქსელში ჩართული 3 სამაგიდო კომპიუტერი მკითხველებისთვის და ერთი პორტატული კომპიუტერი ბიბლიოთეკარისთვის, საოფისე კომბაინი (მრავალფუნქციური პრინტერი), ქაღალდების ასაკინძი და ლამინირების მოწყობილობა. კოლეჯი სარგებლობს საბიბლიოთეკო პროგრამით OpeNBiblio. დაწესებულებას აქვს წვდომა სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს (matsNe.gov.ge) ვებ გვერდზე. ექსპერტების მხრიდან გადამოწმდა პროფესიული სტუდენტების მიერ რესურსებით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასევე მათთან გასაუბრებამ დაადასტურა, რომ **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში**

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

კოლეჯში გაწერილია მარეგულირებელი წესები კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 30-ე მუხლით, იმისათვის, რომ სსსმ პირების წვდომა იქნას უზრუნველყოფილი პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, ასევე მოხდეს მათი ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; ჯერჯერობით, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში მსგავსი საჭიროება არ დამდგარა, თუმცა კოლეჯს აქვს მზაობა. მოახდინოს სასწავლო რესურსების ადაპტირება, იქნება ეს დამხმარე ტექნიკის, პროგრამული უზრუნველყოფის, ბრაილის შრიფტის, დასურათებული სახელმძღვანელოების, მასალის შინაარსობრივი ან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

ვიზუალური ადაპტაციის გამოყენებით თუ სხვა სპეციფიკური მოთხოვნით. დაწესებულების განმარტებით სასწავლო რესურსის ადაპტირება არ დასჭირვებიათ.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

პროგრამის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით, ვინაიდან პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება იღებს ვაუჩერულ და პროგრამულ დაფინანსებას. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასებისა და დაწესებულების ხელმძღვანელის განმარტების მიხედვით, კოლეჯის ფუნქციონირებისათვის ფინანსური უზრუნველყოფის ნაწილში ჩართულია, როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ისე სს „საქართველოს რკინიგზა“ 50%-იანი წილობრივი მონაწილეობით, სამინისტროს, სს “საქართველოს რკინიგზის“, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს შორის 2016 წლის 27 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი არაინტეგრირებული და ინტეგრირებული სასწავლო გეგმისათვის. რენტაბელურობის ზღვარად მიჩნეულია არაინტეგრირებული პროგრამისთვის - 5 პროფესიული სტუდენტი, ინტეგრირებული პროგრამისთვის - 6 პროფესიული სტუდენტი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №89 ბრძანება „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ (ცვლილება შევიდა 2021 წლის 30 ივნისის №51 ბრძანებით);
- ხელშეკრულება საწარმოო პრაქტიკის განხორციელების შესახებ (იუს/22-010 03/14/2022) პრაქტიკის ობიექტთან - სს საქართველოს რკინიგზასთან;
პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 32-ე მუხლითა და კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 9 მარტის №33 ბრძანებით „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ“. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი დანიშნულია დაწესებულების დირექტორის ბრძანებით. პირად საქმეში დევს მისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და შესაბამისობაშია კოლეჯის მიერ დაწესებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. გავლილი აქვს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოწყობილი სწავლების სპეციალური ტრენინგ კურსები, მათ შორის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის კუთხით. შესაბამისად, მას აქვს შესაძლებლობა, სრულფასოვნად უხელმძღვანელოს პროგრამის განხორციელების პროცესს. პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის შესაბამისობაც დასტურდება მისი კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით. პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაოს ანაზღაურებას უზრუნველყოფს სს „საქართველოს რკინიგზა“. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობაში დეტალურადაა გაწერილი მის მიერ შესასრულებელი ფუნქცია-მოვალეობები.ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და მუშაობს პროგრამის განვითარების მიმართულებით.მიიღებს მონაწილეობას პროგრამის შეფასების, განვითარების, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში. კოლეჯში პროგრამის ხელმძღვანელის მიერ გაანალიზდება და საჭიროების შემთხვევაში მოხდება პროფესიულ სტუდენტთან ინდივიდუალური გასაუბრება მისი მიღწევების გაუმჯობესებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების მიზნით. **ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში. დაწესებულებას ელექტრონული პროგრამის სახით შემუშავებული აქვს საბიბლიოთეკო კატალოგი. ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის. კვალიფიციური ბიბლიოთეკარი ახორციელებს საბიბლიოთეკო ფონდის მოხმარების აღრიცხვას, ივსება მკითხველის ბარათები, რითაც დასტურდება სასწავლო პროცესში საგანმანათლებლო რესურსის გამოყენების ფაქტი. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტის ქსელში ჩართული 3 სამაგიდო კომპიუტერი მკითხველებისთვის და ერთი პორტატული კომპიუტერი ბიბლიოთეკარისთვის, საოფისე კომბაინი (მრავალფუნქციური პრინტერი), ქაღალდების ასაკინძი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

ლამინირების მოწყობილობა. კოლეჯი სარგებლობს საბიბლიოთეკო პროგრამით Ope№Biblio. დაწესებულებას აქვს წვდომა სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს (mats№e.gov.ge) ვებ გვერდზე.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

კოლეჯში გაწერილია მარეგულირებელი წესები კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 30-ე მუხლით, იმისათვის, რომ სსსმ პირების წვდომა იქნას უზრუნველყოფილი პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, ასევე მოხდეს მათი ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; ჯერჯერობით, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში მსგავსი საჭიროება არ დამდგარა, თუმცა კოლეჯს აქვს მზაობა. მოახდინოს სასწავლო რესურსების ადაპტირება, იქნება ეს დამხმარე ტექნიკის, პროგრამული უზრუნველყოფის, ბრაილის შრიფტის, დასურათებული სახელმძღვანელოების, მასალის შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტაციის გამოყენებით თუ სხვა სპეციფიკური მოთხოვნით. **სსსმ პირებს საჭიროების შემთხვევაში წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად**

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, კოლეჯი ვაუჩერული დაფინანსების სახით იღებს სახელმწიფოსგან თითოეული სტუდენტის სწავლის საფასურს კოლეჯში განსახორციელებელი მოდულების ღირებულების შესაბამისად მთლიან პროგრამაზე. <u>რენტაბელობის ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 5 -ით.</u> კოლეჯს განსაზღვრული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, სადაც გაწერილია <u>შემოსავლების ნაწილი</u> და <u>ხარჯების ნაწილი.</u> **ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №89 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. (ცვლილება - ბრძანება №51, 30.06.2021 წ).
- პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეები.
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე.
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- ბიბლიოთეკა: https://www.rtc.edu.ge/info/eleqtronuli-biblioTeka/37 ;
- კოლეჯის ვებგვერდი: https://www.rtc.edu.ge/mTavari ;
- მატერიალური რესურსის შესყიდვის დოკუმენტაცია;
- სს“საქართველოს რკინიგზის“, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს შორის 2016 წლის 27 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულება;
- ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიურება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

☐არ შეესაბამება

2.3. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2.პსდ აანალიზებსპროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესის“ მიხედვით, კოლეჯში შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად, განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების საშუალებით. სისტემა ძირითადად დაფუძნებულია პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისშეფასების მიზნით კოლეჯს:

- შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა;
- პროგრამის შეფასებისათვის შედგენილი აქვს პროფესიულ სტუდენტთა კითხვარი, პროფესიული განათლების მასწავლებლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

კითხვარი, დამსაქმებელთა კითხვარი დაკურსდამთავრებულთა კითხვარი.

- შეფასება ტარდება გამოკითხვის მეთოდით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით, შეფასების შედეგების საფუძველზე, ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. ასევე, კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით (ცვლილება 2020 წლის 5 ივნისის №58 ბრძანება) დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის წესი“, რომლის შესაბამისადაც, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო პრაქტიკას. წარმოდგენილი მტკიცებულებების და გასაუბრების სედეგებით დასტურდება, რომ კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება ე.წ. დემინგის ციკლის შესაბამისად, კოლეჯის დამფუძნებლის სს „საქართველოს რკინიგზის“, როგორც შრომის ბაზრის უმსხვილესი დამსაქმებლის, დარგის გამოცდილი სპეციალისტები უშუალოდ არიან ჩართულნი კოლეჯის მიერ განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სხვა აქტივობების დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარების პროცესში. სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ ორჯერ განხორციელდება დაინტერესებულ მხარეებთან პროგრამის განხორციელების შეფასება, პრობლემურ საკითხებზე დისკუსია და საჭიროების შემთხვევაში სს“საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელობასთან ერთად მათი გადაწყვეტა.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

არსებული რეგულაციის მიხედვით, კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია ციკლზე: დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე - გააუმჯობესე და პროგრამების განხორციელების ხარისხთან დაკავშირებული პროცესები მიმდინარეობს აღნიშნული ციკლის შესაბამისად. საანგარიშო პერიოდში დაწესებულებაში გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებისათვის შექმნილია ფოკუს ჯგუფები. კოლეჯის შიდა მხარდაჭერის ჯგუფის თავმჯდომარის მოხსენებითი ბარათების, ანგარიშების და სხვა დოკუმენტების მიხედვით ვლინდება, რომ შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირდა პროგრამის გაუმჯობესების მიმართულებები, რაც გათვალისიწინებულ იქნა კოლეჯის დირექტორის მიერ და განხორციელდება საჭიროებისამებრ სათანადო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

აქტივობები, მაგ: პროგრამისათვის მოდულებში სწავლების მეთოდების ცვლილება, სასწავლო რესურსების განახლება , სასწავლო გეგმის ცვლილება და სხვ.

დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ **პსდ გაანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში გახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი“;
- კვლევების შედეგების ანალიზი;
- პროგრამაში ცვლილებების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის წესი;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

- ■შეესაბამება
- □მეტწილად შეესაბამება
- □ნაწილობრივ შეესაბამება
- □არ შეესაბამება

2.4.სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სასწავლო გეგმა: ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის. მოდულების დაშვების წინაპირობა გეგმის მიხედვით დაცულია. პირველი ნაკადის მიღება გამოცხადებულია მიმდინარე წელს, ექსპერტთა შეფასებით, პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. კერძოდ, დაწესებულების წარმომადეგენელთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ სს „საქართველოს რკინიგზაში“ დასაქმებული პროფესიულ სტუდენტთა მეცადინეობების განრიგის შემუშავებისას გაითვალისწინება მათ ხელმძღვანელებთან წინასწარი კონსულტაციების შედეგები და მეცადინეობის განრიგი მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებზე. საქართველოს რკინიგზაში დასაქმებული პირების მეცადინეობებზე დასწრების მონაცემები ეგზავნება საქართველოს რკინიგზის ადმინისტრაციას შემდგომი რეაგირებისათვის.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

პროგრამაზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროგრამისთვის დაწესებულებას შესყიდული აქვს თანამედროვე ინვენტარი, მათ შორის თანამედროვე მზომი ხელსაწყოები და აპარატურა, რაც ადასტურებს დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებას.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-8 მუხლის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება არის მაშინ როცა:

ა) სსსმ პირი, სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს;

ბ) რომლის სწავლის შედეგები განსხვავებული აქვს კოლეჯის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

გ) პირი, რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ერთ თვეზე მეტხანს ან/და დაუგროვდა საპატიო გაცდენების დიდი ოდენობა და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას.

„ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების არსებობისას, პროფესიული განათლების მასწავლებელი წერილობით მიმართავს ადმინისტრაციას, რის საფუძველზეც ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ხორციელდება სასწავლო პროცესზე დასწრება - დაკვირვების მიზნით, თუ ფაქტი დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებელი 5 სამუშაო დღის ვადაში შეიმუშავებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელსაც წარუდგენენ ხარისხის მართვის მენეჯერს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისობის შემთხვევაში ხარისხის მართვის მენეჯერი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

„ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების არსებობისას, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხდება ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა თითოეული სასწავლო კურსის/მოდულის ფარგლებში წინამდებარე დებულებით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა მობილობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით.

„გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების გამოვლენისას, პროგრამის ხელმძღვანელი პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული პროგრამის სწავლის შედეგებს და შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესაბამისად პროფესიული სტუდენტის საჭიროებების გათვალისწინებით, რათა მოხდეს სტატუს აღდგენილი სტუდენტის ჩართვა სასწავლო პროცესში ასათვისებელი სასწავლო კურსების წინაპირობების დაცვით.

გარდა ამისა, პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებიც დასაქმებულნი არიან სს „საქართველოს რკინიგზაში“, უშუალოდ სს „საქართველოს რკინიგზისაგან“ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათი სამუშაო გრაფიკის გათვალისწინების მიზნით, კოლეჯი შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო ცხრილს, საკონტაქტო საათების 2 სამუშაო დღესა და შაბათზე გადანაწილების გზით.

პანდემიიდან გამომდინარე, კოლეჯში სასწავლო პროცესი ხორციელდება დისტანციური სწავლების ჰიბრიდული მოდელის შესაბამისად. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 სექტემბრის №102 ბრძანებით დამტკიცებული ,,ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

პროცესის დისტანციურ რეჟიმში განხორციელების წესი“ ითვალისწინებს დისტანციური სასწავლო პროცესის იმგვარად ორგანიზებას, რომ არც ერთი პროფესიული სტუდენტი (შემდგომში - სტუდენტი) არ აღმოჩნდეს დისტანციური სასწავლო პროცესის მიღმა, ან არ ჩამორჩეს სასწავლო პროცესს. სურვილის შემთხვევაში, სთავაზობს კოლეჯის სივრცეში არსებული ტექნიკას დისტანციურ მეცადინეობებზე დასასწრებად. იმ შემთხვევაში, თუ მიუხედავად აღნიშნულისა სტუდენტი ვერ შეძლებს სასწავლო პროცესში ჩართვას, კოლეჯი დისტანციური სწავლების დასრულების შემდეგ შესთავაზებს მას ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ სწავლების შედეგის მიღწევა დაგეგმილია როგორც დაწესებულების შენობაში, ასევე პარტნიორ დაწესებულებაში. სს „საქართველოს რკინიგზასთან“ 2021 წლის 15 ნოემბერს გაფორმებულია ხელშეკრულება №იუს/21-036 პროგრამით გათვალისწინებული მოდულების: გაცნობითი პრაქტიკა, საფრთხეებისა დარისკების კონტროლი სამუშაო (დასაქმების) ადგილზე, გარემოს დაცვის მენეჯმენტი, ელექტრო და სახანძრო უდსაფრთხოება, სამუშაო აღჭურვილობის საფრთხეებისა და რისკის კონტროლი და საწარმოო პრაქტიკა პრაქტიკული შედეგების მიღწევის მიზნით, რომლის მიხედვითაც პრაქტიკის ობიექტი გამოთქვამს მზადყოფნას, მოცემული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ერთდროულად მიიღებს არაუმეტეს 40 პროფესიულ სტუდენტს. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. ხელშეკრულებას ახლავს დანართი, სადაც ჩამოწერლია ის აღჭურვილობა, რომელიც პროფესიულმა სტუდენტმა უნდა გამოიყენოს პრაქტიკის ობიექტზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. ექსპერტთას მიერ ვიზუალურად შემოწმდა A C და B გარემო. ორივე გარემო აღჭურვილია სახანძრო კვამლის დეტექტორით. უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით. C გარემო გარემონტებულია, განთავსებულია სახანძრო უსაფრთხოების ინვენტარი. შემოწმდა ცეცხლმაქრების ვადიანობა. გარემოში გამოკრულია უსაფრთხოების ნიშნები და სპეციალურ უსაფრთხოების ინსტრუქცია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. სასწავლო გეგმა.
- პრაქტიკის ხელშეკრულება;
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული უსაფრთხოების წესები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია;
- ვიზუალური დათვალიერება.
- ინტერვიურება.

შეფასება:

■შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

2.4.2.შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის №30 ბრძანებით (ცვლილება შევიდა კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის №40 ბრძანებით) დამტკიცებულია ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში „მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი“. დოკუმენტის მე-2 მუხლის მიხედვით, პროფესიული სტუდენტის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას; სანდოობას; მოქნილობას; სიმარტივეს; მიუკერძოებლობასა და სამართლიანობას.

„პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესში“ აღწერილია:

- შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა (მუხლი 3.);
- შეფასების ინსტრუმენტის მიმართ განსაზღვრული მოთხოვნები და სტრუქტურა (მუხლი 4.);
- შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცედურა(მუხლი 5.) - შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს მოდულის განმახორციელებელი პირ(ებ)ი და შემუშავებულ პროექტს იხილავს სასწავლო პროცესის მენეჯერი, შესაბამის დარგის სპეციალისტთან ერთად, რომელიც არ მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირი და შენახვის ვადები(მუხლი 7.);
- შეფასების გაფორმება (მუხლი 8.);
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის (მუხლი 9.)
- პროფესიული სტუდენტის შეფასება (მუხლი10.)
- პროფესიული სტუდენტისათვის შედეგის დადასტურების/გასაჩივრების პროცედურა (მუხლი 11.)
- საკვალიფიკაციო გამოცდა (მუხლი 13.)

ექსპერტების მხრიდან შეფასდა წესების შესაბამისად არსებული მდგომარეობა: შემოწმდა **შეფასების პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტები, განხორციელდა ინტერვიუ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და სასწავლო პროცესის სამსახურის თანამშრომლებთან,**

გასაუბრებისას მოდულის განმახორციელებელმა პირებმა აღნიშნეს, რომ იცნობენ შეფასების სისტემას,შეფასების ინსტრუმენტის დამტკიცებულ ფორმას, და სასწავლო პროცესის მენეჯერთან შეთანხმებით დაიწყებენ შეფასების ინსტრუმენტზე მუშაობას, როგორც კი დაწესებულება აღნიშნული პროგრამის განხორციელების უფლებას მოიპოვებს. რიგი პროფესიული განათლების მასწავლებლები, იცნობენ შეფასების მეთოდებს, შეფასების ინსტრუმენტის შედგენის გამოცდილებაც აქვთ და მონაწილეობაც მიუღიათ სხვა პროგრამის ფარგლებში ვერიფიკაციის პროცესში. ასევე გავესაუბრეთ სასწავლო პროცესის მენეჯერს, რომელმაც დაადასტურა მზაობა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლებს დამატებით უტარდებათ თემატური ტრენინგები შეფასებასთან დაკავშირებით, და დადგენილი წესის შესაბამისად კონკრეტული მოდულის დაწყებამდე უნდა მოხდეს შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება და მათი ვალიდაცია, რომლის გარეშეც არ შეიძლება ინსტრუმენტის შეფასების პროცესში გამოყენება. **შედეგების შეჯამებით დასტურდება რომ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. ვერიფიკაციის პროცედურა ხორციელდება ვერიფიკაციის ჯგუფის ჩართულობით (იქმნება კოლეჯის დირექტორის მიერ), რომელსაც ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯერი. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის ბრძანებით №42 „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ“, შექმნილია ვერფიკაციის ჯგუფი, რომელსაც ჰყავს ძირითადი და დამატებითი წევრები. ძირითადი წევრებია: კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი (ჯგუფის თავმჯდომარე); კოლეჯის საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი. დამატებითი წევრებს განსაზღვრავს ჯგუფის თავმჯდომარე, ჯგუფის წევრი არ შეიძლება იყოს ის პირი, რომელიც მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტის შექმნის ან შეთანხმების პროცესში. ვერიფიკაცია ხდება კოლეჯში წინასწარ შემუშავებული რისკების სისტემის მონაცემების შესაბამისად, რისკ-ფაქტორების კოეფიციენტების გათვალისწინებით. ვერიფიკაციის პროცედურა ხორციელდება განსაზღვრული სქემის შესაბამისად. ვერიფიკაციის პროცედურის შედეგად, ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ დგება დასკვნა რომელშიც ნათლად და დასაბუთებულად უნდა იქნას ასახული, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭირვალე, სამართლიანი და ობიექტური. დასკვნაში იდენტიფიცირებული უნდა იქნას ვერიფიკაციის პროცედურის დროს წამოჭრილი ყველა პრობლემა. ვერიფიკაციის დასკვნის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო პროცესის მენეჯერი ადგენს დასკვნაში არსებული რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმას, სადაც სრულყოფილად უნდა ასახოს ყველა განსახორციელებელი აქტივობა, განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი. აღნიშნული რეკომენაციების შესრულებაზე მონიტორინგის ვალდებულება აქვს ხარისხის მართვის მენეჯერს. ვერიფიცირებულ შეფასების ინსტრუმენტზე განთავსებულია წარწერა - „ვერიფიცირებულია“ და ხარისხის მართვის მენეჯერის ხელმოწერა. ვინაიდან დაწესებულებას ჯერ არ ჰყავს პროფესიული სტუდენტები აღნიშნულ პროგრამაზე შემუშავებული და დამტკიცებულია ვერიფიკაციის გეგმა , პროცესი დაიწყება და განხორციელდება 2023 წლიდან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის №30 ბრძანებით (ცვლილება შევიდა კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის №40 ბრძანებით) დამტკიცებულია „პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი“ რის თანახმადაც, შეფასების მტკიცებულებები შეინახება პროფესიული სტუდენტის კვალიფიკაციის მინიჭებამდე, სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება 3 წლის ვადით.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. კოლეჯის პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესის მე-9 და მე-10 მუხლების თანახმად, კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერდადასტურების მაჩვენებლები) შეგროვებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იყენებს მათ პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნებისათვის. ასევე, განმავითარებელი შეფასების შედეგების შეჯამების შემდეგ პროფესიულ სტუდენტს ეცნობება მისი მიღწევებისა და ნაკლოვანებების შესახებ. პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელი თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის შეიმუშავებს რეკომენდაციებს. პროფესიული სტუდენტის განმავითარებელი შეფასების შედეგები და რეკომენდაციები თავსდება პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში.

სტუდენტთა დახასიათებების ანალიზი დაწესებულებას ეხმარება პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენაში, განვითარების დინამიკაზე დაკვირვებაში და საჭიროების შემთხვევაში მათ ხელშესაწყობად შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის №30 ბრძანება (ცვლილება შევიდა კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის №40 ბრძანებით) დამტკიცებული ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში „მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი“;
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის წესი;
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის ბრძანება №42 „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ“;
- ვერიფიკაციის ჯგუფის სამუშაო შეხვედრის ოქმი;
- შეფასების ინსტრუმენტები;
- კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ცვლილება განხორციელებულია 2020 წლის 12 მარტის №15 ბრძანებით);
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

398

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

IX.ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	შედუღება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0715
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, თემქის დასახლება, XI მკ.რ. III კვ. ნაკვეთი 01/10
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	40

400

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	79
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	109

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

X. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■	□	□	□
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლოპროგრამებისშეფასებადაგანვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

XI.სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას**

პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. კერძოდ: ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მისიაში გაცხადებულია, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს თანამედროვე საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის, ეროვნული და საერთაშორისო ღირებულებების მატარებელი, კონკურენტუნარიანი პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციური კადრებით საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოთხოვნების დაკმაყოფილება სარკინიგზო ტრანსპორტის სფეროში და დაინტერესებული პირებისათვის საგანმანათლებლო მიზნების მიღწევისა და წარმატებული დასაქმებისთვის პირობების შექმნას; კოლეჯის განვითარების სტრატეგიულ შვიდწლიან გეგმაში ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრულია დამსაქმებელთან შეთანხმებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, დანერგვასა და განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა. საგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა „შედუღების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიზანშეწონილობის დასაბუთება. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე, რომელიც ეხებოდა სამშენებლო ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა დადგენას, გამოიკვეთა შედუღების მიმართულებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

კვალიფიციური კადრების სიმცირე. კერძოდ, საქართველოში არსებული საწარმოების დაახლოებით 80% განიცდის აღნიშნული მიმართულებით სპეციალისტების ნაკლებობას. ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ რკინიგზის მშენებლობაში გამოიყენება სხვადასხვა სახის შედუღება და შედუღების კვალიფიკაციის სპეციალისტებზე მოთხოვნა დიდია. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი“, რომლის მოთხოვნების დაცვით განხორციელდა პროგრამის დაგეგმვა და დამტკიცება, პრომლის პროცედურების დაცვით განახორციელა პროგრამის შემუსავება-დამტკიცების აქტივობები, პროგრამაზე ავტორიზაცია მიღებულია 2022 წელს. დოკუმენტების ანალიზითა და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღება“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 09 ნოემბრის №115 ბრძანებით. მოდიფიცირებულია ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 1 მარტის №26 ბრძანებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების) საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში დეტალურადაა გაწერილი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა:

- საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია - სრული ზოგადი განათლება;
- „სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV -100/ა“, ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა“.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები გაწერილია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში და იგი ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

„პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესსა და პირობებს“.შესაბამისად **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №89 ბრძანებით დამტკიცებულია „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (ცვლილება შევიდა დირექტორის 2021 წლის 30 ივნისის #51 ბრძანებით), რომლის მიხედვით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

- A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა ან სასწავლო გარემოს ფართი ან პროგრამის განმახორციელებელ საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა, ან რამოდენიმე საწარმოს არსებობისას - მათი ჯამი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა;
- საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი;
- მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა“ მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობისა და განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობასთან დაკავშირებით დოკუმენტში აღნიშნულია, რომ არსებული კვოტისათვის კოლეჯს ყავს სათანადო კვალიფიკაციისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

და გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლები, გააჩნია ყველა საჭირო რესურსი, აღნიშნული პროფესიული პროგრამისთვის დადგენილია საერთი კვოტა 30 პროფესიული სტუდენტის ოდენობით.
პასუხისმგებელ პირთა ინტერვიუირებისა და კოლეჯის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის დათვალიერების დასტურდება, **რომ კოლეჯმა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განსაზღვრა არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.**

4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია როგორც მატერიალური რესურსი, ისე საგანმანათლებლო რესურსი.
საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან, კერძოდ, პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია A, B და C გარემო. სასწავლო გარემო ნაწილობრივ უზრუნველყოფილია პროგრამით განსაზღვრული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით. ხოლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.
საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ადამიანური, მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ კოლეჯმა „ბლექსმა“ თარგმნა გარკვეული ინგლისურენოვანი ლიტერატურა და საჩუქრად გადასცა სატრანსპორტო კოლეჯს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ლიტერატურა არ არის მითითებული შესაბამისი მოდულის სასწავლო მასალების პუნქტში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა მიერ გაიწერა განმავითარებელი რეკომენდაცია - მოდულის „შედუღება ვოლფრამის (TIG) ელექტროდით ინერტულ აირში“ სასწავლო მასალების პუნქტში დაემატოს კოლეჯის ბიბლიოთეკაში არსებული ნათარგმნი მასალები (ევროპული და საერთაშორისო სტანდარტი BS EN ISO 5817, BS EN ISO 10042, BS EN ISO 13919-2, BS EN 12062).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

დამტკიცებული პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

კოლეჯის წესდების მე-5 მუხლის 5.1.2. პუნქტის შესაბამისად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღება“ დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის, კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 09 ნოემბრის №115 ბრძანებით (მოდიფიცირებულია ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 1 მარტის №26 ბრძანებით).

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღება“ სახელწოდება არ არის შეცდომაში შემყვანი, არ უჩენს დაინტერესებულ პირებს არასწორ მოლოდინს სწავლის შედეგენთან და სამომავლო დასაქმებასთან დაკავშირებით. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს და პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს.**

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღება“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებას, მიზნებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

მისანიჭებელ კვალიფიკაციას, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, მისაღწევი სწავლის შედეგებს, მოცულობას, ხანგრძლივობას, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებას, კვალიფიკაციას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითად დოკუმენტს, ზოგად მოდულებს, საერთო პროფესიულ მოდულებს, პროფესიულ მოდულებს და სასწავლო გეგმასს. მოდულების ბლოკში გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულები. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. ქართული ენის მოდულების გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების 28-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. **ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის მისია;
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა 2016-2023 წლებისთვის;
- განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 23 მაისის №43 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი“ (ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 10 მარტის №31 ბრძანებით).

- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №89 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. (ცვლილება - ბრძანება №51, 30.06.2021 წ).
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 9 ნოემბრის №115 ბრძანება ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“.
- ვიზუალური დათვალიერება.
- ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

■შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა „შედუღების“ (IV დონე) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულია 40 პროფესიული სტუდენტით. ვიზიტისას განხორციელდა პროგრამის მატერიალური რესურსის და ინფრასტრუქტურის დათვალიერება. ექსპერტთა მიერ ვიზიტისას ვიზუალურად შემოწმდება A, B და C გარემო.

საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულების მიერ განსაზღვრულია შემდეგი სასწავლო გარემო:
A გარემო (აუდიტორია№112). გარემოში განთავსებულია - საჭირო რაოდენობის მაგიდა და სკამი. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის განთავსებულია ერთი მაგიდა, სკამი და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი. სასწავლო გარემოში შეკიდულია დაფა, პროექტორი. კოლეჯი მიღებას გამოაცხადებს ყოველ წელს 20 ადგილზე. შედგება 2 ჯგუფი, თვითოეულ ჯგუფში იქნება 10-10 პროფესიული სტუდენტი. ვიზიტისას ვიზუალურად შემოწმდა აღნიშნული გარემო და მატერიალური რესურსი. „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ მიხედვით, A გარემოში სწავლა შესაძლებელია განხორციელდეს დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით.

B გარემო (კომპიუტერული კლასი №304). გარემო განკუთვნილია კომპიუტერული პროგრამების ასათვისებლად მაქსიმუმ 15 პროფესიულ სტუდენტზე. „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ მიხედვით, B გარემოში სწავლა შესაძლებელია განხორციელდეს დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. ვიზუალური დათვალიერებისას დადგინდა, რომ გარემო უზრუნველყოფილია კომპიუტერებით როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის. ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ კომპიუტერებში აიტვირთება სწავლის განხორციელებისთვის საჭირო კომპიუტერული პროგრამები.

C გარემო (აუდიტორია№100) - პრაქტიკის სივრცე მოწყობილია შენობის პირველ სართულზე. გარემო განკუთვნილია 2 სხვადასხვა პროგრამისთვის, თუმცა ერთმანეთს ხელს არ უშლის. გარემოს ფართია - 270 კვ.მ. მიმდინარე ეტაპზე გარემო აღჭურვილია შესადუღი აპარატურითა და დანადგარებით. ექსპერტთა შეფასებით გარემო გამტარუნარიანია ორი ჯგუფისთვის ერთცვლიანი სწავლის პირობებში 10 პროფესიული სტუდენტისთვის. სწავლის დაწყებამდე C გარემო უზრუნველყოფილი იქნება პროგრამით განსაზღვრული მატერიალურ - ტექნიკური რესურსით. გარემოში დამონტაჟებულია საერთო სავენტილაციო სისტემა და თვითოეული შესადუღი დანადგარის (6 ადგილზე) მიერთება განხორციელებულია აღნიშნულ გამწოვზე.
C გარემო უზრუნველყოფილია შემდეგი დანადგარებით:

- TIG შემდუღებელი (TUG).
- stick შემდუღებლები ელექტრო შედუღების სტაციონალური შედუღების აპარატი.
- MIG შემდუღებელი.
- ინდუსტრიალური მულტი-პროცესული შედუღების ნაკრები PF46.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- პლაზმური ჭრის აპარატი (მექანიზმები).

დაწესებულებას ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები არ აქვს გაფორმებული პროგრამის ფარგლებში. პროგრამა პრაქტიკის მოდულს არ მოიცავს და შესაბამისად პრაქტიკის ობიექტზე გასვლა არ გახდება საჭირო. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პრაქტიკულ კომპონენტებს პროფესიული სტუდენტები გაივლიან კოლეჯის ბაზაზე.

აღნიშნული პროგრამის განხორციელების უფლება დაწესებულებას მიენიჭა 2022 წლის 9 თებერვალს, გადაწყვეტილება N186108, ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 14 დეკემბერს, კოლეჯს წარმოდგენილი ქონდა გაუმჯობესების გეგმა(შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა), რომლის თანახმად 2022 წლის 15 მაისამდე უნდა შეეძინა C გარემოსთვის განკუთვნილი პროგრამით გათვალისწინებული რესურსი. შესაბამისად ექსპერტებმა მოცემული ინდიკატორი შეაფასეს როგორც მეტწილი შესაბამისობა. საბჭოს ოქმის თანახმად საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით, „შედეგების“ პროგრამაზე 2.2. კომპონენტის შემოწმების მიზნით. მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2022 წლის 15 მაისიდან. მიმდინარე საავტორიზაციო ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ დეტალურად შემოწმდა პროგრამის “C გარემოს“ აღჭურვილობა და დადგინდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით და ექსპერტთა მხრიდან შეფასდა, როგორც სრული შესაბამისობა.

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა არის - 23. მათ შორის 13 არის პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირი. პირადი საქმეებით დასტურდება მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება. პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკონტაქტო საათების კვირეული დატვირთვა არ ეწინააღმდეგება ორგანულ კანონს „საქართველოს შრომის კოდექსს“. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. ადმინისტრაციის წარმომადგენელს, სათანადო კვალიფიკაციის არსებობის შემთხვევაში აქვს სასწავლო პროცესის განხორციელების უფლებაც. აღნიშნული პრაქტიკა დანერგილია დაწესებულებაში, დოკუმენტაციის გადამოწმების და გასაუბრების შედეგებით დადგინდა, რომ სასწავლო დატვირთვის მაქსიმალური ზღვარი არ არის განსაზღვრული და დარეგულირებელი დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტებით, სასურველია დაწესებულებამ დაარეგულიროს აღნიშნული საკითხი.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია კოლეჯის დირექტორის ბრძანებაში: „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამშრომლების, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ“. ასევე კოლეჯის პერსონალის მართვის წესი არეგულირებს პერსონალის შერჩევის წესს, კოლეჯში პროფესიულ მასწავლებლებად მიიღებიან შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები. პროგრამებზე ძირითადად შერჩეულია პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომლებსაც შესაბამის კვალიფიკაციასთან ერთად, აქვთ სამუშაო გამოცდილებაც პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები, რომელთა საფუძველზეც, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგები მიღწევის შესაძლებლობას. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება კოლეჯის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ვიზიტის პერიოდში განხორციერლდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან,ინტერვიურებისას, პროფესიული განათლების მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათ გავლილი აქვთ ტრენინგები აიოვას უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ ტრენინგებში შრომის დაცვისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების კუთხით. ასევე, მონაწილეობდნენ მასწავლებელთა სახლის მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

განხორციელებულ ტრენინგებში დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილ იქნა შესაბამისი მტკიცებულებები, მათ შორის დასწრების ფურცლები; **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დადასტურდა მისი პირადი საქმითა და ინტერვიუთი. გავლილი აქვს - PIRSON-ის, GIZ-ის და USAID-ის სწავლების სპეციალური ტრენინგ კურსები. ინტერვიურებისას პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ კარგად იცნობს დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს. მისი აზრით, სასურველი იქნება ჩარჩო დოკუმენტის გადახედვა და შედუღების ისეთი მეთოდებისა და საკითხების ჩამატება, რომელიც საქართველოში მოთხოვნადია ყველაზე მეტად. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობები. ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და დაგეგმავს საჭიროებისამებრ პროგრამის განვითარების მიმართულებით შესაბამის ღონისძიებებს.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში. დაწესებულებას ელექტრონული პროგრამის სახით შემუშავებული აქვს საბიბლიოთეკო კატალოგი. ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის. კვალიფიციური ბიბლიოთეკარი ახორციელებს საბიბლიოთეკო ფონდის მოხმარების აღრიცხვას, ივსება მკითხველის ბარათები, რითაც დასტურდება სასწავლო პროცესში საგანმანათლებლო რესურსის გამოყენების ფაქტი.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტის ქსელში ჩართული 3 სამაგიდო კომპიუტერი მკითხველებისთვის და ერთი პორტატული კომპიუტერი ბიბლიოთეკარისთვის, საოფისე კომბაინი (მრავალფუნქციური პრინტერი), ქაღალდების ასაკინძი და ლამინირების მოწყობილობა. კოლეჯი სარგებლობს საბიბლიოთეკო პროგრამით OpeNºBiblio. დაწესებულებას აქვს წვდომა სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს (matsNºe.gov.ge) ვებ გვერდზე.ექსპერტებმა ვიზუალურად დაათვალიერეს ბიბლიოთეკა. **ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით, დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

7.პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, კოლეჯი ვაუჩერული დაფინანსების სახით იღებს სახელმწიფოსგან თითოეული სტუდენტის სწავლის საფასურს კოლეჯში განსახორციელებელი მოდულების ღირებულების შესაბამისად მთლიან პროგრამაზე. <u>რენტაბელობის ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 9-ით.</u>

კოლეჯს განსაზღვრული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, სადაც გაწერილია <u>შემოსავლების ნაწილი</u> და <u>ხარჯების ნაწილი. შემოსავლების ნაწილში</u> სულ განსაზღვრულია - 29 602.68 ლარი და <u>ხარჯების ნაწილში</u> - 29 602.68 ლარი. ხარჯების ნაწილი მოიცავს: პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება - 15 900 ლარი, სასწავ;ო მასალა და ნედლეული - 2 262 ლარი, ადმინისტრირება - 6985.68 ლარი, საქონელი და მომსახურება - 4 455 ლარი.

ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №89 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. (ცვლილება - ბრძანება №51, 30.06.2021 წ).
- პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეები.
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე.
- ვიზუალური დათვალიერება.
- ბიუჯეტი.
- ბიბლიოთეკა: https://www.rtc.edu.ge/info/eleqtronuli-biblioTeka/37
- კოლეჯის ვებგვერდი: https://www.rtc.edu.ge/mTavari
- მატერიალური რესურსის შესყიდვის დოკუმენტაცია.
- სს“საქართველოს რკინიგზის“, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს შორის 2016 წლის 27 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულება.
- ინტერვიურება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

2.3. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2.პსდ აანალიზებსპროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესის“ მიხედვით, კოლეჯში შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად, განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების საშუალებით. სისტემა ძირითადად დაფუძნებულია პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისშეფასების მიზნით კოლეჯს:

- შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა;
- პროგრამის შეფასებისათვის შედგენილი აქვს პროფესიულ სტუდენტთა კითხვარი, პროფესიული განათლების მასწავლებლების კითხვარი, დამსაქმებელთა კითხვარი დაკურსდამთავრებულთა კითხვარი.

შეფასება ტარდება გამოკითხვის მეთოდით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით, შეფასების შედეგების საფუძველზე, ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. ასევე, კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით (ცვლილება 2020 წლის 5 ივნისის №58 ბრძანება) დამტკიცებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

„ხარისხის უზრუნველყოფის წესი“, რომლის შესაბამისადაც, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირსდაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო პრაქტიკას. წარმოდგენილი მტკიცებულებების და გასაუბრების სედეგებით დასტურდება, რომ კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება ე.წ. დემინგის ციკლის შესაბამისად, კოლეჯის დამფუძნებლის სს „საქართველოს რკინიგზის“, როგორც შრომის ბაზრის უმსხვილესი დამსაქმებლის, დარგის გამოცდილი სპეციალისტები უშუალოდ არიან ჩართულნი კოლეჯის მიერ განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სხვა აქტივობების დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარების პროცესში. სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ ორჯერ განხორციელდება დაინტერესებულ მხარეებთან პროგრამის განხორციელების შეფასება, პრობლემურ საკითხებზე დისკუსია და საჭიროების შემთხვევაში სს“საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელობასთან ერთად მათი გადაწყვეტა.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

არსებული რეგულაციის მიხედვით, კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია ციკლზე: დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე - გააუმჯობესე და პროგრამების განხორციელების ხარისხთან დაკავშირებული პროცესები მიმდინარეობს აღნიშნული ციკლის შესაბამისად. საანგარიშო პერიოდში დაწესებულებაში გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებისათვის შექმნილია ფოკუს ჯგუფები. კოლეჯის შიდა მხარდაჭერის ჯგუფის თავმჯდომარის მოხსენებითი ბარათების, ანგარიშების და სხვა დოკუმენტების მიხედვით ვლინდება, რომ შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირდა პროგრამის გაუმჯობესების მიმართულებები, რაც გათვალისიწინებულ იქნა კოლეჯის დირექტორის მიერ და განხორციელდება საჭიროებისამებრ სათანადო აქტივობები, მაგ: პროგრამისათვის მოდულებში სწავლების მეთოდების ცვლილება, სასწავლო რესურსების განახლება , სასწავლო გეგმის ცვლილება და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ **პსდ გაანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში გახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი“;
- კვლევების შედეგების ანალიზი;
- პროგრამაში ცვლილებების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის წესი;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

2.4.სასწავლო პროცესის ორგანიზებადა პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად
სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სასწავლო გეგმა: ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის. მოდულების დაშვების წინაპირობა გეგმის მიხედვით დაცულია. პირველი ნაკადის მიღება გამოცხადებულია მიმდინარე წელს, ექსპერტთა შეფასებით, პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. გასაუბრებისას დადგინდა, რომ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. კერძოდ: პროფესიულ სტუდენტთა სწავლება შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ცვლაში ან მეცადინეობათა შეჭრილი გრაფიკით. დისტანციური სწავლებისას ცხრილის შედგენისას კოლეჯი ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებს და ცხრილის შედგენისას აქტიურად თანამშრომლობს მათთან. დისტანციური სწავლების პირობებში ადგენს სტუდენტთათვის მოქნილ სასწავლო გეგმას. სს „საქართველოს რკინიგზაში“ დასაქმებული პროფესიულ სტუდენტთა მეცადინეობების განრიგის შემუშავებისას გაითვალისწინება მათ ხელმძღვანელებთან წინასწარი კონსულტაციების შედეგები და მეცადინეობის განრიგი მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებზე. საქართველოს რკინიგზაში დასაქმებული პირების მეცადინეობებზე დასწრების მონაცემები ეგზავნება საქართველოს რკინიგზის ადმინისტრაციას შემდგომი რეაგირებისათვის.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

პროგრამაზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროგრამისთვის დაწესებულებას შესყიდული აქვს თანამედროვე ინვენტარი, მათ შორის თანამედროვე მზომი ხელსაწყოები და აპარატურა, რაც ადასტურებს დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებას.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-8 მუხლის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება არის მაშინ როცა:

ა) სსსმ პირი, სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

გ) რომლის სწავლის შედეგები განსხვავებული აქვს კოლეჯის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან;

გ) პირი, რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ერთ თვეზე მეტხანს ან/და დაუგროვდა საპატიო გაცდენების დიდი ოდენობა და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას.

„ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების არსებობისას, პროფესიული განათლების მასწავლებელი წერილობით მიმართავს ადმინისტრაციას, რის საფუძველზეც ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ხორციელდება სასწავლო პროცესზე დასწრება - დაკვირვების მიზნით, თუ ფაქტი დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებელი 5 სამუშაო დღის ვადაში შეიმუშავებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელსაც წარუდგენენ ხარისხის მართვის მენეჯერს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისობის შემთხვევაში ხარისხის მართვის მენეჯერი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

„ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების არსებობისას, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხდება ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა თითოეული სასწავლო კურსის/მოდულის ფარგლებში წინამდებარე დებულებით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა მობილობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით.

„გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების გამოვლენისას, პროგრამის ხელმძღვანელი პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული პროგრამის სწავლის შედეგებს და შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესაბამისად პროფესიული სტუდენტის საჭიროებების გათვალისწინებით, რათა მოხდეს სტატუს აღდგენილი სტუდენტის ჩართვა სასწავლო პროცესში ასათვისებელი სასწავლო კურსების წინაპირობების დაცვით.

გარდა ამისა, პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებიც დასაქმებულნი არიან სს „საქართველოს რკინიგზაში“, უშუალოდ სს „საქართველოს რკინიგზისაგან“ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათი სამუშაო გრაფიკის გათვალისწინების მიზნით, კოლეჯი შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო ცხრილს, საკონტაქტო საათების 2 სამუშაო დღესა და შაბათზე გადანაწილების გზით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

პანდემიიდან გამომდინარე, კოლეჯში სასწავლო პროცესი ხორციელდება დისტანციური სწავლების ჰიბრიდული მოდელის შესაბამისად. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 სექტემბრის №102 ბრძანებით დამტკიცებული ,,ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში განხორციელების წესი“ ითვალისწინებს დისტანციური სასწავლო პროცესის იმგვარად ორგანიზებას, რომ არც ერთი პროფესიული სტუდენტი (შემდგომში - სტუდენტი) არ აღმოჩნდეს დისტანციური სასწავლო პროცესის მიღმა, ან არ ჩამორჩეს სასწავლო პროცესს. სურვილის შემთხვევაში, სთავაზობს კოლეჯის სივრცეში არსებული ტექნიკას დისტანციურ მეცადინეობებზე დასასწრებად. იმ შემთხვევაში, თუ მიუხედავად აღნიშნულისა სტუდენტი ვერ შეძლებს სასწავლო პროცესში ჩართვას, კოლეჯი დისტანციური სწავლების დასრულების შემდეგ შესთავაზებს მას ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს საწარმოო პრაქტიკას. შესაბამისად, პრაქტიკის ობიექტებთან მემორანდუმები/ხელშეკრულებები გაფორმებული არ არის.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. ექსპერტთას მიერ ვიზუალურად შემოწმდა A C და B გარემო. ორივე გარემო აღჭურვილია სახანძრო კვამლის დეტექტორით. უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით. C გარემო გარემონტებულია, განთავსებულია სახანძრო უსაფრთხოების ინვენტარი. შემოწმდა ცეცხლმაქრების ვადიანობა. გარემოში გამოკრულია უსაფრთხოების ნიშნები და სპეციალურ უსაფრთხოების ინსტრუქცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. სასწავლო გეგმა.
- ვიზუალური დათვალიერება.
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული უსაფრთხოების წესები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია;
- ინტერვიურება.

შეფასება:

■შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

2.4.2.შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას
1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის №30 ბრძანებით (ცვლილება შევიდა კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის №40 ბრძანებით) დამტკიცებულია ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში „მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი“. დოკუმენტის მე-2 მუხლის მიხედვით, პროფესიული სტუდენტის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას; სანდოობას; მოქნილობას; სიმარტივეს; მიუკერძოებლობასა და სამართლიანობას.

„პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესში“ აღწერილია:

- შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა (მუხლი 3.);
- შეფასების ინსტრუმენტის მიმართ განსაზღვრული მოთხოვნები და სტრუქტურა (მუხლი 4.);
- შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცედურა(მუხლი 5.) - შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს მოდულის განმახორციელებელი პირ(ებ)ი და შემუშავებულ პროექტს იხილავს სასწავლო პროცესის მენეჯერი, შესაბამის დარგის სპეციალისტთან ერთად, რომელიც არ მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში.
- შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირი და შენახვის ვადები(მუხლი 7.);
- შეფასების გაფორმება (მუხლი 8.);
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის (მუხლი 9.)
- პროფესიული სტუდენტის შეფასება (მუხლი10.)
- პროფესიული სტუდენტისათვის შედეგის დადასტურების/გასაჩივრების პროცედურა (მუხლი 11.)
- საკვალიფიკაციო გამოცდა (მუხლი 13.)

ექსპერტების მხრიდან შეფასდა წესების შესაბამისად არსებული მდგომარეობა: შემოწმდა **შეფასების პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტები, განხორციელდა ინტერვიუ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და სასწავლო პროცესის სამსახურის**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

თანამშრომლებთან, გასაუბრებისას მოდულის განმახორციელებელმა პირებმა აღნიშნეს, რომ იცნობენ შეფასების სისტემას,შეფასების ინსტრუმენტის დამტკიცებულ ფორმას, და სასწავლო პროცესის მენეჯერთან შეთანხმებით დაიწყებენ შეფასების ინსტრუმენტზე მუშაობას, როგორც კი დაწესებულება აღნიშნული პროგრამის განხორციელების უფლებას მოიპოვებს. რიგი პროფესიული განათლების მასწავლებლები, იცნობენ შეფასების მეთოდებს, შეფასების ინსტრუმენტის შედგენის გამოცდილებაც აქვთ და მონაწილეობაც მიუღიათ სხვა პროგრამის ფარგლებში ვერიფიკაციის პროცესში. ასევე გავესაუბრეთ სასწავლო პროცესის მენეჯერს, რომელმაც დაადასტურა მზაობა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლებს დამატებით უტარდებათ თემატური ტრენინგები შეფასებასთან დაკავშირებით, და დადგენილი წესის შესაბამისად კონკრეტული მოდულის დაწყებამდე უნდა მოხდეს შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება და მათი ვალიდაცია, რომლის გარეშეც არ შეიძლება ინსტრუმენტის შეფასების პროცესში გამოყენება. **შედეგების შეჯამებით დასტურდება რომ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. ვერიფიკაციის პროცედურა ხორციელდება ვერიფიკაციის ჯგუფის ჩართულობით (იქმნება კოლეჯის დირექტორის მიერ), რომელსაც ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯერი. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის ბრძანებით №42 „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ“, შექმნილია ვერფიკაციის ჯგუფი, რომელსაც ჰყავს ძირითადი და დამატებითი წევრები. ძირითადი წევრებია: კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი (ჯგუფის თავმჯდომარე); კოლეჯის საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი. დამატებითი წევრებს განსაზღვრავს ჯგუფის თავმჯდომარე, ჯგუფის წევრი არ შეიძლება იყოს ის პირი, რომელიც მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტის შექმნის ან შეთანხმების პროცესში. ვერიფიკაცია ხდება კოლეჯში წინასწარ შემუშავებული რისკების სისტემის მონაცემების შესაბამისად, რისკ-ფაქტორების კოეფიციენტების გათვალისწინებით. ვერიფიკაციის პროცედურა ხორციელდება განსაზღვრული სქემის შესაბამისად. ვერიფიკაციის პროცედურის შედეგად, ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ დგება დასკვნა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

რომელშიც ნათლად და დასაბუთებულად უნდა იქნას ასახული, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭირვალე, სამართლიანი და ობიექტური. დასკვნაში იდენტიფიცირებული უნდა იქნას ვერიფიკაციის პროცედურის დროს წამოჭრილი ყველა პრობლემა. ვერიფიკაციის დასკვნის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო პროცესის მენეჯერი ადგენს დასკვნაში არსებული რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმას, სადაც სრულყოფილად უნდა ასახოს ყველა განსახორციელებელი აქტივობა, განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი. აღნიშნული რეკომენაციების შესრულებაზე მონიტორინგის ვალდებულება აქვს ხარისხის მართვის მენეჯერს. ვერიფიცირებულ შეფასების ინსტრუმენტზე განთავსებულია წარწერა - „ვერიფიცირებულია“ და ხარისხის მართვის მენეჯერის ხელმოწერა. ვინაიდან დაწესებულებას ჯერ არ ჰყავს პროფესიული სტუდენტები აღნიშნულ პროგრამაზე შემუშავებული და დამტკიცებულია ვერიფიკაციის გეგმა , პროცესი დაიწყება და განხორციელდება 2023 წლიდან.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის №30 ბრძანებით (ცვლილება შევიდა კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის №40 ბრძანებით) დამტკიცებულია „პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი“ რის თანახმადაც, შეფასების მტკიცებულებები შეინახება პროფესიული სტუდენტის კვალიფიკაციის მინიჭებამდე, სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება 3 წლის ვადით.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. კოლეჯის პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესის მე-9 და მე-10 მუხლების თანახმად, კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერდადასტურების მაჩვენებლები) შეგროვებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იყენებს მათ პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნებისათვის. ასევე, განმავითარებელი შეფასების შედეგების შეჯამების შემდეგ პროფესიულ სტუდენტს ეცნობება მისი მიღწევებისა და ნაკლოვანებების შესახებ. პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელი თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის შეიმუშავებს რეკომენდაციებს. პროფესიული სტუდენტის განმავითარებელი შეფასების შედეგები და რეკომენდაციები თავსდება პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში.

სტუდენტთა დახასიათებების ანალიზი დაწესებულებას ეხმარება პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენაში, განვითარების დინამიკაზე დაკვირვებაში და საჭიროების შემთხვევაში მათ ხელშესაწყობად შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის №30 ბრძანება (ცვლილება შევიდა კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის №40 ბრძანებით) დამტკიცებული ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში „მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი“;
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის წესი;
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის ბრძანება №42 „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ“;
- ვერიფიკაციის ჯგუფის სამუშაო შეხვედრის ოქმი;
- შეფასების ინსტრუმენტები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ცვლილება განხორციელებულია 2020 წლის 12 მარტის №15 ბრძანებით);
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

430

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

IX.ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	მეჩარხე
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ლითონის დამუშავებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0715
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, თემქის დასახლება, XI მკ.რ. III კვ. ნაკვეთი 01/10
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	20
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	102

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

X პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■	□	□	□
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლოპროგრამებისშეფასებადაგანვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

XI.სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში შემუშავებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი“ (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 25 მაისის №43 ბრძანებით, ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 10 მარტის №31 ბრძანებით), რომელზე დაყრდნობით ხორციელდება პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. ამავე დროს, კოლეჯის მიერ განსახორციელებელი პროგრამები შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან, ასახულია სტრატეგიული განვითარებისა და მისგან გამომდინარე სამოქმედო გეგმებში, ვინაიდან,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით კოლეჯის ადმინისტრაცია მჭიდრო კომუნიკაციაშია სს საქართველოს რკინიგზასთან მათი საჭიროებების მიმართულებებისა და მოცულობების განსაზღვრის მიზნით, ახდენს შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზს განსახორციელებელ პროგრამებთან მიმართებაში, აფასებს საკუთარ შესაძლებლობებსა და სამუშაო პროფილის მიხედვით შეირჩევს და იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაზე. გამომდინარე იქიდან, რომ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი ერთადერთი პროფესიული დაწესებულებაა, რომელიც ემსახურება საქართველოს რკინიგზის კადრებით მომარაგებას, მის სამოქმედო არეალად მიღებულია მთელი ქვეყნის ის ტერიტორია, სადაც გადის სარკინიგზო მაგისტრალები და პროგნოზირებულია მოთხოვნა საავტორიზაციოდ წარმოდგენილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

პროგრამის ფარგლებში შესაძენ ცოდნაზე, გამოსამუშავებელ უნარებსა და არსებულ სამუშაო პოზიციებზე.დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სს საქართველოს რკინიგზა დაინტერესებულია აღნიშნული პროგრამის განხორციელებით. ორგანიზაციას აქვს მზარდი მოთხოვნა სახარატო, საფრეზი და სახეხი ლითონდამამუშავებელი ჯგუფის ჩარხებზე დეტალების დამუშავების კომპეტენციის მქონე პირების დასაქმებაზე. აღნიშნული პროგრამის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ კოლეჯს გამოუყო მიზნობრივი დაფინანსება - 255 170 ათასი ლარი, ხოლო სახელოსნოს რეაბილიტაციის მიზნით სს საქართველოს რკინიგზის და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოყოფილ იქნა - 70 820 ათასი ლარი. აღნიშნული პროგრამა დღესათვის არცერთ კოლეჯში არ ხორციელდება. დაწესებულებამ შეაფასა თავისი შესაძლებლობები და აღნიშნულიდან გამომდინარე დაიმატა მეჩარხის პროფესიული პროგრამა, დოკუმენტაციის ანალიზით და გასაუბრების სედეგებით დასტურდება, რომ პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეჩარხე“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 15 ივლისის №45 ბრძანებით. მოდიფიცირებულია ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 1 მარტის №25 ბრძანებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების) საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში დეტალურადაა გაწერილი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: საბაზო განათლება. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები გაწერილია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში და იგი ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესსა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

პირობებს“, აპლიკანტთა შერჩევის პროცესში ჩართულნი არიან წარმოების წარმომადგენლები. კოლეჯის მიერ აპლიკანტთა შერჩევა საავტორიზაციო პროგრამაზე ხორციელდება მოტივაციური გასაუბრებითა და ტესტირებით.ექსპერტების მიერ გადამოწმდა შერჩევითი პრინციპით პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურების შესაბამისად არსებული მდგომარეობა, შევსებული ტესტები, კომისიის მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია , ჩარიცხვის ბრძანება და პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, განხორციელდა გასაუბრება პროფესიულ სტუდენტებთან, მათაც დაადასტურეს მატერიალურად ნანახი მტკიცებულებების სისწორე, **შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას**

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №89 ბრძანებით დამტკიცებულია „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (ცვლილება შევიდა დირექტორის 2021 წლის 30 ივნისის #51 ბრძანებით), რომლის მიხედვით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

- A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა ან სასწავლო გარემოს ფართი ან პროგრამის განმახორციელებელ საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა, ან რამოდენიმე საწარმოს არსებობისას - მათი ჯამი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა;
- საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა“ მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობისა და განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობასთან დაკავშირებით დოკუმენტში აღნიშნულია, რომ არსებული კვოტისათვის კოლეჯს ყავს სათანადო კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლები, გააჩნია ყველა საჭირო რესურსი , აღნიშნული პროფესიული პროგრამისთვის დადგენილია საერთი კვოტა 30 პროფესიული სტუდენტის ოდენობით.

პასუხისმგებელ პირთა ინტერვიუირებისა და კოლეჯის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის დათვალიერების, დასტურდება, **რომ კოლეჯმა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განსაზღვრა არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.**

4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეჩარხე“ მოდულების განხორციელებისათვის დამტკიცებული აქვს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და რესურსების სია, რომლებიც უზრუნველყოფს მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულებში მითითებულია მოდულების განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსი, რომელთა შინაარსი შესაბამისობაშია შესაბამისი მოდულის სწავლის შედეგებთან, **შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

<u>ექსპერტთა მხრიდან გაიცა შემდეგი რეკომენდაცია განვითარების მიზნით: გადაიხედოს მოდულის სასწავლო მასალად მითითებული ელექტრონული მისამართები და ამოღებულ იქნეს ის ლინკები, რომელზეც წვდომაც არ ხორციელდება.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

დამტკიცებული პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

კოლეჯის წესდების მე-5 მუხლის 5.1.2. პუნქტის შესაბამისად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეჩარხე“ დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის, კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 15 ივლისის №45 ბრძანებით. მოდიფიცირებულია ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 1 მარტის №25 ბრძანებით.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

საგანმანათლებლო პროგრამა „მეჩარხე“ სახელწოდება არ არის შეცდომაში შემყვანი, არ უჩენს დაინტერესებულ პირებს არასწორ მოლოდინს სწავლის შედეგენთან და სამომავლო დასაქმებასთან დაკავშირებით. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს და პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს.**

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეჩარხე“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში მოქმედი “პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი“, საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან. პროგრამით განსაზღვრულიაპროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიდგომები. საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი შედგება პროგრამის ძირითადი დოკუმენტის, მოდულებისა და სასწავლო გეგმისგან (მათ შორის ქართული ენის მოდულის გათვალისწინებით და მის გარეშეც). ვინაიდან პროგრამა დუალურად ხორციელდება, სასწავლო გეგმაში და მოდულებში მითითებულია სწავლის შედეგების განაწილება და ხელშეკრულებები პარტნიორ კომპანიასთან. ასევე, დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელების სპეციფიკის ამსახველი სასწავლო გეგმა. **შესაბამისად პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის მისია;
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა 2016-2023 წლებისთვის;
- განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 15 ივლისის №45 ბრძანებით. მოდიფიცირებულია ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 1 მარტის №25 ბრძანებით;
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №89 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. (ცვლილება - ბრძანება №51, 30.06.2021 წ);
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 9 ნოემბრის №115 ბრძანება ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“.
- ვიზუალური დათვალიერება.
- ინტერვიურება.
- სასწავლო გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

შეფასება:

- ■შეესაბამება
- □მეტწილად შეესაბამება
- □ნაწილობრივ შეესაბამება
- □არ შეესაბამება

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ვიზიტისას განხორციელდა პროგრამის მატერიალური რესურსის და ინფრასტრუქტურის დათვალიერება.ექსპერტთა მიერ ვიზიტისას ვიზუალურად შემოწმდება A, B და C გარემო და შესაბამისი აღჭურვილობა.

საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულების მიერ განსაზღვრულია შემდეგი სასწავლო გარემო:

A გარემო (აუდიტორია№112). გარემოში განთავსებულია - საჭირო რაოდენობის მაგიდა და სკამი. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის განთავსებულია ერთი მაგიდა, სკამი და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი. სასწავლო გარემოში შეკიდულია დაფა, პროექტორი. კოლეჯი მიღებას გამოაცხადებს წელს 20 ადგილზე. შედგება 2 ჯგუფი, თვითოეულ ჯგუფში იქნება 10-10 პროფესიული სტუდენტი. ვიზიტისას ვიზუალურად შემოწმდა აღნიშნული გარემო და მატერიალური რესურსი. „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ მიხედვით, A გარემოში სწავლა შესაძლებელია განხორციელდეს დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით.

B გარემო (კომპიუტერული კლასი №304). გარემო განკუთვნილია კომპიუტერული პროგრამების ასათვისებლად მაქსიმუმ 15 პროფესიულ სტუდენტზე. „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ მიხედვით, B გარემოში სწავლა შესაძლებელია განხორციელდეს დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. ვიზუალური დათვალიერებისას დადგინდა, რომ გარემო უზრუნველყოფილია კომპიუტერებით როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

C გარემო (აუდიტორია№100) - პრაქტიკის სივრცე მოწყობილია შენობის პირველ სართულზე. გარემო განკუთვნილია 2 სხვადასხვა პროგრამისთვის, თუმცა ერთმანეთს ხელს არ უშლის. გარემოს ფართია - 270 კვ.მ. მიმდინარე ეტაპზე გარემო აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო აპარატურითა და დანადგარებით. ექსპერტთა შეფასებით გარემო გამტარუნარიანია ორი ჯგუფისთვის ერთცვლიანი სწავლის პირობებში 10 პროფესიული სტუდენტისთვის. სწავლის დაწყებამდე C გარემო უზრუნველყოფილი იქნება პროგრამით განსაზღვრული მატერიალურ - ტექნიკური რესურსით. გარემოში დამონტაჟებულია საერთო სავენტილაციო სისტემა. ხგარემოში დამონტაჟებულია შემდეგი დანადგარები:

- კბილსატეხი ჩარხი (თანმდევი მონტაჟის მომსახურებით).
- კონსოლური ლენტურხერხიანი ჩარხი.
- ბრტყლად-სახეხი ჩარხი.
- უნივერსალური საფრეზი ჩარხი.
- უნივერსალური სახარატო ჩარხი.
- სარანდი ჩარხი.
- ორქარგოლიანი სალესი ჩარხი.
- გაგრილების ინტეგრირებული დანადგარი.

დოკუმენტების გადამოწმებით და ინტერვიურებით დადგინდა, რომ პრაქტიკულ კომპონენტებს პროფესიული სტუდენტები გაივლიან კოლეჯის ბაზაზე. გაცნობითი პერაქტიკის ფარგლებში, სს საქართველოს რკინიგზასთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე პროფესიული სტუდენტების სასწავლო ექსკურსიები განხორციელდება რკინიგზის ჩარხებით აღჭურვილ დეპოებსა და საწარმოებში. შესაბამისად **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა _უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა არის - 37. მათ შორის 16 არის პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირი. პირადი საქმეებით დასტურდება მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება. პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკონტაქტო საათების კვირეული დატვირთვა არ ეწინააღმდეგება ორგანულ კანონს „საქართველოს შრომის კოდექსს“. ექსპერტებმა შეისწავლეს იმ პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა, რომლების პარალელურად სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ახორციელებენ იმავე მოდულებს და დაადგინეს, რომ **განმახორციელებლების რაოდენობა და საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.** <u>ადმინისტრაციის წარმომადგენელს, სათანადო კვალიფიკაციის არსებობის შემთხვევაში აქვს სასწავლო პროცესის განხორციელების უფლებაც. აღნიშნული პრაქტიკა დანერგილია დაწესებულებაში, დოკუმენტაციის გადამოწმების და გასაუბრების შედეგებით დადგინდა, რომ სასწავლო დატვირთვის მაქსიმალური ზღვარი არ არის განსაზღვრული და დარეგულირებელი დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტებით, სასურველია დაწესებულებამ დაარეგულიროს აღნიშნული საკითხი.</u>

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია კოლეჯის დირექტორის ბრძანებაში: „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამშრომლების, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ“. ასევე კოლეჯის პერსონალის მართვის წესი არეგულირებს პერსონალის შერჩევის წესს, კოლეჯში პროფესიულ მასწავლებლებად მიიღებიან შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები. დუალურ პროგრამებზე ძირითადად შერჩეულია პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომლებსაც შესაბამის კვალიფიკაციასთან ერთად, აქვთ სამუშაო გამოცდილებაც პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები, რომელთა საფუძველზეც, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგები მიღწევის შესაძლებლობას. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება კოლეჯის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ვიზიტის პერიოდში განხორციერლდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან, ასევე პრაქტიკის ობიექტზე არსებულ ინსტრუქტორებთან ინტერვიუ. გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებლებს ხშირად უტარდებათ სხვადასხვა ტიპის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები თუ ტრენინგები როგორც დარგობრივ კომპეტენციაში, ასევე, სწავლებისა და შეფასების მიმართულებით. ინტერვიურებისას, პროფესიული განათლების მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ მათ გავლილი აქვთ ტრენინგები აიოვას უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ ტრენინგებში შრომის დაცვისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების კუთხით. ასევე, მონაწილეობდნენ მასწავლებელთა სახლის მიერ განხორციელებულ ტრენინგებში. დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილ იქნა შესაბამისი მტკიცებულებები, მათ შორის დასწრების ფურცლები; **დოკუმენტაციის ანალიზით და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 32-ე მუხლითა და კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 9 მარტის №33 ბრძანებით „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ“. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი დანიშნულია დაწესებულების დირექტორის ბრძანებით. პირად საქმეში დევს მისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და შესაბამისობაშია კოლეჯის მიერ დაწესებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. შესაბამისად, მას აქვს შესაძლებლობა, სრულფასოვნად უხელმძღვანელოს პროგრამის განხორციელების პროცესს. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

მქონე ხელმძღვანელი, რომლის შესაბამისობაც დასტურდება მისი კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით. პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაოს ანაზღაურებას უზრუნველყოფს სს „საქართველოს რკინიგზა“. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობაში დეტალურადაა გაწერილი მის მიერ შესასრულებელი ფუნქცია-მოვალეობები.

ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და მუშაობს პროგრამის განვითარების მიმართულებით. იღებს მონაწილეობას პროგრამის შეფასების, განვითარების, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში. კოლეჯში პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ანალიზდება და საჭიროების შემთხვევაში ხდება პროფესიულ სტუდენტთან ინდივიდუალური გასაუბრება მისი მიღწევების გაუმჯობესებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების მიზნით. პროგრამის ხელმძღვანელი ინდივიდუალურად, თითოეულ სტუდენტზე ადგენს დახასიათებას. აღნიშნულის მიზანია როგორც პროფესიული სტუდენტის განვითარება, ასევე დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე მისი უსაფრთხოებისადმი ინდივიდუალური მიდგომის უზრუნველყოფა პრაქტიკის ობიექტზე.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში. დაწესებულებას ელექტრონული პროგრამის სახით შემუშავებული აქვს საბიბლიოთეკო კატალოგი. ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის. კვალიფიციური ბიბლიოთეკარი ახორციელებს საბიბლიოთეკო ფონდის მოხმარების აღრიცხვას, ივსება მკითხველის ბარათები, რითაც დასტურდება სასწავლო პროცესში საგანმანათლებლო რესურსის გამოყენების ფაქტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტის ქსელში ჩართული 3 სამაგიდო კომპიუტერი მკითხველებისთვის და ერთი პორტატული კომპიუტერი ბიბლიოთეკარისთვის, საოფისე კომბაინი (მრავალფუნქციური პრინტერი), ქაღალდების ასაკინძი და ლამინირების მოწყობილობა. კოლეჯი სარგებლობს საბიბლიოთეკო პროგრამით OpeNBiblio. დაწესებულებას აქვს წვდომა სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს (matsNe.gov.ge) ვებ გვერდზე. ექსპერტების მხრიდან გადამოწმდა პროფესიული სტუდენტების მიერ რესურსებით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასევე მათთან გასაუბრებამ დაადასტურა, რომ **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში**

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

კოლეჯში გაწერილია მარეგულირებელი წესები კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 30-ე მუხლით, იმისათვის, რომ სსსმ პირების წვდომა იქნას უზრუნველყოფილი პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, ასევე მოხდეს მათი ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; ჯერჯერობით, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში მსგავსი საჭიროება არ დამდგარა, თუმცა კოლეჯს აქვს მზაობა. მოახდინოს სასწავლო რესურსების ადაპტირება, იქნება ეს დამხმარე ტექნიკის, პროგრამული უზრუნველყოფის, ბრაილის შრიფტის, დასურათებული სახელმძღვანელოების, მასალის შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტაციის გამოყენებით თუ სხვა სპეციფიკური მოთხოვნით. დაწესებულების განმარტებით სასწავლო რესურსის ადაპტირება არ დასჭირვებიათ.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, კოლეჯი ვაუჩერული დაფინანსების სახით იღებს სახელმწიფოსგან თითოეული სტუდენტის სწავლის საფასურს კოლეჯში განსახორციელებელი მოდულების ღირებულების შესაბამისად მთლიან პროგრამაზე. რენტაბელობის ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 5-ით. კოლეჯს განსაზღვრული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, სადაც გაწერილია შემოსავლების ნაწილი და ხარჯების ნაწილი. ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №89 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. (ცვლილება - ბრძანება №51, 30.06.2021 წ).
- პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეები.
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე.
- ვიზუალური დათვალიერება.
- პროგრამის ბიუჯეტი.
- ბიბლიოთეკა: https://www.rtc.edu.ge/info/eleqtronuli-biblioTeka/37
- კოლეჯის ვებგვერდი: https://www.rtc.edu.ge/mTavari
- მატერიალური რესურსის შესყიდვის დოკუმენტაცია.
- სს“საქართველოს რკინიგზის“, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს შორის 2016 წლის 27 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულება.
- ინტერვიურება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

2.3. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2.პსდ აანალიზებსპროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესის“ მიხედვით, კოლეჯში შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად, განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების საშუალებით. სისტემა ძირითადად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

დაფუძნებულია პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისშეფასების მიზნით კოლეჯს:

- შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა;
- პროგრამის შეფასებისათვის შედგენილი აქვს პროფესიულ სტუდენტთა კითხვარი, პროფესიული განათლების მასწავლებლების კითხვარი, დამსაქმებელთა კითხვარი დაკურსდამთავრებულთა კითხვარი.
- შეფასება ტარდება გამოკითხვის მეთოდით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით, შეფასების შედეგების საფუძველზე, ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

ასევე, კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით (ცვლილება 2020 წლის 5ივნისის №58 ბრძანება) დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის წესი“, რომლის შესაბამისადაც, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირსდაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო პრაქტიკას. წარმოდგენილი მტკიცებულებების და გასაუბრების სედეგებით დასტურდება, რომ კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება ე.წ. დემინგის ციკლის შესაბამისად, კოლეჯის დამფუძნებლის სს „საქართველოს რკინიგზის“, როგორც შრომის ბაზრის უმსხვილესი დამსაქმებლის, დარგის გამოცდილი სპეციალისტები უშუალოდ არიან ჩართულნი კოლეჯის მიერ განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სხვა აქტივობების დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარების პროცესში. სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ ორჯერ ხდება დაინტერესებულ მხარეებთან პროგრამის განხორციელების შეფასება, პრობლემურ საკითხებზე დისკუსია და საჭიროების შემთხვევაში სს “საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელობასთან ერთად მათი გადაწყვეტა.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

არსებული რეგულაციის მიხედვით, კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია ციკლზე: დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე - გააუმჯობესე და პროგრამების განხორციელების ხარისხთან დაკავშირებული პროცესები მიმდინარეობს აღნიშნული ციკლის შესაბამისად.

კოლეჯში სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ ორჯერ ხდება პროგრამის განხორციელების შეფასება დაინტერესებულ მხარეებთან, პრობლემურ საკითხებზე დისკუსია და საჭიროების შემთხვევაში სს ,,საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელობასთან ერთად მათი გადაწყვეტა. საანგარიშო პერიოდში დაწესებულებაში გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებისათვის შექმნილია ფოკუს ჯგუფები.

კოლეჯის შიდა მხარდაჭერის ჯგუფის თავმჯდომარის მოხსენებითი ბარათების, ანგარიშების და სხვა დოკუმენტების მიხედვით ვლინდება, რომ შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირდა პროგრამის გაუმჯობესების მიმართულებები, რაც გათვალისწინებულ იქნა კოლეჯის დირექტორის მიერ და განხორციელდა სათანადო აქტივობები, ისეთები როგორიცაა: პროგრამისათვის მოდულებში სწავლების მეთოდების ცვლილება, სასწავლო რესურსების განახლება და სხვ.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა პროგრამის შეფასების შედეგების მიხედვით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილი კორესპონდენცია ჩარჩო დოკუმენტის ცვლილებების შესახებ, პროგრამაში შესაბამისი ცვლილებები განხორციელებულია დაწესებულების დადგენილი წესით და პირობებით, დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი“;
- კვლევების შედეგების ანალიზი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- პროგრამაში ცვლილებების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის წესი;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამისთვის მეჩარხე სასწავლო გეგმა შედგენილია თანმიმდევრულად, დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული მოდულების წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმის აგებისას გათვალისწინებულია სწავლის შედეგების ხელახალი დადასტურების შესაძლო გონივრული ვადა. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასწავლო გეგმის მიხედვით, რაც დასტურდება მეცადინეობების ცხრილით, კალენდარული გეგმებით და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებით.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. კერძოდ, დაწესებულების წარმომადეგენელთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ სს „საქართველოს რკინიგზაში“ დასაქმებული პროფესიულ სტუდენტთა მეცადინეობების განრიგის შემუშავებისას გაითვალისწინება მათ ხელმძღვანელებთან წინასწარი კონსულტაციების შედეგები და მეცადინეობის განრიგი მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებზე. საქართველოს რკინიგზაში დასაქმებული პირების მეცადინეობებზე დასწრების მონაცემები ეგზავნება საქართველოს რკინიგზის ადმინისტრაციას შემდგომი რეაგირებისათვის.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. სასწავლო პროცესში გამოიყენება თანამედროვე მეთოდები, კერძოდ, კოლეჯში სწავლება მიმართულია პროფესიული სტუდენტებისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

ტრანსფერული და პროფესიული უნარების განვითარებისკენ. სწავლება ხდება მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, სადაც პროფესიული მასწავლებელი ორიენტირებულია სტუდენტის ინტერესებზე. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციით, მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილებითა და გავლილი ტრენინგებით.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-8 მუხლის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება არის მაშინ როცა:

ა) სსსმ პირი, სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს;

ბ) რომლის სწავლის შედეგები განსხვავებული აქვს კოლეჯის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან;

გ) პირი, რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ერთ თვეზე მეტხანს ან/და დაუგროვდა საპატიო გაცდენების დიდი ოდენობა და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას.

„ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების არსებობისას, პროფესიული განათლების მასწავლებელი წერილობით მიმართავს ადმინისტრაციას, რის საფუძველზეც ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ხორციელდება სასწავლო პროცესზე დასწრება - დაკვირვების მიზნით, თუ ფაქტი დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებელი 5 სამუშაო დღის ვადაში შეიმუშავებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელსაც წარუდგენენ ხარისხის მართვის მენეჯერს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისობის შემთხვევაში ხარისხის მართვის მენეჯერი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

„ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების არსებობისას, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხდება ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა თითოეული სასწავლო კურსის/მოდულის ფარგლებში წინამდებარე დებულებით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა მობილობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით.

„გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების გამოვლენისას, პროგრამის ხელმძღვანელი პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული პროგრამის სწავლის შედეგებს და შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესაბამისად პროფესიული სტუდენტის საჭიროებების გათვალისწინებით, რათა მოხდეს სტატუს აღდგენილი სტუდენტის ჩართვა სასწავლო პროცესში ასათვისებელი სასწავლო კურსების წინაპირობების დაცვით.

გარდა ამისა, პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებიც დასაქმებულნი არიან სს „საქართველოს რკინიგზაში“, უშუალოდ სს „საქართველოს რკინიგზისაგან“ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათი სამუშაო გრაფიკის გათვალისწინების მიზნით, კოლეჯი შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო ცხრილს, საკონტაქტო საათების 2 სამუშაო დღესა და შაბათზე გადანაწილების გზით.

პანდემიიდან გამომდინარე, კოლეჯში სასწავლო პროცესი ხორციელდება დისტანციური სწავლების ჰიბრიდული მოდელის შესაბამისად. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 სექტემბრის №102 ბრძანებით დამტკიცებული ,,ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში განხორციელების წესი“ ითვალისწინებს დისტანციური სასწავლო პროცესის იმგვარად ორგანიზებას, რომ არც ერთი პროფესიული სტუდენტი (შემდგომში - სტუდენტი) არ აღმოჩნდეს დისტანციური სასწავლო პროცესის მიღმა, ან არ ჩამორჩეს სასწავლო პროცესს. სურვილის შემთხვევაში, სთავაზობს კოლეჯის სივრცეში არსებული ტექნიკას დისტანციურ მეცადინეობებზე დასასწრებად. იმ შემთხვევაში, თუ მიუხედავად აღნიშნულისა სტუდენტი ვერ შეძლებს სასწავლო პროცესში ჩართვას, კოლეჯი დისტანციური სწავლების დასრულების შემდეგ შესთავაზებს მას ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. ექსპერტთა მხრიდან გადამოწმდა აღნიშნული რეგულაციების პრაქტიკაში გამოყენების მაგალითები, დოკუმენტაციით დასტურდება, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს საწარმოო პრაქტიკას. გაცნობითი პერაქტიკის ფარგლებში, სს საქართველოს რკინიგზასთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე პროფესიული სტუდენტების სასწავლო ექსკურსიები განხორციელდება რკინიგზის ჩარხებით აღჭურვილ დეპოებსა და საწარმოებში. მემორანდუმით დარეგულირებულია პროფესიულ სტუდენტთა ვიზიტის დეტალები, მათ შორის უსაფრთხოების საკითხები.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. ექსპერტთას მიერ ვიზუალურად შემოწმდა A, B და C გარემო. A და B გარემო აღჭურვილია სახანძრო კვამლის დეტექტორით. უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით. C გარემო გარემონტებულია, განთავსებულია სახანძრო უსაფრთხოების ინვენტარი. შემოწმდა ცეცხლმაქრების ვადიანობა. გარემოში გამოკრულია უსაფრთხოების ნიშნები და სპეციალურ უსაფრთხოების ინსტრუქცია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა;
- კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ცვლილება შევიდა დირექტორის 2022 წლის 17 მარტის #44 ბრძანებით);
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში განხორციელების წესი“;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- უსაფრთხოების წესები;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის №30 ბრძანებით (ცვლილება შევიდა კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის №40 ბრძანებით) დამტკიცებულია ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში „მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი“. დოკუმენტის მე-2 მუხლის მიხედვით, პროფესიული სტუდენტის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას; სანდოობას; მოქნილობას; სიმარტივეს; მიუკერძოებლობასა და სამართლიანობას.

„პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესში“ აღწერილია:

- შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა (მუხლი 3.);
- შეფასების ინსტრუმენტის მიმართ განსაზღვრული მოთხოვნები და სტრუქტურა (მუხლი 4.);
- შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცედურა(მუხლი 5.) - შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს მოდულის განმახორციელებელი პირ(ებ)ი და შემუშავებულ პროექტს იხილავს სასწავლო პროცესის მენეჯერი, შესაბამის დარგის სპეციალისტთან ერთად, რომელიც არ მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში.
- შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირი და შენახვის ვადები(მუხლი 7.);
- შეფასების გაფორმება (მუხლი 8.);
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის (მუხლი 9.)
- პროფესიული სტუდენტის შეფასება (მუხლი10.)
- პროფესიული სტუდენტისათვის შედეგის დადასტურების/გასაჩივრების პროცედურა (მუხლი 11.)
- საკვალიფიკაციო გამოცდა (მუხლი 13.)

ექსპერტების მხრიდან შეფასდა წესების შესაბამისად არსებული მდგომარეობა: შერჩევითობის პრინციპით შემოწმდა **შეფასების ინსტრუმენტები, მტკიცებულებების და შეფასების პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტები, განხორციელდა ინტერვიუ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და სასწავლო პროცესის სამსახურის**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

თანამშრომლებთან, შედეგების შეჯამებით დასტურდება რომ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. ვერიფიკაციის პროცედურა ხორციელდება ვერიფიკაციის ჯგუფის ჩართულობით (იქმნება კოლეჯის დირექტორის მიერ), რომელსაც ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯერი. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის ბრძანებით №42 „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ“, შექმნილია ვერფიკაციის ჯგუფი, რომელსაც ჰყავს ძირითადი და დამატებითი წევრები. ძირითადი წევრებია: კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი (ჯგუფის თავმჯდომარე); კოლეჯის საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი. დამატებითი წევრებს განსაზღვრავს ჯგუფის თავმჯდომარე, ჯგუფის წევრი არ შეიძლება იყოს ის პირი, რომელიც მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტის შექმნის ან შეთანხმების პროცესში. ვერიფიკაცია ხდება კოლეჯში წინასწარ შემუშავებული რისკების სისტემის მონაცემების შესაბამისად, რისკ-ფაქტორების კოეფიციენტების გათვალისწინებით. ვერიფიკაციის პროცედურა ხორციელდება განსაზღვრული სქემის შესაბამისად. ვერიფიკაციის პროცედურის შედეგად, ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ დგება დასკვნა რომელშიც ნათლად და დასაბუთებულად უნდა იქნას ასახული, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭირვალე, სამართლიანი და ობიექტური. დასკვნაში იდენტიფიცირებული უნდა იქნას ვერიფიკაციის პროცედურის დროს წამოჭრილი ყველა პრობლემა. ვერიფიკაციის დასკვნის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო პროცესის მენეჯერი ადგენს დასკვნაში არსებული რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმას, სადაც სრულყოფილად უნდა ასახოს ყველა განსახორციელებელი აქტივობა, განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი. აღნიშნული რეკომენაციების შესრულებაზე მონიტორინგის ვალდებულება აქვს ხარისხის მართვის მენეჯერს. ვერიფიცირებულ შეფასების ინსტრუმენტზე განთავსებულია წარწერა - „ვერიფიცირებულია“ და ხარისხის მართვის მენეჯერის ხელმოწერა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია ვერიფიკაციის ჯგუფის სამუშაო შეხვედრათა ოქმები. 2021 წლის 3 ივნისით დათარიღებული ოქმი #6-ის მიხედვით, განხორციელდა „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული მოდულების ფარგლებში შექმნილი შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციის საკითხის განხილვა, ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილ იქნა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის სქემა. ჯგუფის წევრებმა შეიმუშავეს ვერიფიკაციის დასკვნა, რომელშიც ასახულია გამოვლენილი ნაკლოვანებები და რეკომენდაციები. პერსონალური მონაცემების დაცვით ვერიფიკაციის შედეგები დაეგზავნა დაინტერესებულ პირებს. დაწესებულებაში შემუშავებული და დამტკიცებულია 2022 წლის ვერიფიკაციის გეგმა , პროცესი დაწყებულია და წლის ბოლომდე გრძელდება.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის №30 ბრძანებით (ცვლილება შევიდა კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის №40 ბრძანებით) დამტკიცებულია „პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი“ რის თანახმადაც, შეფასების მტკიცებულებები ინახება პროფესიული სტუდენტის კვალიფიკაციის მინიჭებამდე, სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება 3 წლის ვადით.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. კოლეჯის პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესის მე-9 და მე-10 მუხლების თანახმად, კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერდადასტურების მაჩვენებლები) შეგროვებას კონკრეტული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იყენებს მათ პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნებისათვის. ასევე, განმავითარებელი შეფასების შედეგების შეჯამების შემდეგ პროფესიულ სტუდენტს ეცნობება მისი მიღწევებისა და ნაკლოვანებების შესახებ. პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელი თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის შეიმუშავებს რეკომენდაციებს. პროფესიული სტუდენტის განმავითარებელი შეფასების შედეგები და რეკომენდაციები თავსდება პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში.

სტუდენტთა დახასიათებების ანალიზი დაწესებულებას ეხმარება პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენაში, განვითარების დინამიკაზე დაკვირვებაში და საჭიროების შემთხვევაში მათ ხელშესაწყობად შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის №30 ბრძანება (ცვლილება შევიდა კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის №40 ბრძანებით) დამტკიცებული ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში „მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი“;
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის წესი;
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის ბრძანება №42 „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ“;
- ვერიფიკაციის ჯგუფის სამუშაო შეხვედრის ოქმი;
- შეფასების ინსტრუმენტები;
- კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ცვლილება განხორციელებულია 2020 წლის 12 მარტის №15 ბრძანებით);
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

IX.ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული ენა
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, თემქის დასახლება, XI მკ.რ. III კვ. ნაკვეთი 01/10
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	დუალური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	75

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	149
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	92
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	179
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	122

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

X. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	**სრული 3**	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	**სრული 3**	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	**სრული 3**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	**მეტწილი 2**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

XI.სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მისიაა "თანამედროვე საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის, ეროვნული და საერთაშორისო ღირებულებების მატარებელი, კონკურენტუნარიანი პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციური კადრებით საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოთხოვნების დაკმაყოფილება სარკინიგზო ტრანსპორტის სფეროში და მათი საგანმანათლებლო მიზნების მიღწევისა და წარმატებული დასაქმებისთვის პირობების შექმნა", კოლეჯის განვითარების სტრატეგიულ შვიდწლიან გეგმაში ერთერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრული იყო ინტეგრირებული სწავლების დანერგვა კოლეჯში. გამომდინარე იქიდან, რომ ინტეგრირებული სწავლება ე.წ. საგანმანათლებლო ჩიხების აღმოფხვრის მიზნით წარმოადგენდა 2013-2020წლების პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის ერთერთ ამოცანას. პროფესიული განათლების მიმზიდველობის გასაუმჯობესებლად საჭირო გახდა „ჩიხების" აღმოფხვრა, რაც ხელს უშლის პროფესიული სტუდენტების გადასვლას განათლების ზედა საფეხურებზე. შესაბამისად, ვინაიდან განათლების სისტემაში დაინერგა ამ ჩიხის აღმოფხვრის საშუალება ინტეგრირებული სწავლების სახით, კოლეჯის ინტერესია, მონაწილეობა მიიღოს ახალ პროცესებში და უფრო მოქნილი და ხელმისაწვდომი გახადოს პროფესიული განათლება ინტეგრირებული სწავლების დანერგვით. ამასთან,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც განხორციელდა ინტეგრირება წარმოადგენს სარკინიგზო ინდუსტრიის ერთერთ მნიშვნელოვან დარგს და კოლეჯის მისიაში ხაზგასმითაა

აღნიშნული ამ დარგისთვის სპეციალისტების მომზადების პროცესში წვლილის შეტანა, რასაც ითვალისწინებს დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებიც. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი“, რომლის მოთხოვნების დაცვით განხორციელდა პროგრამის დაგეგმვა და დამტკიცება. დაწესებულებას ასევე წარმოდგენილი აქვს მიზანშეწონილობის დასაბუთება: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა, ერთერთი გამორჩეული და პერსპექტიული პროგრამაა, ვინაიდან იგი მოიცავს ელექტრიკოსის ფუნქცია-მოვალეობებისათვის საჭირო ცოდნა-უნარებს, როლელზეცაა დაშენებული რკინიგზის ინდუსტრიის ელექტრომომარაგების კომპეტენციები. კოლეჯი 2018 წლიდან ახორციელებს აღნიშნულ პროგრამას დუალური მიდგომით, 2020 წელს აღნიშნულ პროგრამაზე მოპოვებულ იქნა ბრიტანული საერთაშორისო ორგანიზაციის (BTEC) კვალიფიკაცია, კვალიფიკაციის მინიჭების შემდგომ კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ეძლევა დასაქმდეს როგორც ადგილობრივ, ასე საერთაშორისო ბაზარზე, ასევე პროგრამაზე სწავლების მიზნით ხშირად არის მომართვიანობა ცხრა კლასდამთავრებული აპლიკანტების მიერ, მათი მიღება კი ვერ ხერხდებოდა, ვინაიდან არაინტეგრირებულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არის სრული ზოგადი განათლება, გამომდინარე აქედან ადმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება დაინტერესებულ პირებს შესთავაზოს აღნიშნული პროგრამა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებით, რომლის შემთხვევაში საბაზო განათლების მქონე პირებს მიეცემათ საშუალება, შერჩეულ პროფესიასთან ერთად მიიღონ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან გათანაბრებული დიპლომი. შესაბამისად **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

სწავლის შედეგების მიღწევას;

„რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“ არაინტეგრირებული პროგრამისათვის დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, ხოლო ინტეგრირებული პროგრამისათვის საბაზო განათლება. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი და შერჩევის პროცედურები, რომლითაც ხელმძღვანელობს პროფესიული სტუდენტის მიღების პროცესში. აპლიკანტთა შერჩევის პროცესში ჩართულნი არიან წარმოების წარმომადგენლები. კოლეჯის მიერ აპლიკანტთა შერჩევა საავტორიზაციო პროგრამაზე ხორციელდება მოტივაციური გასაუბრებითა და ტესტირებით.ექსპერტების მიერ გადამოწმდა შერჩევითი პრინციპით პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურების შესაბამისად არსებული მდგომარეობა, შევსებული ტესტები, კომისიის მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია , ჩარიცხვის ბრძანება და პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, განხორციელდა გასაუბრება პროფესიულ სტუდენტებთან, მათაც დაადასტურეს მატერიალურად ნანახი მტკიცებულებების სისწორე, **შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას**

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

კოლეჯში პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობას განსაზღვრავს კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №89 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომელიც ითვალისწინებს, რომ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს: პროფესიულ სტუდენტთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ პირთა ადგილების რაოდენობის გაანგარიშება ხდება საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

დაწესებულებების რეესტრის მონაცემების შესაბამისად პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი (აქტიური სტატუსის მქონე, მათ შორის, სტატუსშეჩერებული) და შესაბამისი წლის დამამთავრებელი, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი წლისათვის გამოცხადებული მისაღები ადგილების რაოდენობის შესაბამისად; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა, საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

კოლეჯის „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის“ არაინტეგრირებული პროგრამა უკვე ავტორიზებულია და შესაბამისად რესურსებით უზრუნველყოფილია, დაწესებულებას შეძენილი აქვს მოდულებით გათვალისწინებული მატერიალური და ასევე, საგანმანათლებლო რესურსები, დოკუმენტაციის ანალიზით და დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

<u>დაწესებულებას ბიბლიოთეკაში აქვს ისეთი ღირებული სასწავლო რესურსები, რომლებიც სასწავლო თემატიკას კიდევ უფრო გაშლის და გაამრავალფეროვნებს, შემდგომი განვითარების მიზნით კოლეჯს ეძლევა რეკომენდაცია პროგრამის მოდულებში სრულყოფილად მიეთითოს ის საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში.</u>

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

დამტკიცებული პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

კოლეჯის წესდების მე-5 მუხლის 5.1.2. პუნქტის შესაბამისად, დირექტორი ამტკიცებს პროფესიულ საგანმანათლებლო , ასევე ცვლილებებიც მტკიცდება დირექტორის ბრძანებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 12 იანვრის №23 ბრძანებით, ხოლო ცვლილება განხორციელებულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 1 თებერვლის №3 ბრძანებით. შესაბამისად, პროგრამა დამტკიცებულია და ცვლილებას განხორციელებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ;

7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებაა რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა, ხოლო სწავლის შედეგები უშუალოდ არის დაკავშირებული რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის პროფესიასთან, შეესაბამება პროგრამის დასახელებას და არ არის შეცდომაში შემყვანი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდეგ პროგრამის დასახელება არ შეცვლილა.

8. **პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში მოქმედი “პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი“, საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მის შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველია ჩარჩო - დოკუმენტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

„ელექტროობა“ 07313-პ და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანება „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების შესახებ“. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ პროგრამას თან ახლავს **სასწავლო გეგმები (ინტეგრირებული, არაინტეგრირებული,** ქართული ენით და ქართული ენის გარეშე), რომელიც გაწერილია სამ წელზე, ადაპტირებული მოდულები, ინფორმაცია მატერიალური და ადამიანური რესურსების შესახებ, ექსპერტთა შეფასებით საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის მისია;
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის №39 ბრძანება „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის განვითარების ერთწლიანი და შვიდწლიანი გეგმების დამტკიცების შესახებ“;
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 იანვრის №3 ბრძანება „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის 2020 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ (ცვლილება განხორციელებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 27 ოქტომბრის №122 ბრძანებით)
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- საგანმანათლებლო პროგრამა (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);
- კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 1 თებერვლის №3 ბრძანება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის“ ცვლილებებით დამტკიცების შესახებ“
- „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;;
- კოლეჯის წესდება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- დათვალიერების შედეგები;
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა კოლეჯისა და პარტნიორი კომპანიის მფლობელობაში არსებული მატერიალური ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ადეკვატურია. პროგრამის ფარგლებში, კოლეჯს ჰყავს პარტნიორი კომპანია სს „საქართველოს რკინიგზის“ სახით. პარტნიორ საწარმოსთან ანუ საქართველოს რკინიგზასთან ხელშეკრულებით არის განსაზღვრული, რომ კომპანია პროგრამის ფარგლებში მოთხოვნილი რაოდენობის პროფესიული სტუდენტის მიღებას შეძლებს და ასევე, განსაზღვრულია, რომ პროგრამის მიზნებისათვის გამოიყენება კომპანიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით. გარდა ამისა, კოლეჯს ასევე, მოწყობილი აქვს შესაბამისი რესურსებით აღჭურვილი ღია და დახურული ტიპის სასწავლო ლაბორატორიები. პროგრამაში, ზოგადი მოდულებისა და ასევე თეორიული სწავლის შედეგების მიღწევისათვის გამოიყენება კომპიუტერული კლასი, რომელიც აღჭურვილია საჭირო რაოდენობის კომპიუტერებით, მაგიდებით, სკამებით, დაფით ჯგუფში სტუდენტების რაოდენობის შესაბამისად. თეორიული სწავლების აუდიტორია აღჭურვილია პროექტორითა და მონიტორებით. ინტეგრირებული პროგრამის განხორციელებისათვის კოლეჯის მიერ შეძენილია პროგრამის მეცნიერება და ტექნოლოგიები“ მოდულის შესაბამისი რესურსები, რომელიც სპეციფიკის გათვალისწინებით გადანაწილებულია ორ აუდიტორიაში და ჯგუფების მაქსიმალური რაოდენობის მიღების შემთხვევაშიც აუდიტორიის დატვირთვა ორცვლიანი სწავლების რეჟიმით, შესაძლებლობას იძლევა პროგრამა განხორციელდება შეუფერხებლად. დოკუმენტაციის ანალიზის, გასაუბრების და დათვალიერების შედეგებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა " განხორციელებაში ჩართულია 46 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 17 ზოგადი მოდულების განმახორციელებელი, 15 ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელი და 14 დარგის სპეციალისტი პროფესიული და საერთო პროფესიული მოდულების განმახორციელებლები. სტუდენტების ზღვრული რაოდენობა არის 75, მათ შორის 30 ინტეგრირებული სწავლებისთვის. თითოეული მოდულისთვის კოლეჯს ყავს მინიმუმ 2 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიულ მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემის, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის, პროგრამის სასწავლო გეგმისა და პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების (ხელშეკრულებაში მოცემულია ჩანაწერი, საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის თაობაზე) შინაარსის მიხედვით, მასწავლებელთა დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას და ითვალისწინებს საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებს. ადმინისტრაციის წარმომადგენელს, სათანადო კვალიფიკაციის არსებობის შემთხვევაში აქვს სასწავლო პროცესის განხორციელების უფლებაც. აღნიშნული პრაქტიკა დანერგილია დაწესებულებაში, დოკუმენტაციის გადამოწმების და გასაუბრების შედეგებით დადგინდა, რომ სასწავლო დატვირთვის მაქსიმალური ზღვარი არ არის განსაზღვრული და დარეგულირებელი დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტებით, სასურველია დაწესებულებამ დაარეგულიროს აღნიშნული საკითხი.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

476

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია კოლეჯის დირექტორის ბრძანებაში: „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამშრომლების, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ“. ასევე კოლეჯის პერსონალის მართვის წესი არეგულირებს პერსონალის შერჩევის წესს, კოლეჯში პროფესიულ მასწავლებლებად მიიღებიან შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები. დუალურ პროგრამებზე ძირითადად შერჩეულია პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომლებსაც შესაბამის კვალიფიკაციასთან ერთად, აქვთ სამუშაო გამოცდილებაც პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები, რომელთა საფუძველზეც, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგები მიღწევის შესაძლებლობას. კოლეჯში პროფესიულ მასწვლებლებად მიიღებიან შესაბამისი კვლიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები. ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევა მოხდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და კოლეჯის ჩართულობით, სამეტაპიანი შერჩევის გზით, მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით. დამატებით, ინტეგრირებული მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლებმა გაიარეს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ორგანიზებული ტრენგები. გარდა ამისა, კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლები აქტიურად ატარებენ ტრენინგებს პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის შეფასების საკითხებზე. აღნიშნული მასწავლებლები უკვე ჩართულები არიან კოლეჯში სხვა პროგრამის ინტეგრირებული მოდულების განხორციელებაში. დოკუმენტაციის ანალიზით და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც დანიშნულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 12 იანვრის №23 ბრძანებით . ხელმძღვანელს აქვს პროფესიით მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. გავლილი აქვს Deutsche Bahn-ის სწავლების მართვის ტრენინგი, იყო მონაწილე სასწავლო ვიზიტისა გერმანიის რკინიგზის ტრენინგ ცენტრში. შესაბამისად, მას აქვს შესაძლებლობა, სრულფასოვნად უხელმძღვანელოს პროგრამის განხორციელების პროცესს პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (ცვლილება განხორციელებულია 2020 წლის 12 მარტის №15 ბრძანებით) მე-10 მუხლით. პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაოს ანაზღაურებას უზრუნველყოფს სს „საქართველოს რკინიგზა“. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობაში დეტალურადაა გაწერილი მის მიერ შესასრულებელი ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და მუშაობს პროგრამის განვითარების მიმართულებით. იღებს მონაწილეობას პროგრამის შეფასების, განვითარების, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში. კოლეჯში პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ანალიზდება და საჭიროების შემთხვევაში ხდება პროფესიულ სტუდენტთან ინდივიდუალური გასაუბრება მისი მიღწევების გაუმჯობესებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების მიზნით. პროგრამის ხელმძღვანელი ინდივიდუალურად, თითოეულ სტუდენტზე ადგენს დახასიათებას. აღნიშნულის მიზანია როგორც პროფესიული სტუდენტის განვითარება, ასევე დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე მისი უსაფრთხოებისადმი ინდივიდუალური მიდგომის უზრუნველყოფა პრაქტიკის ობიექტზე.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში. დაწესებულებას ელექტრონული პროგრამის სახით შემუშავებული აქვს საბიბლიოთეკო კატალოგი. ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის. კვალიფიციური ბიბლიოთეკარი ახორციელებს საბიბლიოთეკო ფონდის მოხმარების აღრიცხვას, ივსება მკითხველის ბარათები, რითაც დასტურდება სასწავლო პროცესში საგანმანათლებლო რესურსის გამოყენების ფაქტი.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტის ქსელში ჩართული 3 სამაგიდო კომპიუტერი მკითხველებისთვის და ერთი პორტატული კომპიუტერი ბიბლიოთეკარისთვის, საოფისე კომბაინი (მრავალფუნქციური პრინტერი), ქაღალდების ასაკინძი და ლამინირების მოწყობილობა. კოლეჯი სარგებლობს საბიბლიოთეკო პროგრამით Ope№Biblio. დაწესებულებას აქვს წვდომა სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს (mats№e.gov.ge) ვებ გვერდზე. ექსპერტების მხრიდან გადამოწმდა პროფესიული სტუდენტების მიერ რესურსებით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასევე მათთან გასაუბრებამ დაადასტურა, რომ **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში**

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

კოლეჯში გაწერილია მარეგულირებელი წესები კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 30-ე მუხლით, იმისათვის, რომ სსსმ პირების წვდომა იქნას უზრუნველყოფილი პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, ასევე მოხდეს მათი ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; ჯერჯერობით, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში მსგავსი საჭიროება არ დამდგარა, თუმცა კოლეჯს აქვს მზაობა. მოახდინოს სასწავლო რესურსების ადაპტირება, იქნება ეს დამხმარე ტექნიკის, პროგრამული უზრუნველყოფის, ბრაილის შრიფტის, დასურათებული სახელმძღვანელოების, მასალის შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტაციის გამოყენებით თუ სხვა სპეციფიკური მოთხოვნით. დაწესებულების განმარტებით სასწავლო რესურსის ადაპტირება არ დასჭირვებიათ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, ვინაიდან თითოეული პროგრამის განხორციელებისას კოლეჯის იღებს ვაუჩერულ დაფინანსებას, ამასთან კოლეჯის ოპერირების ფინანსური უზრუნველყოფის ნაწილში ჩართულია როგორც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ისე სს „საქართველოს რკინიგზა“ 50%-იანი წილობრივი მონაწილეობით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სს“საქართველოს რკინიგზის“, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს შორის 2016 წლის 27 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად. განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა რენტაბელობის ზღვარი 5 სტუდენტით;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქართველოს რკინიგზასთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დოკუმენტი;
- შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ, პროფესიული განათლების მასწავლებლის პირადი საქმე, გაფორმებული ხელშეკრულებები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე, დანიშვნის ბრძანება;
- შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
- დოკუმენტების შესწავლით და ონლაინ დათვალიერებით მატერიალური რესურსების შეფასების შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- ბიბლიოთეკაში არსებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ;

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

481

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესის“ მიხედვით, კოლეჯში შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად, განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების საშუალებით. სისტემა ძირითადად დაფუძნებულია პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისშეფასების მიზნით კოლეჯს:

- შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა;
- პროგრამის შეფასებისათვის შედგენილი აქვს პროფესიულ სტუდენტთა კითხვარი, პროფესიული განათლების მასწავლებლების კითხვარი, დამსაქმებელთა კითხვარი დაკურსდამთავრებულთა კითხვარი.
- შეფასება ტარდება გამოკითხვის მეთოდით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით, შეფასების შედეგების საფუძველზე, ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

ასევე, კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით (ცვლილება 2020 წლის 5ივნისის №58 ბრძანება) დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის წესი“, რომლის შესაბამისადაც, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირსდაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო პრაქტიკას. წარმოდგენილი მტკიცებულებების და გასაუბრების სედეგებით დასტურდება, რომ კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება ე.წ. დემინგის ციკლის შესაბამისად, კოლეჯის დამფუძნებლის სს „საქართველოს რკინიგზის“, როგორც შრომის ბაზრის უმსხვილესი დამსაქმებლის, დარგის გამოცდილი სპეციალისტები უშუალოდ არიან ჩართულნი კოლეჯის მიერ განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სხვა აქტივობების დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარების პროცესში. სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ ორჯერ ხდება დაინტერესებულ მხარეებთან პროგრამის განხორციელების შეფასება, პრობლემურ საკითხებზე დისკუსია და საჭიროების შემთხვევაში სს “საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელობასთან ერთად მათი გადაწყვეტა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

არსებული რეგულაციის მიხედვით, კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია ციკლზე: დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე - გააუმჯობესე და პროგრამების განხორციელების ხარისხთან დაკავშირებული პროცესები მიმდინარეობს აღნიშნული ციკლის შესაბამისად.

კოლეჯში სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ ორჯერ ხდება პროგრამის განხორციელების შეფასება დაინტერესებულ მხარეებთან, პრობლემურ საკითხებზე დისკუსია და საჭიროების შემთხვევაში სს ,,საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელობასთან ერთად მათი გადაწყვეტა. საანგარიშო პერიოდში დაწესებულებაში გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებისათვის შექმნილია ფოკუს ჯგუფები.

კოლეჯის შიდა მხარდაჭერის ჯგუფის თავმჯდომარის მოხსენებითი ბარათების, ანგარიშების და სხვა დოკუმენტების მიხედვით ვლინდება, რომ შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირდა პროგრამის გაუმჯობესების მიმართულებები, რაც გათვალისწინებულ იქნა კოლეჯის დირექტორის მიერ და განხორციელდა სათანადო აქტივობები, ისეთები როგორიცაა: პროგრამისათვის მოდულებში სწავლების მეთოდების ცვლილება, სასწავლო რესურსების განახლება და სხვ.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა პროგრამის შეფასების შედეგების მიხედვით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილი კორესპონდენცია ჩარჩო დოკუმენტის ცვლილებების შესახებ, პროგრამაში შესაბამისი ცვლილებები განხორციელებულია დაწესებულების დადგენილი წესით და პირობებით, დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი“;
- კვლევების შედეგების ანალიზი;
- პროგრამაში ცვლილებების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის წესი;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამისთვის შედგენილია სასწავლო გეგმა. სასწავლო გეგმა შედგენილია თანმიმდევრულად, დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული მოდულების წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმის აგებისას გათვალისწინებულია სწავლის შედეგების ხელახალი დადასტურების შესაძლო გონივრული ვადა. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასწავლო გეგმის მიხედვით, რაც დასტურდება მეცადინეობების ცხრილით, კალენდარული გეგმებით და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებით.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. კერძოდ, დაწესებულების წარმომადეგენელთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ სს „საქართველოს რკინიგზაში“ დასაქმებული პროფესიულ სტუდენტთა მეცადინეობების განრიგის შემუშავებისას გაითვალისწინება მათ ხელმძღვანელებთან წინასწარი კონსულტაციების შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

და მეცადინეობის განრიგი მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებზე. საქართველოს რკინიგზაში დასაქმებული პირების მეცადინეობებზე დასწრების მონაცემები ეგზავნება საქართველოს რკინიგზის ადმინისტრაციას შემდგომი რეაგირებისათვის.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. სასწავლო პროცესში გამოიყენება თანამედროვე მეთოდები, კერძოდ, კოლეჯში სწავლება მიმართულია პროფესიული სტუდენტებისათვის ტრანსფერული და პროფესიული უნარების განვითარებისკენ. სწავლება ხდება მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, სადაც პროფესიული მასწავლებელი ორიენტირებულია სტუდენტის ინტერესებზე. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციით, მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილებითა და გავლილი ტრენინგებით. დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფილია როგორც კოლეჯში, ისე პრაქტიკის ობიექტებზე: რკინიგზის დარგის გამოცდილი პრაქტიკოსი სპეციალისტები და განათლების დარგში მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პირები გადამზადებულნი არიან პროფესიული სწავლების სპეციფიკაში და მეთოდოლოგიაში.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-8 მუხლის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება არის მაშინ როცა:

ა) სსსმ პირი, სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს;

ბ) რომლის სწავლის შედეგები განსხვავებული აქვს კოლეჯის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

გ) პირი, რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ერთ თვეზე მეტხანს ან/და დაუგროვდა საპატიო გაცდენების დიდი ოდენობა და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას.

„ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების არსებობისას, პროფესიული განათლების მასწავლებელი წერილობით მიმართავს ადმინისტრაციას, რის საფუძველზეც ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ხორციელდება სასწავლო პროცესზე დასწრება - დაკვირვების მიზნით, თუ ფაქტი დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებელი 5 სამუშაო დღის ვადაში შეიმუშავებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელსაც წარუდგენენ ხარისხის მართვის მენეჯერს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისობის შემთხვევაში ხარისხის მართვის მენეჯერი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

„ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების არსებობისას, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხდება ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა თითოეული სასწავლო კურსის/მოდულის ფარგლებში წინამდებარე დებულებით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა მობილობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით.

„გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების გამოვლენისას, პროგრამის ხელმძღვანელი პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული პროგრამის სწავლის შედეგებს და შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესაბამისად პროფესიული სტუდენტის საჭიროებების გათვალისწინებით, რათა მოხდეს სტატუს აღდგენილი სტუდენტის ჩართვა სასწავლო პროცესში ასათვისებელი სასწავლო კურსების წინაპირობების დაცვით.

გარდა ამისა, პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებიც დასაქმებულნი არიან სს „საქართველოს რკინიგზაში“, უშუალოდ სს „საქართველოს რკინიგზისაგან“ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათი სამუშაო გრაფიკის გათვალისწინების მიზნით, კოლეჯი შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო ცხრილს, საკონტაქტო საათების 2 სამუშაო დღესა და შაბათზე გადანაწილების გზით.

პანდემიიდან გამომდინარე, კოლეჯში სასწავლო პროცესი ხორციელდება დისტანციური სწავლების ჰიბრიდული მოდელის შესაბამისად. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 სექტემბრის №102 ბრძანებით დამტკიცებული ,,ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

პროცესის დისტანციურ რეჟიმში განხორციელების წესი“ ითვალისწინებს დისტანციური სასწავლო პროცესის იმგვარად ორგანიზებას, რომ არც ერთი პროფესიული სტუდენტი (შემდგომში - სტუდენტი) არ აღმოჩნდეს დისტანციური სასწავლო პროცესის მიღმა, ან არ ჩამორჩეს სასწავლო პროცესს. სურვილის შემთხვევაში, სთავაზობს კოლეჯის სივრცეში არსებული ტექნიკას დისტანციურ მეცადინეობებზე დასასწრებად. იმ შემთხვევაში, თუ მიუხედავად აღნიშნულისა სტუდენტი ვერ შეძლებს სასწავლო პროცესში ჩართვას, კოლეჯი დისტანციური სწავლების დასრულების შემდეგ შესთავაზებს მას ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. ექსპერტთა მხრიდან გადამოწმდა აღნიშნული რეგულაციების პრაქტიკაში გამოყენების მაგალითები, დოკუმენტაციით დასტურდება, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს და დარგის ტექნოლოგიებს. სწავლების შედეგების მიღწევა დაგეგმილია როგორც დაწესებულების შენობაში, ასევე პარტნიორ დაწესებულებაში. სს „საქართველოს რკინიგზასთან“ დუალური მიდგომით სწავლებისთვის გაფორმებულია ხელშეკრულება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, რომლის მიხედვითაც პრაქტიკის ობიექტი გამოთქვამს მზადყოფნას, მოცემული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში თითო ნაკადზე მიიღოს 30 პროფესიული სტუდენტი.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამით განსაზღვრული მოდულების თეორიული კომპონენტის სწავლებისთვის გამოიყენება კოლეჯის აუდიტორიები, სადაც უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო გარემო. რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებული მოდულების პრაქტიკულ კომპონენტების სწავლებას, რომელიც ხორციელდება კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, სს „საქართველოს რკინიგზასთან“ ხელშეკრულებაში გაწერილია პირობა, რის თანახმადაც ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის უსაფრთხო გარემო.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა“ სასწავლო გეგმა;
- ხელშეკრულება იუს/22-006 11/03/2022წ. სს საქართველოს რკინიგზასთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობის“ განხორციელების შესახებ, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში;
- კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ცვლილება შევიდა დირექტორის 2022 წლის 17 მარტის #44 ბრძანებით);
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში განხორციელების წესი“;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის №30 ბრძანებით (ცვლილება შევიდა კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის №40 ბრძანებით) დამტკიცებულია ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში „მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი“. დოკუმენტის მე-2 მუხლის მიხედვით, პროფესიული სტუდენტის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას; სანდოობას; მოქნილობას; სიმარტივეს; მიუკერძოებლობასა და სამართლიანობას.

„პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესში“ აღწერილია:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

- შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა (მუხლი 3.);
- შეფასების ინსტრუმენტის მიმართ განსაზღვრული მოთხოვნები და სტრუქტურა (მუხლი 4.);
- შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცედურა(მუხლი 5.) - შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს მოდულის განმახორციელებელი პირ(ებ)ი და შემუშავებულ პროექტს იხილავს სასწავლო პროცესის მენეჯერი, შესაბამის დარგის სპეციალისტთან ერთად, რომელიც არ მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში.
- შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირი და შენახვის ვადები(მუხლი 7.);
- შეფასების გაფორმება (მუხლი 8.);
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის (მუხლი 9.)
- პროფესიული სტუდენტის შეფასება (მუხლი10.)
- პროფესიული სტუდენტისათვის შედეგის დადასტურების/გასაჩივრების პროცედურა (მუხლი 11.)
- საკვალიფიკაციო გამოცდა (მუხლი 13.)

ექსპერტების მხრიდან შეფასდა წესების შესაბამისად არსებული მდგომარეობა: შერჩევითობის პრინციპით შემოწმდა **შეფასების ინსტრუმენტები, მტკიცებულებების და შეფასების პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტები, განხორციელდა ინტერვიუ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და სასწავლო პროცესის სამსახურის თანამშრომლებთან, შედეგების შეჯამებით დასტურდება რომ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. ვერიფიკაციის პროცედურა ხორციელდება ვერიფიკაციის ჯგუფის ჩართულობით (იქმნება კოლეჯის დირექტორის მიერ), რომელსაც ხელმძღვანელობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

ხარისხის მართვის მენეჯერი. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის ბრძანებით №42 „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ“, შექმნილია ვერფიკაციის ჯგუფი, რომელსაც ჰყავს ძირითადი და დამატებითი წევრები. ძირითადი წევრებია: კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი (ჯგუფის თავმჯდომარე); კოლეჯის საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი. დამატებითი წევრებს განსაზღვრავს ჯგუფის თავმჯდომარე, ჯგუფის წევრი არ შეიძლება იყოს ის პირი, რომელიც მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტის შექმნის ან შეთანხმების პროცესში. ვერიფიკაცია ხდება კოლეჯში წინასწარ შემუშავებული რისკების სისტემის მონაცემების შესაბამისად, რისკ-ფაქტორების კოეფიციენტების გათვალისწინებით. ვერიფიკაციის პროცედურა ხორციელდება განსაზღვრული სქემის შესაბამისად. ვერიფიკაციის პროცედურის შედეგად, ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ დგება დასკვნა რომელშიც ნათლად და დასაბუთებულად უნდა იქნას ასახული, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭირვალე, სამართლიანი და ობიექტური. დასკვნაში იდენტიფიცირებული უნდა იქნას ვერიფიკაციის პროცედურის დროს წამოჭრილი ყველა პრობლემა. ვერიფიკაციის დასკვნის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო პროცესის მენეჯერი ადგენს დასკვნაში არსებული რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმას, სადაც სრულყოფილად უნდა ასახოს ყველა განსახორციელებელი აქტივობა, განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი. აღნიშნული რეკომენაციების შესრულებაზე მონიტორინგის ვალდებულება აქვს ხარისხის მართვის მენეჯერს. ვერიფიცირებულ შეფასების ინსტრუმენტზე განთავსებულია წარწერა - „ვერიფიცირებულია“ და ხარისხის მართვის მენეჯერის ხელმოწერა.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია ვერიფიკაციის ჯგუფის სამუშაო შეხვედრათა ოქმები. 2021 წლის 3 ივნისით დათარიღებული ოქმი #6-ის მიხედვით, განხორციელდა „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული მოდულების ფარგლებში შექმნილი შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციის საკითხის განხილვა, ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილ იქნა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის სქემა. ჯგუფის წევრებმა შეიმუშავეს ვერიფიკაციის დასკვნა, რომელშიც ასახულია გამოვლენილი ნაკლოვანებები და რეკომენდაციები. პერსონალური მონაცემების დაცვით ვერიფიკაციის შედეგები დაეგზავნა დაინტერესებულ პირებს. დაწესებულებაში შემუშავებული და დამტკიცებულია 2022 წლის ვერიფიკაციის გეგმა , პროცესი დაწყებულია და წლის ბოლომდე გრძელდება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის №30 ბრძანებით (ცვლილება შევიდა კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის №40 ბრძანებით) დამტკიცებულია „პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი“ რის თანახმადაც, შეფასების მტკიცებულებები ინახება პროფესიული სტუდენტის კვალიფიკაციის მინიჭებამდე, სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება 3 წლის ვადით.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. კოლეჯის პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესის მე-9 და მე-10 მუხლების თანახმად, კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერდადასტურების მაჩვენებლები) შეგროვებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იყენებს მათ პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნებისათვის. ასევე, განმავითარებელი შეფასების შედეგების შეჯამების შემდეგ პროფესიულ სტუდენტს ეცნობება მისი მიღწევებისა და ნაკლოვანებების შესახებ. პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელი თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის შეიმუშავებს რეკომენდაციებს. პროფესიული სტუდენტის განმავითარებელი შეფასების შედეგები და რეკომენდაციები თავსდება პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

სტუდენტთა დახასიათებების ანალიზი დაწესებულებას ეხმარება პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენაში, განვითარების დინამიკაზე დაკვირვებაში და საჭიროების შემთხვევაში მათ ხელშესაწყობად შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის №30 ბრძანება (ცვლილება შევიდა კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის №40 ბრძანებით) დამტკიცებული ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში „მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი“;
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის წესი;
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის ბრძანება №42 „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ“;
- ვერიფიკაციის ჯგუფის სამუშაო შეხვედრის ოქმი;
- შეფასების ინსტრუმენტები;
- კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ცვლილება განხორციელებულია 2020 წლის 12 მარტის №15 ბრძანებით);
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	

XIII. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი
15.08.2022წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების:

(თბილისი, 2022)